

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS

4

ISSN 1987-5789



ტომი ✧ Volume ✧ Tom

X

№4, 2017

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal
of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический
журнал факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного
университета
им. Иванэ Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მალღივი კორპუსი,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge
lia_lugela@mail.ru

სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიასვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, **რევაზ გოგოხია** (*მთავარი რედაქტორი*), **თამაზ ზუბიაშვილი** (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ავთანდილ სილაგაძე (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ლაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი, იოსებ ხელაშვილი

EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, **Revaz Gogokhia** (*Editor-in-Chief*), **Tamaz Zubiashvili** (*Executive Secretary*), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Avtandil Silagadze (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaiashvili, Ioseb Khelashvili

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Юрий Ананиашвили, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, **Реваз Гогохия** (*главный редактор*), **Тамаз Зубиашвили** (*ответственный секретарь*), Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Элгуджа Меквабишвили, Давид Нармания, Автандил Силагадзе (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадური, Элене Харабадзе, Этер Хараишвили, Иосеб Хелашвили

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; ოლეგ კარასევი – ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; გრაჟინა კარმოვსკა – დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი); დმიტრო ლუკიანენკო – კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი; იან მიხალეკი – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; დმიტრი სოროკინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ვიტალი ტამბოვცევი - ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

Wolfgang Weng - Berlin University, Professor; Oleg Karasev - Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor; Grazyna Karmowska, Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland); Dmytro Lukianenko - Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor; Jan Mikhalek - University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Dmitry Sorokin - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Vitaly Tambovtsev - head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor; Toomas Haldma - Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

Вольфганг Венг - профессор Берлинского Университета; Олег Карасев - зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор; Гражина Кармовска, д. э. н., Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, Шчецин (Польша); Дмитро Лукьяненко - Ректор Киевского Национального экономического университета имени Вадима Гетмана, профессор; Ян Михалек - декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор; Дмитрий Сорокин - член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор; Виталий Тамбовцев -Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор; Томас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса университета Тарту, профессор.

ს ა რ ჩ ე შ ი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლისა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე იუნესკოს ღონისძიებათა სიაშია 9

დიდი ივანე ჯავახიშვილის უპანასკნელი ლექსია

სერგო ჯორბენაძე. სიკვდილის სიღიადე 11

აკონტრაქტული თეორია და აკონტრაქტული პოლიტიკა

ნუგზარ პაიჭაძე. სახელმწიფო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფისათვის 19

კახა ქეცბაია. ვირტუალურ-მომხმარებლური საზოგადოების სოციოლოგიური იმპლიკაციები 29

თინათინ მეძმარიაშვილი. ევროკავშირის სტანდარტები და სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში 40

გია ბერიძე. სატრანსფერო ფასნარმოქმნის გამოწვევები საქართველოში 48

ნიკა ჩიტიშვილი. „პოლანდიური დაავადება“ – ნორვეგიული მოდელის თავისებურებანი 56

მიკროეკონომიკა ❖ მაკროეკონომიკა ❖ ეკონომიკური

სიმონ გელაშვილი. ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური დროითი მწკრივების სტატისტიკური იმპუტაციის ახალი წესები 63

თენგიზ ვერულავა. სამედიცინო ბაზარი: არსი, სპეციფიკა, სტიმულები 73

დიმიტრი ჯავახაძე. ელექტრონული სერვისების განვითარება საქართველოში 91

სოფიო ბაკურიძე. ინტეგრაციული ურთიერთობების თავისებურებები რეგიონული სამედიცინო მომსახურების ბაზარზე 101

ნინო ზურაშვილი. ურბანიზაციის პროცესები თანამედროვე მსოფლიოში 111

ალექსანდრე ვასილევ. გაყიდვაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მაგალითზე 121

მარკაბინა ❖ მენეჯმენტი ❖ ტურიზმი

გიორგი შიხაშვილი. თვითმენეჯმენტის აქტუალური პარადიგმები: პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება 139

დავით ნიჟარაძე. ინოვაციების მართვის თავისებურებები თანამედროვე ბიზნესში 159

ნაირა ლვედაშვილი. საქართველოს ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების დანერგვისა და მართვის სრულყოფისათვის 169

ჩვენი იუბილარები

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ცნობილი მეცნიერის, ამგადარი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გედევან ხელაიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა 176

მიხეილ ჯიბუტი. პროფესორ გედევან ხელაიას 90-წლიანი ცხოვრების დღევანდლობა 177

პროფესორი გედევან ხელაია - 90 183

ხსოვნა ნათელი

გედევან ხელაია. პროფესორი გიორგი პაპავა – ჩემი უახლოესი მეგობარი 187

CONTENTS

Ivane Javakhishvili Tbilisi State University is 100 years old

Ivane Javakhishvili Tbilisi State University's 100th anniversary is on the UNESCO's list of events...9

THE LAST LECTURE OF GREAT IVANE JAVAKHISHVILI

Sergo Jorbenadze. The greatness of death11

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

Nugzar Paichadze. Improvement of the Human Resources Management in State Service19

Kakha Ketsbaia. Sociological Implications of Virtual-Consumer Society29

Tinatini Medzmariashvili. The EU Standards and Legal Regulation of State Purchases in Georgia.....40

Gia Beridze. Transfer Pricing Challenges in Georgia.....48

Nika Chitishvili. "Dutch Disease" – Features of the Norwegian Model.....56

MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

Simon Gelashvili. New Rules of Statistical Imputation for Interdependent Economic Time Series63

Tengiz Verulava. Medical Market: Essence, Specifics, Incentives73

Dimitri Javakhadze. Development of Electronic Services in Georgia91

Sopio Bakuridze. Peculiarities of Integration Relationships on the Regional Medical Services Market101

Nino Zurashvili. Urbanization Processes in the Modern World111

Alexander Vasilyev. Comparative Analysis of the Real Estate Market in Tbilisi.....121

MARKETING ✧ MANAGEMENT ✧ TOURISM

Giorgi Shikhashvili. Current Paradigms of Self-management: Synergic Understanding of Personal Health Management139

David Nizharadze. Fundamental Concepts and Models of Innovation Management159

Naira Gvedashvili. For Improving the Introduction and Management of Innovations in the Georgian Health Care Sphere169

JUBILEE MEETING

The jubilee meeting dedicated to the 90th anniversary of the famous scientist, caring teacher and public figure Professor Gedevan Khelaia was held in Ivane Javakhishvili Tbilisi State University.....176

Mikheil Jibuti. Professor Gedevan Khelaia's 90-year life177

Professor Gedevan Khelaia - 90.....183

THE MEMORY

Gedevan Khelaia. Professor Giorgi Papava – My beloved friend.....187

СОДЕРЖАНИЕ

Тбилисскому государственному университету им. Иване Джавахишвили исполнилось 100 лет

Юбилей 100-летия Тбилисского Государственного Университета имени Иване Джавахишвили в списке мероприятий ЮНЕСКО..... 9

ПОСЛЕДНЯЯ ЛЕКЦИЯ ВЕЛИКОГО ИВАНЕ ДЖАВАХИШВИЛИ

Серго Джорбенадзе. Величие смерти..... 11

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

Нугзар Паичадзе. К совершенствованию управления человеческих ресурсов государственной службы.....19

Каха Кецбая. Социологические импликации виртуально-потребительского общества.....29

Тинатин Медзмариашвили. Стандарты Евросоюза и правовое регулирование государственных закупок в Грузии.....40

Гия Беридзе. Вызовы трансферного ценообразования в Грузии.....48

Ника Читашвили. Особенности норвежской модели „Голландской балезни“.....56

МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА

Симон Гелашвили. Новые правила статистических импутаций взаимозависимых экономических временных рядов.....63

Тенгиз Верулава. Медицинский рынок: сущность, специфика, стимулы.....73

Дмитрий Джавахадзе. Развитие электронных сервисов в Грузии.....91

Софио Бакурадзе. Особенности интеграционных отношений на региональном рынке медицинского обслуживания.101

Нино Зурашвили. Процессы урбанизации в современном мире.....111

Алелсандр Васильев. Анализ факторов воздействующих на продажу на примере рынка недвижимости Тбилиси.121

МАРКЕТИНГ ✧ МЕНЕДЖМЕНТ ✧ ТУРИЗМ

Георгий Шихашвили. Актуальные парадигмы самоменеджмента: синергическое осмысление управления личного здравоохранения.....139

Давид Нижарадзе. Особенности управления инновациями в современном бизнесе159

Наира Гведашвили. К совершенствованию внедрения и управления инноваций в сфере здравоохранения Грузии.....169

ЮБИЛЕЙНОЕ ЗАСЕДАНИЕ

В Тбилисском государственном университете имени Иване Джавахишвили состоялось заседание посвященное 90-летию со дня рождения известного ученого, заслуженного педагога и общественного деятеля профессора Гедевана Хелая176

Михаил Джibuти. Сегодняшность 90-летней жизни профессора Гедевана Хелая.....177

Профессору Гедевану Хелая - 90.....183

СВЕТЛАЯ ПАМЯТЬ

Гедеван Хелая. Профессор Георгий Папава – Мой близкий друг Гедеван Хелая187

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 100 წლისაა

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY IS 100 YEARS OLD

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე იუნესკოს ღონისძიებითა სივრცით

ეს გადამწყვეტილება გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ პარიზში გენერალური კონფერენციის 39-ე სესიაზე მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით მიიღო. 1956 წლიდან იუნესკო აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის წევრ - ქვეყნებში ისტორიული მოვლენების აღნიშვნაში, რაც, თავის მხრივ, ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს.

საქართველოს მიერ წარდგენილი ნომინაცია – „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავი“, სხვა ქვეყნებიდან წარდგენილ ნომინაციებთან ერთად, განიხილებოდა იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებების მთელი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო დონეზე დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის შექმნილია სპეციალური სამთავრობო კომისია, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი. კომისიის შემადგენლობაში ასევე შედიან მინისტრთა კაბინეტის, პარლამენტის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიებები 2017 წლის დეკემბერში დაიწყება და ეს სიმბოლურია, რადგან 1917 წლის დეკემბერში დამტკიცდა თსუ-ის წესდება და ზეიმი მთელი მომდევნო წლის განმავლობაში გაგრძელდება.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც ქართულ ენაზე სწავლებითა და ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ეროვნული ტიპის უმაღლეს სკოლას, 1918 წლის 26 იანვარს, ახალი სტილით, 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს გაიხსნა.

100 წლის იუბილეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხვდება როგორც ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, სადაც ყოველწლიურად 200-მდე ადგილობრივი

და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო-საგრანტო პროექტი ხორციელდება და 22000-მდე ქართველი და 600-მდე უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უნივერსიტეტია არამართო საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში, რომელიც 2018 წლის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2 %-ში შედის.

თსუ-ში დღეისათვის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებთან ერთად, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები ხორციელდება. უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს გაცვლით და ერთობლივ საერთაშორისო სასწავლო პროგრამებში და მოიპოვოს ორმაგი აკადემიური ხარისხი.

დიდი ივანე ჯავახიშვილის უკანასკნელი ლექსია

სიკვდილის სიღიაღა*

სიცოცხლის ციკლი მუდამ სიკვდილით მთავრდება.

ერთხელ და თანაც დროებით ეძლევა სიცოცხლე კაცთაშვილთ.

სიცოცხლე ბუნების დასაბრუნებელი ვალია. ბუნება კი არ იძლევა მეორე შესაძლებლობას სიცოცხლის დროს დაშვებული საბედისწერო შეცდომის გამოსწორებისა.

ერთხელ კიდევ უნდა გავიმეოროთ დიდი ივანე ჯავახიშვილის ნათქვამი, რომ მთელი სიბრძნე ისაა, გონიერად გამოიყენო ტკბილი სიცოცხლე, ამასთან ყოველ წინა თაობას მუდამყამს უნდა ახსოვდეს, რომ „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“ და ყოველმხრივ ისწრაფოდეს, ტურფა საბაღნარო ტურფა საბაღნაროდ დარჩეს.

სიკვდილი შემზარავის ძლიერებით აუსახავთ სიტყვაკაზმული მწერლობის დიდოსტატებს, თუ ჟამთააღმწერლებს. მსოფლიო რელიგიებს საიქიოს გამოგონებით სიკვდილის სიმწვავის შენელებაც დაუსახავთ მიზნად. ეს მათ მაინც ვერსად და ვერასდროს მიუღწევიათ. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის ისტორიაში სიკვდილი მრავალმილიარდჯერ განმეორებულა, ყოველთვის ძლიერია თანამედროვის სიკვდილის განცდის სიმწვავე, მით უფრო თუ მისი სიყვარული საყოველთაოა.

სიცოცხლეს ხალხი წუთისოფელს უწოდებს, წუხს მისი სწრაფი წარმავლობის გამო.

„ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე?
ჩიტვივით გაგვიფრინდება!“

მაგრამ აქედან სრულიადაც არა ჩანს ხალხის შიში სიკვდილის წინაშე, ვინაიდან შიში ვერ იხსნის სიკვდილსა.

გარდაცვალებით კეთილი ადამიანების საქმე და სახელი არ ქარწყლდება. კაბინეტური მახვილსიტყვაობითაა შთაგონებული გამოჩენილი ისტორიკოსის ვ.

* ამონარიდი წიგნიდან - სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, რედაქტორი ა.შანიძე, თბ., 1984, გვ. 592-598.

კლოუჩევსკის აფორიზმი: „სიკვდილი ყველაზე დიდი მათემატიკოსია, რამდენადაც უშეცდომოდ წყვეტს ყველა ამოცანასო...“.

სწორედ სიკვდილის შემდგომ მთელი სისრულით იწყება იმათი აღიარება, ვისაც თანამედროვე და მომავალ თაობებზე უზრუნვია, მათთვის „სიყვარულით უშენებია“.

სიკვდილით სიცოცხლის ძლიერება წარმოჩინდება. სწორედ ბუმბერაზ ვაჟა ფშაველას ჰქონდა უფლება ეთქვა:

„შენი ჭირიმე სიკვდილო,
სიცოცხლზე შენობს შენითა!“

ივანე ჯავახიშვილი ისტორიული პიროვნებების ცხოვრების აღწერისას, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად მიმართავს ლირიკულ ჩანინკლებებს. მეფეთა ცხოვრების გადმოცემისას იგი ავგინერს მათ ადამიანურ განცდებს, შიშს სიკვიდლამდე, რაც საბაბი გამხდარა სამშობლოსათვის მოტანილი ახალი უბედურებისა, ანდა მეფის თავგანწირვას და სიკვიდილისთვის თვალის გასწორებას, რასაც შედეგად ახალი აოხრებისაგან სამშობლოს გადარჩენა მოჰყოლია.

ივანე ჯავახიშვილის დიდ ტომებში მკითხველი პოულობს იმას, თუ თვით ყველაზე მკაცრმა მეფეთაგანმა როგორ ვერ აიტანა შვილის სიკვდილი და რა მალე გარდაიცვალა იგი ამის შემდეგ; ნაიკითხავთ, თუ როგორი ძნელი გადასატანი გამხდარა დედისთვის მეფე-შვილის გარდაცვალება და რამდენად უსამართლოა, დედები მარხავდნენ შვილებს. 1072 წელს მომაკვდავი 56 წლის მეფე ბაგრატ VI იცოდებს თავის უბედურ დედას, მარიამ დედოფალს, რომელიც ყველა შვილის გარდაცვალებას უნდა მოესწოროს და გულმტკივნეული ეუბნება: „დედაო, მინყალე შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიქციენ წინა და ეგრეთ-ღა შენ მოჰკვდებიო“.

ვერც ქრისტიან მორწმუნეთ, მიუხედავად საიქიოს გამოგონებისა, დაუცავთ თავი ამ საშინელებათაგან, რაც სიკვიდილის პირველად შემზარავ სურათს ახლავს.

ივანე ჯავახიშვილი გადმოგვცემს გიორგი მთაწმინდელის სიკვდილის აღწერას თანამხდური ჟამთააღმწერლის მიერ და თავის მხრივ დასძენს: „ძვირფასი და საყვარელი ადამიანის დაკარგვა და სიკვდილი იმდენად თავზარდამცემი გარემოება არის, რომ ამისთანა შემთხვევაში ყველანი თანასწორნი არიან: ამგვარი უბედურება ცივი აზროვნების მიმდევარს ფილოსოფოსსაც, სიკვდილის ნახვასაც მიჩვეულსა და სიკვდილის ცხონებად დამსახველს სასულიერო პირსაც სულიერ სიმშვიდეს ურყევს და ბუნებრივი გრძობა-გონების დამაცხრობელ აზროვნებას სძლევს ხოლმე. სწორედ ამისთანა შემთხვევებში გამოაშკარავდება ხოლმე ყოველგვარი სიკვდილის შესახებ ოპტიმისტური რწმენის სისუსტე და უძლურება“. ისტორიკოსი, რომელსაც სიკვდილი უნდა ჩაეთვალა სულისა და ხორცის განშორების იმ ბედნიერ მომენტად, რომელიც ათავისუფლებს პირს ამქვეყნიური საცდურისა და ბოროტებისაგან, თავს ვერ იკავებს და თავისი დიდებული მოძღვრის დაკარგვას გოდებს და წუხს ჩვეულებრივი ერის კაცისა და მომაკვდავივით. ამას ჟამთააღმწერელი თავისივე სიტყვებით გადმოსცემს: „გვედრებით, შემაშრენით მე ცრემლნი ჩემნი, დააცხრეთ

გონებაჲ ჩემი, რამეთუ ვგრძნობ, ვითარმედ უფროს ჯერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსებოი».

ახლობლის სიკვდილით გამონვეული გულითადი მწუხარების დათრგუნვა წარმოუდგენლად ძნელია. მით უფრო, თუ ეს ახლობელი უსაყვარლესი პიროვნებაა, არა მარტო მის ოჯახის, არა მარტო მისი მოწაფეების, არა მარტო მისი სტუდენტების, არამედ მისი მშობელი ხალხისა.

თბილისში გამოცხადებული იყო, ხელოვნების მუშაკთა სახლში 1940 წლის 18 ნოემბერს, ორშაბათს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ლექცია თემაზე: „ქართული ფილოლოგიისა და ძველი მხატვრული მწერლობის ისტორიის ამოცანები».

ყველაფრიდან ჩანს, რომ ეს ლექცია-პროგრამა ნაწილია ციკლისა, რომელშიც დასახულა ახალი ფართო მიზნები ქართული ჰუმანიტარული სიბრძნისმეტყველების წინაშე.

პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა სძლევს მწვავე ფიზიკურ ტკივილებამდე მისული ჯანმრთელობის შერყევას, გადაღლითა და გადაქანცვით გამონვეული ორგანიზმის დაძაბულობას. ყოველივე ამას თან ერთვის არნახული გადატვირთულობა მეცნიერული, მეცნიერულ-ორგანიზატორული და მეცნიერულ-საგანმანათლებლო დავალებებით. ახლა ჩამოთვლა არ შეგვიძლია, თუ რა თხოვნით მიმართვადნენ მას და იგი მანაც ყოველთვის და ყველასათვის იყო მანუგეშებელი, მზრუნველი, მშველელი, ხელგამმართველი, გულგატეხილთა და გზააბნეულთა გზის მპოვნელი. ყველას სწვდებოდა მისი გულის სიტბო. ჯანგატეხილი კაცი უანგაროდ, უშურველად თესდა სიკეთეს და არც ერთხელ უწუნუნია ამის გამო დახარჯული დღე და საათისთვის.

საოცარი ის იყო, მასთან მისული თხოვნისათვის ყოველთვის აღმოაჩენდა, რომ ივ. ჯავახიშვილმა ბევრი რამ იცის იმ პიროვნების, ანდა მისი ახლობლების შესახებ და თვითონ გაახსენებდა ადრე უცნობ ან მივიწყებულ ფაქტს, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ირ. ტატიშვილის სიტყვებით, „ივანე ჯავახიშვილი იყო პიროვნება, რომელსაც თავის მხედველობის ველში ჰქონდა ყველა საჭირობოროტო საკითხი ყოველგვარი გახსენების გარეშე». სხვის მიმართ უხვი და შემწყნარებელი, მეტად მკაცრი იყო საკუთარი თავის მიმართ. დისციპლინა და თვითდისციპლინა მისი ნატურის თანმხლები ნაწილია. ივანე ჯავახიშვილი ვერც აქ გადაუდგებოდა ათეულ წლობით შემუშავებულ ჩვევას. ზნეობრივ ტანჯვად ჩათვლიდა ლექცია-პროგრამაზე მოსულთა უკან გაბრუნებას და ამით მათ განზილებას. ვერც კარზე მომდგარი სიკვდილი ამინებდა მას. ლაჩრული შიში მთლიანად ჰქონდა დაძლეული. მოახლოებულ სიკვდილზე ფიქრისთვის დრო არ დაუხარჯავს. სამაგიეროდ ტანჯავდა მას ერთი საშინელი შიში, რომ ვერ მოასწრებდა დაწყებულ ძირითად გამოკვლევათა დამთავრებას. 64 წელი ეყო ივანე ჯავახიშვილს იმ ნაშრომების გამოცემისათვის, რომელთაც მას უკვდავება მოუტანეს, თუმცა ახლა ძნელია, განსაზღვრო რამდენ წელიწადში დაამთავრებდა ივანე ჯავახიშვილი ნამოწყებული უმთავრესი ნაშრომების გამოცემას. ამას

ართულებდა ავტორის განსაკუთრებული მომთხოვნელობა საკუთარი ნაშრომის გამოქვეყნებისადმი.

მართლაცდა სულ სხვაა ნაშრომი გამოქვეყნებული ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგ, თუმცა ისიც მართალია, რომ ბოლო წლებში არნახული სისწრაფით ქვეყნდება მისი ნაშრომები. ახლა ისინი გამომცემლობასა და სტამბაში თითქმის არ ყოვნდება (1938 წლის სექტემბერში გადაცემული „ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები“ უკვე ხუთ თვეში ხელმონერილია დასაბეჭდად). ყოველივე ამის პარალელურად გრძელდება მისი საჯარო გამოსვლები. მას ინვევენ საქართველოს ქალაქებში, ეპატიჟებიან სომხეთში, მოხსენებით გამოდის მოსკოვში, როგორც აკადემიის ნამდვილი წევრი. მაგრამ რა ახლოსაც არ უნდა იყოს სიკვდილი, მისი დადგომის დღეს ადამიანი ვერა გრძნობს და, საბედნიეროდ, სიცოცხლის ძლიერებაც ბოლო მომენტამდე გრძელდება.

ხელოვნების მუშაკთა სახლი. დარბაზში მისი მოწაფეები და მოწაფეების მოწაფეები, ქართული კულტურის მოყვარულნი და პატივისმცემელნი ელოდებიან სახელოვანი ლექტორის გამოჩენას.

სცენის შუაგულში პატარა მაგიდაა და ერთი სკამი. მალე ლამაზი ქართველი კაცი შავ კოსტუმში, პორტფელით ხელში ჩვეული დარბაისლობით გამოემართა სცენის ცენტრისკენ. დარბაზი მას ტაშისცემით ხვდება. ივანემ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავაზიანობით და თითოეულ დამსწრეთა ღირსების პატივისცემით, მოკრძალებით თავი მოუხარა დარბაზს და მხოლოდ ამის შემდეგ წყდება ტაში.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადილე დოც. ვ. მაჭავარიანი გულთბილი სიტყვებით ხსნის შეხვედრას, მერე დარბაზში ჩამოდის და პირველ რიგში ჯდება. მარტოდ დარჩენილმა ლექტორმა პორტფელიდან მისთვის ჩვეული პატარა ფორმატის ნაწერები ამოიღო, იდაყვებით დაეყრდნო მაგიდას, ხელები მოისრისა, თავი მალა ასწია და სიყვარულით სავსე თვალებით წამიერად გადახედა მთელ შეკრებილობას. დამსწრებმა ნათლად შეამჩნიეს, ამ დღეს ზედმეტად ნაღვლიანი იყო მისი შორსმჭვრეტელი დალლილი თვალები.

დაიწყო ლექციის კითხვა, ვერავის და ვერც თვითონ ლექტორს წარმოედგინა, რომ საათნახვერის გასვლის შემდეგ ამ უკანასკნელ ლექციაზე დადუმდებოდა მისი ბაგეები, დადგებოდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარი.

პირველ სიტყვიდანვე დარბაზში მყოფნი სიყვარულით და სიამაყით ისმენდნენ ლექციას.

ლექტორი მცირე ბარათების მსგავს ნაწერებში დრო და დრო თუ ჩაიხედავდა ისტორიულ წყაროზე ზუსტი დამოწმების გასაკეთებლად, თანაც ნაკითხული ტექსტი ისტორიული სურნელებით ავსებდა დამსწრეთა სმენას.

ამ მოხსენების მთლიანი წერილობითი ტექსტი აღარ დარჩენილა მის არქივში, დედნის რამდენიმე ფურცელი დაკარგულია. აქვე უნდა ითქვას, რომ წერილობითი ტექსტი მის ლექციებში დამხმარე როლს ასრულებდა. სტენოგრაფისტის შოვნა

ყოველთვის ძნელდებოდა და არც ამ დღეს აღმოჩნდა იგი. წაკითხული ლექციის აღდგენა შეიძლება იმ ჩანაწერებით, რომლებიც მსმენელებმა დაგვიტოვეს, განსაკუთრებით, კი გ. კვიციანიშვილი.

ამ დღეს, უკანასკნელად რომ გამოდიოდა თავის სამეცნიერო ასპარეზზე, ივანე ჯავახიშვილი არ დაინდო საკუთარი თავი: გადაუხვია მკაცრად დადგენილ წესს, ყოველი ორმოცი წუთის შემდეგ შეესვენა და კვლავ განეგრძო ლექცია. მან იგრძნო ამ წესის დარღვევა. თეთრი ჟილეტიდან საათი ამოიღო, ნახა, რომ შესვენების დრო გადააცილა, ღიმილით საათი უკან დააბრუნა და განაგრძო კითხვა. საათსა და თხუთმეტ წუთს კითხულობდა თავის უკანასკნელ ლექციას ივანე ჯავახიშვილი, როგორც ჩანს, მან წინასწარ დასახული გეგმით საგრძნობი ნაწილის მიმოხილვა ვერ მოასწრო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლექციის დაბეჭდილი ტექსტი და გ. კვიციანიშვილის ჩანაწერები თანმიმდევრობით არ ემთხვევა ერთმანეთს.

ქართული ფილოლოგია X-XII საუკუნეებში განვითარების მაღალ დონეს აღწევს, ამასთან ნაჩვენებია მისი თანდათანობითი აღმავალი სვლა, როცა მიღწეული ეტაპი შემდგომ წინსვლის საფუძველი ხდება. თავისი ახალი შეხედულებების გასამართლებლად ავტორები თეორიულ დასაბუთებებს მიმართუდნენ კიდევ. პოულობს რა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების თარგმანებში გადახვევას ბერძნულ ტექსტთაგან, ეფერემ მცირე ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ექვთიმე მთაწმინდელის ნათარგმნ ნაშრომებში დანართ-ჩანართი ადგილები ამ გამოჩენილი მოღვაწის სრულებით შეგნებული და მიზანშეწონილი მოქმედების ნაყოფს წარმოადგენდა, მისი ერთგვარი პედაგოგიური ღონეობის შედეგი იყო, ეფერემ მთაწმინდელს გათვალისწინებული ჰქონდა, რომ მის დროინდელი ქართველი ფართო მკითხველი რთული შინაარსის თხზულებებისათვის ჯერ საკმაოდ მომზადებული არ იყო და ამიტომ აუცილებლად საჭიროდ ცნო, რომ დედნის ავტორის აზრთა მიმდინარეობა თავისი საკუთარი დანართი და ჩანართი განმარტებითურთ უფრო გასაგები და ადვილად შესათვისებელი გაეხადა». უთარილო ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლების ზუსტი მეცნიერული დათარიღებისთვის აუცილებელია ქართული ენის ისტორიული ლექსიკონი. უამისოდ მეცნიერულ კვლევა-ძიებას დიდი დაბრკოლება ელოდება წინ და შეცდომებიც ხშირია.

ლექციაში,¹ ენის თავისებურებიდან გამომდინარე, დახასიათებულია „ამირან-დარეჯანიანის“ დანერის დრო და მისი თავისებურება (ლექციის კითხვისას მან ვერ მოასწრო, მიმოხილვა სპარული და ქართული „შაჰ-ნამეს“ ურთიერთდამოკიდებულება და „ვისრამიანი“).

ივანე ჯავახიშვილი ვერ ითმენდა მეცნიერის მიერ მიღწეულით დაკმაყოფილებას, უშფოთველობასა და უდარდებლობას, როცა წინ უაღრესად ბევრი საქმეა გადასაწყვეტი. იგი ხომ დაუღლელი თაოსანია ისტორიული და ლიტერატურული

1 ივ. ჯავახიშვილის უკანასკნელი ლექციის მასალები (არასრული) მხოლოდ 1956 წელს დაიბეჭდა კრებულში „ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენის და მწერლობის ისტორიის საკითხები.“ გვ. 58-75.

ძეგლების გამოცემისა, თუმცა ამ დროს ერთი წუთით არ უშვებს რაიმე შეღავათებს აკადემიური დონის მიმართ. არავითარი დამშვიდება მიღწეულით და დაუნდობელი თვითკრიტიკა არსებულ მდგომარეობაზე მკვლევართა პასუხისმგებლობისათვის – აი რა ჩანს მის სიტყვა-ანდერძში „... ძეგლების ფილოლოგიური და რეალიების თვალსაზრისით გაღრმავებული შესწავლისა და კვლევა-ძიებისა ასეთი მუშაობის შედეგად მათ მაგიერ ჩვენში უცნაური მდგომარეობაა. ისტორიკოსები მხატვრული მწერლობის თხზულებებს ბეჭდავენ, მხატვრული მწერლობის ისტორიკოსები კიდევ საისტო-რიო თხზულებების გამოცემას ანდომებენ თავიანთ დროსა და ცოდნას, თითქოს მათ თავიანთ დარგში ყველაფერი გაკეთებული ჰქონდეთ და სამუშაო იქ გამოლუული იყოს. ამავე დროს ვერც ერთი ამ დარგთაგანი, მეტადრე კი ისტორიული, ჩვენში ვერ დაიკვებნის, რომ ტექსტების გამოცემა თანამეროვე ფილოლოგიის სამეცნიერო დონეს შეეფერებდეს“. მსმენელი გატაცებულია იმ ჩაღრმავებული ლინგვისტურ-პალეონტოლოგიური გათხრებით, რაც „ამირან-დარეჯანიანიდან“ კეთდება. ლექტორს მსმენელთა მესხიერების ეკრანი გონების თვალთ გადაჰყავს თათარ-მონღოლთა მრისხანე თარეშის დროს ჩვენში შემოსულ ტერმინებზე, აუდიტორიის ყურადღება მთლიანად დაპყრობილია. ივანე ჯავახიშვილი კითხულობს ფამთალმწერლის ტექსტს და შუა სიტყვაზე მწვავედ ამოიგმინა. ბაგეებზე შერჩა და უმთავრებელი წინადადება.

ადამიანი სიკვდილშიც იცნობა ...

მანაც წამის მონაკვეთში არ დაჰკარგა კონტროლი თავის თავზე, არისტოკრატული რაინდობით ებრძვის სიკვდილს, თითქოს მსმენელთ ერიდებაო, უნდა თავი არ ჩაქინდროს, თავი ჯერ მარცხნივ გადააქნია, მერე მარჯვნივ, იდაყვზე დაყრდნობით ხელისგულზე დადო. დარბაზი დაიბნა. მიშველებასაც ვერაფერ ბედავს.

ყველაზე მძლავრი მანქანა მანქანათა შორის - ადამიანის ტვინი წამების წინ აღადგენდა ათასწლოვან ისტორიულ ხვეულებს და ახლა სამოცდაოთხი წლის ასაკში გონება უნდა დაშრეტილიყო. მართლაც, რომ საბა-სულხანის თქმით „სიკუდილი უხმო და უსიტყვო არს და სიტყვათა ჩვენთა დამდუმებელ არს“. ამ გადასვლისთვის დარბაზი სრულიად მზად არ აღმოჩნდა...

ახლა სიცოცხლის გადარჩენის საკითხი დადგა...პირველი სცენაზე ჩვეული სისწრაფით აკაკი შანიძე აიჭრა და ხელები მოხვია უკვე მოღვენთილ უფროს მეგობარსა და მასწავლებელს. 9 საათსა და 40 წუთზე სცენიდან გაიყვანეს.

დაძაბული წუთები დარბაზის ლოდინისა. მაგიდაზე გადაშლილი ნაწერები ვილაყამ გვიან დახურა. დაბაზში მყოფ ექიმს ჩქარა საგანგებოდ მოყვანილი ექიმი უერთდება. მალე მედიცინა აღიარებს თავის უძლურებას.

გაილია დიდი სიცოცხლე.

ყველამ შემზარავად იგრძნო ახლა ბატონ ივანეს ქალიშვილის ნათელას გულმდულარება, რომელიც დარბაზიდან ხედავდა უძვირფასესი მამის სიკვდილს. სწრაფად მოვიდნენ ვაჟები კახა და ალექსანდრე და მდულარე ცრემლებით ჩაეკვრნენ თბილ სხეულს, ძნელია, შემზარავად ძნელია საუკუნო განშორების ეს უკანასკნელი წუთები.

გამეფდა გლოვის დუმილი. სიტყვა უძლურია გადმოსცეს იმ მსმენელთა განცდები, ვინაც პირველი მამულიშვილის სიყვარულითა და პატივისცემით მოვიდნენ და აქ ამის სანაცვლოდ მასთან განშორების ყველაზე პირველი თანამონაწილენი გახდნენ.

ბევრ მათგანს სიკვდილი ახლოს არ ენახა და პირველად ივანე ჯავახიშვილის სიკვდილი ნახეს.

გ. მთანმდლის ისტორიკოსის მსგავსად, მწარედ დასტირის ივანე ჯავახიშვილის სიკვდილს მისი მონაფე აკაკი შანიძე და ასე აღწერს უძვირფასეს ადამიანთან განშორების პირველ წუთებს. „ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი გაუშრა, გონება დაებნა, ყველა შიშის ზარმა აიტანა, ... მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა, მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი, შორს გაისმა გლოვის ზარი“.

სამუდამოდ ჩაქრა თვალთაკრთომა ნათელი კაცისა, რომელიც ერის შორეულ წარსულს ყველაზე ღრმად ხედავდა, თანამედროვეობაზე სიყვარულით ზრუნავდა და მისი ბედნიერი მომავლისთვის თავდაუზოგავად იღვწოდა.

სიკვდილით ჩიხბო გულისცემა იმ კაცისა, რომელსაც ხალხის ძლიერი სიყვარული დარაჯად ედგა (ვაი, რომ სიკვდილის პირისპირ კაცი ყოველთვის მარტოსულია). სიკვდილის გამარჯვებას ეს სიყვარული არამც და არამც არ შეუწელებია. ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სიდიადე და მშვენიერება სიკვდილის შემდეგ წარმოჩინდა მთელი სისრულით. სწორედ სიკვდილის შემდგომ პირველად მიმართეს მას: „დიდო ივანე“.

ივანე ჯავახიშვილი ყოველთვის იქნება ჩვენთვის, ჩვენთან და ჩვენში ერის შვილის ნათელ ნიშნად ქართველთა მომავალი უღევი თაობებისთვის. აქ პოეტის სიტყვები უნდა მოვიხმოთ:

„ნათელო კაცო, სიკვდილის ფრთა ვერ დაგაბნელებს,
შენ საქართველოს ისტორიის ხარ სჯულმდებელი!“

ოთხ დღეს მთელი მშობელი ერის ცრემლების ზღვა აცილებდა მას.

შემდეგ კი, 1940 წლის 21 ნოემბერს 6 საათსა და 15 წუთზე, ნაღვანი უნივერსიტეტის მიწის ნიაღში მიიძინა ქართველი ხალხის ისტორიის ნაწილად ქცეულმა შვილმა საუკუნო ძილით.

რედაქციის მინაწერი:

„შენ კი ცხოვრების დიად თავმდებად,
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი შენს დაბადებას
გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს“.

ჭეშმარიტად რომ, სრულად მიესადაგება ბუმბერაზ პიროვნებას, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, პოეტ ხუტა ბერულავას მოყვანილი სტრიქონები.

კვალი მარადიული

„თუ XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს ჰყავდა დიდი ილია, ენის, მამულისა და სარწმუნოებისათვის თავგამოდებული მებრძოლი, XX საუკუნის პირველ ორმოცწლეულში იყო დიდი ივანე ჭავჭავაძის შვილი, რომელმაც ერს თავდადებული შრომით სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის მაგალითი უჩვენა; გასული საუკუნის ბოლო ორმოცწლეულსა და XXI საუკუნის პირველ ოცწლეულში არის პიროვნება, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც ღირსებით გააგრძელა ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჭავჭავაძის გზა, თავისი ძლიერი მხრებით, ბურჯად შეუდგა დიდ წინაპართა საქმეებს; პიროვნება, რომელსაც არ აშინებს ტვირთის სიმძიმე, იმედად მოეწვინა ერს, ძალისხმევას არ იშურებს ხალხის სამსახურისათვის, სიკეთესა და სიბოძოს ასხივებს და ათბობს ადამიანთა გულებს“.

როინ მეტრეველი
აკადემიკოსი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

სახელმწიფო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფისათვის

ნუგზარ პაიჭაძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ევანგელისტის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
nugzarpaichadze@mail.ru*

საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებულად დიდია სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულთა როლი და მნიშვნელობა. უმეტესწილად, მათი შრომის ეფექტიანობაზეა დამოკიდებული ქვეყნის წინაშე მდგომი როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე, პოლიტიკური ხასიათის ამოცანების წარმატებით შესრულება. ამ უკანასკნელის მიღწევა კი შესაძლებელია აღნიშნულ სფეროში დასაქმებული პერსონალის თანამედროვე პროგრესული მეთოდებით მართვის პირობებში

ადამიანური რესურსების მართვის პრობლემაზე მრავალი საინტერესო მეცნიერული შრომაა გამოქვეყნებული როგორც უცხოელი, ასევე, ქართველი ეკონომისტ-მკვლევართა მიერ [1;2;3;4;5;6;7;8;]. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული პერსონალის მართვის საკითხებზე გამოქვეყნებული მეცნიერული შრომების რაოდენობა დღესდღეობით ერთობ მცირეა, რაც მიუთითებს მოცემულ პრობლემაზე მეცნიერული კვლევის აუცილებლობაზე.

წინამდებარე სტატიამი მსჯელობა სახელმწიფო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სპეციფიკურ თავისებურებებზე, მოცემულია საქართველოს სახელმწიფო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის არსებული მდგომარეობის ანალიზი და მინიშნებულია მისი სრულყოფის გზები.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსები; პერსონალი; ადამიანური რესურსების მართვა; საკადრო სამსახური; კადრების განყოფილება; საკადრო სამსახურის სტატუსი.

სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული პერსონალის მართვის სპეციფიკური თავისებურებები

პერსონალის მართვა, ზოგადად, მართვის სუბიექტის, ანუ მმართველის საკადრო პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი მექანიზმია, რომელიც მოიცავს ადამიანთა შესაძლებლობების რაციონალური გამოყენების უზრუნველმყოფელ სოციალურ-ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, ზნეობრივ და სხვა ფასეულობათა სისტემას როგორც საკუთარი, ასევე, ორგანიზაციის ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

სახელმწიფო სამსახურის პერსონალის მართვა მოიცავს რიგ ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებებსა და საქმიანობის სახეობებს. საქმიანობის თითოეული მიმართულებით, სახელმწიფო სამსახურის მუშაობის მოცულობა დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს ადგილზე მთლიანად სახელმწიფო მმართველობაში, შრომის ბაზარზე, პერსონალის კვალიფიკაციაზე, შრომით კოლექტივში სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და სხვა შიგა და გარე ფაქტორებზე.

სახელმწიფო ორგანოების პერსონალის მართვა მეტად რთული, მუდმივად განახლებადი და შემოქმედებითი პროცესია, რომელშიც ურთიერთზემოქმედებს მრავალი ორგანიზაციული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, ზნეობრივი და სხვა ფაქტორები. ამჟამად ის, როგორც სისტემა, თანდათანობით რთულდება, რომლის მიზეზებია: 1) სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურში მმართველობითი შრომის გართულება; 2) ცვლილებები მომუშავეთა ფასეულობების სისტემაში, გამონვეული საზოგადოების პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებით; 3) სახელმწიფო მმართველობის პერსონალის რიცხოვნობის ზრდა, რაც ართულებს პერსონალის მართვის პროცესს და ა. შ. საზოგადოებრივი პროგრესის საუძვრლზე, მომავალში კიდევ უფრო გართულდება პერსონალის მართვის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთზემოქმედების სისტემა.

სახელმწიფო სამსახურის პერსონალის მართვის ფუნქციები ორ ჯგუფად იყოფა: 1) უნივერსალური ფუნქციები, რაც მიესადაგება ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერი სფეროს (დანესებულების, ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის და ა. შ.) პერსონალის მართვის ორგანიზაციის პროცესს და 2) სპეციფიკური ფუნქციები, რაც მიესადაგება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების სამსახურში დასაქმებული პერსონალის მართვის ორგანიზაციის პროცესს. პერსონალის მართვის უნივერსალური ფუნქციებია: პროგნოზირება და დაგეგმვა; რეგულირება; კოორდინაცია; ანალიზი; კონტროლი; პერსონალის მოტივაცია და ა. შ.

სახელმწიფო სამსახურის პერსონალის მართვის სპეციფიკური ფუნქციებია: ადმინისტრაციული, სოციალური, სამსახურებრივი საქმიანობის ხარისხის ამაღლების, აღმზრდელობითი, საინფორმაციო-ანალიზური. ამ ფუნქციების მეშვეობით ხდება სახელმწიფო ორგანოების სისტემაში პერსონალის მართვა. მოკლედ თითოეული მათგანის შესახებ: **ადმინისტრაციულ ფუნქციაში** იგულისხმება სახელმწიფო ორგანოს მიერ სახელმწიფო სამსახურის რეგულირების უზრუნველმყოფელი ისეთი

ქმედებები, როგორცაა: სამტატო განრიგების შედგენა, სამსახურში მიღება და სამსახურიდან გათავისუფლება, კადრების გადაადგილება, შრომითი და სოციალური კანონმდებლობის დაცვა და ა. შ.; **სოციალური ფუნქცია** კი დაკავშირებულია სახელმწიფო მოსამსახურეთა სოციალურ გარანტიებსა და შეღავათებთან; **სამსახურებრივი საქმიანობის ხარისხის ამაღლების ფუნქცია**ა პერსონალის მუშაობის უფრო მაღალი ხარისხობრივი დონის უზრუნველყოფელი წინადადებების შემუშავება და რეალიზაცია ისეთ სფეროებში, როგორცაა: შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, სტრუქტურულ განყოფილებებში ორგანიზაციული ცვლილებები, პერსონალის სწავლების ორგანიზაცია, კვალიფიკაციის ამაღლება და ა. შ.; **აღმზრდელობითი ფუნქცია** დაკავშირებულია სახელმწიფო მოსამსახურის მაღალი პიროვნულ-ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებასთან, ხოლო **საინფორმაციო-ანალიზურის** ფუნქციაა პერსონალის მართვის სუბიექტების დროული უზრუნველყოფა სახელმწიფო სამსახურში საკადრო პროცესებზე არსებული აუცილებელი ინფორმაციითა და ანალიზური მასალებით.

სახელმწიფო სამსახურის სისტემაში დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულია საკადრო სამსახური. იგი პასუხისმგებელია სახელმწიფო ორგანოების საკადრო პოლიტიკის დამუშავება-რეალიზაციაზე და კადრებთან მუშაობის სისტემის ორგანიზაციაზე. სახელმწიფო ორგანოს საკადრო სამსახური, რომელიც ასრულებს პერსონალის მართვის ცენტრის ფუნქციას, მონოდებულია უზრუნველყოს პერსონალის მართვის სისტემის უნივერსალური და სპეციალური ფუნქციების რეალიზაცია. მისი ძირითადი ამოცანებია: 1)სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელებისთვის წინადადებების მიწოდება პერსონალის მართვის საკითხებზე საჭირო ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მიღების თაობაზე; 2)სახელმწიფო სამსახურში მიღებასთან, სამსახურებრივი კონტრაქტის დადებასთან, სახელმწიფო სამსახურში თანამდებობაზე დანიშნებასთან, თანამდებობიდან გათავისუფლებასა და საკადრო პოლიტიკის სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის გადანიშნულებათა მომზადება და გაფორმება; 3)ხელშეკრულებათა გაფორმება სწავლებაზე, პროფესიულ გადამზადებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებაზე; 4)სამსახურებრივი შემონმებების ჩატარების ორგანიზაცია; 5) სახელმწიფო სამსახურთან დაკავშირებულ სამართლებრივ და დხვა საკითხებზე სახელმწიფო მოსამსახურეთა კონსულტაცია; 6)ქვესაუწყებო ორგანიზაციების საკადრო სამსახურების მეთოდური ხელმძღვანელობა; 7) პერსონალთან მუშაობის მონინავე გამოცდილების განზოგადება-გავრცელება და სხვ.

სახელმწიფო ორგანოების საკადრო სამსახურის სტრუქტურისა და შტატების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა: მისი მიზნები და ამოცანები, უფლებამოსილებათა მოცულობა, სახელმწიფო მოსამსახურეთა რიცხოვნობა, შესასრულებელ სამუშაოთა სირთულე და მოცულობა და ა. შ.

საკადრო სამსახურის სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტებია: ცალკეული თანამდებობები და საკადრო სამსახურის განყოფილებები. სახელმწიფო ორგანოს საკადრო სამსახურის სტრუქტურის აგებისას, ორგანიზაციათა დაპროექტების ისეთ საერთო პრინციპებთან ერთად, როგორცაა ობიექტურობა და სხვ., განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ პრინციპებს, როგორცაა: იერარქიულობა, სპეციალიზაცია, სიმარტივე, პროგრესულობა, მრავალასპექტურობა და ა. შ. [3, გვ.63]. მოკლედ, ზოგიერთი მათგანის შესახებ: **იერარქიულობის** პრინციპის არსი ისაა, რომ საკადრო სამსახურის ნებისმიერი ვერტიკალური ქრილით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თანმიმდევრულობა დაქვემდებარების ნიშნის მიხედვით განყოფილებებს, ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს შორის. **სპეციალიზაციის** პრინციპი გულისხმობს შრომის დანაწილებასა და ცალკეული განყოფილების ფორმირებას შესასრულებელი ფუნქციების ერთგვაროვნების ნიშნის მიხედვით. **მრავალასპექტურობის** პრინციპის არსი კი ისაა, რომ საკადრო სამსახურები მონოდებუ-ლია, თავიანთი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, უსრუნველყონ პერსონალის მართვა როგორც ვერტიკალურად, ასევე, ჰორიზონტალურად.

სახელმწიფო ორგანოების საკადრო სამსახურებში, როგორც წესი, ფუნქციონირებს შემდეგი ქვესისტემები: დაგეგმვისა და პროგნოზირების, სახელმწიფო მოსახურეთა განვითარების, პერსონალის სწავლების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, პერსონალის აღრიცხვისა და მოძრაობის, საკადრო სამსახურის ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის და ა. შ.

საქართველოს სახელმწიფო სამსახურში პერსონალის მართვის არსებული მდგომარეობა და მისი სრულყოფი გზები

სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული პერსონალის მართვის ეფექტიანობის ამაღლებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანთა საქმიანობის მოცემული სფეროს უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელებითა და სპეციალისტებით, რომლებიც ფლობენ საკადრო სამსახურში მუშაობის თანამედროვე ფორმებსა და მეთოდებს. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ყოველთვის ასე არაა. ხშირად, საკადრო განყოფილებათა მომუშავეების კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ძირითადად სწორედ ამით აიხსნება საკადრო სამსახურის შედარებით დაბალი მაორგანიზებელი როლი. ეს უმეტესად გამომწვეულია მოცემულ სამსახურში დასაქმებულთა ცოდნის დეფიციტით ისეთ სფეროებში, როგორცაა: კადრებთან მუშაობა, შრომის რაციონალური ორგანიზაცია, სოციალური ფსიქოლოგია, შრომისა და სამოქალაქო სამართალი, თანამედროვე საქმისწარმოება, ადამიანთა ქცევის მართვა და ა. შ.

საკადრო სამსახურში დასაქმებული პერსონალის განათლებისა და კვალიფიკაციის არასაკმარისი დონე უმეტესად გამომწვეულია სათანადო პროფილის სპეცია-

ლისტა ნაკლებობით. ბოლო წლებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალობაზე, გაიზარდა ადამიანური რესურსების სპეციალისტთა როლი, რაც მოითხოვს აღნიშნული პროფილის სპეციალისტთა მომზადებისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას. ჩვენში „მოხდა კი პირიქით – დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, ყურადღება არ ექცევა ადამიანთა საქმიანობის მოცემულ სფეროში სათანადო ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებას. კმაყოფილებიან მხოლოდ რამდენიმე მაგისტრის მომზადებით, რაც სრულებითაც არაა საკმარისი. სწორედ ამიტომ, რომ დღეს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში მათი ხელმძღვანელებისა და რიგითი მუშაკების დიდ ნაწილს არ აქვს არამარტო სპეციალური განათლება, არამედ ზოგადეკონომიკური და იურიდიული განათლებაც კი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამ მხრივ ბოლო წლებში მდგომარეობა არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ გაუარესდა კიდევ.“ [8, გვ.149]. დღეს, სახელმწიფო და მუნიციპალური საკადრო სამსახურის გაზრდილი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მონინავე ქვეყნებში ფართოდ მიმართავენ სპეციალურად საჯარო სამსახურისათვის განკუთვნილი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. საქართველოში კი, პირიქით – ამ მხრივ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. XX საუკუნის 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე მოქმედმა საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამებმა სპეციალობებში: „პერსონალის მართვა“ და „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა“ არსებობა შეწყვიტა. „ამჟამად საქართველოში არცერთ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში არ ხდება საჯარო მოხელეთა კადრების მომზადება, რაც უთუოდ არანორმალური და ქვეყნისათვის ზიანის მომტანია. დასაბამია, რომ ეს ხდება ქვეყნის საჯარო სამსახურში მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური კადრების აშკარა დეფიციტის პირობებში“ [5, გვ.46].

ზემოაღნიშნული და რიგი სხვა მიზეზის გამო, საქართველოში სახელმწიფო სამსახურის პერსონალის მართვის ორგანიზაციაში შეიმჩნევა ისეთი ნაკლოვანებები, როგორცაა:

1) დაბალია სახელმწიფო ორგანოთა საკადრო სამსახურების ახლანდელი სტატუსი. იგი არ შეესაბამება სადღეისოდ მის წინაშე არსებულ მიზნებსა და ამოცანებს., რაც განაპირობებს სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებიდან ამ სამსახურისადმი ყურადღების ნაკლებობას. ჯერ კიდევ ბევრ ხელმძღვანელს სათანადოდ არ ესმის საკადრო სამსახურის როლი და მნიშვნელობა პერსონალის მართვაში და მასთან თავის მუშაობას არ აგებს ამ სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით. ყოველივე ეს კი უარყოფითად მოქმედებს საქმიანობის მოცემულ სფეროში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანობაზე;

2) ხშირად მოცემული სამსახურები არაა დაკომპლექტებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. აქ დასაქმებულთა დიდ ნაწილს, მათ შორის საკადრო სამსახურის ზოგიერთ ხელმძღვანელს, არ გააჩნია შესაბამისი პროფილით უმაღლე-

სი განათლება. ამ უკანასკნელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა საკადრო და სოციალური პოლიტიკის გამტარებელ კოლექტივის ლიდერებად. მათგან ზოგიერთს, სამწუხაროდ, არ გააჩნია საქმიანობის მოცემულ სფეროში მუშაობის საკმარისი სტაჟი და გამოცდილება და, შესაბამისად, ნაკლებად აქვს განვითარებული შემეცნებითი, ორგანიზატორული და კომუნიკაბელური უნარი;

3) საკადრო სამსახურის ხელმძღვანელთა საკმაო ნაწილს არ აქვს ნათელი წარმოდგენა სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესების მართვისა და ანალიზის მეთოდებზე, შრომით კოლექტივში პერსონალისა და სოციალური პროცესების მართვის ტექნოლოგიაზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის პრინციპებზე და ა.შ.;

4) ჯერ კიდევ დაბალია სახელმწიფო ორგანოების საკადრო განყოფილებათა სამსახურებრივი საქმიანობის ხარისხი, რაც გამოიხატება მათი ინერტიულობით პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორცაა: შრომის ორგანიზაციის სრლყოფა, სტრუქტურულ განყოფილებებში პროგრესული ორგანიზაციული ცვლილებები, ადამიანების მართვის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, პერსონალის სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა დასახვა და ამ უკანასკნელთა რეალიზაციის კონკრეტულ ღონისძიებების შემუშავება და ა. შ.;

5) გარკვეული სიძნელებაა საკადრო სამსახურების დაკომპლექტებაში ისეთი პროფესიების სპეციალისტებით, როგორცაა: ადამიანური რესურსების მენეჯერები, იურისტები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები;

6) დაბალია სახელმწიფო სამსახურის კადრების განყოფილებათა მაორგანიზებელი როლი, რაც უმეტესად იმითაა გამოწვეული, რომ მოცემულ სფეროში დასაქმებულ პერსონალს არ გააჩნია სათანდო ცოდნა ადამიანებთან მუშაობის თეორიისა და მონიწვე პრაქტიკის სფეროში, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში, შრომისა და სამოქალაქო სამართალში, თანამედროვე საქმისწარმოებაში და ა. შ. ყოველივე ამის გამო, საკადრო სამსახურებში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი არასაკმარისად ფლობს ადამიანების მართვის ორგანიზაციის, მომუშავეთა საქმიანი თვისებებისა და კოლექტიური მუშაობის შეფასების, შრომით კოლექტივში აღმზრდელობითი მუშაობისა და მის წევრებზე მამობილიზებელი ზემოქმედების, საჯარო გამოსვლებისა და ა. შ. პროგრესულ ფორმებს, მეთოდებსა და ტექნოლოგიას;

7) ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა საკადრო განყოფილებათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია, მისი უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს საკადრო სამსახურების მიერ მათ წინაშე მდგომი რთული და საპასუხისმგებლო ამოცანების წარმატებით შესრულებაზე;

8) ნაკლები ყურადღება ექცევა სახელმწიფო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დამუშავებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: საკადრო ინფორმაციის დამუშავება, ხელისუფლების

ორგანოების საკადრო სამსახურების სტატუსის განსაზღვრა და მათი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, საკადრო განყოფილებებში მომუშავეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება და სხვ.;

9) ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფაში ჯერ კიდევ დაბალია მართვის ადგილობრივი ორგანოების როლი.

არის სხვა ნაკლოვანებებიც, რომელთა შესახებ გარკვეული მოსაზრებები და შესაბამისი რეკომენდაციები ჩვენ მიერ მოცემულია ამავე უურნალის წინა ნომრებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო სტატიებში [5;6;7;8].

საქართველოში სახელმწიფო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის მიმართულებით, ჩვენი აზრით, აუცილებელია განხორციელდეს რიგი ისეთი ღონისძიება, როგორცაა:

1) სახელმწიფო სამსახურის წინაშე მდგომი სადღესო ამოცანებიდან გამომდინარე, აუცილებელია ამაღლდეს საკადრო სამსახურების ახლანდელი სტატუსი და, შესაბამისად, გაიზარდოს მათი როლი და მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვაში. ისინი აქტიურად უნდა ეხმარებოდნენ სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებს საკადრო პოლიტიკის განსაზღვრასა და პერსონალის სამსახურებრივ გადაადგილებაში. სახელმწიფო ორგანოების ხელმძღვანელებმა კი, თავის მხრივ, თავიანთი მუშაობა უნდა ააგონ საკადრო სამსახურების რეკომენდაციების გათვალისწინებით. საკადრო სამსახურები არ უნდა იქცეს მმართველი სტრუქტურების ტექნიკურ დანამატად, რომლებიც დაკავებულია მხოლოდ მიღებულ გადანყვებილებათა ორგანიზაციული გაფორმებით. ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია საკადრო სამსახურის ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარებოდეს მოცემული სახელმწიფო სტრუქტურის პირველ ხელმძღვანელს და ითვლებოდეს მის ერთ-ერთ მოადგილედ;

2) ამაღლდეს სახელმწიფო ორგანოების საკადრო განყოფილებათა სამსახურებრივი საქმიანობის ხარისხი. ისინი აქტიურად უნდა დაკავდნენ პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებით, როგორცაა: პიროვნებათაშორისი ურთიერთობები, შრომის ორგანიზაციისა და კორპორაციული კულტურის სრულყოფა, თანამშრომელთა მატერიალური და მორალური სტიმულირება, სტრუქტურულ განყოფილებებში პროგრესული ორგანიზაციული ცვლილებები, ადამიანების მართვის პროგრესული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენება, პერსონალის სწავლების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაციის სრულყოფა და ა.შ.;

3) ამაღლდეს სახელმწიფო სამსახურის კადრების განყოფილებათა მათორგანიზებელი როლი. ამ მიზნით, ადამიანთა საქმიანობის მოცემული სფერო აუცილებელია დაკომპლექტდეს ისეთი კადრებით, რომლებიც საკმარისად ფლობენ ცოდნას ადამიანებთან მუშაობის თეორიისა და მონინავე პრაქტიკის სფეროში, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციაში, სოციალურ ფსიქოლოგიაში, შრომისა და სოციალურ სამართალში და ა. შ. ისინი მაღალ დონეზე უნდა ფლობდნენ ადამიანების მართვის ორგანიზაციის, მომუშავეთა საქმიანი თვისებებისა და კოლექტიური მუშაობის

შეფასების, შრომით კოლექტივში აღმზრდელითი მუშაობისა და მის ნევრებზე მამობილიზებული ზემოქმედების, საჯარო გამოსვლებისა და ა.შ. პროგრესულ ფორმებს, მეთოდებსა და ტექნოლოგიას. სასურველია კანონმდებლობით დადგინდეს, რომ საკადრო სამსახურის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და მუშაობის საკმარისი სტაჟი, მათ შორის საკადრო სამსახურში, არა ნაკლებ 5 წლისა, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაშია [4, გვ.64];

4) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკადრო სამსახურების დაკომპლექტებას ისეთი პროფესიის სპეციალისტებით, როგორიცაა: ადამიანური რესურსების მენეჯერები, იურისტები, სოციოლოგები, და ფსიქოლოგები. აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღდგეს უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადება ისეთ სპეციალობებში, როგორიცაა: შრომის ეკონომიკა, ადამიანური რესურსების მართვა, სახელმწიფო და მუნიციპალური მართვა;

5) გაუმჯობესდეს საკადრო განყოფილებათა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია, მათი უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო და მეთოდური ლიტერატურით;

6) სახელმწიფო ორგანოებში, პერსონალის მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საკადრო სამსახურებში ადამიანური რესურსების მართვის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის დამუშავებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: საკადრო ინფორმაციის დამუშავება, ხელისუფლების ორგანოების საკადრო სამსახურების სტატუსის განსაზღვრა, მათი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, საკადრო განყოფილებებში მომუშავეთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება და ა.შ.;

7) ამაღლდეს ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოების როლი ადამიანური რესურსების მართვაში. ისინი ყველაზე ახლო დგანან მოსახლეობასთან და ამ მიმართულებით მათ ნაყოფიერ მუშაობაზე დიდადა და მოკიდებული ადამიანური რესურსების ეფექტიანი გამოყენება.

* * *

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის არსებული მდგომარეობა ვერ პასუხობს მისდამი წაყენებულ სადღესო მოთხოვნებს. სამწუხაროდ, დღეს მას გააჩნია რიგი ნაკლოვანება, რაც გამოწვეულია სხვადასხვა, როგორც ობიექტური, ასევე, სუბიექტური მიზეზით. ეს კი ხელისუფლებისაგან მოითხოვს საგულდაგულო ყურადღებას მოცემული პრობლემისადმი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკადრო სამსახურის სტატუსის დაზუსტებას და მის უზრუნველყოფას სათანადო ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტებით.

ლიტერატურა:

1. Paichadze N. Ghokheli E.,Keshelashvili G.,Kharkheli M.,Tielize Sh.,TchuradzeG., Issues of Improvement of HR Management in Publik Sector of Georgia. http://www.iises/proceedings/24th-internanational-academic-conference-barcelona/table-of-content/detail?article=issues-of-improvement-of-hr-management-in-public-sector-of-georgia. Barcelona, 2016.
2. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. 10-е издание. Перевод с английского. М.,2009.
3. Управление персоналом организации. Авторский коллектив. м..2010.
4. Управление персоналом. Авторский коллектив. М.,2009.
5. პაიჭაძე ნ. პროფესიული კომპეტენტურობა როგორც საჯარო მოსამსახურეთა მუშაობის ეფექტიანობის გადამწყვეტი ფაქტორი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2015, №2, გვ. 35.
6. პაიჭაძე ნ. ზოგიერთი მოსაზრება პერსონალის მართვის სამსახურის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2014, №3, გვ. 27.
7. პაიჭაძე ნ. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი და გამართული სისტემა_ორგანიზაციათა წარმატებული საქმიანობის სანინდარი, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2013, №2, გვ. 11.
8. პაიჭაძე ნ. ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა როლი და მისი მომზადების აუცილებლობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2012, №1, გვ. 135.

Improvement of the Human Resources Management in State Service

Nugzar Paichadze,

Associate Professor, Doctor of Economic Sciences

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

nugzarpaichadze@mail.ru

The article discusses topical issues of the improvement of human resource management in public service. In its introductory part the focus is on the particular importance of the improvement of human resource management in the state governing bodies at today's stage of societal development.

The article describes the current state of human resources management in Georgian state agencies and provides its critical analysis.

In the concluding part of the article, on the basis of analysis of problem research, the author's opinions are presented on the deficiencies in personnel management in the field of human activity and, therefore, the specific measures are set out to minimize them.

Keywords: human resources; personnel, management of human resources staff service; division of staff; status of personnel service

JEL Codes: M50, M54, M59

ვირტუალურ-მომხმარებლური საზოგადოების სოციოლოგიური იმპლიკაციები

კახა ქეცბაია

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოსოფიის დოქტორი,
kakha.kecbaia@tsu.ge*

თანამედროვე სოციოლოგიაში დამკვიდრებული ბევრი ახალი ტერმინი საზოგადოების პოსტმოდერნულ მდგომარეობასთან არის დაკავშირებული. ეს ტერმინებია: „ვირტუალური საზოგადოება“, „მომხმარებლური სიგიჟე“, „პოსტკლასიკური ეპოქა“, „აპოკალიფსური ცივილიზაცია“, „ადამიანისა და საზოგადოების სიმულაცია“ და მრავალი სხვა. ტრადიციული სააზროვნო ჰორიზონტიდან, ამ ერთი შეხედვით, აბსურდულმა და წინააღმდეგობრივმა ცნებებმა მრავალი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სოციოლოგიაში. შესაბამისად, ყოველივე ეს სოციოლოგიური იმპლიკაციების საგანი გახდა. როგორი იქნება სიმულაციებზე, თვალთმაქცობასა და ფასეულობათა იმპლოზიაზე დამყარებული საზოგადოების მომავალი და რა შედეგებით შეიძლება დასრულდეს „მომხმარებლური სიგიჟე“ - ის თემებია, რომლებიც სტატიაშია განხილული.

საკვანძო სიტყვები: მოდერნი; პოსტმოდერნი; ვირტუალურ-მომხმარებლური საზოგადოება; ინტერტექსტუალური ვირტუალური კულტურა; „მომხმარებლური სიგიჟე“; ტრანსსაზოგადოება; ტრანსპოლიტიკა; ტრანსეკონომიკა; ჰიპერსაზოგადოება; თვითმკვლელი ცივილიზაცია.

ვირტუალურ-მომხმარებლური საზოგადოების კრიზისი

„ტაბუ უნდა აეხსნას ყველაფერს! უნდა განვდევნოთ წარსულის ზნეობ-რივი შეზღუდვები, ყველაფერი კარგია, რაც მე მინდა და მსიამოვნებს! ოლონდ, შეფასებებისას ერთი აუცილებელი წესი უნდა იქნეს დაცული, - სხვისი, განსაკუთრებით უმცირესობის, უფლებები არ უნდა დაირღვეს! ეს კანონია.

შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ იკარგება ზღვარი კარგსა და ცუდ საქციელს, სიმართლესა და სიცრუეს შორის. სიმართლე არის ის, რასაც მე მივიჩნევ სიმართლედ და მორჩა! შენ შენი სიმართლე გაქვს? დაიცავი შენი სიმართლე, მე ჩემსას დავიცავ. მე შენს უფლებებს არ შევლახავ, შენც ჩემი უფლებები არ შელახო.

დაახლოებით ასეთია ის აზროვნება, რომლის დამკვიდრების მცდელობაც არის დღეს“.

საშობაო ეპისტოლე, 2015 წ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი,
მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ცხუმ-აფხეთის
მიტროპოლიტი ილია II

„ტაბუ ახსნილი“ ევროპული კულტურის კრიზისის ერთ-ერთი პირველი მაცნე რუსო იყო, ხოლო ამ პროცესის შესახებ თამამად აცხადებდა ფრიდრიხ ნიცშე. „ღმერთის სიკვდილი“ „ადამიანის სიკვდილსაც“ ნიშნავდა, მაგრამ „დამცრობილ და დამდაბლებულ“, ფუფუნებას, კომფორტსა და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებს გამოდევნებულ დასავლეთს ნიცშესთვის სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. საბოლოოდ კი, ყოველივე იმით დამთავრდა, რომ „ღმერთის მკვლელმა“ კაცობრიობამ „ადამიანიც მოკლა“ [1, გვ. 30]. თუკი XX საუკუნე „ღმერთის სიკვდილით“ არის სტიგმატიზებული, XXI საუკუნისათვის ამგვარი დამლა „ადამიანის და საზოგადოების სიკვდილი“ იქნება უთუოდ.

შექმნილ რეალობას კარგად ესადაგება ნიცშეს მიერ აზროვნების სისტემური წესის ურაცოფა და მის ნაცვლად ფრაგმენტაციული დისკურსი, აფორისტული მაქსიმებითა და სენტენციებით ოპერირება; ფასეულობათა რადიკალური გადაფასება და ონტოლოგიური ნიჰილიზმი; აბსოლუტური შეჭმარიტების ურაცოფა და რაციონალური აზროვნების („კანონმდებელი გონების“) ინტერპრეტაციით („ინტერპრეტაციული გონებით“) ჩანაცვლება; ნიცშეს ამგვარი მსოფლმხედველობიდან არც ისე შორი მანძილია დერიდას დეკონსტრუქციამდე და ბოდრიარის „სოციალურობის გაქრობის თეორიამდე“.

ევროპული კულტურის მწუხრისა და დეგრადაციის კიდევ ერთ-ერთი მაცნე ოსვალდ შპენგლერი იყო თავისი „ევროპის დაისით“. ევროპული კულტურა, სუ-

ლიერება, განათლება, და რაც მთავარია, დემოკრატია კრიზისშია, – ასეთია ის დასკვნა რომლის გამოტანის საშუალებას შპენგლერის წიგნი იძლევა¹.

ნიცშესა და შპენგლერთან ერთად, ჰაიდეგერმა შექმნა ხელსაყრელი ინტელექტუალური გარემო პოსტმოდერნული აზროვნებისათვის. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ჰაიდეგერის მიერ ტრადიციული რაციონალიზმის კრიტიკა, რომლის მიხედვით თამედროვე აზროვნება ინსტრუმენტული და პრაგმატული გახდა. ჰაიდეგერის თქმით, ამგვარი გონების უმაღლესი ფორმა ტექნიკაა, რომელიც ჰუმანიზმისათვის ადგილს არ ტოვებს. „ჰუმანიზმის ჰორიზონტზე ბარბაროსობა ჩნდება.“ ეს ის „ბარბაროსობაა“, რომელიც პოსტმოდერნული – ინფორმაციულ-ვირტუალური მდგომარეობის დადგომას მოასწავებდა [2, გვ. 677].

დრომ აჩვენა, რომ, თავის მხრივ, ვირტუალური საზოგადოებაც კრიზისშია (ფ. ბეგბედერი), იგი რეკლამის, მედიისა და ბიზნესის მეშვეობით თანდათან დეგრადირდება. ინფორმაციული საზოგადოების სიმახინჯეა ის, რომ ვირტუალური სამყაროს მბრძანებლები რეკლამის მწარმოებლები და მედიამფლობელები ხდებიან, რომლებიც ყველგან არიან. მათ მზერას ვერავინ დაემალება. ამით ისინი ხელს უშლიან ფიქრსა და აზროვნებას. იმისათვის, რომ ადამიანის სულში მომხვეჭელობის სურვილი ჩასახოს, რეკლამა ისეთ ხერხებს იყენებს, როგორცაა: შური და სიხარბე. დღეს რეკლამის მწარმოებლები განსაზღვრავენ რა არის ჭეშმარიტება, მშენიერება და სიკეთე [3, გვ. 156].

ვირტუალურ რელობაში ადამიანისა და საზოგადოების კრიზისულ მდგომარებას ეხებიან თანამედროვე სოციოლოგები: ენტონი გიდენსი და ზიგმუნტ ბაუმანი. ინფორმაციული საზოგადოების დეგრადაციას ისინი ადამიანისა და საზოგადოების იდენტობის კრიზისში ხედავენ. მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებები და რეკლამა, ყოველდღიური სენსაციების თავს მოხვევით, „დროთა კავშირს“ არღვევს. ადამიანს აიძულებს წარსული დაივიწყოს და მომავალზე არ იფიქროს. ინფორმაციული საზოგადოების ადამიანი ვირტუალურ, ნარკოტიკულ ეიფორულ ნირვანაშია ჩაძირული. იგი ტელევიზორის ეკრანს, კომპიუტერის მონიტორს, ვიდეოთამაშებს ან საკუთარ მობილურ ტელეფონს არის მიჯაჭვული. ამიერიდან ადამიანი არ მონაწილეობს იმაში, რასაც აკეთებს და ემოციურად სხვა განზომილებაში ცხოვრობს. ეს სხვა განზომილება ვირტუალური რეალობაა, სადაც ყველაფერი ნებადართულია. ამ რეალობაში ღმერთის ადგილი გართობას უკავია. შემთხვევითობა, ეპიზოდურობა და დისკრეტულობა, რომლებიც ვირტუალური სამყაროს მახასიათებლებია, ადამიანმა რეალურ სამყაროში სხვებთან პიროვნულ ურთიერთობებში გადაიტანა. ამგვარად, ვირტუალუ-

1 ამ შემთხვევაში მეტი დაფიქრება სჭირდებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენში ყოველივე დასავლურის ბრმა და გაუაზრებელ აპოლოგიას ეწვიან, რის შესახებაც თავის დროზე მართებულად შენიშნავდა აკად. შალვა ნუცუბიძე.

რი რეალობა ადამიანს ახალ იდენტობას უყალიბებს. უფრო სწორად, იდენტობის დეკონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. ინფორმაციული საზოგადოება იდენტობის პლურალიზმით ხასიათდება. ადამიანები იდენტობას ტანსაცმელივით იცვლიან. ამ ვითარების აღსანიშნავად ბაუმიანმა „მეორადი მოხმარების“ ცნება შემოიტანა. ვირტუალურ რეალობაში მუდმივი და მარადიული მხოლოდ ტრანსფორმაციის იდეაა. დავაკვირდეთ, თუნდაც მოდერნისა და პოსტმოდერნის არქიტექტურას. პოსტმოდერნულ არქიტექტურაში აშკარაა პლასტიკის პრიმატი.

თავის მხრივ, იდენტობა ადამიანის თვითცნობიერების გარკვეულ პრობლემას ასახავს, რამდენადაც იდენტობა ახსენდება მაშინ, როდესაც საკუთარ თვითობაში არ არის დარწმუნებული: მან არ იცის თუ როგორ დაარწმუნოს გარშემო მყოფნი იმაში, რომ მას საზოგადოებაში რაღაც ადგილი მართებულად უკავია. ამ აზრით, იდენტობა იმის კრიტიკული პროექციაა, რასაც ინდივიდი მოითხოვს. თუმცა ინფორმაციულმა რევოლუციამ შეცვალა პერსპექტივა: ადამიანისათვის აქტუალური გახდა არა ჯგუფთან, ეროვნებასთან, საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან იდენტიფიცირება, არამედ საზოგადოებრივი კავშირებიდან თავის დაღწევა. ამით ადამიანმა საზოგადოებრივი საქმიანობისაგან ხელები დაიბანა. რითაც სოციალურობა დასრულდა (ბოდრიარი), მაშინ როდესაც ტრადიციული გაგებით საზოგადოებრივ ცხოვრებას მოკლებული ადამიანი ან ცხოველია, ანდა ღვთაება (არისტოტელე).

ბოდრიარის მიხედვით, ამიერიდან სახეზეა ე.წ. ჰიპერსაზოგადოება (ამგვარი საზოგადოება ბოდრიარმა აღწერა თავის მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეიში „ამერიკა“). ის მასა, რომელიც პოსტთანამედროვე საზოგადოებას ქმნის სოციალურობას, სოციალურ ბუნებას მოკლებულია ანუ რაიმე სახის სოციოლოგიურ რეალობას არ წარმოადგენს. მას რაიმე სახის კონკრეტული განსაზღვრულობა არ გააჩნია. გარკვეულობის არ ქონაა მისი გარკვეულობა. საზოგადოების ამ ახალი ტიპის – პოსტსაზოგადოების ანალიზმა, ბოდრიარი მისდაუნებლედ, სოციოლოგიის ახლი ტიპის – პოსტსოციოლოგიის იდეამდე მიიყვანა. ამიტომ, ბოდრიარის სამიზნედ იქცა მომხმარებლური საზოგადოება თავისი რეკლამით, ყოველდღიურობით, ტოტალური თავისუფლებითა და სიმულაციებით.

მომხმარებლური საზოგადოების თავისებურებანი

ვირტუალურ-ინფორმაციული საზოგადოების ცენტრალური ფიგურა „Homo Consummatus“ – მომხმარებელი ადამიანი ხდება [4, გვ. 157]. მედია და რეკლამა ადამიანის მომხმარებლური სულისკვეთების გაღვიძებას ემსახურება. მომხმარებლური სულისკვეთების ადამიანს სხვა ადამიანი არ აინტერესებს. მისთვის ადამიანი ისეთივე კონკრეტული საგანია, როგორც სხვა დანარჩენი. ამ ტიპის ადამიანმა კარგა ხანია, რაც ზურგი აქცია ცოცხალ სამყაროს და ხელოვნურ რეალობაში გადავარდა. ასეთ ადამიანს ფსიქოლოგები „მონოცერებრალურ“ ერ-

თგანზომილებიანს უწოდებენ. დღეს ეს განზომილება ვირტუალურია. მონოცენტრებრალურ სუბიექტს ნარცისიზმის გარკვეული ფორმა ახასიათებს, რომლის დროსაც ყოველი მისი სწრაფვა წარმატების მიღწევაზეა მიმართული. ასე იქმნება, ვითომდა წარმატებული და ამბიციური ადამიანის სახე. ამით წარმატების იდეის დევალვაციას აქვს ადგილი. წარმატების მწვერვალი ეკრანზე მოხვედრა და ვარსკვლავად გახდომა. იდენტობის დეკონსტრუქციამ, ნარცისიზმისა და მოხმარების კულტმა ახალი სოციალურ-პოლიტიკური ფენომენი – ინდივიდუალიზებული უკლასო საზოგადოება შექმნა.

ვირტუალურ-მომხმარებლური საზოგადოების კიდევ ერთ-ერთი გამოვლინება ე. წ. „მომხმარებლური სიგიჟე“ და „რომანტიკაა“, რომელიც დღეს უკვე რეალობაა. თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში „მომხმარებით გათანგვაზე, თრობაზე“ აპელირებენ. დაახლოებით ასე უნდა ვთარგმნოთ გერმანული *Konsumtausch*. რომელიც გერმანელების, ავსტრიელებისა და შვეიცარიელების ყოველდღიურ მეტყველებაში თანდათან დამკვიდრდა. მისი თავისებურებანი კარგად ჩანს საშობაო შოპინგებში. „საშობაო სიგიჟე“, თითქმის ყველა ქვეყანაში ერთნაირად ვლინდება: საშობაო ფასდაკლებები, ფართოდ რეკლამირებული საშობაო გაყიდვები და სხვა მისთანანი სავაჭრო ცენტრებში ნამდვილ კომერციულ ბუმს ქმნის, რაც მომხმარებლურ ეპოქაში რელიგიური დღესასწაულების თანმხლები ხდება, თუმცა, დღესასწაული მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, ის მთელი რიგი მითოლოგიებით გამოირჩევა, რომელთაგან ერთ-ერთი, სურვილების ასრულებას უკავშირდება. ერთიანობას, მთლიანობას და თავისთავადობას მოკლებული სოციუმში იქმნის ყალბ ილუზიას ოქროს ხანის დადგომის შესახებ, რაც ცნობიერების სიღრმეში დაფლული არქეტიპების აქტუალიზაციის შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში ირკვევა, რომ სოციუმის მეხსიერებიდან ჯერ კიდევ არ გამქრალა ისტორიის მთავარი სასწაული – იესო ქრისტეს შობა, რომლითაც კაცობრიობას ღმერთისაკენ მიმავალი გზა გაეხსნა. ამ ყველაფრის მუხედავად პოსტთანამედროვე მომხმარებლურ საზოგადოებაში შობის დღესასწაულის მთავარ სიუჟეტად მოხმარება და მომხმარებლური სულისკვეთება რჩება, რაც ადამიანის ზნეობრივ დაცემასა და გადაგვარებაზე მეტყველებს.

პოტენციურად არაფრით განსაზღვრული „ინტერტექსტუალური“ ვირტუალური კულტურის პირობებში რაიმე სახის იდენტობაზე (ეროვნული ან სხვა) მსჯელობა შეუძლებელია. იდენტობა აქ გაგებულია, როგორც უმართებულო იგივეობისა და „ცნობიერების მისტიფიკაციის“ შედეგი. ამ ტიპის საზოგადოებას არ შეუძლია, რომ საკრალურსა და პროფანულს, ტაძარსა და სავაჭრო ცენტრს, მარხვასა და კარნავალს, სადღესასწაულო წირვასა და სადღესასწაულო შოპინგს შორის არსებულ ონტოლოგიურ სხვაობას შეეგუოს. კარნავალი მარხვის ნიღბით, საშობაო წირვის ნაცვლად შოპინგი და მრავალი მისთანა პოსტთანამედროვე დესაკრალიზებული საზოგადოების ნიშანი გახდა, რომელშიც ქრემარიტებაზე,

მიზეზზე ან მიზანზე მსჯელობა არაპოლიტიკორექტულად და საეჭვოდაა მიჩნეული. კარნავალურობა საოცრად სწორად გამოხატავს იმ სოციოკულტურული სიტუაციის არსს, რომელიც სპექტაკლის სახით ხორციელდება. ამის მიხედვით, წმინდანი ჩანაცვლებულია პროფანით, გმირი – ტაკი-მასხარით. შედეგად მოგებაზე, გართობაზე, ძალადობასა და სექსზე ორიენტირებულ სარეკლამო ესთეტიკას ვიღებთ. ასეთია პოსტმოდერნული ესთეტიკის ძირითადი ტენდენცია.

პოსტმოდერნული ვირტუალური ეპოქა აქტიურად ავრცელებს ამნეზიის ყოველგვარ შესაძლებელ ტექნიკას, რომელიც დიდნილად „ანტიმეხსიერების“ სტრატეგიაზეა აგებული. ანტიმეხსიერების ფართოდ რეკლამირებული ფიგურები ტრადიციის იმიტაციით ეტალონურ სიმულაკრად გვევლინებიან და საკუთარის გარდა სხვა წარსულს არ ცნობენ. მისი კულტურული კონტექსტი პირდაპირ კავშირშია მაკ-დონალდთან, ჰოლივუდთან და დისნეილენდთან. ამ სახის პერსპექტივაში პრინციპული განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას შორის გამჭრალაია.

სოციალური თვალსაზრისით, პოსტანამედროვე საზოგადოება იგივე მომხმარებლური საზოგადოებაა. მისი ძირითადი ნიშანი პრაგმატიზმი, მერკანტილიზმი და ცინიზმია.

პოსტმოდერნმა ადამიანთა ცნობიერებაში კულტურული პარადიგმების ცვლილებები და ტრანსფორმირება გამოიწვია. პოსტანამედროვე ადამიანმა არამხოლოდ უარი თქვა ქეშმარიტებაზე, არამედ ბუნდოვანი და გაუგებარი გახდა მისი სტატუსი; მან დიადი და ამალელებული მორალური და რელიგიური, ეგზისტენციალური მიზნებისადმი ინტერესი დაკარგა. კულტურა მასკულტურად, შინაარსიანი და საზრისიანი ცხოვრება ცარიელ, ეფემერულ და ვირტუალურ რეალობად გადაიქცა, რომელმაც ადამიანი რეალურ სინამდვილეს მოწყვიტა. საზოგადოება „სპექტაკლის საზოგადოება“ გახდა, რომელიც რეკლამისა და მედიის ტოტალურ ძალაუფლებაზეა დამყარებული. რეალური პოლიტიკა პოლიტიკენოლოგიებმა, ხოლო საზოგადოების ისტორიული განვითარება - „შოუ-ხელისუფლებამ“ შეცვალა; ამ ტიპის საზოგადოებაში ყველაფერი – სექსუალური ცხოვრებით დაწყებული, ფეხბურთითა და პოლიტიკით დამთავრებული, თეატრალიზებულია. ამიერიდან პოლიტიკა აღარ არის ადამიანის სერიზოული საქმიანობა. იგი ძალზე ხმაურიანი სანახაობა და ემოციური განტვირთვის სფეროა, ხოლო ნამდვილი პოლიტიკოსი ის არის, რომელიც კარგ შოუსა და სანახაობას მოიფიქრებს და განახორციელებს, ამიტომაც, თანამედროვე პოლიტიკური ბატალიები უშედეგოდ მთავრდება. გართობაზე ორიენტირებული კარნავალური პოლიტიკა რევოლუციური გარდაქმნებისაგან შორს დგას. ასეთ ვითარებაში პოლიტიკა ტრანსპოლიტიკად, ეკონომიკა – ტრანსეკონომიკად, საზოგადოება კი ტრანსსაზოგადოებად გადაიქცა. ამიერიდან ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრება ზენელოგენურობის სტადიაში იმყოფება.

ლიოტარის მიხედვით, პოსტმოდერნი ინტელექტუალთა სასაფლაოა, რადგანაც ის ცვლის ინტელექტუალთა მდგომარეობას საზოგადოებაში. ტრადიციული საზოგადოების ინტელექტუალთა ფენა პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში გამოუსადეგერი ხდება. პოსტმოდერნმა მათ ყვლაფერი წაართვა და ისტორიის სანაგვეზე მოისროლა. შემოქმედისა და მოაზროვნის ადგილი ე. წ. ექსპერტმა დაიკავა. სერიოზული მწერლობა სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა და აბუჩად იქნა აგდებული. ინდივიდი, პიროვნება ზომბმა ჩაანაცვლა, რომელიც ყოველგვარ პიროვნულ ღირსებასა და დამოუკიდებელ აზროვნებას მოკლებულია და მხოლოდ სიტუაციების შესბამისი უნარ-ჩვევების ამარაა დარჩენილი. განათლების სისტემა კი მსგავსი უნარ-ჩვევების (სიტუაციური მოქმედების შესბამისი) ფორმირებაზეა ორიენტირებული. ტრადიციულ საზოგადოებაში ინტელექტუალებს წამყვანი პოზიციები ეკავათ კულტურის, ხელოვნების, განათლების, პოლიტიკისა და თუნდაც იდეოლოგიის სფეროში. პოსტანამედროვე საზოგადოებამ მთლიანად წაართვა მათ ეს ადრინდელი პრივილეგიები. თუკი მათ ადრე ადამიანები „ბასტილის ასაღებად“ მიჰყავდათ, ახლა უკვე ამისათვის აღარ სცალიათ, რადგან საკუთარი კარიერისათვის ზრუნვით არიან დაკავებული და ამისათვის ათასგვარ კონკურსებში უწევთ მონაწილეობის მიღება. ამიერიდან ისინი მმართველი და კანონმდებელი ელიტარული გონების პრეტენდენტები კი არა, კონკრეტული ფუნქციის (პრაგმატული) შესრულებაზე არიან ორიენტირებულნი. ინტელექტუალი, რომელსაც ადრე „მართველი საქმის“ სჯეროდა, დღეს კომიკურ მდგომარეობაში იმყოფება. ლიოტარის თქმით, შემოქმედის ადგილი უნიჭო და დამოუკიდებელი აზროვნების უნარს მოკლებულმა ადამიანებმა დაიკავეს. სამწუხაროა, მაგრამ მოდერნისტული ეპოქის ინტელექტუალები პოსტმოდერნულმა რეალობამ კარგა ხანია საფლავს მიაბარა (მდრ. ლიოტარის „ინტელიგენციის საფლავი“) [5, გვ. 228].

პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში ცხოვრების კვარცხლბეკზე „კაცუნა“ (ნიცშეს ტერმინია) დგას, რომელიც კლასიკურ „ინტელექტუალურ კომპლექსებს“ აბსოლუტურად მოკლებულია და მხოლოდ მისი თანამედროვე განათლებისა და ცივილიზაციის მონაპოვართ ცხოვრობს. მან ზედმინვენით იცის ცხოვრებით ტკბობა და, რაც ყველაზე მთავარია, როგორ იშოვოს ფული. მისი ცოდნის არსენალი ბიზნესგეგმის შედგენით, კომპიუტერის (ბოდრიარის მიხედვით, „ადამიანური გონების ხელოვნური პროთეზის“) ცოდნითა და პირადი კარიერული წარმატების მიღწევისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით (რომელიც უზნეო მოქმედებებსაც მოიცავს) ამოინურება. ერთი სიტყვით, ის მეგაპოლისის ცივილიზაციის კაცია, რომელსაც ჩვეულებრივი ბუნებრივი გარემო ცუდად ხდის. ამ „კაცუნასთვის“ ღმერთი, ჭეშმარიტება, სამშობლო და სხვა მსგავსი მაღალი მორალური იდეალები არაფრისმთქმელი სიტყვებია. მას გვერდს „უმშვენებს“ ზომბი – დაპროგრამებული არსება („მანქურთი“), უისტორიო, ყოველგვარ ინდივიდუალობას

მოკლებული, რომელიც იმ მოწყობილობას ჰგავს, რომელიც სხვა მოწყობილობაზეა მიერთებული და მის გარეშე მოქმედება და ფუნქციონირება არ შეუძლია.

პოსტთანამედროვე საზოგადოების ადამიანი მოკლებულია ყოველგვარ ასკეტიზმს. ის მხოლოდ ერთი დღისთვის ცხოვრობს. იგი, ფაქტობრივად, არ ფიქრობს ხვალისდელ დღეზე, ხოლო შორეული მომავალის ცნება მისთვის სრულიად უცხოა. მისი ცხოვრების მთავარი სტიმული პროფესიული და ფინანსური წარმატებაა, რომელსაც უნდა მიაღწიოს არა ცხოვრების ბოლოს, არამედ აქ და ახლა, რაც შეიძლება მალე. ამ ამოცანის შესასრულებლად მისთვის ცხოვრების ნებისმიერი წესი, სტილი და სტრატეგიაა მისაღები, თუნდაც ყველაზე ამორალურიც კი. თუკი მოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყვოდა: „აქა გდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს,“ პოსტმოდერნისტული საზოგადოების ადამიანი იტყვის: „ვდგავარ იქ, სადაც მინდა და როგროც მინდა.“ ამიტომ მას კლასიკური გაგებით მყარი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული საყრდენი არა აქვს. მისთვის არ არსებობს ისეთი ცნებები, როგორიცაა მემარჯვენე, მემარცხენე ან ცენტრისტი. შესაბამისად, არც მსგავსი იდეოლოგიები. იგი ე. წ. „სოფტ-იდეოლოგიის“ მომხრეა, რომელშიც მშვიდობიანად თანაარსებობს ისეთი ფაქტები და მოვლენები, რაც ადრე ერთმანეთთან შეუთავსებელი და წინააღმდეგობრივი იყო (ამის გამოხატულება შეიძლება იყოს თანამედროვე ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული ე. წ. „კოჰაბიტაცია“). მსგავსი ვითარება რაღაც ნეოფატალიზმის მსგავს მითოსს ქმნის, რომელშიც ადამიანი უმწეოდ გამოიყურება.

პოსტთანამედროვე საზოგადოებაში დაკარგულია ინტერესი ყოველგვარი მიზნისადმი. აქ არ არსებობს დიადი მიზნები იმიტომ, რომ ზოგადად მიზანი არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენს. პოლ რიკიორის თქმით, დღეს შესამჩნევია „მიზნების ატროფია და საშუალებების ჰიპერტროფია“, რაც ამ მიზნებითა და იდეალებით იმედგაცრუებამ გამოიწვია [6, გვ. 182]. მათ ვერ შესარულებს თავიანთი პირობა. ვერცერთმა მოდერნისტულმა იდეამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ ადამიანებს მომავლის იმედი გაუქრა, ის თითქოს ვიღაცამ მოიპარა.

ტრადიციული საზოგადოება და ადამიანი ისტორიულობით ხასიათდება. ის ისტორიულ დროში არსებობს. დროის ამგვარი აღქმა პოსტთანამედროვეობაში უარყოფილია. მან ამოწურა თავისი თავი. ამიერიდან ადამიანი სივრცით აზროვნებაზეა ორიენტირებული, რადგანაც რეალობა რომელშიც ის აღმოჩნდა, ჰიპერრეალობას წარმოადგენს, რომელშიც დროის ტრადიციული გაგება გამოუსადეგარია.

საზოგადოების პოსტმოდერნისტული ტრანსფორმაცია მტკივნეულად აისახება კულტურაზე. ამ შემთხვევაში კულტურული მენისტრიმის რადიკალურ ცვლილებასთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, პოსტთანამედროვე საზოგადოებაში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს მასკულტურა, ხოლო მასში, მოდა და რეკლამა. შექმნილ ახალ რეალობაში მოდა იმ როლსა და ფუნქციას ასრუ-

ლებს, რასაც მოდერნისტულ საზოგადოებაში მითოსი, რელიგია, ფილოსოფია და მეცნიერება ასრულებდა. ის მოიცავს და აკანონებს ყოველივეს, რადგანაც ყოველივე, რასაც იგი არ შეხება, მიუღებლად ითვლება, არსებობის უფლება არა აქვს და კულტურის ელემენტად არ აღიქმება. ეს მეცნიერულ თეორიებსაც შეეხება. დღეს ყურადსაღები მხოლოდ მოდერნიზმის მეცნიერული თეორიებია, რომელთა ფასეულობა არა შინაგანი ღირსება და ჭეშმარიტების წვდომა, არამედ გარეგნული ეფექტები, ფრაზებით ჟონგლიორობა, ყალბი ერუდიცია და მიმზიდველობაა. აქედან მომდინარეობს მეცნიერებისადმი უნდობლობა, ნიჰილისტური და ცინიკური დამოკიდებულება.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ის, რომ პოსტმოდერნისტულ ტრანსფორმაციას განიცდიან ისეთი მყარი და ტრადიციული სოციალური ინსტიტუტები, როგორცაა ოჯახი, ეთიკის სფერო და რელიგია.

ოჯახური ცხოვრების სფეროში ამის მაგალითებია ენ. „ერთჯერადი ოჯახების გაჩენა“, „თავისუფალი სექსუალური ცხოვრების“ პროპაგანდა, გენდერული და ფემინისტური დებატები, სქესთან დაკავშირებული თემატიკის გააქტიურება, ერთნირსქესიანთა ქორწინება და მრავალი სხვა.

რელიგიის სფეროში აშკარაა ადამიანისა და საზოგადოების დესაკრალიზაცია, რელიგიური ცხოვრების ვირტუალიზაცია, პროფანაცია, რასაც შედეგად ტრადიციული რელიგიური ცხოვრებისადმი ცინიკური დამოკიდებულება მოჰყვება და ა. შ. ეს ყოველივე, რელიგიური გაგებით, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არც ისე შორსაა აპოკალიფსი.

ეთიკის სფეროში პოსტმოდერნიზმის შემთხვევაში სახეზეა მორალური რეალატივიზმი, ნიჰილიზმი და ფასეულობათა დეველვაცია, რასაც შედეგად ჭეშმარიტებასა და მცდარობას, სიკეთესა და ბოროტებას შორის განსხვავების უარყოფა მოჰყვება. ყოველივე ეს კაცობრიობის „დასასრულს დაუდებს სათავეს, რამეთუ „კაცობრიობას ზნეობრივი ადამიანები ქმნიან“ [7, გვ. 24]. ლოგიკის სფეროში პარალოგიზმია (ბოდვა) გაბატონებული. ერთი სიტყვით, ამაზე მეტად ადამიანისა და საზოგადოების დაცემა და გადაგვარება ძნელი წარმოსადგენია. ეს ყოველივე ისეთი შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს, კაცობრიობა თავს იკლავს.

დასკვნა:

1. პოსტმოდერნულ საზოგადოებაში მედია-საშუალებების, ინფორმაციისა და გართობის ინდუსტრია ბატონობს, რომელმაც ტრადიციული საზოგადოების ფასეულობითი სამყარო ჩაანაცვლა. ქსელურ საზოგადოებაში ვირტუალური ეკონომიკა ბატონობს, რომელიც ნიშნების მწარმოებელი სისტემებით მანიპულირებს და საკუთარი თავის გარდა სხვას არაფერს აღნიშნავს. შექმნილი ტოტალური ვირტუალური, ზეხელოვნური რეალობა ნამდვილ სინამდვილეს აზრს უკარგავს.

2. ვირტუალურ-მომხმარებლური საზოგადოების სოციოლოგიური იმპლიკაციები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კლასიკურ ონტოლოგიურ, აქსიოლოგიურ

და მორალურ კატეგორიებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მაღალი სულიერების, ხელოვნების, ფილოსოფიისა და სწორი სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების საფუძველი იყო ყოველთვის, თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

3. სინამდვილეში, ვირტუალურ-ინფორმაციული სივრცე თანამედროვე სოციუმის ზედაპირული გარსია მხოლოდ. დიდი მიხვედრა არ სჭირდება იმას, რომ ვირტუალურ სივრცეში კონსტრუირებულ ფსევდორეალობას მომავალი არ ექნება და ყოველგვარი ექსპერიმენტები ამ სფეროში იმთავითვე დასალუპავად განწირული იქნება.

4. პოსტმოდერნიზმის სახით ე. წ. თვითმკვლელ ცივილიზაციასთან გვაქვს საქმე. პოსტმოდერნიზმა განადგურა ტრადიციული საზოგადოება, ადამიანი, მაგრამ ამჟამად თვითონ აღმოჩნდა განადგურების საფრთხის წინაშე, რაც იმას ნიშნავს, რომ ვირტუალურის ბატონობა დიდხანს არ გასტანს.

ლიტერატურა:

1. Ж, Бодрийяр, Америка, М., 2000.
2. ე. გიდენსი, სოციოლოგია, თბ., 2011.
3. კ. ქეცბაია, პოსტმოდერნი და საზოგადოების თვითმკვლელობა, კრებული „ფილოსოფიური ძიებანი“, ტ. 20, თბ., 2015.
4. Ж, Бодрийяр, Общество потребления, М., 2006, Ч. 3.
5. Ж. Ф. Лиотар, Склеп интеллигенций, М., 1990.
6. П. Рикёр, Герменевтика, Этика, Политика, М., 1995.
7. რ. გოგობია, ბიბლიურ-ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური სიბრძნე: „შეიცან თავი შენი“ და თანამედროვეობა, თბ., 2017.

Sociological implications of virtual-consumer society

Kakha Ketsbaia

Doctor of Philosophy,

Iv. Javakhishvili Tbilisi State University,

Associate Professor Department of Sociology and Social Work

Tel: 599-39-31-07,

e-mail: kakha.kecbaia@tsu.ge

Postmodern transformations of man and society set new challenges to modern sociology which failed to answer them. Therefore it became necessary to form an alternative sociology. Postmodern discourse questions existence of modern sociology not as epistemology but as a theory of society in general. As Baudrillard shows modern

sociology has exhausted itself, even more, nowadays it has no subject to study. Modern sociology was oriented to totality and it is unacceptable for postmodern sociology. Total society underwent total deconstruction. Besides, in classical sociology economics was the factor determining typology of society. Postmodern sociology rejects such a position. According to postmodern sociology economics in a traditional sense of the word is replaced by trans and virtual economics. If the subject matter of modern sociology was modern society and sociology came into existence in result of analysis of such type of society, today we see that modern society has turned into trans-society and modern sociology is unable to study it. Post-society is to be analyzed by post-sociology which will be a sociology of a new dimension though many contemporary scientists think that it is death of sociology. But it is not correct. In this case we speak about a new non-modern model of sociology which has a different subject of research. A new type of society has replaced modern society and consequently traditional sociology is replaced by trans-sociology.

On the basis of this brief characterization of the post-modern society we can ask whether all these features will drive the world civilization to destruction (not only from the view point of moral but from the view point of physical existence as well) and whether we have to face the so-called civilizational suicide in the form of post-modernism. According to post-modernism, traditional society and man died and we have to face simply their lifeless bodies which have their own (virtual) rules of existence. We think that these rules are absolutely unacceptable for real society and domination of the virtual will end before long. The impression that by means of the post-modern condition the society commits suicide is formed. Time will probably show what the further development in this direction will be and what other surprises it will offer us.

Keywords: Modern; postmodern; virtual-consumer society; intertextstual virtual culture; consumer madiex; transsociety; transpolitics; transseconomics; hyperSociety; suicide civilization.

ევროკავშირის სტანდარტები და სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირება საქართველოში

თინათინ მეძმარიაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
tinatinmedzmariashvili@yahoo.com*

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მარეგულირებელი კანონმდებლობა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს, რადგან მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი გარემოს ფორმირება, ანუ კერძო სექტორის მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული და თანასწორი მიდგომა. ამასთან, განსაკუთრებით აქტუალურია სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზაში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი განხორციელებული და განსახორციელებელი ცვლილებები, რადგან უკვე დღის წესრიგში დგას საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასთან მაქსიმალური ჰარმონიზაცია.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო შესყიდვები; საკანონმდებლო რეგულირება; ევროკავშირის სტანდარტები; ასოცირების შეთანხმება.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების სამართლებრივი რეგულირების ძირითად დოკუმენტად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი გვევლინება. შესყიდვების კანონი პირველად 1998 წელს იქნა მიღებული. კანონმდებლობის მრავალგვარი ინტერპრეტაცია, მარეგულირებელი კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმების იგნორირება არაეფექტიანს ხდიდა რეფორმების მოქმედებას აღნიშნულ სფეროში. იმ პერიოდში სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებულ შესყიდვებს მოიცავდა, ხოლო სხვა მნიშვნელოვანი ხარჯები მოძრაობდა კანონის მიღმა. შესაბამისად, კანონმა ვერ შეძლო საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება [2, გვ.92].

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ძირეული რეფორმებიდან გამომდინარე, 2006 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ დღეისათვის მოქმედი კანონი, რომლის უმეტესმა ნაწილმა ცვლილებები განიცადა.

კანონის მიზნებს წარმოადგენს:

✓ სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;

✓ სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების განვისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

✓ სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;

✓ სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;

✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბება [3, გვ.3].

კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახეობის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული შესყიდვებისა. ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრულია ის გამოწვევები, რაზეც მოქმედი კანონმდებლობა არ ვრცელდება. გამოწვევების საჭიროება ძირითადად დადგა მას შემდეგ, რაც შეიქმნა შესყიდვების ახალი (ელექტრონული) სისტემა და აღნიშნული სფეროები დაექვემდებარა გამარტივებული შესყიდვის წესს, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში, ამ სფეროების სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შექმნილიყო მთელი რიგი პრაქტიკულ-ტექნიკური ხასიათის პრობლემები [7, გვ.137]. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი ძირითადად ჩარჩო კანონმდებლობად გვევლინება, რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს და ცალკეული მიმართულებები ჩამოყალიბებულია კანონქვემდებარე აქტებში.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზის დიდი ნაწილი ევროკავშირის რეგულაციებს ემთხვევა და ხშირად უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს, ვიდრე ევროკავშირის ნევრ ქვეყნებში მოქმედი სისტემები [5, გვ.4]. დაწესებული მაღალი სტანდარტებიდან გამომდინარე ხელი ეწყობა კერძო სექტორის განვითარებას. ამასთან, საჯაროობისა და კონკურენციის გაზრდის შედეგად, გამარტივებულ ელექტრონულ და ელექტრონულ ტენდერში მონაწილე კომპანიები ბაზარზე თანაბარი პირობებით სარგებლობენ, რაც ახალი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ერთ-ერთი უპირატესობა [5, გვ.47]. მიუხედავად ამისა, დღეისათვის საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფეროს

უმთავრესი გამოწვევა, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე, ევროკავშირის ძირითად სტანდარტებისა და კანონმდებლობასთან დაახლოებაა. შესაბამისად, საკანონმდებლო დაახლოების პროცესში ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს შესყიდვების ევროკავშირის ძირითად სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

საქართველო, საკანონმდებლო დაახლოებისა და იმპლემენტაციის პროცესში, გაივლის შემდეგ ძირითად ეტაპებს:

➤ I ფაზა – 3 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების და შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის მარეგულირებელი ძირითადი სტანდარტები;

➤ II ფაზა – 5 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სახელმწიფო შესყიდვების შესახებ დირექტივისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის შესახებ დირექტივის ძირითადი ელემენტები;

➤ III ფაზა – 6 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სექტორების შესახებ დირექტივისა და სექტორების სფეროში დავების განხილვის შესახებ დირექტივის ძირითადი ელემენტები;

➤ IV ფაზა – 7 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დირექტივისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში დავების განხილვის შესახებ დირექტივის სხვა (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტები;

➤ V ფაზა – 8 წელი ასოციირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან – სექტორების შესახებ დირექტივისა და სექტორების სფეროში დავების განხილვის შესახებ დირექტივის სხვა (სავალდებულო და არასავალდებულო) ელემენტები [4, გვ.10].

სახელმწიფო შესყიდვების კანონი მოიცავს დანართს, რომელშიც განერილია კანონმდებლობის შესაბამისად თანმიმდევრული დაახლოებისა და შესაბამისად ორმხრივი ბაზრის გახსნის ძირითადი ეტაპები და საორიენტაციო ვადები. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის საჯარო შესყიდვების დირექტივებთან ეტაპობრივი დაახლოების პროცესი, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების ჩათვლით, განერილია 2014-2022 წწ. (რვანლიან) პერიოდზე.

ასოციირების შეთანხმების ძირითადი დებულებების ძალაში შესვლის თარიღიდან (01.09.2014) საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო ბაზამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოების კუთხით. სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა დეტალურად არ არეგულირებდა „ტენდერში შეუსაბამოდ დაბალი ფასის“ საკითხს. დღეისათვის შემსყიდველ ორგანიზაციებს აქვთ ვალდებულება ტენდერის გამოცხადებისას მიუთითონ ინფორმაცია ფასნარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების თაობაზე. თუმცა, შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, დასაბუთების შემთხვევაში, შესაძლე-

ბელია შემსყიდველმა ორგანიზაციამ არ მოითხოვოს სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობა. სატენდერო დოკუმენტაციაში ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულების შესახებ მითითების არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით, დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშგაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას [1, გვ.10].

ამასთან, დღის წესრიგში იდგა შავი სიის (არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი) სისტემის გადასინჯვა, რომ არ მომხდარიყო ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი დისკვალიფიკაციის საფუძვლებს გარეთ პრეტენდენტების სიის შექმნა. შავი სია წარმოადგენს სააგენტოს მიერ ელექტრონულად წარმოებულ ოფიციალურ რეესტრს, რომელშიც რეგისტრირებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს შავ სიაში დარეგისტრირებიდან ერთი წლის განმავლობაში არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო შესყიდვაში და დადოს ხელშეკრულება [6, გვ.1]. ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპებისა და ევროპული სასამართლოს (CJEU) პრეცედენტური სამართლის მიხედვით, ავტომატური დისკვალიფიკაციის ოფიციალური სიების გამოყენება, ზოგადად, არ დაიშვება ევროკავშირის სამართლის მიხედვით [4, გვ.16]. 2015 წელს შემუშავდა შავი სიის წარმოების წესი და დღევანდელი მდგომარეობით, შავი სიის წარმოების საკითხი რეგულირდება კონვენციუმდებარე აქტით – „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით.

გარდა ამისა, გამარტივებული შესყიდვების პროცედურების საფუძვლების გადახედვა და შეზღუდვა ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩაშენდა გამარტივებული შესყიდვის შეთანხმების SMP მოდული, რითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გამარტივებული წესით დადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის განხორციელებამდე საჯაროდ დაასაბუთოს და შემდეგ შეათანხმოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან. 2015 წლის 1 ნოემბრიდან სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება შემდეგი გარემოებების ფარგლებში განსახორციელებელი გამარტივებული შესყიდვები:

1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება წარმოადგენს ერთი პირის ექსკლუზიურ უფლებას;

2. არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა;

3. მიწოდებლისგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან ასაცილებლად ან შესყიდვის ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიწოდებლისგან ან იმავე მიწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისგან;

4. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებისთვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადები, მათ შორის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

ელექტრონული ტენდერი მიეკუთვნება ღია ტიპის შესყიდვებს ელექტრონული აუქციონის სავალდებულო გამოყენების პრინციპით. ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, ელექტრონული აუქციონების გამოყენება შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის სავალდებულო არ არის. შესაბამისი ცვლილებების შედეგად, 2016 წლის პირველი ივლისიდან სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, შემსყიდველი ორგანიზაციის გადანყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია ტენდერის გამოცხადება ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების გარეშე. სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემდგომ, პრეტენდენტს უფლება აქვს, ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი დროის დასრულებამდე, მხოლოდ ერთხელ, შეამციროს მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადების ფასი. ამ შემთხვევაში, ელექტრონული ვაჭრობა მიმდინარეობს მხოლოდ ძირითად დროში და სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტების რაოდენობის, ვინაობისა და სატენდერო წინადადებების ანონიმურობას.

ასევე, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით არ რეგულირდებოდა ეკონომიკური სუბიექტების სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში ერთობლივი მონაწილეობის საკითხი, რის საფუძველზეც ორგანიზაციები გამოიყენებდნენ სხვა საწარმოების ეკონომიკურ და ფინანსურ რესურსებსა და ტექნიკურ შესაძლებლობებს. დღეისათვის ორ ან რამდენიმე პრეტენდენტს აქვს უფლება ტენდერში ერთობლივად მონაწილეობის მიზნით გაერთიანდეს ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით. ამხანაგობის მონაწილეები შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ შეიძლება იყოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადაზე ნაკლები. ამასთან, ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში დაუშვებელია ამხანაგობის მონაწილის შეცვლა ან დამატება. აღსანიშნავია, რომ დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებისა და საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი ჰარმონიზაციისა, დღეისათვის კვლავ რჩება საკითხები, რომელებიც დგას

ევროკავშირის ძირითად სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან დაახლოების პროცესის დღის წესრიგში. მაგალითად, დღევანდელი კანონმდებლობით, ჩარჩო - ხელშეკრულების კონცეფცია არ რეგულირდება ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ჩარჩო ხელშეკრულების შემუშავების ძირითადი უპირატესობაა მისი მოქნილობა საქონლის ან მომსახურების შესყიდვასთან მიმართებით. ჩარჩო ხელშეკრულების დადება შეიძლება ერთი ან ერთზე მეტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ, ერთ ან ერთზე მეტ ეკონომიკურ ოპერატორთან, დროის შედარების ხანგრძლივი პერიოდით, როგორც წესი, ოთხ წლამდე ვადით. ამასთან, კანონი არ შეიცავს კონკრეტულ სამართლებრივ რეგულაციებს სამშენებლო სამუშაოების, მომსახურების ან საქონლის სახელმწიფო შესყიდვების შემთხვევაში სატენდერო დოკუმენტაციაში გარემოსდაცვითი მახასიათებლების მითითების შესაძლებლობასთან დაკავშირებით [4, გვ.15]. გარდა ამისა, სატენდერო წინადადების წარდგენისთვის საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონით გათვალისწინებული მინიმალური ვადები ნაკლებია ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ ვადებთან შედარებით. 200 ათას ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას სატენდერო კომისია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციას ათავსებს, წინადადების მიღების ვადის დასრულებამდე არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა, რა დროსაც პრეტენდენტებს ეძლევათ საშუალება განიხილონ და დაინტერესების შემთხვევაში, მოამზადონ სატენდერო წინადადება. შესაბამისად, დაინტერესებულ კომპანიებს ეძლევათ ერთი დღე განცხადების გასაცნობად, ხოლო 2 დღე წინადადების წარმოსადგენად. ამასთან, ევროკავშირის კანონმდებლობასა და შესყიდვების პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის მიზნით, დღის წესრიგში დგას ვადების საკითხის გადასინჯვა.

თანამედროვე დასავლურ ფასეულობებზე დაყრდნობით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოების მიმართულებას. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი. ყურადღება უნდა მიექცეს იმ მიმართულებებს, რომელიც საერთოდ არ რეგულირდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით. შეთანხმების შედეგად, გარდა იმისა, რომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შედეგად დაიხვეწება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სფერო, ორმხრივი ბაზრის გახსნა ხელს შეუწყობს ქართულ კომპანიების ჩართულობას ევროკავშირის ქვეყნების საჯარო შესყიდვებში. ამასთან, ევროპის საჯარო შესყიდვების ბაზარზე გასვლა ქართულ ბიზნეს სუბიექტებს მისცემს საქმიანობის გაფართოების საშუალებას და ხელს შეუწყობს კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფა ამჟამადაც მიმდინარეობს, რა-ზეც საკანონმდებლო ბაზის მუდმივი ცვლილება მეტყველებს. საქართველოში გა-ტარებული სახელმწიფო შესყიდვების საკანონმდებლო პოლიტიკა უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსური რესურსების რაციონალურ, მიზნობრივ და გამჭვირვალე ხარჯვას. ამათან, მნიშვნელოვნად ზრდის კერძო სექტორში კონკურენციის დონეს და უზრუნველყოფს მასში ბიზნესსუბიექტების მაქსიმალურ ჩართულობას.

ლიტერატურა:

1. „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება.
2. გაფრინდაშვილი გ, სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის რეფორმა და მისი შედეგები საქართველოში, „ეკონომიკა და ბიზნესი“, №4, თბ., 2012, გვ. 91-96.
3. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, თბ., 2006.
4. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევი და სამოქმედო გეგმა. თბილისი, იენისი, 2014.
5. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, თბილისი, იენისი 2013.
6. „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანება.
7. ხარხელი მ., კიკვაძე ო. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა: მიღწევები და ნაკლოვანებები, „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი IX, №2, თბ., 2016, გვ. 132-144.

The EU Standards and Legal Regulation of State Purchases in Georgia

Tinatin Medzmariashvili

Doctoral student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

tinatinmedzmariashvili@yahoo.com

Regulatory legislation performs one of the main roles in the state procurement sphere, because it is important to ensure a fair and non-discriminatory environment, proportionate and equal approach towards the private sector. In addition, especially

relevant issues are implemented or will be implemented in Deep and Comprehensive Free Trade Agreement (DCFTA) between Georgia and EU in the state procurement legislative database, while today on the agenda stands compliance with the legislative base of Georgia's state procurement with the active legislation of the EU.

Keywords: State procurement; legislative regulation; EU standards; association agreement.

JEL Codes: H57, H59

სატრანსფერო ფასწარმოქმნის გამომწვევები საქართველოში

ბია ბერიძე

*ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
loroseri@gmail.com*

საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის პრობლემებთან დაკავშირებით წინამდებარე სტატია პირველია. მასში განხილულია სატრანსფერო ფასწარმოქმნის როგორც საგადასახადო-ეკონომიკური საკითხის მნიშვნელობა, ასევე გაანალიზებულია საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკები, მასთან დაკავშირებული სხვა არსებული პრობლემები და გამონეწევები, შემოთავაზებულია მათი გადაჭრის ზოგიერთი წინადადება.

საკვანძო სიტყვები: ტრანსფერფრაიზინგი; სატრანსფერო ფასწარმოქმნა; სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკები, საერთაშორისო დაბეგვრა.

ტრანსფერფრაიზინგის არსი და მნიშვნელობა

ეკონომიკის თავისუფლება დაგლობალიზაცია ინვესს მულტინაციონალური კომპანიების ზრდას. 2014 წლისათვის მულტინაციონალური კომპანიების წილი მსოფლიოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 35%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ ციფრის ნახევარი განვითარებად ქვეყნებზე მოდის [1, გვ. 7].

ახალ ბაზრებზე შესვლა კომპანიებისთვის ნიშნავს ფილიალების, შვილობილი კომპანიების, წარმომადგენლობების გახსნას, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ იმართება და კონტროლდებასათაო ოფისებიდან. ამ ოფისებსა და სხვადასხვა სახელმწიფოში არსებულ ჯგუფებს შორის ბიზნესგარიგებები ქმნიან მნიშვნელოვან წილს საერთაშორისო ვაჭრობასა და მომსახურებაში.

ერთ ქულქვემ არსებულ კომპანიებს შორის ბიზნესგარიგებების ფასს, საგადასახადო ენაზე, ჰქვია სატრანსფერო ფასი (transfer prices), რომელიც შეიძლება არ

იყოს საბაზრო ფასი („გაშლილი ხელის პრინციპით“ დადგენილი ფასი). ამ ფასით საგადასახადო შეღავათს იღებენ ბიზნესის მფლობელები, ხოლო ის ქვეყნები, სადაც ეს კომპანიები მუშაობენ - საგადასახადო შემოსავლების დანაკლისს.

ტრანსფერფრაიზინგი ბოლო 2-3 ათწლეულის ყველაზე მწვავე საერთაშორისო საგადასახადო რისკპრობლემაა მსოფლიოში. 1994 წლიდან 2014 წლამდე ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც ტრანსფერფრაიზინგი ასახეს კანონდებლობაში, 4-დან 80- მდე გაიზარდა [1, გვ. 6] .

სატრანსფერო ფასწარმოქმნის მიდგომები მხოლოდ მულტინაციონალურ კომპანიებს არ მოიცავს, ის შეიძლება მოიცავდეს ასევე ბიზნესგარიგებებს ნათესავეებს, ოფშორულ კომპანიებს და სხვა ურთიერთდამოკიდებულ (საგადასახადო კოდექსის მიხედვით) მხარეებს შორის, რომელთა ნათესაურმა თუ სხვა ახლო კავშირმა საბაზრო ფასზე შეიძლება გავლენა მოახდინოს.

კომპანიების გარიგებებში საბაზრო ფასის გამოუყენებლობა ინვესს საგადასახადო ვალდებულებების შემცირებას ამა თუ იმ ფორმით: საბაჟო მოსაკრებლების და გადასახადების შემცირება, მოგების (დივიდენდის) შემცირება, ვალუტის კურსით გამონწვეული მოგება-ზარალით მანევრირება სხვადასხვა ქვეყანაში საქმიანობის გზით, მოგების ერთი ქვეყნიდან მეორეში „გადაქაჩვით“ და ა.შ.

შესაბამისად, ტრანსფერფრაიზინგი გავლენას ახდენს როგორც საგადასახადო შემოსავლებზე, ასევე ინვესტიციებზე და კონკურენციის დონეზე, რადგან, არათანაბარ პირობებში ვარდებიან კომპანიები, რომლებიც კეთილსინდისიერადიხდიან გადასახადებს.

მრავალმა კვლევამ აჩვენა, რომ სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობის დანერგვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოგების ერთი ქვეყნიდან სხვაგან გადატანის შესამცირებლად და ქვეყნების საგადასახადო შემოსავლების ზრდის კუთხით [1, გვ. 2].

ტრანსფერფრაიზინგთან დაკავშირებით ქართულ ენაზე ჯერ არ გამოქვეყნებულა კვლევითი ან/და ანალიტიკური ტიპის ნაშრომი, შესაბამისად, მოცემული თემა აქტუალურია.

ქართული გამოცდილება

საქართველოს მიერ საკანონმდებლო ბაზის ფორმირება ტრანსფერფრაიზინგის მიმართულებით და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა, მნიშვნელოვანი სიახლეა მსხვილი და საშუალო ქართული ბიზნესისთვის,

საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2012 წლიდან ითვალისწინებს ტრანსფერფრაიზინგს. კოდექსის XVII თავით და ფინანსთა მინისტრის 2013 წლის №423 ბრძანებით დადგენილია საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების (ტრანსფერფრაიზინგის) შეფასების ზოგადი პრინციპები, შეფასების მეთოდები და ასეთ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმება.

კანონმდებლობით განისაზღვრა საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მეთოდები და მასი გამოყენება, დამოუკიდებელი ოპერაციების შედარებადობის განსაზღვრა, ოპერაციის კორექტირების განხორციელების წესი, ოპერაციის მხარეთა მიერ საგადასახადო ორგანოსათვის წარსადგენი ინფორმაცია, დოკუმენტთა ნუსხა, საბაზრო ფასების ინფორმაციის წყაროები, კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში შესამონმებელი ოპერაციების ფასი ჩაითვლება საბაზრო ფასად, პროცედურები საერთაშორისო კონტროლირებულ ოპერაციებთან დაკავშირებული წინასწარი შეთანხმებებისა და ორმაგი ეკონომიკური დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად, ფასების დიაპაზონის გამოყენების წესი, საერთაშორისო კონტროლირებული ოპერაციების შეფასების მიზნებისთვის გამოსაყენებელი ვადები და სხვა პროცედურული საკითხები.

აღსანიშნავია, რომ მეზობელი ქვეყნების – აზერბაიჯანის და სომხეთის კანონმდებლობაში არ არის ასახული სატრანსფერო ფასწარმოქმნის მექანიზმები.

ტრანსფერფრაიზინგის მაგალითს წარმოადგენს საქართველოში არსებული კომპანიის მიერ აღებული სესხი დედა კომპანიისგან (ურთიერთდამოკიდებული პირისგან), რომელიც საქართველოში არ მდებარეობს, მხარეები ხელშეკრულებაში აფიქსირებენ საბაზრო საპროცენტო განაკვეთზე მაღალ განაკვეთს. პროცენტის გადამხდელი მხარისთვის სარგებელია ის, რომ ხარჯებში იმაზე მეტს გამოიქვითავს, ვიდრე ეკუთვნის, ხოლო ახალი მოგების გადასახადის წესებით (ესტონური მოდელი) შეიმცირებს გასანაწილებელ მოგებას, მიმღები კომპანია ლებულობს საპროცენტო შემოსავალს, რომელიც ჩვეულებრივ შემთხვევაში მოგების გადასახადით უნდა დაბეგრლიყო (15%), ან მაგალითად, საქართველოს კომპანია ყიდულობს საქონელს ოფშორული კომპანიისგან, რომელიც არ იხდის გადასახადებს და საქონლის გაყიდვის დოკუმენტებში შეუძლია საბაზრო ფასზე მეტი ჩანეროს, აღნიშნული ინვესს საქართველოს კომპანიის ხარჯების ზრდას და მოგების მარჟის შემცირებას.

საბაზრო ფასის დადგენისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსიც აპრობირებულ ხუთ მეთოდს იყენებს. ესენია: შედარებადი დამოუკიდებელი ფასის მეთოდი; გადაყიდვის ფასის მეთოდი; ფასნამატის მეთოდი; ოპერაციის სუფთა მარჟის მეთოდი და ოპერაციის მოგების გაყოფის მეთოდი. კომპანიის მიერ საბაზრო ფასით მისაღები შემოსავლების და ხარჯების დასადგენად ტრანსფერფრაიზინგი იყენებს სტატისტიკურ მეთოდებს და ეყრდნობა სხვადასხვა ფინანსურ მაჩვენებლის როგორცაა ROA, ROCE, EBIT, FCM, Berry Ratio.

ტრანსფერფრაიზინგი, როგორც დარგის სპეციალისტები უწოდებენ, უფრო ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება, რადგან ტრანსფერფრაიზინგით თეორიულად შესაძლებელია მულტინაციონალურმა კომპანიებმა და საგადასახადო ორგანოებმა უსასრულოდ იდავონ საბაზრო ფასის ზღვარზე. თუმცა, ტრანსფერფრაიზინგის ასახვა კანონმდებლობაში, უკვე სიგნალია მულტინაციონალური და სხვა დაინტე-

რესებული მხარეებისთვის, რომ ისინი ვერ გაექცევიან კანონით გათვალისწინებულ, მსოფლიოში აპრობირებულ მოდელს, ვერ მოახდენენ საბაზრო გარიგებებში ფასის შემცირებით საგადასახადო ბაზის ეროზიას.

გარდა აღნიშნულისა, რჩება გამოწვევები როგორც ბიზნესის, საკონსულტაციო კომპანიების, ასევე საგადასახადო და დავის განმხილველი სასამართლო ორგანოებისთვის, რაც დაკავშირებულია სიახლესთან: მხარეები საჭიროებენ სათანადო პროფესიულ მომზადებას დარგში და ერთიანი პრაქტიკის დამკვიდრებას, ისე, რომ ჯერ ერთი მხრივ, არ დაზიანდეს ბიზნესი და მეორე მხრივ – საგადასახადო ბაზა.

საგადასახადო ორგანოებმა უნდა დაიცვან საგადასახადო ბაზა და შემოსავლები, ხოლო მულტინაციონალურმა კომპანიებმა თავი აარიდონ ორმაგ დაბეგრვას და ჰქონდეთ მკაფიოდ განერილი წესები.

ამასთან, მალე ამოქმედდება სატრანსფერო ფასწარმოქმნის წინასწარი შეთანხმების ფასიანი მექანიზმი, რომლის საფუძველზე, ბიზნესს უფლება ექნება, მიმართოს შემოსავლების სამსახურს და წინასწარ განსაზღვროს კრიტერიუმები ურთიერთდამოკიდებულ პირებთან, და იცოდეს საბაზრო ფასის დიაპაზონი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიზნეს რისკებს.

გამოწვევად რჩება ასევე ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, რათა მოხდეს ინფორმაციის გაცვლა მათში სატრანსფერო ანგარიშების (CbC) შესახებ. ქვეყნების სატრანსფერო ანგარიშების წარდგენა ითვალისწინებს იმპულტინაციონალური კომპანიების მიერ სპეციალური ანგარიშის წარდგენას, რომელთა ნლიური ბრუნვა 750 მლნ ევროზე მეტია. ეს მნიშვნელოვან სიახლეს სატრანსფერო ფასწარმოქმნის განვითარებისა და გადასახადების გადახდის თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლაში. ანგარიშების მთავარი მიზანი საგადასახადო ადმინისტრაციებისათვის ყველაზე მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და საგადასახადო რისკების შესახებ ინფორმაციის მინოდება.

ქვეყნების სატრანსფერო ანგარიშების მუშაობის მოდელი შემდეგია: ჯგუფის საბოლოო მფლობელი - დედა კომპანია (Ultimate Parent Entity) ამზადებს შესაბამის ანგარიშს და გზავნის თავისი საგადასახადო რეზიდენტობის მიხედვით, საგადასახადო ადმინისტრაციაში. აღნიშნული საგადასახადო ადმინისტრაცია, ავტომატურად გაცვლის ანგარიშს იმ ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციებთან, რომლებიც მითითებულია ანგარიშში, როგორც ადგილი, სადაც ჯგუფს ჰყავს საგადასახადო მიზნებისთვის რეზიდენტი შემადგენელი კომპანია (Constituent Entity). აღნიშნული ინფორმაციის გაცვლა მყოფი შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე.

სატრანსფერო ანგარიში და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებები განსაზღვრავს მნიშვნელოვან დებულებებს, რომლებიც შეეხება ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. მნიშვნელოვანია ინფორმაციის კონ-

ფიდენციალურობის დაცვა და ანგარიშების გამოყენება მხოლოდ ნებადართული მიზნებისთვის. OECD-ს სტანდარტის მიხედვით, ქვეყნების ანგარიშების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სატრანსფერო ფასწარმოქმნის მაღალი რისკების შეფასების მიზნისათვის, სხვა საგადასახადო რისკების და რიგ შემთხვევაში ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზისათვის. იგივე სტანდარტი მოითხოვს არ მოხდეს ანგარიშების გამოყენება ინდივიდუალური ტრანზაქციების ტრანსფერული ფასწარმოქმნის დეტალური ანალიზის ნაცვლად. ანგარიშში ასახული ინფორმაცია დამოუკიდებლად არ წარმოადგენს დასკვნით მტკიცებულებას იმის შესაფასებლად, შესაბამისია თუ არა „გაშლილი ხელის პრინციპის“ გარიგების ფასები.

ქვეყნების სატრანსფერო ანგარიშის (Country-by country reporting) პროცესში ჩართვისათვის, ინფორმაციის მიღებისა და გაცემისათვის, საჭიროა ქვეყანამ ხელი მოაწეროს შესაბამის სამართლებრივ ინსტრუმენტებს (ხელშეკრულებებს) და შიდა კანონმდებლობაში დანერგოს შესაბამისი ცვლილებები (domestic legal and administrative framework).

2016 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა მრავალმხრივ შეთანხმებას ქვეყნების სატრანსფერო ანგარიშების გაცვლასთან დაკავშირებით (Multilateral Competent Authority Agreement).

ძალაშია, ასევე საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმება მრავალ ქვეყანასთან. შემდეგი ეტაპი იქნება შიდა კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების დანერგვა, რომლითაც საქართველოში არსებულ 750 მლნ ეუროზე მეტი წლიური ბრუნვის მქონე მულტინაციონალურ კომპანიებს დაეკისრებათ ყოველწლიურად სპეციალური ანგარიშის წარდგენის ვალდებულება კომპეტენტურ საგადასახადო ადმინისტრაციაში.

სანამ საქართველოში აარ დაინერგება და არ ვიქნებით ინფორმაციის მიმწოდებლები, დანარჩენ ქვეყნებს არ ექნებათ სამართლებრივი ვალდებულება მოგვანოდონ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

მთავარ გამოწვევად რჩება სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკების დადგენა. ბიზნესმა და საგადასახადო ორგანოებმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის ძირითადი ოპერაციები, რომლებიც ინვესტს სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკებს (იხ. სქემა).

სატრანსფერო ფასწარმოქმნის რისკები [5, გვ.25]

რისკის სახეობა	სატრანსფერო რისკის აღწერა
ურთიერთდაკავშირებული პირების მნიშვნელოვანი ტრანზაქციები, დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ქვეყანაში	იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესგარიგება დაბალი საგადასახადო განაკვეთების ქვეყანასთან არის, არსებობს რისკი, რომ მეტი მოგება დაიბეგრება დაბალ გადასახადის იურისდიქციაში.
არამატერიალური აქტივების ურთიერთგადაცემა დაკავშირებულ მხარეებს შორის.	ამ ხასიათის ტრანზაქციები რთული შესაფასებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის უნიკალურია და არ არსებობს შესადარებლები.
ბიზნესის რესტრუქტურისა	ბიზნესის რესტრუქტურისა იყო დარჩება OECD-ის სპეციფიკური კვლევის საგანი, როგორც მაღალი რისკის მქონე ოპერაცია.
სპეციფიკური გადახდები	სესხის პროცენტის, სადაზღვეო პრემიუმის, დაკავშირებულ მხარეებს შორის როიალტის გადახდა წარმოშობს რისკს, რომ გადახდილი ფასი შეიძლება არ იყოს საბაზრო.
ზარალზე ყოფნა	წლიდან წლამდე ზარალზე ყოფნა, როდესაც არ ხდება ბიზნესოპერაციების ან ფინანსების ცვლილება. მდგრად ზარალზე ყოფნა შეიძლება ნიშანი იყოს იმის, რომ არსწორად ხდება ანგარიშგება.
ცუდი შედეგები	როდესაც, მოგების ნორმები სექტორების მიხედვით დაბალია შესრულებული ფუნქციების გათვალისწინებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს, ფასების შემცირებას.
ეფექტური გადასახადები	ბიზნესჯგუფებს შორის დაბალი საგადასახადო იურიქსდიქციის ქვეყანაში მაღალი მოგების ალოკაცია.
საალრიცხვო დოკუმენტაციის არარასრულად წარმოება	გარიგებების დოკუმენტაციის არარსებობა ამცირებს ფასების საიმედოობის ხარისხს.
დიდი ოდენობით ვალი	ვალი, რომელსაც კომპანია არ აიღებდა, სხვა თანაბარ პირობებში ან სესხის პროცენტი, რომელიც საბაზრო განაკვეთზე მაღალია.

დასკვნები და წინადადებები

ამრიგად, სატრანსფერო ფასწარმოქმნის ოპერაციები მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან ურთიერთდამოკიდებულ ბიზნესსუბიექტებს შორის გარიგებების „გაშლილი ხელის პრინციპით“ დადება ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას, ამასთან, იმ პირობებში, როცა საქართველოში საგადასახადო ტვირთი სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით საკამოდ დაბალია, სატრანსფერო ფასწარმოქმნის პოლიტიკა მნიშვნელოვანია საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციისა და საგადასახადო კულტურის ასამაღლებლად.

სატრანსფერო რისკების დადგენისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს მაღალი რისკების მქონე ბიზნესტრანზაქციების იდენტიფიცირება ქართულ სინამდვილეში, მსგავსი ოპერაციები შეიძლება იყოს ფინანსური ტრანზაქციები და ბიზნესსუბიექტებს შორის შიდაჯგუფური მომსახურებები.

ბიზნესტრანზაქციების შესაფასებლად და შესადარებლების მოსაძიებლად საჭიროა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ ანალიტიკურ და მონაცემთა ბაზებთან წვდომის ყიდვა (AMADEUS, BLOOMBERG, THOMSON REUTERS), რაც ფინანსებთანაა დაკავშირებული.

საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან, გადასახადის გადამხდელებთან საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებზე მუშაობა, აღნიშნული მიმართულებით მათი ცოდნის დონის და საგადასახადო კულტურის ამაღლება

რადგან ტრანსფეროფრაიზინგი არ არის ზუსტი მეცნიერება[2,გვ.38], შესაბამისად, ნებისმიერ სატრანსფერო ფასწარმოქმნის ოპერაციამ შეიძლება ბიზნეს - რისკი შეუქმნას კომპანიებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია კერძო საკონსულტაციო აუდიტური და სახელმწიფო სექტორის თანაშრომლობა საერთო პრაქტიკის და მიდგომების დანერგვისთვის.

მოგების ესტონური საგადასახადო მოდელის მიხედვით, საანგარიშო პერიოდი არის თვე, შესაბამისად საჭიროა სატრანსფერო ფასწარმოქმნით გამონვეული სხვაობის დაბეგვრის რომელიმე საანგარიშო პერიოდთან მიკუთვნება და შესაბამისი ნორმატიული ცვლილებები, სიტუაციური სახელმძღვანელოების (ე.წ მენუალები) შედგენა [3,გვ. 158].

ბიზნესის საიმედოობის ამაღლებისა და რისკების შესამცირებლად საჭიროა სატრანსფერო ფასწარმოქმნის წინასწარი გადანყვეტილებების მიღების პროცესის დაწყება. ვინაიდან, განხილული სფერო ცოდნატევადია და მრავალმრივი ანალიზის უნარს მოითხოვს, როგორცაა, ეკონომიკის, ფინანსური ინსტრუმენტების, სტატისტიკის, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის ცოდნა, სახელმწიფო მოხელეების და სისტემის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და შესაბამისი ანაზღაურება.

ქვეყნების სატრანსფერო ფასწარმოქმნის დოკუმენტების გაცვლასთან დაკა-

ვშირებით, სანამ საქართველოში არ დაინერგება საკანონმდებლო ცვლილებები დანერგვა და არ ვიქნებით ინფორმაციის მიმწოდებლები, დანარჩენ ქვეყნებს არ ექნებათ სამართლებრივი ვალდებულება მოგვანოდონ ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია. შესაბამისად, საქართველომ უნდა დააჩქაროს შიდა კანონმდებლობის დახვეწა ამ მიმართულებით.

ლიტერატურა:

1. Cooper J., Fox R., Loeprick J., Mohindra K -Transfer Pricing and Developing Economies, Washington, International Bank for Reconstruction and Development, 2016;<https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/25095>.
2. OECD, OECD Transfer Pricing Guidelines for Multinational Enterprises and Tax Administrations 2017, Paris, OECD Publishing, 2017.<http://dx.doi.org/10.1787/tpg-2017-en>.
3. ბერიძე გ., საგადასახადო რეფორმის ესტონური მოდელი და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2017, №1, გვ.152-161.

Transfer Pricing Challenges in Georgia

Gia Beridze

*Assoc. Professor, Business and Technology University
Doctoral student Ivane Javakhishvili Tbilisi State University
loroseri@gmail.com*

This article is the first try about Transfer pricing challenges in Georgia. The article deals with the importance of a tax-economical issue of Transfer pricing, as well as analysis of Transfer pricing issues and risks in Georgia, current problems, challenges and ways to deal with them.

Key words: Transfer pricing in Georgia; International taxation, tax changes in Georgia

„ჰოლანდიური დაავადება“ – ნორვეგიული მოდელის თავისებურებაანი

ნიკა ჩიტიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
nikachitishvili@gmail.com

ნაშრომში განხილულია „ჰოლანდიური დაავადება“, როგორც ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების ხელშემშლელი ფაქტორი, განხილულია „ჰოლანდიური დაავადება“, როგორც პრობლემა და მისი დამახასიათებელი ნიშნები. შემოთავაზებულია „ჰოლანდიური დაავადების“ დაძლევის ის ინსტრუმენტები, რომლითაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს შეუძლიათ პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ მოკლევადიანმა ეკონომიკურმა ბუმმა ხელი არ შეუშალოს ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: „ჰოლანდიური დაავადება“, ნორვეგიული მოდელი, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური ბუმი

„ჰოლანდიური დაავადება“, როგორც ჯანსაღი ეკონომიკის ხელშემშლელი ფაქტორი, წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერებისთვის სხვადასხვაგვარი მსჯელობის საკითხს. პირველ რიგში, აუცილებელია მისი არსისა და მისით „დაავადების“ მიზეზების ანალიზი, რის შემდეგაც შეიძლება ვიფიქროთ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაზე. აღნიშნული „დაავადების“ დაძლევისათვის საინტერესოა ნორვეგიული მოდელის, როგორც თანამედროვე ეკონომიკის „გადარჩენის“ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითის, ანალიზი. სტატიაში აღწერილია ნორვეგიის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გავლენა „ჰოლანდიური დაავადების“ დაძლევაზე. აღნიშნული საკითხის აქტუალობას განაპირობებს მისი თანამედროვე გამოვლინებები. მიუხედავად იმისა, რომ „ჰოლანდიური დაავადების“ თავდაპირველი ნიშნები XX საუკუნის შუა წლებში აღმოცენდა, ეს პრობლემა მსოფლიოს წინაშე კვლავაც დგას. შესაბამისად სტატიაში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს ისეთ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკას აარიდოს „ჰოლანდიური დაავადება“ და, შესაბამისად, ეკონომიკისთვის მიყენებული მკვეთრი ზიანი.

„ჰოლანდიური დაავადების“ არსი

„ჰოლანდიური დაავადება“ გულისხმობს ეკონომიკის კონკრეტული დარგის განვითარების გავლენას სხვა სექტორში წარმოების შემცირებაზე. მაგალითად, როგორ შეიძლება ბუნებრივი რესურსების ზრდამ გამოიწვიოს სოფლის მეურნეობის ან მრეწველობის პროდუქციის შემცირება.

ტერმინი – „ჰოლანდიური დაავადება“ შემოღებულ იქნა 1977 წელს. ის 1950-იან წლებში ნიდერლანდების სამეფოში, გრონოგენის რეგიონში აღმოჩენილ გაზის საბადოს უკავშირდება. საბადოს აღმოჩენის შემდეგ ქვეყანაში წარმოიშვა გაზის ექსპორტის ბუმი, რამაც გამოიწვია ინფლაცია და მრეწველობის დარგის მკვეთრი შემცირება. სხვაგვარად „ჰოლანდიური დაავადება“ ასეც განიმარტება: ეროვნული ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია გამოწვეული, ბუნებრივი რესურსების აღმოჩენის შედეგად ეროვნული ვალუტის ღირებულების ზრდით, რაც მრეწველობის დარგს ნაკლებად კონკურენტუნარიანს ხდის სხვა ქვეყნის ანალოგიურ დარგთან შედარებით, იმპორტის ზრდისა და ექსპორტის შემცირების ხარჯზე. აღნიშნულ ეკონომიკურ მოვლენას „ჰოლანდიური დაავადება“ ეწოდა იმიტომ, რომ პირველად ამ თემაზე მსჯელობა სწორედ აღნიშნული ქვეყნის მაგალითზე გაიმართა, თუმცა, დღემდე სხვა ქვეყნებშიც გამოვლინდა „ჰოლანდიური დაავადების“ ნიშნები [1, გვ.3], მათ შორისაა, მაგალითად, ავსტრალია, სადაც დღესაც მსჯელობენ სამთო მრეწველობასთან დაკავშირებულ „ჰოლანდიურ დაავადებაზე“.

რესურსების ბუმი ეკონომიკის დანარჩენ ნაწილზე ორგვარ ზემოქმედებას ახდენს, ესენია: მობილობის ეფექტი და ხარჯვითი ეფექტი [2, გვ7]

- რესურსების მობილობის ეფექტი: ენერგოსექტორში ფასების ზრდა იწვევს ამ სექტორში შრომის ზღვრული პროდუქტის ღირებულების ზრდას, რაც, თავის მხრივ, ზრდის წონასწორულ ხელფასს. აღნიშნული გარემოება ქმნის პირობებს შრომის გადინებისთვის ენერგო სექტორისკენ როგორც სამენარმეო, ასევე არასავაჭრო დარგებიდან. შედეგად ხდება შრომითი რესურსისგან დაცლილი დარგების (განსაკუთრებით შრომატევადი წარმოების შემთხვევაში) შევიწროება.

- ხარჯვითი ეფექტი: ბუნებრივი რესურსების ბუმი, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნეს აღნიშნულ ბუნებრივ რესურსებზე მსოფლიო ფასის ზრდით ან ახალი მარაგების აღმოჩენით, იწვევს ქვეყნის შემოსავლის ზრდას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს იმპორტის ზრდას როგორც სავაჭრო, ასევე არასავაჭრო სფეროში. წარმოების ფასები, ისევე როგორც ხელფასები, საერთაშორისო ფასების ადეკვატურად იწვევს მალლა, რაც აჩვენებს რეალურ კავშირს გაცვლით კურსთან. ამ ყველაფრის საფუძველზე თანდათანობით ხდება შრომისა და კაპიტალის გამოდევნა მრეწველობიდან.


მიუხედავად იმისა, რომ ნედლეულის ექსპორტის ხარჯზე მოკლევადიან პერიოდში მიიღწევა ეკონომიკის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ზოგიერთი მეცნიერის

აზრით, რასაც პრაქტიკულად ადასტურებს, გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა აღნიშნული პროცესი რისკის შემცველიც იყოს და ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზადაც გამოვლინდეს.

„ჰოლანდიური დაავადების“ ეფექტი დროის სხვადასხვა პერიოდში

როგორც ცნობილია, ეკონომიკური მოდელების მიხედვით, ქვეყანა უნდა დასპეციალიზდეს იმ დარგში, რომელშიც მისი შეფარდებითი უპირატესობა იკვეთება. ანუ, თეორიულად, ქვეყანა, რომელიც მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, უკეთესი იქნება, თუ დასპეციალიზდება ბუნებრივი რესურსების გადამუშავებით, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ბუნებრივი რესურსების ამონურვის, ან ბაზარზე მისი ფასის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში, რთულია „მიტოვებული“ მრეწველობისკენ დაბრუნება. შეუძლებელია სწრაფად აღორძინდეს მრეწველობის დარგი, იმიტომ, ის მრეწველობა დამოკიდებულია „სწავლება-კეთებით“ (learning-by-doing) პროცესზე, რაც მიანიშნებს დარგის გრძელვადიან და მრავალმხრივ განვითარებაზე, რომლის სწრაფად აღდგენა და, შესაბამისად, საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევა მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია. ეს შესაძლოა, ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი აღმოჩნდეს.

„ჰოლანდიური დაავადების“ ეფექტი დროის სხვადასხვა პერიოდში გრაფიკულად შემდეგნაირად გამოისახება:



მოცემულ გრაფიკზე აისახება მთლიანი შიგა პროდუქტის (ორდინატთა ღერძი) დამოკიდებულება დამოკიდებულება (G_1 , G_2) დროის პერიოდზე (აბსცისათა ღერძი). როგორც ვხედავთ, მოკლევადიან პერიოდში (A) ბუნებრივი რესურსების

ბუმს შეუძლია მშპ-ის და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა, თუმცა გრძელვადიანი პერიოდის განხილვისას (B) ნათელია, რომ ბუნებრივი რესურსების ბუმის არარსებობისას; ეკონომიკას განვითარების უკეთეს ნიშნულამდე შეუძლია მიღწევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სწრაფად შემოსული დიდი რაოდენობით ფული და მკვეთრად გამყარებული ვალუტა გრძელვადიან პერიოდში ხელს არ უწყობს ეკონომიკის ბუნებრივ განვითარებას, ვინაიდან ეკონომიკა დამოკიდებულია არა მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ ფაქტორზე ან დარგზე, არამედ საჭიროებს კომპლექსურ და სისტემურ განვითარებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, „ჰოლანდიური დაავადების“ კიდევ ერთი უარყოფითი მხარე შეიძლება იყოს ინვესტიციების შემცირება, რამდენადაც მომავალ ინვესტორებს არ აქვთ ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის განცდა და არ იციან როგორი იქნება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების წარმოებაზე დამოკიდებული ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობა. ამიტომ ისინი ამცირებენ ან სრულად წყვეტენ ინვესტიციების განხორციელებას. ასევე, პრობლემები შეიძლება გაჩნდეს კორუფციის და ჩამორჩენილ დარგებთან მიმართებით პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების გამო.

„ჰოლანდიური დაავადების“ აცილების გზები

არსებობს „ჰოლანდიური დაავადებით“ გამონწვეული საფრთხის აცილების ორი ძირითადი გზა: რეალური გაცვლითი კურსის ზრდის შენელება და წარმოების სხვადასხვა დარგის კონკურენტუნარიანობის ნახალისება.

პირველი ითვალისწინებს სწრაფი ზრდით მიღებული შემოსავლის სტერილიზაციას, ანუ მიღებული შემოსავლის შემოტანას ქვეყანაში არა ერთდროულად, არამედ საზღვარგარეთ ფონდებში შენახვას და ნელნელა შემოტანას. ასეთ შემთხვევაში სტერილიზაცია შეამცირებს ხარჯვით ეფექტს. ამასთანავე, შემოსავლების ნელნელა შემოდინება ხელს შეუწყობს ეკონომიკის სტაბილურობას და მდგრადობას წლიდან წლამდე, რაც ქვეყნის ეკონომიკას მკვეთრ ძვრებს ააცილებს. ასეთი ფონდების გამოცდილება უკვე გააჩნიათ ქვეყნებს – ნორვეგია (ნორვეგიის მთავრობის საპენსიო ფონდი), რუსეთი (რუსეთის ფედერაციის სტაბილიზაციის ფონდი), აზერბაიჯანი (აზერბაიჯანის ნავთობის ფონდი), ქუვეითი (ქუვეითის მომავალი თაობის ფონდი) და ა.შ.

ბიუჯეტის გადაჭარბების შემთხვევაში, რეალური სავალუტო კურსის ზრდის შენელებისთვის სახელმწიფომ შესაძლებელია ნახალისოს კერძო პირები, ფირმები და ფერმერული მეურნეობები, რომ გაზარდონ დანაზოგების რაოდენობა, რაც შესაძლებელია საშემოსავლო და მოგების გადასახადის შემცირების გზით.

რაც შეეხება მრეწველობის დარგების კონკურენტუნარიანობის ნახალისებას, ეს შესაძლებელია განათლების დონის ამაღლების და ინფრასტრუქტურის განვითარებით.

„ჰოლანდიური დაავადების“ ნორვეგიული მაგალითი

„ჰოლანდიურ დაავადებაზე“ მსჯელობისას მნიშვნელოვანია ნორვეგიის მაგალითის განხილვა. ნორვეგია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყანა, დგას „ჰოლანდიური დაავადებით“ დაინფიცირების ზღვარზე, ამიტომ, საინტერესოა სახელმწიფო რეგულირებისა და იმ ბერკეტების განხილვა, რომლითაც მთავრობა ახერხებს რისკების მაქსიმალურ შემზღვევასა და სტაბილური ეკონომიკის შენარჩუნებას.

ნორვეგიის მთავრობამ შექმნა „ნორვეგიის ნავთობის ფონდი“, რომელსაც შემდეგ შეეცვალა სახელი და დაერქვა „ნორვეგიის მთავრობის საპენსიო ფონდი“. მასში ხდება ნავთობით მიღებული შემოსავლის ინვესტირება, რათა სარგებელი მიიღოს როგორც ახლანდელმა, ასევე მომავალმა თაობამ. სახელმწიფოს შეუძლია წლის განმავლობაში სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებზე ფონდში დაგროვილი თანხის მხოლოდ 4%-ის ხარჯვა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს სახელმწიფოს გრძელვადიან გეგმებზე.

მთავრობის საპენსიო ფონდი 7000-ზე მეტ საერთაშორისო კომპანიაში შემოსავლების ინვესტირებით ახორციელებს როგორც შემოსავლების გადანაწილებას, ასევე შემოდინების დასტაბილურებას და მიღებული შემოსავლების კიდევ უფრო ზრდას. The Norwegian Government Pension Fund Global (GPF)–ს ამ დროისთვის დაახლოებით 56 მლრდ გირვანქა-სტერლინგის ინვესტიცია აქვს განხორციელებული გაერთიანებული სამეფოს უძრავ ქონებასა და საფონდო ბირჟაზე, რაც ფონდს ბრიტანეთის საფონდო ბირჟის ერთ-ერთ უმსხვილეს ინვესტორად აქცევს. ფონდი სტრატეგიულად 60%-ს აქციებში აბანდებს, 35%-ს ობილიგაციებში, ხოლო 5%-ს უძრავ ქონებაში.

ნორვეგიის მაგალითზე კარგად ჩანს ზემოთ ნახსენები „ჰოლანდიური დაავადების“ აცილების პირველი საშუალება, რომელიც ითვალისწინებს სწრაფი ზრდით მიღებული შემოსავლების სტერილიზაციას, ანუ ნორვეგიის მთავრობის გადანყვეტილებით, ნავთობით მიღებული შემოსავლები მოხმარდება ნორვეგიელ ხალხს, როგორც თანამედროვე ეპოქაში, ასევე ახლო თუ შორეულ მომავალში. ამასთანავე, შემოსავლების გადანაწილების საფუძველზე აცილებულ იქნა ქვეყნისთვის ნავთობის საბადოს აღმოჩენით მისაღები ეკონომიკური შოკი. ნორვეგიის მთავრობის მიერ შემოსავლების მსგავსი გადანაწილება მთლიანობაში ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და მდგრადობას.

„ჰოლანდიური დაავადების“ ნიშნები საქართველოში

„ჰოლანდიური დაავადების“ შესახებ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში არც თუ ბევრი კვლევაა ჩატარებული. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საკითხზე დაინყო მსჯელობა აკადემიკოსი ვლადიმერ ჰაპავაა, რომელიც აღწერს, რომ „ჰო-

ლანდიური დაავადების“ მკვეთრი ნიშნები საქართველოში ვარდების რეველუციის შემდგომ პერიოდში შეინიშნებოდა, რაც უკავშირდება კორუფციაში ბრალდებული თანამდებობის პირების მიერ თავისუფლების საფასურის გადახდისთვის დოლარში შენახული თანხების ლარში გადაცვლას და ქვეყანაში შემოტანას [3, გვ 268-273], ასევე მსჯელობაა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების გზავნილების გავლენაზეც.

დგას თუ არა დღეს საქართველო „ჰოლანდიური დაავადების“ შეყრის ზღვარზე, მართლაც რომ მნიშვნელოვანი განსჯის საგანია. უპირველეს ყოვლისა, უნდა განვიხილოთ ის რისკფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს ქვეყანაში უცხოური ვალუტის ქარბი შემოდინება. არ იქნება ლოგიკას მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისა და უფიზო მიმოსვლის შემოღების შემდეგ, შესაძლოა, უცხოური ვალუტის შემოდინებამ მკვეთრად იმატოს, თუმცა სამსჯელოა ის, თუ რამდენად იქნება ეს საკმარისი „ჰოლანდიური დაავადების“ შეყრისთვის.

* * *

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ „ჰოლანდიური დაავადება“ თავისი არსით, საკმაოდ ძლიერ გავლენას ახდეს ქვეყნის ეკონომიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად შესაძლოა მისი შემჩნევა არ იყოს მარტივი. აუცილებელია, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა, რომელიც განაპირობებს უცხოური ვალუტის შემოდინებას და ქვეყნის ვალუტის მკვეთრ გამყარებას, სწორად გაანალიზდეს და დადგინდეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. როგორც კვლევამ აჩვენა, ნორვეგიამ მოახერხა ეკონომიკური ინსტრუმენტების სწორად გამოყენება და ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი მიმართულებით წარმართვა, რამაც განაპირობა ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობა. საქართველოსთვის „ჰოლანდიური დაავადება“ ჯერ კიდევ ახალია, თუმცა, ვფიქრობთ, მისი შესწავლა აუცილებელია, რათა სამომავლოდ მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული „ჰოლანდიური დაავადებით“ გამონვეული რისკები. ჩვენს ქვეყანაში შესაძლოა არ დადგეს ბუნებრივი რესურსების აღმოჩენით მიღებული ექპორტის ბუმი (თუმცა, არც ეს არის გამორიცხული), მაგრამ შესაძლოა ევროპის ბაზრის გახსნამ, გზავნილების მკვეთრმა მატებამ, მართლაც დააყენოს საქართველო „ჰოლანდიური დაავადების“ შეყრის ზღვარზე, ამიტომ ყოველივე ზემოაღნიშნული სწორად უნდა იქნეს აღქმული, რათა ხელი არ შეეშალოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს. ნაშრომში განხილული მაგალითების მიხედვით, ასეა თუ ისეა, შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის განხილვისას სწორად იქნეს გაანალიზებული ეკონომიკური პოლიტიკის ის ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენებაც ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელს შესაძლებლობას მისცემს „ჰოლანდიური დაავადების“ ნიშნების გაჩენისთანავე, სწორი პროგნოზირებით, საჭიროებისამებრ, შესაბამისი ეკონომიკური ღონისძიებები განახორციელოს.

ლიტერატურა:

1. შაპაგა ვ. არატრადიციული ეკონომიქის, თბილისი, 2011.
2. Vostroknutova E. Brahmbhatt M. Canuto O. *Dealing with Dutch Disease*, 2010.
3. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია, თბილისი, 2014;

“Dutch Disease” - Features of the Norwegian Model

Nika Chitishvili,

Doctoral Student,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

nikachitishvili@gmail.com

The given article below analyzes Dutch Disease as a significant hampering issue on the way of economic development. This article aims to define Dutch Disease and demonstrate its problematic essence and at the same time to suggest solutions for this challenging matter. We scrutinize Dutch Disease and the ways for overcoming it, instruments, which enable decision-makers to pursue economic policy in a such direction, when short-term economic booms won't be able to hinder economic development.

Key words: Dutch Disease, Norwegian model, economic security, economic boom

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური დროითი მწკრივების
სტატისტიკური იმპუტაციის ახალი წესები

სიმონ გელაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი
simon.gelashvili@tsu.ge*

სტატისტიკური ანალიზისა და პროგნოზირების აუცილებელი პირობაა სრული და საიმედო რაოდენობრივი მონაცემების არსებობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს დროში თანმიმდევრობას და პერიოდიზაციას, ასევე ფორმალიზებული ასახვის შესაძლებლობას [5, გვ. 9]. მაგრამ ეს პირობები ყოველთვის არ სრულდება, რისთვისაც საჭირო ხდება მკვლევარის მიერ დამატებითი სამუშაოს ჩატარება, რაც მოიცავს ინფორმაციის სისრულისა და საიმედოობის დონის ამაღლებას სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთ ასეთ მეთოდს მიეკუთვნება იმპუტაცია. წინამდებარე სტატიის მიზანს წარმოადგენს სწორედ ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური დროითი მწკრივების სტატისტიკური იმპუტაცია ახალი წესების გამოყენებით.

ეკონომიკაში ყველა მოვლენა და პროცესი ერთმანეთთან დაკავშირებულია, მაგრამ მათი ურთიერთკავშირის სიმჭიდროვე სხვადასხვა ხარისხისაა. მოცემულ სტატიაში ჩვენი კვლევის ინტერპრეტირებას მოვახდენთ ორი ურთიერთდამოკიდებული მაჩვენებლის - შინამეურნეობების შემოსავლებისა და დანახარჯების მიხედვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოვლენათა ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება არ არის იდენტური ცნებები: ეკონომიკაში ყველა მოვლენა და პროცესი ურთიერთკავშირშია, მაგრამ ბევრი მათგანი მნიშვნელოვნად არ არის ერთმანეთზე დამოკიდებული. მაშასადამე, ყველა ურთიერთდამოკიდებული მოვლენა ერთმანეთთან კავშირშია, მაგრამ **ურთიერთკავშირში მყოფი**

ყველა მოვლენა არ არის ერთმანეთზე ძლიერ დამოკიდებული. ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ურთიერთდამოკიდებული მაჩვენებლების ამსახველი დროითი მწკრივების იმპუტაციის წესებს, რასაც როგორც თეორიული, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საკვანძო სიტყვები: იმპუტაცია; დროითი მწკრივი; არითმეტიკული საშუალო; კორელაცია; პროგნოზირება.


სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების სქემა

ნებისმიერი მოვლენისა და პროცესის (მათ შორის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა) სტატისტიკური ანალიზი და პროგნოზირება შეუძლებელია სათანადო რაოდენობრივი მონაცემების არსებობის გარეშე, რომელსაც საკმარისად მაღალი სისრულე და ხარისხი უნდა ჰქონდეს. ასეთი მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს [4, გვ. 64]:

1. სანდობის მაღალი დონე;
2. სისრულის მაღალი ხარისხი;
3. მრავალფეროვნება და კომპლექსურობა.

ასეთი მოთხოვნებით უზრუნველყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის მიღებამდე მრავალი მარტივი და რთული, ტექნიკური და მეცნიერული ოპერაცია უნდა განხორციელდეს. ანალიზისა და პროგნოზირებისათვის ვარგისი სტატისტიკური მონაცემებისათვის „მზა პროდუქციის“ სახის მიცემა ძლიერ რთული და შრომატევადი პროცესია, რაც, თანამედროვე ეტაპზე, ძირითადად „საწარმოს შვიდ საამქროში“ ხორციელდება, რის შემდეგაც ის გადის ბაზარზე. ის მოიცავს მრავალ ტექნოლოგიურ ციკლს, რაც ზოგადი სქემით ასე შეიძლება წარმოვადგინოთ [1, გვ. 30]:

სტატისტიკის მზა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური ციკლი



წარმოდგენილი სქემიდან ყოველი ტექნოლოგიური ციკლი, თავის მხრივ, მოიცავს მრავალ კონკრეტულ ეტაპს. ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ არა ყველა აქ მოცემულ ციკლს, არამედ მხოლოდ ერთს – იმპუტირებული მონაცემების გაა-

ნგა-რიშების ტექნიკას, ანუ იმპუტაციის პროცესს. იგი ერთ-ერთი ძირითადი ციკ-
ლია „სტატისტიკური მზა პროდუქციის“ წარმოების მთლიან პროცესში.

ნებისმიერი პროცესის ანალიზისა და პროგნოზირებისას მკვლევარის წინაშე
ხშირად ჩნდება ისეთი პრობლემა, როგორცაა საჭირო მოცულობისა და სტრუქ-
ტურის მონაცემთა უკმარისობა. იგი შეიძლება გამონვეული იყოს სხვადასხვა ობი-
ექტური მიზეზით. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალებაა
სტატისტიკური იმპუტაცია, რაც პრაქტიკული შინაარსით წარმოადგენს რაიმე
შესასწავლი პროცესის შესახებ არსებული მონაცემების შევსებას, მისი სისრუ-
ლის დონის ამალვებას. რეალურ სინამდვილეში ტექნიკურად ეს ხორციელდება
პირობითი (განაგარიშებითი) მონაცემების შეტანით მოცემული (არსებული) მონა-
ცემების მთლიან მასაში. აქ იგულისხმება ის, რომ ანალიზისათვის საჭირო მონაცემ-
თა ერთობლიობას (მასას) აკლია კონკრეტულ მონაცემთა რაღაც გარკვეული, მცი-
რე ნაწილი. სწორედ ამ ნაწილის შევსების თეორიული და პრაქტიკული პროცესია
იმპუტაცია. თანამედროვე პირობებში იგი უმეტესად ხორციელდება სპეციალური
კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც
მოცემულია სტატისტიკური მონაცემების დიდი მასა, ანუ დაკვირვებათა დიდი რი-
ცხვის შემცველი დროითი მწკრივები.

სტატისტიკური იმპუტაციის პროცესის განხორციელებამდე აუცილებელ
ეტაპს წარმოადგენს არსებული ინფორმაციული მასივის შემოწმება, ანუ რედაქტი-
რება მისი სისრულის დონის დასადგენად. ამ პროცესში, ჩვენი აზრით, შესაძლებე-
ლია სამი შემთხვევა [3, გვ. 59]:

- ✓ არსებულ ინფორმაციულ მასივში კონკრეტულ მონაცემთა ნაკლებობა გან-
პირობებულია შემთხვევითი ფაქტორებით;
- ✓ ინფორმაციის მთლიან მასივში მონაცემთა ნაწილის არარსებობა განპირო-
ბებულია მისი კომპონენტური მონაცემების დაუზუსტებელი სიდიდეების არსებო-
ბით;
- ✓ მონაცემთა ნაწილი შეიძლება არ არსებობდეს უკვე ჩატარებული შერჩევი-
თი დაკვირვების არარეპრეზენტატულობის შედეგად.

აქ აღნიშნულ ყველა შემთხვევაში აუცილებელია განხორციელდეს სტატისტი-
კური იმპუტაცია, რათა საბოლოოდ მიღებული იქნეს ეკონომიკური თუ სოციალუ-
რი ანალიზისათვის ვარგისი სათანადო მონაცემები.

სტატისტიკური იმპუტაციის მეთოდების ზოგადი დახასიათება

საზღვარგარეთ დღემდე გამოცემულ სპეციალურ ლიტერატურაში ცნობი-
ლია სტატისტიკური იმპუტაციის როგორც მარტივი, ასევე რთული მეთოდები
[6, გვ. 551], რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია არამხოლოდ ეკონომიკური,
არამედ სოციალური, დემოგრაფიული და სხვა პროცესების რაოდენობრივი ანა-

ლიზის დროს. მაგრამ ამ ცნობილი მეთოდების გარდა, ჩვენ მიერ შემუშავებულია ზოგიერთი ახალი მეთოდიც, რაც ქვემოთ იქნება განხილული. ისინი მეტ-ნაკლები წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიზნებით. იმპუტაციის როგორც უკვე ცნობილი, ასევე ჩვენ მიერ შემუშავებულ მეთოდებს მიეკუთვნება [2, გვ. 33]:

- იმპუტაცია სტატისტიკური საშუალო სიდიდეების გამოყენებით;
- სტრატეგიული იმპუტაცია;
- რეგრესიული იმპუტაცია;
- იმპუტაცია „უახლოესი მეზობლის“ პრინციპით;
- იმპუტაცია ისტორიული ანალოგიით;
- მრავალჯერადი იმპუტაცია;
- პროგნოზული იმპუტაცია;
- იმპუტაცია სამკუთხედის მეთოდით;
- იმპუტაცია ექსპერტული შეფასების მეთოდით.

აღნიშნული მეთოდების უმეტესობას, თავის მხრივ, გააჩნია კონკრეტული მოდიფიკაციები. ამჯერად ჩვენ ფართოდ და კონკრეტულად არ განვიხილავთ იმპუტაციის აქ ჩამოთვლილ მეთოდებს, არამედ შემოგთავაზებთ სტატისტიკური იმპუტაციის ახალ წესებს, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა შემუშავებული. მათი პრაქტიკული გამოყენების საილუსტრაციოდ და მიღებული შედეგების შედარებისათვის, მოვიყვანოთ ცხრილი 1 – „შინამეურნეობების შემოსავლებისა და დანახარჯების დინამიკა საქართველოში“, რომელშიც ასახულია ურთიერთდამოკიდებული მაჩვენებლების ორი დროითი მწკრივის დინამიკა 2003-2015 წლების პერიოდისათვის.

შინამეურნეობების შემოსავლებისა და დანახარჯების დინამიკა საქართველოში [8].

ცხრილი 1

	2003	2005	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
საშუალო- თვიური შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)	85	92	115	147	155	179	195	218	247	273	285
საშუალო- თვიური ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)	100	102	124	150	151	170	190	212	242	265	280

ცხრილში მოცემული ორივე დროითი მწკრივის ვიზუალური შეფასებით ვლინდება **ორი განსხვავებული ტენდენცია**, კერძოდ: 2003-2008 წლების პერიოდში შინამეურნეობების შემოსავლების მოცულობა ყოველწლიურად ნაკლები იყო იმავე წლებში განეულ ხარჯებზე, ხოლო 2009-2015 წლებში კი ადგილი ჰქონდა საპირისპირო ტენდენციას, ანუ ყოველწლიურად შინამეურნეობების შემოსავლები უფრო მეტი იყო, ვიდრე ხარჯები, რაც ლოგიკური სიტუაციაა. როგორც სპეციალისტებისთვის ცნობილია, შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები არამხოლოდ სხვა ფაქტორებთან, არამედ ერთმანეთთანაც მჭიდრო კორელაციაშია. აღნიშნულის დასადასტურებლად გავიანგარიშოთ კორელაციის წრფივი კოეფიციენტი, რისთვისაც გამოვიყენოთ სპეციალური ლიტერატურიდან კარგად ცნობილი შემდეგი ფორმულა:

$$r = \frac{xy - x \cdot y}{\sigma_x \cdot \sigma_y}, \quad (1)$$

სადაც \bar{xy} - შესაბამისად, ფაქტორული და საშედეგო ნიშნების ნამრავლთა საშუალო სიდიდეა (ჩვენს შემთხვევაში x შინამეურნეობების შემოსავლება, ხოლო y - ხარჯები);

\bar{x} და \bar{y} - შესაბამისად, ფაქტორული და საშედეგო ნიშნების საშუალო მნიშვნელობებია და გაიანგარიშება მარტივი არითმეტიკული საშუალოს ფორმულებით:

$$\bar{x} = (\sum x) / n \quad \text{და} \quad \bar{y} = (\sum y) / n; \quad (2)$$

σ_x და σ_y - საშუალო კვადრატული, ანუ სტანდარტული გადახრებია, რომელთა გაანგარიშების ერთ-ერთი წესი ასეთია:

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}}, \quad \sigma_y = \sqrt{\frac{\sum (y - \bar{y})^2}{n}}. \quad (3)$$

მოყვანილ ფორმულებში მოცემული კონკრეტული მაჩვენებლების გამოთვლის მიზნით შევადგინოთ შემდეგი გაანგარიშებითი ცხრილი(2):

x	y	xy	$x - \bar{x}$ ($\bar{x} = 181$)	$(x - \bar{x})^2$	$y - \bar{y}$ ($\bar{y} = 180,5$)	$(y - \bar{y})^2$
85	100	8500	-96	9216	-80,5	6480,3
92	102	9384	-89	7921	-78,5	6162,3
115	124	14260	-66	4356	-56,5	3192,3
147	150	22050	-34	1156	-30,5	930,3
155	151	23405	-26	676	-29,5	870,3
179	170	30430	-2	4	-10,5	110,3
195	190	37050	14	196	9,5	90,3
218	212	46216	37	1369	31,5	992,3
247	242	59774	66	4356	61,5	3782,3
273	265	72345	92	8464	84,5	7140,3
285	280	79800	104	10816	99,5	9900,3
$\Sigma=1991$	$\Sigma=1986$	$\Sigma=36656$		$\Sigma=48530$		$\Sigma=39651,3$

თუ გაანგარიშებითი ცხრილის მონაცემებს ჩავსვამთ ზემოთ მოყვანილ ფორმულაში, მივიღებთ: $\bar{x} = 181,0$; $\bar{y} = 180,5$.

ახლა კი გავიანგარიშოთ სტანდარტული გადახრების რიცხვითი მნიშვნელობები x და y-ის მიხედვით ზემოთ მოტანილი ფორმულებით:

$$\sigma_x = 66,4; \sigma_y = 61,1.$$

დაბოლოს, ყველა აქ გაანგარიშებული მაჩვენებლის საფუძველზე გამოვთვალოთ წყვილადი კორელაციის კოეფიციენტის კონკრეტული სიდიდე, რაც შეადგენს:

$$r = 0,982.$$


როგორც ჩანს, განხილულ მაჩვენებლებს შორის წყვილადი კორელაციის ნრფივი კოეფიციენტის კონკრეტული მნიშვნელობა ძალიან მაღალია, რაც მიუთითებს შინამეურნეობების შემოსავლებსა და ხარჯებს შორის მჭიდრო კორელაციურ ურთიერთკავშირზე. უფრო მეტიც, მათი ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს რეალობაში უახლოვდება ფუნქციონალურს, რაც ეკონომიკურად ნიშნავს იმას, რომ შინამეურნეობების შემოსავლების მოცულობა მცირეა და თითქმის მთლიანად მიდის აუცილებელი ხარჯების განევაზე. ამ შემთხვევაში

კი დაგროვების სიდიდე მიზერული ან ნულია. ასეთი კანონზომიერებანი დამახასიათებელია მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კი განსხვავებული სიტუაციაა, კერძოდ: მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიემართება დაგროვებაზე, რადგან შემოსავლების მოცულობა დიდად მეტია მოხმარების სიდიდეზე.

ახლა მივუბრუნდეთ მოცემულ დროით მწკრივებში იმპუტაციის განხორციელებას, რომლის დროსაც შესაძლებელია მრავალი ცნობილი თუ ჯერ კიდევ უცნობი, ანუ ახალი მეთოდის გამოყენება. ვთქვათ, მოყვანილ ცხრილში არ არის 2010 წლის საშუალოთვიური ხარჯები ერთ ადამიანზე გაანგარიშებით. მისი გამოთვლა მოვახდინოთ იმპუტაციის სხვადასხვა მეთოდით, რაც საშუალებას მოგვცემს ერთმანეთს შევუდაროთ მიღებული შედეგები და გამოვავლინოთ მათგან ყველაზე უფრო რეალური სიდიდე. იმპუტაციისთვის ჯერ გამოვიყენოთ სტატისტიკური საშუალოების მეთოდი. ამისათვის ავიღოთ ორი მოსაზღვრე წლის - 2009 და 2011 წლების მონაცემები და გავიანგარიშოთ მარტივი არითმეტიკული საშუალო სიდიდე:

$$\bar{y}_{2010} = \frac{151 + 190}{2} = 170,5. \quad (4)$$

იგივე მაჩვენებელი გავიანგარიშოთ იმპუტაციის ახალი, ჯერ კიდევ უცნობი წესით, მაგალითად, ჩვენ მიერ შემუშავებული სამკუთხედის წესით, რომელიც აიგება როგორც მოსახლეობის შემოსავლების, ასევე დანახარჯების სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე (იხ. შემდეგი ნახაზი):



აქ A, C და D არის შინამეურნეობების ხარჯები, შესაბამისად, 2009, 2010 და 2011 წლებისათვის, ხოლო B არის შინამეურნეობების შემოსავლების სიდიდე 2010 წლისათვის. ამ შემთხვევაში უცნობია მხოლოდ D-ს მნიშვნელობა, ხოლო დანარჩენი სიდიდეები, ანუ A, B და C კი ცნობილია. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ A, B, C და D არ არიან უცვლელი სიდიდეები და ყოველ მათგანს სხვადასხვა წლისათვის განსხვავებული კონკრეტული მნიშვნელობები აქვს.

D-ს კონკრეტული სიდიდე შეიძლება გამოვთვალოთ რამდენიმე ხერხით, კერძოდ, ერთ-ერთი მათგანი ასეთია:

$$D = A + (C - A)/2. \quad (5)$$

იმპუტირებული სიდიდე (D) შეიძლება გავიანგარიშოთ სხვანაირადაც, კერძოდ:

$$D = A + [|B-A| + |B-C|]/2. \quad (6)$$

პირველ შემთხვევაში, ანუ ფორმულა (5)-ის მიხედვით, მივიღებთ:

$$D_{2010} = 151 + (190 - 151)/2 = 151 + 19,5 = 170,5.$$

მეორე შემთხვევაში, ანუ ფორმულა (6)-ის მიხედვით კი გვექნება:

$$D_{2010} = 151 + [|179 - 151| + |179 - 190|]/2 = 151 + 19,5 = 170,5.$$

მიღებული შედეგების ურთიერთშედარებით ნათლად ჩანს, რომ სამივე წესით [(4), (5) და (6)] გაანგარიშებული იმპუტირებული მონაცემი ერთი და იმავე სიდიდისაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მარტივი წესები პრაქტიკულად რეალურ შედეგებს იძლევა, ანუ მათი გადახრა ფაქტობრივი სიდიდიდან უმნიშვნელოა და შეადგენს მხოლოდ 0,5-ს (170,5–170), ანუ 0,3%-ს. მაშასადამე, იმპუტირებული მაჩვენებელი ემთხვევა ფაქტობრივს, რაც ჩვენი წესების მაღალ სანდოობაზე მიუთითებს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ იმპუტაციის „სამკუთხედის წესი“ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მიკრო, ასევე მაკრომონაცემების არსებობისას. მაგრამ ეს მეთოდი გამოიყენება არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მხოლოდ ურთიერთდამოკიდებული დროითი მწკრივების შემთხვევაში, ანუ იგი გულისხმობს მონაცემთა მინიმუმ 2 მწკრივის არსებობას.

იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ იმპუტაციის ჩვენი წესების სანდოობაში და გამოვრიცხოთ შემთხვევითობა, მათი გამოყენებით განვახორციელოთ არარსებული მაჩვენებლის იმპუტაცია სხვა წლის მიხედვითაც, მაგალითად, 2011 წლისათვის. ამ შემთხვევაში ვუშვებთ, რომ მოცემულ ცხრილში (1) არ არის 2011 წლის შინამეურნეობების ხარჯების მაჩვენებელი. ანალოგიურად გავიანგარიშოთ ის (4), (5) და (6) ფორმულების გამოყენებით. მივიღებთ:

$$\bar{y}_{2011} = 190,5.$$

ფორმულა (5)-ის მიხედვით, მივიღებთ:

$$D_{2011} = 170 + (212 - 170)/2 = 170 + 21 = 191.$$

ხოლო ფორმულა (6)-ის მიხედვით კი გვექნება:

$$D_{2011} = 170 + [|195 - 170| + |195 - 212|]/2 = 170 + 21 = 191.$$

მამასადამე, იმპუტაცია სამივე წესის [(4), (5) და (6)] გამოყენებით მიიღება თითქმის ერთნაირი შედეგი (190,5 და 191 ლარი), რაც რეალურად ემთხვევა ფაქტობრივ სიდიდეს, რომელიც შეადგენს 190 ლარს. ამიტომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული იმპუტაციის ახალი და ამასთან, მარტივი წესები (5) და (6) ხასიათდება სანდოობის მაღალი ხარისხით და ის წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური (და არამხოლოდ ეკონომიკური) დროითი მწკრივების არსებობის შემთხვევაში. სხვადასხვა მოვლენისა და პროცესის ანალიზისა და პროგნოზირების დროს სტატისტიკური იმპუტაციის რომელიმე მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია კვლევის ობიექტის თავისებურებებზე, მის შესახებ არსებულ მონაცემთა ერთობ-ლიობაზე, ასევე კვლევის ძირითად მიზანსა და ამოცანებზე [7, გვ. 151]. ამასთან ერთად, ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ როგორი მაჩვენებლები ესაჭიროება მკვლევარს: პირველადი, ემპირიული მონაცემები, თუ კრებისითი და საშუალო სიდიდეები. ამაზე ჩვენი პასუხი ასეთია: თუ მკვლევარის მიზანია უფრო მეტად პირველადი მაჩვენებლების განსაზღვრა, ვიდრე განზოგადებული და საშუალო სიდიდეების გაანგარიშება, მაშინ სტატისტიკური იმპუტაციის განხორციელება აუცილებელია და მას ალტერნატივა არა აქვს. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება ის შემთხვევა, როდესაც არსებული ინფორმაციული მასივი არასრულია და მას აკლია ერთი ან რამდენიმე მაჩვენებელი.

დასკვნები და რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სტატისტიკური იმპუტაციის მეთოდების სრულყოფა და მისი პრაქტიკული გამოყენება ერთჯერადი აქტი კი არ არის, არამედ მუდმივად განვითარებადი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის პროცესში იმპუტაციის რომელიმე მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია საანალიზო მოვლენის თავისებურებებზე, მის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და მისი ცვლილების ტენდენციის მიმართულებაზე.

ჩვენ მიერ შემუშავებულმა იმპუტაციის „სამკუთხედის წესმა“ ანალიზის პროცესში სანდოობის მაღალი დონე აჩვენა, რაც იმის პირობაა, რომ საჭიროების შემთხვევაში ის წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ეკონომიკური თუ სხვა მოვლენების სტატისტიკურ ანალიზსა და პროგნოზირებაში.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს. (2012). ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 207 გვ.
2. გელაშვილი ს. (2012). სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. მონოგრაფია. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 200 გვ.

3. გელაშვილი ს. (2007). სტატისტიკური იმპუტაცია – ეკონომიკური განვითარების ტენდენციების ანალიზის თანამედროვე მეთოდი. სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ტენდენციები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში“. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, გვ. 58-61.
4. გელაშვილი ს. (2006). სტატისტიკური იმპუტაცია სოციალურ-ეკონომიკურ ანალიზში. ჟურნ. „ეკონომიკა“, №7-8, თბილისი, გვ. 45-51.
5. Gelaschwili, Simon (2007). Einführung in die Statistische Modellierung und Prognose. Universität Potsdam, Statistische Diskussionsbeiträge, Nr. 26: s. 25.
6. Schafer, Joseph L., and Maren K. Olsen (1998). „Multiple Imputation for Multivariate Missing-Data Problems: A Data Analyst’s Perspective.” *Multivariate Behavioral Research* 33(4): pp. 545–71.
7. Van Buuren, Stef, Jaap P. L. Brand, Karin Groothuis-Oudshoorn, and Donald B. Rubin (2006). „Fully Conditional Specification in Multivariate Imputation.” *Journal of Statistical Computation and Simulation* 76(12): pp. 149–64.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები (www.geostat.ge)

New rules of Statistical Imputation for Interdependent Economic Time Series

Simon Gelashvili

Full Professor,

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

simon.gelashvili@tsu.ge

The article describes the technological scheme of the production of „statistical finished products” and the prerequisites for implementation of imputation, as well as the imputation methods known to date and new ones. According to the official statistical information, correlation coefficient between households’ income and expenses is calculated (in the case of Georgia’s). On the basis of time series, the practical application of the new „triangle method” of the imputation is analyzed; its results are compared with the calculations made by various methods, which clearly revealed the high level of reliability of the new method developed by us.

Keywords: imputation; time series; correlation; arithmetic average; forecasting.

სამედიცინო ბაზარი: არსი, სპეციფიკა, სტიმულები

თენგიზ პერულავა

*მედიცინის აკადემიური დოქტორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ჯანდაცვისა და დაზღვევის ინსტიტუტის დირექტორი*

სტატიაში მიმოხილულია სამედიცინო ბაზრის თავისებურებები. დასაბუთებულია განსხვავება სამედიცინო ბაზრასა და ჩვეულებრივ ბაზარს შორის. დახასიათებულია სამედიცინო ბაზრის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება და სამედიცინო მომსახურების მიწოდების სპეციფიკურობა. გამოყოფილია სამედიცინო ბაზრის ძირითადი ნიშნები: რისკები და გაურკვევლობა, არასრული ინფორმაცია (ინფორმაციის ასიმეტრია), საბაზრო ძალაუფლება, შეზღუდული კონკურენცია, გარეგანი ეფექტები, საზოგადოებრივი სიკეთის წარმოება.

საკვანძო სიტყვები: ჯანდაცვის ეკონომიკა; სამედიცინო ბაზარი; ბაზრის ჩავარდნები; სრულყოფილი კონკურენცია; შეზღუდული კონკურენცია; საბაზრო ძალები; თანასწორობა; ეკონომიკური ეფექტიანობა

ჯანდაცვის სექტორი, როგორც ეკონომიკის დარგი, თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება. ეს სპეციფიკა ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმებს განაპირობებს. თუმცა, საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ ჯანდაცვის ეკონომიკა არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრისაგან. ამ მხრივ, საინტერესოა დავადგინოთ თუ რა განსხვავებაა სამედიცინო ბაზრასა და ჩვეულებრივ ბაზარს შორის და რით არის განპირობებული ეს განსხვავება.

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის უილიამ ჰსიასოს მიხედვით, ჯანდაცვა „პათოლოგიური ეკონომიკაა, სადაც საბაზრო ძალების გავლენა სერვისების მოცულობაზე, მათ ფასსა და ხარისხზე არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი ბაზრებისგან“ [1]. სამედიცინო ბაზრის ასეთი განსხვავება ჩვეულებრივი ბაზრისაგან განპირობებულია სამედიცინო მომსახურების სოციალურ-ეკონომიკური ბუნებით და

სამედიცინო მომსახურების მიწოდების სპეციფიკურობით, კერძოდ, მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე ხშირად ატარებს არამხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ სოციალურ ხასიათსაც („საზოგადოებრივი სიკეთეები” სამედიცინო ბაზარზე) და მოითხოვს ცალკეულ მომხმარებელთა სახსრების გავრთიანებას. ასეთ სიტუაციებს, სადაც ბაზარს არ შეუძლია რესურსების ეფექტიანი განაწილება, უწოდებენ ბაზრის ჩავარდნებს. ბაზრის ძირითადი ჩავარდნებია: რისკები და გაურკვეველობა, არასრული ინფორმაცია (ინფორმაციის ასიმეტრია), საბაზრო ძალაუფლება, შეზღუდული კონკურენცია, გარეგანი ეფექტები, საზოგადოებრივი სიკეთის წარმოება.

რისკები და გაურკვეველობა

ჩვეულებრივი ბაზრის ერთ-ერთი პირობაა მომხმარებლის გარკვეულობა. ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელი თავისი შესაძლებლობის მიხედვით განსაზღვრავს თუ როდის, სად და რა ფასად იყიდოს საქონელი. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევებში, წინდანი არავინ იცის თუ როდის წარმოიშობა სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა. იგი სავარაუდო ხასიათს ატარებს და მას გაურკვეველობის ფენომენს უწოდებენ [2]. მომხმარებლებისათვის გაურკვეველია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სამედიცინო მომსახურების საჭიროება დროის ნებისმიერ პერიოდში. მათ არ შეუძლიათ რაციონალურად დაგეგმონ სამედიცინო მომსახურების ხარჯები, რომლის მოცულობა შესაძლებელია მნიშვნელოვანს შეადგენდეს მისი საჭიროების დადგომისას. მათ არ შეუძლიათ განსაზღვრონ არც მათი მკურნალობის მოსალოდნელი შედეგები. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებლის სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნა, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ჩვეულებრივი ბაზრის წესებისგან განსხვავებულია.

გაურკვეველობა შეინიშნება სამედიცინო მომსახურების მიწოდებლების მხრიდანაც. ჩვეულებრივ ბაზარზე მიწოდებლებმა იციან თუ რა საქონელი ან მომსახურება მიაწოდონ მომხმარებლებს. სამედიცინო ბაზარზე ექიმებს არ შეუძლიათ წინასწარ დაადგინონ მათ მიერ ჩატარებული მკურნალობის შედეგი [2]. სამედიცინო ბაზარზე როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის კუთხით არსებული ასეთი სახის გაურკვეველობა სხვადასხვა რისკის არსებობის გამო განაპირობებს მესამე მხარის (მაგ., სადაზღვევო კომპანია) არსებობის აუცილებლობას. შედეგად, რადგან სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება მესამე მხარის (სადაზღვევო კომპანია ან სახელმწიფო) მიერ, და პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს შორის არ არსებობს, „ფასი” გაურკვეველია და ნაკლებად შეესაბამება ჩვეულებრივ ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველს შორის გარიგებით მიღწეულ ფასს. აქვე აღსანიშნავია, რომ სამედიცინო მომსახურების ფასი ხშირად არ გამოსახავს მის წარმოებაზე დახარჯულ რესურსებს და შეიძლება აღემატებოდეს

დეს კიდევ. სამედიცინო მომსახურების ფასი უფრო ნდობასა და სამედიცინო პერსონალის პროფესიული ქცევის უწყვეტ ურთიერთობებს ემყარება. გასათვალისწინებელია, რომ სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები (ექიმები, სამედიცინო დაწესებულებები) რთულ საქმიანობას ეწევიან. იგი ადამიანის სიცოცხლესთანაა დაკავშირებული და შესაბამისად, ასეთი სახის სერვისების გაყიდვა არ არის მარტივი.

სამედიცინო მომსახურების როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება არაპროგნოზირებადია, რადგან არავინ იცის თუ როდის დადგება მისი საჭიროება. ამასთან, მისი მიღება, მასზე ხელმისაწვდომობა (როგორც ფინანსური, ასევე გეოგრაფიული) ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ იმ დროს, როდესაც პაციენტს დაუდგება მისი საჭიროება.

ამგვარად, გაურკვეველობა ჯანდაცვის სფეროს გამოკვეთილი მახასიათებელია, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი ბაზრისაგან და შესაბამისად, ზრდის სახელმწიფოს როლს ჯანდაცვის სისტემის რეგულირების თვალსაზრისით.

წინასწარი გადახდის სისტემების (დაზღვევა, სახელმწიფო დაფინანსება) მნიშვნელობა

ჩვეულებრივ ბაზარზე, მომხმარებელსა და მიმწოდებლებს შორის გარიგებისას მყარდება პირდაპირი კავშირი. ამისგან განსხვავებით, სამედიცინო ბაზარზე არსებული გაურკვეველობისა და რისკებისაგან დასაცავად, ავადმყოფობის შემთხვევაში ერთდროული, დიდი დანახარჯების თავიდან ასაცილებლად ადამიანი წინდანინ ქმნის დანახოვებს, ან მიმართავს დაზღვევას. სამედიცინო ბაზარზე სამედიცინო მომსახურების უდიდესი ნაწილი ფინანსდება დაზღვევისა და გადასახადების მეშვეობით, რის გამოც, პირდაპირი კავშირი მყიდველსა და გამყიდველს, გადახდილ და დახარჯულ რესურსებს შორის არ არსებობს. ფაქტიურად, პაციენტი იზოლირებულია სამედიცინო მომსახურების პირდაპირი ხარჯებისაგან. უმრავლეს ქვეყნებში ჯანდაცვის ხარჯების დაახლოებით 80-85%-ს იხდის მესამე მხარე - სახელმწიფო ან სადაზღვევო კომპანია.

ჩვეულებრივ ბაზარზე საქონლის წარმოებას, დაფინანსებას, და განაწილებას თავად კერძო სექტორი ახორციელებს, ცხადია, სახელმწიფოს მცირე მარეგულირებელი როლით. ჯანდაცვის სექტორში სამედიცინო მომსახურების დაფინანსებასა და მიწოდებაში სახელმწიფო უმთავრესი მოთამაშეა. განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვის ხარჯებში სახელმწიფო ხარჯების წილი 75%-მდე გაიზარდა. მომხმარებელსა და მიმწოდებლებს შორის პირდაპირი კავშირის არარსებობა ამცირებს ფასის ეფექტს. დაზღვევა ცვლის სამედიცინო მომსახურებაზე მოთხოვნას, რაც თავის მხრივ, ცვლის პროვაიდერთა ქცევას, მათ სტიმულებს.

არასრული ინფორმაცია (ინფორმაციის ასიმეტრია)

საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა მომხმარებლის სრული და სიმეტრიული (ყველასათვის თანაბარი) ინფორმირებულობა საქონლის (ან მომსახურების) ფასზე, მოცულობასა და ხარისხზე. თუმცა, სინამდვილეში, ადამიანები ფლობენ არასრულ და ასიმეტრიულ ინფორმაციას. შედეგად, ისინი, რომლებიც ფლობენ მეტ ინფორმაციას, შეუძლიათ მიიღონ ეკონომიკური მოგება ეკონომიკური საქმიანობის სხვა მონაწილეების ხარჯზე. მდგომარეობას, როდესაც ინფორმაცია პროდუქტზე ხელმისაწვდომია ბაზრის მხოლოდ ზოგიერთი მონაწილისათვის და არა ყველასათვის, ინფორმაციის ასიმეტრია ეწოდება.

სამედიცინო ბაზარზე თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე უფრო რთული მდგომარეობა შეინიშნება, რაც განპირობებულია მოთხოვნასა და მიწოდებაზე სრულყოფილი ინფორმაციის და სამედიცინო მომსახურების ხარისხის განსაზღვრის ზუსტი კრიტერიუმების არარსებობით. სამედიცინო მომსახურების მომხმარებელი არ ფლობს ისეთი სახის ცოდნას, რომლითაც განახორციელებდა სამედიცინო ორგანიზაციისა და ექიმის რაციონალურ არჩევანს და შესაბამისად, მიიღებდა მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას. ცხადია, ექიმები უფრო მეტად არიან განსწავლულები ვიდრე პაციენტები, ანუ პროვაიდერებმა უფრო მეტი იციან, ვიდრე მომხმარებლებმა. პაციენტის ინფორმაციულობა უმთავრესად წინა მკურნალობით მიღებული გამოცდილებით ან სხვა მომხმარებლების აზრით, ან ექიმთა თვალსაზრისით განისაზღვრება.

საჭირო ინფორმაციის მოპოვება მოითხოვს დროსა და რესურსებთან დაკავშირებულ გარკვეულ ხარჯებს. მკლევარები მას ძიების დანახარჯებს უწოდებენ და მას უკავშირებენ ექიმთა საბაზრო პოზიციების გაძლიერებას [3]. ცხადია, რაც უფრო ინფორმირებულია მომხმარებელი და რაც უფრო ნაკლებია ძიების დანახარჯები, მით უფრო კონკურენტულია ბაზარი [4].

სამედიცინო მომსახურების მოცულობისა და მკურნალობის ღირებულების არჩევანთან მიმართებით პაციენტის განათლება შეზღუდულია. სამედიცინო დახმარება ძლიერ სპეციალიზებულია, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული ხარჯების დადგენა რთულია. პაციენტებმა არ იციან სამედიცინო დახმარების რომელი სახეა მათთვის ყველაზე ეფექტიანი, რა სამედიცინო მომსახურებას საჭიროებენ, ან რა სარგებლობას მოუტანს შემოთავაზებული სამედიცინო დახმარება. პაციენტებისათვის სირთულეს წარმოადგენს, აგრეთვე მათზე ჩატარებული მკურნალობის შედეგის და ხარისხის შეფასებაც. ზოგჯერ ასეთი არჩევანი საერთოდ გამოორიცხულია ზოგი სერვისების გადაუდებელი ხასიათის გამო. უფრო მეტიც, მკურნალობის მო-

სალოდნელი შედეგი სამედიცინო ჩარევის შემდეგ უცებ არ ვლინდება, რაც კიდევ უფრო ართულებს მომსახურების აუცილებელი მოცულობის არჩევანს.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია თავისი ბუნებით საზოგადოებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ინფორმაციაზე კიდევ ერთი მომხმარებლის ხელმისაწვდომობა არ ამცირებს სხვათა კეთილდღეობას, ამიტომ, ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია ინფორმაციის გავრცელება უფასოდ (ან გავრცელების ხარჯების შესაბამისი ფასით). საბაზრო მექანიზმი თავის მხრივ არ ახდენს საჭირო მოცულობის ინფორმაციით, ისევე როგორც საზოგადოებრივი სიკეთეებით საზოგადოების უზრუნველყოფას, შესაბამისად, სახეზეა არასრული, ასიმეტრიული ინფორმაციის არსებობით გამოწვეული ბაზრის ჩავარდნები.

აგენტური ურთიერთობები

ჩვეულებრივი ბაზრებისგან განსხვავებით, ჯანდაცვაში მომსახურების მოცულობის დადგენაში გადამწყვეტი როლი ენიჭება მიმწოდებელს და არა მომხმარებელს. ჩვეულებრივ ბაზარზე მოთხოვნაზე გავლენას ახდენს მომხმარებელი, მენარმე, მომსახურების სისტემის გეოგრაფიული განაწილება. მომხმარებელი დამოუკიდებლად, ბიუროკრატიული სისტემის ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე წყვეტს, თუ რა შეიძინოს ბაზარზე. იგი თავადაა პასუხისმგებელი გადაწყვეტილების მიღებაში. ჩვეულებრივი ბაზრისაგან განსხვავებით ჯანდაცვის სფეროში მომხმარებელი კვალიფიციური გადამწყვეტილების მისაღებად საკმარის ცოდნას და ინფორმაციას არ ფლობს. ჯანდაცვის სფეროს მომხმარებელი (პაციენტი) იშვიათად ირჩევს მისთვის საჭირო სამედიცინო დახმარებას, რადგან მის მიერ გაკეთებული არჩევანი შეიძლება სახიფათო აღმოჩნდეს საკუთარი ჯანმრთელობისათვის. არაინფორმირებული პაციენტი იძულებულია მთლიანად მკურნალი ექიმის რჩევას დაეყრდნოს. რადგან ექიმი და არა პაციენტი განსაზღვრავს გასაწევი სამედიცინო დახმარების მოცულობას, იგი გვევლინება როგორც პაციენტის მრჩეველი, მისი ინტერესების გამომხატველი ე. წ. ინფორმირებული აგენტი, რომელმაც საკმარისად კარგად იცის დაავადებისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ. აქედან გამომდინარე, ექიმი განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფება, იგი არის არამარტო სამედიცინო დახმარების მიმწოდებელი, არამედ მოთხოვნის განმსაზღვრელიც. ასეთ მოვლენას საშუამავლო, ანუ აგენტური ურთიერთობები ეწოდება [5].

ექიმებს, როგორც მომსახურების მთავარ მიმწოდებლებს, გარდა პაციენტთა მდგომარეობის შეფასებისა და შესაბამისი მკურნალობის ჩატარებისა, გააჩნიათ ეკონომიკური ინტერესები, რაც ქმნის მომსახურების ქარბი მოცულობით განევის პოტენციურ პირობებს. ეკონომიკური თეორიის მიხედვით ასეთ სიტუაციას მიწოდებით პროვოცირებული მოთხოვნა, ანუ მიმწოდებლის მიერ სტიმულირებული მოთხოვნა (supply induced demand) ეწოდება. ამგვარად, ექიმი არ არის პაციენტისათვის სრულყოფილი აგენტი. უმრავლეს შემთხვევაში იგი უარყოფითად იყენებს მის განსაკუთრებულ როლს, განსაზღვროს მოთხოვნა საკუთარი ინტერესების შე-

საბამისად.

ჯანდაცვის ეკონომისტის ა. ევანსის მიხედვით, „სრულყოფილი აგენტის ცნობიერება გახლეჩილია. მიმწოდებელს გააჩნია საკუთარი ინტერესები, რომლებიც ნაწილობრივ შესაბამისობაშია და ნაწილობრივ წინააღმდეგობაშია პაციენტის ინტერესებთან. იგი გაორებულ მდგომარეობაშია. ერთი მხრივ, იგი ცდილობს პაციენტს ურჩიოს პაციენტის ინტერესების შესაბამისად, მეორე მხრივ, კი პაციენტთან მოქმედებს საკუთარი ინტერესებისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ტარდება მიმწოდებლების ინტერესების, მოგებისა და შემოსავლების შესაფასებლად ბუნდოვნად წარმოგვიჩენს ასეთ გაორებულ მდგომარეობას, ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემას და აგენტურ ურთიერთობას“ [6].

ასეთი სახის მოთხოვნა განაპირობებს ჯანდაცვის სექტორში ძლიერ ხარჯვით ტენდენციებს. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს საბაზრო გარემოშიც არ გააჩნიათ რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე საკმარისი შეზღუდვები. თუ ეს პროცესები არ იმართება, იზრდება სამედიცინო მომსახურების ძვირადღირებული სახეები და მკურნალობის შემთხვევაზე საერთო დანახარჯები. შესაბამისად, მცირდება დაავადებათა პროფილაქტიკაზე დაინტერესება და შედარებით მარტივი, მაგრამ ეფექტური სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენება.

მიწოდებით პროვოცირებული მოთხოვნა განაპირობებს ექიმთა საბაზრო პოზიციების გაძლიერებას სამედიცინო მომსახურების ფასებსა და მოცულობასთან მიმართებაში, რაც კიდევ უფრო ართულებს მომხმარებელთა რაციონალურ არჩევანს. ექიმი გავლენას ახდენს პაციენტზე ჩასატარებელი სამედიცინო დახმარების რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს პაციენტის რეალურ საჭიროებას. მკვლევართა აზრით, ექიმის უარყოფით სტიმულზე გავლენას ახდენენ ანაზღაურების მეთოდი, სამედიცინო დახმარების ღირებულება და შემოსავლების დონე. ყოველივე ზემოაღნიშნული მოითხოვს სახელმწიფოს როლის ზრდას სამედიცინო მომსახურების როგორც მოთხოვნის, ასევე მიწოდების რეგულირებაში [7].

მორალური საფრთხე (Moral Hazard)

სამედიცინო ბაზარზე პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობა არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივ ბაზარზე მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის არსებული ურთიერთობისგან. სამედიცინო ბაზარზე, ხშირ შემთხვევაში, მოსალოდნელია პაციენტისა და ექიმის ქცევის ცვლილება, რომელსაც ეკონომიკური თეორიის მიხედვით მორალური საფრთხე ეწოდება. მორალური საფრთხე გაცნობიერებულ იქნა 1960-იან წლებში, სამედიცინო ბაზრის ნეგატიური მხარეების კვლევის დროს. მორალური საფრთხის ორი სახე არსებობს: პაციენტის (მომხმარებლის) მორალური საფრთხე და ექიმის (მიმწოდებლის) მორალური საფრთხე.

პაციენტის მორალური საფრთხე ძირითადად ორ ფაქტორთანაა დაკავშირებული. დაზღვევა მომხმარებლის სხვადასხვა სახის არარაციონალურ ქცევას, გარკვეულ უარყოფით სტიმულებს განაპირობებს. დაზღვეული შედარებით ნაკლებად ფიქრობს ავადმყოფობაზე, ნაკლებად ზრუნავს დაავადების პრევენციაზე, ცხოვრების ჯანსაღ წესზე. აღნიშნული ზრდის ავად გახდომის რისკს და შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების მოხმარებას.

დაზღვევის შემთხვევაში, როდესაც პაციენტის მკურნალობის ხარჯებს ნაწილობრივ, ან მთლიანად იხდის მზღვეველი, პაციენტს არ აქვს ფასის „სიგნალი“, რომელიც არეგულირებს მომსახურების მოხმარების მოცულობას. შედეგად, წარმოიქმნება „უფასო“ სამედიცინო მომსახურების ზედმეტად მოხმარების პრობლემა. პაციენტს უჩნდება ცთუნება ზედმეტად მოხმაროს სამედიცინო მომსახურება, კერძოდ, ჩაიტაროს სამედიცინო მომსახურება მაშინაც კი, როდესაც იგი არ არის აუცილებელი, მოითხოვოს ძვირადღირებული სამედიცინო ტექნოლოგია, მედიკამენტები და ა. შ.

ექიმი, მეტი ინფორმირებულობისა და ჯანდაცვის სფეროში განსაკუთრებული როლის გამო, ზღუდავს არამართო პაციენტის სტიმულს, არამედ მის მიერ არჩევანის გაკეთებას. ამასთან, პაციენტის არარაციონალური ქცევა შეიძლება დაემთხვეს ექიმის დაინტერესებას – გაზარდოს მომსახურების მოცულობა, რაც კიდევ უფრო ზრდის შედარებით ძვირადღირებული, მაგრამ შეიძლება კლინიკურად არააუცილებელი მომსახურების მოცულობას. ამგვარად, სახეზეა ჯანდაცვაში ხარჯვითი მექანიზმის ფორმირება: იზრდება სამედიცინო დახმარების ძვირადღირებული სახეების ხვედრითი წილი, იზრდება მკურნალობის შემთხვევაზე დანახარჯები, მცირდება დაინტერესება დაავადებათა პროფილაქტიკაზე და შედარებით იაფი, მარტივი, მაგრამ ეფექტური სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენება.

ექიმის მორალური საფრთხე ჯანდაცვის ეკონომიკის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს. სანარმოები ცდილობენ საქონლის ისეთი რაოდენობა აწარმოონ და მასზე ისეთი ფასი დაანესონ, რომლითაც შესაძლებელი იქნება მაქსიმალური მოგების მიღება. მოგებაზე, თავის მხრივ, გარკვეულ გავლენას ახდენს ბაზრის შეზღუდული მოთხოვნა. სულ სხვა მდგომარეობაა სამედიცინო ბაზარზე არსებული „ექიმი-მენარმის“ შემთხვევაში. მოგების მაქსიმალურად მისაღებად ექიმს განსხვავებული სტიმული გააჩნია, ვიდრე ჩვეულებრივ ბაზარზე არსებულ მენარმებს. ისინი დაინტერესებული არიან პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობით და საქმიანობას ეწევიან როგორც თავის (შემოსავლების გაზრდა), ასევე პაციენტის სასარგებლოდ.

სამედიცინო ბაზარზე ექიმები ახდენენ ფასის დისკრიმინაციას (პაციენტებთან არაერთნაირი დამოკიდებულება), მაშინ როდესაც ჩვეულებრივ ბაზარზე მენარმეები მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით ასეთ პრაქტიკას გამორიცხავენ. იგი განპირობებულია ექიმის განსაკუთრებული როლით, რომელიც გვევლინება როგო-

რც მიმწოდებელი, ასევე მოთხოვნის განმსაზღვრელი. ექიმის ასეთი მდგომარეობა მისი ეკონომიკური და სამედიცინო ინტერესების კონფლიქტს იწვევს. ითვალისწინებს რა პაციენტის არასაკმარის ინფორმირებას, ექიმი უარყოფითად იყენებს თავისი ცოდნის უპირატესობას. შემოსავლების გაზრდის მიზნით იგი ცდილობს პაციენტს თავს მოახვიოს ის პროცედურები, რომლებიც მას ნაკლებად, ან სავსებით არ სჭირდება, დანიშნოს ძვირადღირებული მედიკამენტები და მომსახურების ის სახეები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულების სრულ დატვირთვას უზრუნველყოფენ. ასეთი უარყოფითი მოტივაციის შედეგად ხელოვნურად იზრდება გასაწევი სამედიცინო დახმარების მოცულობა.

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან მოტივაციები დამოკიდებულია სამედიცინო დახმარების ღირებულებაზე, მისი შემოსავლების ზომაზე, ანაზღაურების მეთოდზე, სერვისების მიწოდების სისტემაზე (ფრაგმენტიზირებული თუ ინტეგრირებული სერვისები). ძვირადღირებული პროცედურის შემთხვევაში იზრდება სამედიცინო დახმარების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩატარების სტიმული. პირიქით, დაბალი ფასის დროს მცირდება აღნიშნული დანატერესება [8].

ექიმის მხრიდან უარყოფითი მოტივაცია განსაკუთრებით აღინიშნება მცირე ხელფასის შემთხვევაში. დაბალი შემოსავლებისას იგი დანატერესებულია საჭიროზე მეტი სამედიცინო დახმარება ჩატაროს და ამით ხელოვნურად გაზარდოს საკუთარი ხელფასი.

ექიმის ქცევაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ანაზღაურების მეთოდი. როდესაც ექიმის ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით, იზრდება მისი მხრიდან „მორალური საფრთხე“, რადგანაც ამ დროს მისი შემოსავალი დამოკიდებულია თითოეული ჩატარებული სამედიცინო დახმარების სახეზე და რაოდენობაზე. ქვეყნებში, სადაც ამბულატორიული სამედიცინო დახმარების ანაზღაურება სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდით ხორციელდება, სამედიცინო დახმარების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება იმ ქვეყნებისას, სადაც ანაზღაურება ხდება თითოეულ პაციენტზე ფიქსირებული თანხის (ან სულადობრივი) მიხედვით. გერმანიაში და საფრანგეთში, სადაც ანაზღაურება სერვისების მიხედვით ანაზღაურების მეთოდით ხორციელდება, ამბულატორიული მიმართვიანობა შეადგენს შესაბამისად 11,5 და 7,2-ს ერთ სულზე. დიდ ბრიტანეთში, სადაც ანაზღაურების სულადობრივი მეთოდი გავრცელებულია, ერთ სულზე საშუალოდ 5,5 მიმართვაა წელიწადში. აშშ-ში, სადაც გავრცელებულია შესრულებული სამუშაოს მიხედვით ანაზღაურების მეთოდი, ექიმები შედარებით ხშირად, ვიდრე სხვა ქვეყნებში, ნიშნავენ ძვირადღირებულ გამოკვლევებს.

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა ქცევაზე აგრეთვე გავლენას ახდენს სერვისების მიწოდების სისტემა. ქვეყნებში, სადაც ჯანდაცვის სისტემა ფრაგმენტიზირებულია და პირველადი, მეორეული და მესამეული დონის სერვისები ხორციელდება ცალ-ცალკე, თითოეული დონე ცდილობს საჭიროების მიუხედავად

თავისთან დააკავოს პაციენტი. პროვაიდერებს შორის არ ხორციელდება კოორდინირებული მუშაობა და როცა პაციენტი გადაინაცვლებს ერთი დონიდან მეორეზე, ისევე მეორდება იგივე გამოკვლევების ჩატარება, რაც ზრდის პაციენტის ხარჯებს.

მორალურ საფრთხეზე ზემოქმედების მეთოდები. სამედიცინო ბაზარზე პაციენტისა და ექიმის გარდა არსებობს მესამე მხარე დამფინანსებლის სახით (მაგ, სადაზღვევო ორგანიზაცია). დამფინანსებელი განსაზღვრავს სამედიცინო დახმარების ფასს, გარკვეულწილად მონაწილეობს ექიმებისათვის ანაზღაურების დადგენის პროცესშიც. ამგვარად, იგი სამედიცინო ბაზარზე მარეგულირებელ ფუნქციასაც ასრულებს. იგი მნიშვნელოვნად ზღუდავს ექიმის გადანყვებილებას მკურნალობის პროცესში და შესაბამისად ამცირებს უარყოფით სტიმულს. მორალური საფრთხის რეგულირებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. პაციენტთა ინტერესების დასაცავად სახელმწიფო ადგენს სამედიცინო პერსონალის ლიცენზირებას, მათი საქმიანობის საკანონმდებლო რეგულირებას, პაციენტებისათვის სრული ინფორმაციით უზრუნველყოფას. ა.შ.შ.-ში, მთავრობის ინიციატივით 1995 წლიდან მოქმედებს სპეციალური ორგანიზაციები, რომლებიც ახდენენ ექიმთა საქმიანობის შეფასებას. ასეთ ორგანიზაციებს შეუძლიათ არაადექვატური საექიმო საქმიანობისათვის ექიმთა დისკვალიფიკაცია.

პაციენტის მხრიდან მორალურ საფრთხეზე ზემოქმედების შემდეგი მეთოდები არსებობს: სამედიცინო მომსახურების მოხმარებისას თანაგადახდის და თანადაზღვევის გამოყენება, პაციენტის არჩევანის შეზღუდვა (სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების რაოდენობის შეზღუდვისათვის სტიმულების შექმნა), პროცედურების არაფასისმიერი შეზღუდვა; ცალკეულ სერვისებზე მოცდის დროის შემოღება, ხარჯების არასრული კომპენსაცია.

სამედიცინო დახმარების მიმწოდებლების მორალური საფრთხეების კომპენსაციის მეთოდებია: სულადობრივი ანაზღაურების გამოყენება, ექიმების ანაზღაურება ფიქსირებული სახელფასო განაკვეთით, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება გლობალური ბიუჯეტის მეთოდით, დასრულებული შემთხვევების ასანაზღაურებლად DRG (დიაგნოზით შეჭიდული ჯგუფების) მეთოდის გამოყენება, ანუ დასრულებული შემთხვევების ანაზღაურება წინასწარ დადგენილი ტარიფებით, ფონდის მესაკუთრე (fundholding) სქემების გამოყენება (პირველადი ჯანდაცვის ექიმები შეისყიდებიან საკუთარი პაციენტისათვის საჭირო სამედიცინო მომსახურებას), პროვაიდერების საქმიანობის კონტროლი, სუბსიდირებული მედიკამენტების ჩამონათვალის შეზღუდვა, რესურსების მართვის ინტეგრირებული სქემების გამოყენება.

საბაზრო ძალაუფლება, შეზღუდული კონკურენცია ჯანდაცვის ბაზარზე.

საბაზრო ძალაუფლება გულისხმობს ერთი ეკონომიკური აგენტის (ან აგენტების მცირე ჯგუფის) უნარს გავლენა მოახდინოს საბაზრო ფასებზე (მონოპოლია, ოლიგოპოლია). სამედიცინო დაწესებულებებს გააჩნიათ საბაზრო ძალაუფლება.

როგორც წესი, ორგანიზაციის საბაზრო ძალა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად განსხვავებულ, დიფერენცირებულ პროდუქციას აწარმოებს იგი. პროდუქციის დიფერენციაცია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ორგანიზაციის საბაზრო ძალაუფლებად ჩამოყალიბებაში. მეორე მხრივ, საბაზრო ძალაუფლება ორგანიზაციებს ნაკლებ სტიმულს აძლევთ თავიანთი პროდუქციის დიფერენცირების შემდგომი სტიმულირებისათვის.

შეზღუდული კონკურენცია ვლინდება ერთი ან რამდენიმე საწარმოს არსებობით, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფასწარმოქმნის პროცესზე. უმთავრესად ასეთი სიტუაცია განპირობებულია წარმოების მასშტაბის ეკონომიით. იგი წარმოიქმნება, როდესაც საწარმოს აქვს მაღალი მუდმივი დანახარჯები. ამ შემთხვევაში წარმოების მოცულობის ზრდისას საშუალო ხარჯები მცირდება, და საწარმოს შეუძლია შეამციროს პროდუქციის ფასი. მომხმარებლის თვალსაზრისით, ეს ხელსაყრელი სიტუაციაა. თუმცა, მოცემულ მოვლენას აქვს უარყოფითი მხარეც. როდესაც ახალი კონკურენტი საწარმო დააპირებს ბაზარზე შემოსვლას, მას დასჭირდება მსხვილი კაპიტალდაბანდებების განხორციელება, შედეგად მაღალი საშუალო ხარჯების შემთხვევაში იგი არაკონკურენტუნარიანი იქნება. სიტუაციას, როდესაც ბაზარზე უფრო ეფექტურია მოცემული საქონლის მწარმოებელი მხოლოდ ერთი და არა მრავალი ორგანიზაციის არსებობა, უწოდებენ ბუნებრივ მონოპოლიას. ჩვეულებრივ, ბუნებრივი მონოპოლიები სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ბაზრებია, სადაც წარმოების მასშტაბზე ეკონომია იმდენად დიდია, რომ წარმოების კონცენტრაცია ერთი მსხვილი კომპანიის ხელში ხარჯებს მინიმუმამდე ამცირებს. კონკურენტული ბაზარი ზრდის საშუალო ხარჯებს, ამცირებს რესურსების ეფექტურად გამოყენებას. ამაში მდგომარეობს ბაზრის ჩავარდნა – ჯანდაცვის სფეროში კონკურენცია ხშირადარ ინვესტორების რესურსების ეფექტურ განაწილებას.

სამედიცინო ბაზარზე კონკურენციის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა, გარკვეულ გეოგრაფიულ არეალზე სამედიცინო დაწესებულებების კონცენტრაცია, სამედიცინო დაწესებულებების დატვირთვის მაჩვენებელი, სამედიცინო დაწესებულებების საწოლთა რაოდენობა, სამედიცინო დახმარების ხარისხი, სამედიცინო დახმარების ფასი.

პაციენტს აქვს უფლება, თვითონ აირჩიოს ექიმი ან სამედიცინო დაწესებულება. შესაბამისად, ექიმებს ან სამედიცინო დაწესებულებებს შორის კონკურენციის მთავარი ფაქტორია პაციენტის დამოკიდებულება მათადმი. თავის მხრივ, ექიმი ან სამედიცინო დაწესებულება დაინტერესებულია რაც შეიძლება მეტი პაციენტი მიიზიდოს, რადგან მისი შემოსავალი დამოკიდებულია მასთან მეთვალყურეობაზე მყოფი, ან ნამკურნალე პაციენტთა რაოდენობაზე.

სამედიცინო დაწესებულებებს შორის კონკურენცია აგრეთვე ექიმების გამოცდილებაზე და სამედიცინო განათლების დონეზეა დამოკიდებული. სამედიცინო და-

წესებულება ცდილობს თავისთან სამუშაოდ მიიზიდოს კონკურენტუნარიანი ექიმი, რისთვისაც მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს. ცხადია, რაც უფრო მეტი მაღალკვალიფიციური ექიმია დასაქმებული სამედიცინო დაწესებულებაში, მით იზრდება პაციენტების მასთან მიმართვიანობა. სამედიცინო დაწესებულებებს შორის კონკურენცია აგრეთვე დამოკიდებულია მათი უახლესი, ძვირადღირებული მონყობილობა-დანადგარებით აღჭურვაზე. თუმცა, უახლესი მონყობილობა-დანადგარების მიხედვით კონკურენცია ხშირად არაეფექტურია და ხარჯების ზრდას იწვევს. ასე მაგალითად, თუ ქალაქში მდებარე ორ სამედიცინო დაწესებულებას ერთნაირი სახის სადიაგნოსტიკო დანადგარი გააჩნიათ, დროის ნახევარზე მეტი ისინი შეიძლება არც იქნეს გამოყენებული.

სამედიცინო დაწესებულებებში პაციენტთა მიმართვიანობაზე ზეგავლენას ახდენს მათი სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობა. პაციენტთა უმეტესობა მიმართავს მხოლოდ იმ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც სახელმწიფო ჯანდაცვით ან სადაზღვევო პროგრამებშია ჩართული. ამგვარად, ჯანდაცვის ბაზარი წარმოადგენს არასრულყოფილი კონკურენციის ბაზარს. ამასთან, თავისი ძირითადი მახასიათებლებით იგი ახლოს დგას მონოპოლიასთან, რაც გავლენას ახდენს მიმწოდებელთა ქცევაზე, მათ მიზნებზე, ფასთნარმოქმნის სისტემაზე. აღნიშნული მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ჯანდაცვის ბაზარზე მიმდინარე პროცესების სპეციფიკურ რეგულირებას.

ჯანდაცვის სისტემაში შეზღუდული კონკურენციის ძირითადი მიზეზებია: სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიწოდების იერარქიული შისტემა. სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია, შრომითი და მატერიალური რესურსების შეზღუდული ნაკადის, სამედიცინო მომსახურების გასანევად საჭირო ხარჯებისა და რეგულირების მექანიზმების გამო, სამედიცინო მომსახურების მრავალ სახეს არ გააჩნია მისი შემცვლელი, ან შედარებით მცირეა ასეთი სახის შემცვლელები, ჯანდაცვის სისტემაში წარმოების ფაქტორები ნაკლებად მობილურია; სამედიცინო დახმარება არაერთგვაროვან პროდუქტს წარმოადგენს.

სტაციონარული სერვისების მიწოდების იერარქიული სისტემა. სტაციონარული ტიპის სამედიცინო წესებულებები დიფერენცირებულია დონეების მიხედვით. საქართველოში ჰოსპიტალური მომსახურების შემდეგი დონეები არსებობს: დღის სტაციონარი, რაიონული საავადმყოფო, სამხარეო საავადმყოფო, სპეციალიზირებული საავადმყოფო, პროფილური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. ჰოსპიტალურ შემთხვევათა შედარებით იოლი ფორმების კონცენტრირება ხდება რაიონულ საავადმყოფოებში, რომლებიც პაციენტის საცხოვრებელი ადგილის ახლოს არიან განთავსებულნი. უფრო რთული შემთხვევების მკურნალობა ხორციელდება სამხარეო და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში. აღნიშნული დონეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამკურნალო-დიაგნოსტიკური აღჭურვილობით, პერსონალის კვალიფიკაციით და მომსახურების პაკეტით. ცხადია სტაციონარული სამედიცინო

დახმარების იერარქიული სისტემა და დონეების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებული საავადმყოფოების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მათ შორის რეალური კონკურენციის შესაძლებლობას.

კონკურენტთა მცირე რაოდენობა. სამედიცინო მომსახურების ბევრ მიმწოდებელს, მათ შორის საავადმყოფოებს, ოჯახის ექიმებს, სპეციალიზებულ სამედიცინო ორგანიზაციებს კონკურენტების შეზღუდული რაოდენობა ჰყავთ. კონკურენტთა განსაკუთრებით დაბალია რაიონებში, სადაც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ერთი საავადმყოფო ფუნქციონირებს. შედეგად, ირღვევა თავისუფალი ბაზრისათვის აუცილებელი კონკურენციის პირობები და რაიონული საავადმყოფო გვევლინება როგორც მონოპოლისტი. მონოპოლისტური ბაზარი, სადაც მხოლოდ ერთი მიმწოდებელია, ზღუდავს პაციენტების არჩევანს, ამცირებს სადაზღვევო ორგანიზაციის ან ჯანდაცვის მართვის ორგანოების შესაძლებლობას მოახდინონ სამედიცინო მომსახურების შესყიდვა პაციენტების ინტერესების გათვალისწინებით. ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილის კონტროლი ხდება მცირე რაოდენობით კონკურენტების მიერ, რაც ხელს უწყობს სამედიცინო დაწესებულებების საბაზრო ძალად ჩამოყალიბებას [10].

სამედიცინო ბაზარზე შესვლა შეზღუდულია. კონკურენტუნარიანი ბაზრის აუცილებელი პირობაა სანარმოების დიდი რაოდენობით არსებობა, რომელთაც შეუძლიათ სწრაფად და თავისუფლად შევიდნენ და გავიდნენ ბაზრიდან. ამ მხრივ, ჯანდაცვის ბაზარზე შესვლის გარკვეული შეზღუდვები არსებობს, რაც ამცირებს კონკურენტების რაოდენობას. ბაზარზე შესვლის შეზღუდვა ზრდის კონკრეტული სამედიცინო ორგანიზაციის საბაზრო ძალას.

სამედიცინო ბაზარზე შესვლის ბარიერს წარმოადგენს სახელმწიფო ლიცენზირება, კერძოდ სამედიცინო პერსონალის რეგისტრაციისა და ლიცენზირების განსაკუთრებული წესები. ასეთი სახის რეგულაციები ხელს უწყობს სამედიცინო ბაზარზე არსებული ორგანიზაციების საბაზრო ძალად ჩამოყალიბებას. სახელმწიფო ლიცენზია ლეგალური მონოპოლიის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ბაზარზე ცალკეულ სანარმოს, პირდაპირი კონკურენციის გარეშე საქმიანობის უფლებას ანიჭებს. ასეთ კომპანიებს თავიანთი საქონლის ან მომსახურების გაყიდვის ექსკლუზიური უფლება აქვთ.

ლიცენზირება გამოიყენება დაბალი კვალიფიკაციის მიმწოდებლების ბაზარზე შესვლის პრევენციის მიზნით. სამედიცინო პრაქტიკის უფლება აქვს მხოლოდ ექიმებს, რომელთა განათლების დონე პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს. რეგულირების აღნიშნული წესები ამცირებენ საექიმო შეცდომებს. დაფუძვით საპირისპირო შემთხვევა, წარმოვიდგინოთ, რომ სამედიცინო ბაზარი თავისუფალია და ყველას შეუძლია მომსახურების მიწოდება, ანუ არაკვალიფიცირებული პრაქტიკოსები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე აწარმოებენ სამედიცინო საქმიანობას, ხოლო პაციენტები სამედიცინო დახმარების ხარისხისა და ღირებულების საკუთარი შე-

ფასების უნარის მიხედვით ახდენენ შერჩევას. ცხადია, ასეთი სამედიცინო ბაზრის არსებობა შეუძლებელია, რადგან არაკვალიფიცირებული ექიმის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება პაციენტისათვის ფატალური შედეგი გამოიწვიოს. თუ ყველას მიეცემა საექიმო პრაქტიკის უფლება მაშინ როგორ დაიცვას თავი პაციენტმა არაკომპეტენტური ექიმებისაგან, რომელთაც შესაბამისი არც განათლება და არც გამოცდილება არ გააჩნიათ. პაციენტთა არასაკმარისი სამედიცინო განათლების და ექიმთა განსაკუთრებული როლის (როგორც მიმწოდებელი და მოთხოვნილების განმსაზღვრელი) გამო, იზრდება ჯანდაცვის სფეროს რეგულირების მნიშვნელობა [11].

წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით სამედიცინო სპეციალისტისათვის შედარებით იოლია ჯანდაცვის ბაზარზე როგორც შემოსვლა, ასევე გასვლა, რადგანაც სამედიცინო მომსახურების ბევრი სახეების განევა არ არის დაკავშირებული დიდ პირველად ხარჯებთან, მნიშვნელოვანი ხანგრძლივ კაპიტალის აუცილებლობასთან. მეორე მხრივ, ჯანდაცვის ბაზარზე ახალი მოთხოვნების, მომსახურების ახალი სახეების გაჩენა ხელს უწყობს დარგში ახალი სპეციალისტების შემოსვლას.

ხშირად სამედიცინო ბაზარზე ახალი მიმწოდებლების შემოსვლას ეწინააღმდეგებიან ექიმთა პროფესიული კავშირები (მაგ. ექიმთა ასოციაციები). მათი აზრით, ბევრი პერსონალის საქმიანობა მათი შემოსავლების შემცირებას გამოიწვევს. აშშ-ში ექიმთა ასოციაციები, რომლებიც აერთიანებენ კერძო პრაქტიკის ექიმების დაახლოებით ნახევარ ნაწილს, ლობირებას უწევენ სამედიცინო ფაკულტეტებზე სტუდენტთა შეზღუდული რაოდენობით მიღებას, სწავლის საფასურის ზრდას. ისინი აკონტროლებენ ექიმ-ემიგრანტების ნაკადს, მათ მიერ სამედიცინო საქმიანობის დაწყებას. ასოციაციის თანხმობის გარეშე არ ხდება სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინიციატივების წამოწყება. გარდა ამისა, ექიმთა ასოციაციები სპეციალურად ადგენენ საექიმო პრაქტიკის ლიცენზირების ხელოვნურად გაზრდილ მოთხოვნებს. ასე მაგალითად, ერთი შტატიდან მეორეზე გადასვლისას ექიმებს მოეთხოვებათ ახალი ლიცენზიის მოპოვება.

სამედიცინო ბაზარზე შეზღუდვები ვრცელდება არამარტო შრომით არამედ მატერიალურ რესურსებზეც. ყველა დაწესებულებას არ შეუძლია განახორციელოს სამედიცინო საქმიანობა. მათ ამისათვის შესაბამისი პირობები უნდა გააჩნდეთ და ქვეყანაში დადგენილ გარკვეულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდნენ. ხშირად სტანდარტში შედის ისეთ რთულ საქმიანობებზე მინიმალური მოცულობის მოთხოვნა, რომლებიც განსაკუთრებულ კვალიფიკაციას და მუდმივ პრაქტიკას საჭიროებს. აშშ-ში საავადმყოფოს არ აქვს უფლება ჩატაროს გულის ქირურგიული ოპერაცია, თუ წინა წელს ჩატარებული გულის ოპერაციათა რაოდენობა 150-ზე ნაკლებია. შესაბამისად, ასეთ საავადმყოფოს არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ამ ოპერაციის ჩატარებისათვის კონტრაქტის მიღებაზე [12].

სამედიცინო მომსახურების ცალკეული სახეები შეუცვლელია. მონოპოლისტური კონკურენციის დროს მენარმეები მსგავსი, მაგრამ არაიდენტური საქონ-

ლის ან მომსახურების შეთავაზებისას ხაზს უსვამენ მათ განსაკუთრებულ თვისებებს (მაღალი ხარისხი, ინოვაცია, დიზაინი, საფირმო ნიშანი). ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებას ბაზარზე აქვს მკვეთრად გამოხატული ძალაუფლება, რადგან მის კონკურენტ სამედიცინო დაწესებულებებს არ შეუძლით იგივე სახის სამედიცინო მომსახურების გაწევა, ან თუ შეუძლიათ, იგი მაინც არასრულყოფილ შემცველს წარმოადგენს.

სამედიცინო პროდუქტების შედარება საკმაოდ რთულია. მომხმარებელს უძნელდება შეადაროს ერთმანეთს ჯენერიკები და ბრენდები. შედარების სირთულის გამო, მომხმარებელი, რომელიც პროდუქტით კმაყოფილია, არ ყიდულობს სხვა, უფრო იაფ პროდუქტს. ეს ფაქტორები ართულებს კონკურენტული პროდუქტის შეფასებას, თუ რამდენად ეფექტური შემცველია იგი, რაც თავისთავად ზრდის პროდუქციის საბაზრო ძალაუფლებას [13].

სამედიცინო მომსახურება არაერთგვაროვანი პროდუქტია. მედიცინა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც არ არსებობს ერთგვაროვანი სახით. სამედიცინო მომსახურების ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ და რა პირობებში აწვდის მას. ერთიდაიგივე დაავადებას სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში განსხვავებული მეთოდებით მკურნალობენ. სხვადასხვა დაწესებულებების შესაძლებლობები (სადიაგნოზო მონაცემები, სპეციალისტების კვალიფიკაციის დონე, მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ა. შ). ავადმყოფს, რომელიც გეგმიურ ოპერაციას სამხარეო საავადმყოფოში იტარებს, შედარებით ნაკლები რისკი აქვს ვიდრე ავადმყოფს, რომელსაც გადაუდებელი ოპერაცია უტარდება რაიონულ საავადმყოფოში. აღნიშნულის გამო, სამედიცინო დაწესებულებები სამედიცინო დახმარების გარკვეულ სახეებზე გვევლინებიან როგორც მონოპოლისტები [14].

სამედიცინო საქმიანობის მკაცრი რეგლამენტაციის მიუხედავად, ჯანდაცვაში არ არის და არც იარსებებს ყველა პაციენტის მკურნალობაზე ერთიანი მიდგომა, ერთი და იგივე დაავადებების არსებობის დროსაც კი. დიაგნოსტიკურ, ტექნიკურ და ტექნიკურ ასპექტებში სამედიცინო მომსახურების ხარისხობრივი მახასიათებლები შეიძლება ფართო საზღვრებში შეიცვალოს. სამედიცინო მომსახურების სტანდარტიზაცია ხელს უწყობს ხარისხის ერთგვაროვნობას. სტანდარტიზაცია გულისხმობს სამედიცინო მომსახურების და ხარისხის ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, პერსონალის კვალიფიკაციას, მედიკამენტების და სამედიცინო ტექნოლოგიების ხარისხს.

ჯანდაცვაში წარმოების ფაქტორები ნაკლებად მობილურია. ჯანდაცვაში წარმოების ფაქტორები ნაკლებად მობილურია. მაგ., ექიმის განათლება მოითხოვს ძალიან დიდ დროს, ხოლო მოსამზადებელ პირთა რიცხვს და სწავლის ფასს აკონტროლებენ ცენტრალური ორგანოები – მთავრობა ან პროფესიული კავშირები, ამიტომ მწარმოებლებს ბაზარზე სიტუაციის ცვლილებისას არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შეცვალონ ფაქტორები.

გარეგანი ეფექტები

ერთი ადამიანის მიერ წარმოებული საქმიანობის ზემოქმედებას მეორე ადამიანის კეთილდღეობაზე „გარეგანი ეფექტი“ ეწოდება. თუ ასეთი ზემოქმედება არასახარბიელოა, მას უარყოფითი გარეგანი ეფექტი ეწოდება (მაგ., გარემოს დაბინძურება, მანქანის გამონაბოლქვი). სანინალმდეგო შემთხვევაში იგი დადებით გარეგან ეფექტს წარმოადგენს (იმუნიზაცია).

უარყოფითი გარეგანი ეფექტის მქონე პროდუქციის წარმოებისას მიმწოდებელი ხშირად არ ითვალისწინებს მის მავნე ზემოქმედებას საზოგადოებაზე და თავის თავზე არ იღებს მიყენებული ზიანის ხარჯებს, რადგან მისი გათვალისწინება მნიშვნელოვნად ზრდის საქონლის ღირებულებას და შესაბამისად ამცირებს მოთხოვნას. მაგალითად, გარემოს დაბინძურება, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს, ხელს უწყობს თანდაყოლილი დეფექტების და სიმსივნეების განვითარებას. საზოგადოების ჯანმრთელობაზე მიყენებულ ზიანზე მწარმოებელი კომპენსაციას არ იხდის. გარემოს დაბინძურებით გამოწვეული დაავადების შემთხვევაში ხარჯებს დაზარალებული მხარე იხდის. უარყოფითი გარეგანი ეფექტის არსებობისას გარკვეული საქონლის წარმოებისას საზოგადოების ხარჯები აღემატება მწარმოებლის მიერ გაწეულ ხარჯებს.

მენარმეებს ნაკლებად აინტერესებთ უარყოფითი გარეგანი ეფექტებისგან გამოსავლის მოძებნა. ამიტომ აქ აუცილებელია ჩაერთოს სახელმწიფო. საქონლის ან მომსახურების გარეგანი ეფექტით მიღებული ხარჯების საკომპენსაციოდ სახელმწიფო ახდენს მასზე გარკვეული გადასახადის დანესებას. ასეთი გადასახადი მწარმოებლებს უბიძგებთ გაითვალისწინონ მათი საქმიანობის გარეგანი ეფექტები.

დადებითი გარეგანი ეფექტის შემთხვევაში საქონლის წარმოებას სარგებლობა მოაქვს საზოგადოების სხვა წევრებზე. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ხელს უწყობს საქონლის დიდი რაოდენობით წარმოებას. იგი თავად მონაწილეობს ასეთი საქონლის წარმოების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებაში. ჯერ კიდევ ადამ სმიტი თავის შრომებში, „ეთიკური გრძნობის თეორია“ და „ერის კეთილდღეობა“ დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანთათვის დახმარების განევის აუცილებლობას ისეთ საკითხებში, როგორცაა განათლების მიღება, მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფა, გზათა მშენებლობა, ღარიბთათვის დახმარების განევა, მუშებისათვის „კულტურული“ ღონისძიებების ჩატარება. ამ დროს იგი ითვალისწინებდა იმ დადებით ეფექტს, რომელიც ასეთი სახის ღონისძიებებმა შეიძლება განაპირობოს [15].

ჯანდაცვის სისტემაში უფრო მეტად დადებითი გარეგანი ეფექტები გვხვდება. მაგალითად, დიფთერიის სანინალმდეგო ვაქცინაცია სასარგებლოა არამარტო ერთი ადამიანისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, რადგანაც მნიშვნელოვნად მცირდება ამ დაავადების გავრცელება.

გარეგანი ეფექტები ბაზრის ჩავარდნებია, რადგან არ ხდება სანარმოს ხარჯებში მისი გათვალისწინება. ამის მიზეზია საკუთრების უფლების გაურკვეველობა. როდესაც სუფთა წყალზე საკუთრების უფლება გაურკვეველია, მაშინ სანარმომ შესაძლოა ვინმესთან ანგარიშვალდებულების გარეშე დააბინძუროს მდინარე. მოცემულ შემთხვევაში დაბინძურების ხარჯები არ შედის წარმოების ხარჯებში. დადებითი გარეგანი ეფექტის დროს რთულია შევაფასოთ მისი სარგებლიანობა. შეუძლებელია შევაფასოთ ერთი ადამიანის იმუნიზაციით სხვა ადამიანისათვის დაავადების ალბათობის შემცირება. ამასთან წარმოიქმნება „უბილეთო მგზავრის“ პრობლემა. დადებითი გარეგანი ეფექტის დროს ადამიანის სარგებლიანობა იზრდება, და იგი მოგებული რჩება, მაგრამ თუ მას დაავალდებულებენ გადასახადის გადახდას სარგებლიანობის გაზრდისათვის, მან შესაძლოა თავი აარიდოს გადახდას.

„საზოგადოებრივ სიკეთე“ ისეთი საქონელია, რომელიც არც გამორიცხვადია და არც მეტოქეობისუნარიანი. არამეტოქეობისუნარიანობა გულისხმობს, რომ ერთი პიროვნების მიერ საზოგადოებრივი საქონლის მოხმარება ვერ შეამცირებს მეორე პიროვნებისთვის ამავე საქონლის მოხმარების შესაძლებლობას. ამგვარად, საზოგადოებრივი სიკეთე კოლექტიური მოხმარების ობიექტია. მეტოქეობისუნარიანობა კი საქონლის ან მომსახურების თვისებაა, რომელიც გულისხმობს, რომ ერთი პიროვნების მიერ საქონლის ან მომსახურების გამოყენება ამცირებს მეორე პიროვნების მიერ მისი გამოყენების შესაძლებლობას.

არაგამორიცხვადობა გულისხმობს, რომ საზოგადოებრივ სიკეთეზე არ ვრცელდება მის მოხმარებაზე საზოგადოების თუნდაც ერთი წევრის გამორიცხვის პრინციპი, ანუ შეუძლებელია მისი მოხმარებისაგან საზოგადოების წევრების გამორიცხვა. მაგალითად, ქუჩის განათებით შეუძლია ისარგებლოს ყველა გამვლელმა და შეუძლებელია მათი გამორიცხვა. შესაბამისად, გამორიცხვადობა გულისხმობს, რომ იქმნება ბარიერები, რომლებიც სხვა პირებს არ აძლევს მისი მოხმარების შესაძლებლობას. ასეთი ბარიერებია: ფასების დადგენა, პატენტი, კერძო საკუთრებაზე უფლება. მეტოქეობისუნარიანობის და არამეტოქეობისუნარიანობის, გამორიცხვადობის და არაგამორიცხვადობის მიხედვით საქონელი და მომსახურება შეიძლება იყოს საზოგადოებრივი (არამეტოქეობისუნარიანი და არაგამორიცხვადი), კერძო (მეტოქეობისუნარიანი და გამორიცხვადი) და შერეული (ერთ-ერთი ნიშანი არ არის).

საზოგადოებრივი სიკეთეა ჯანდაცვა. იგი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიცოცხლის ხარისხზე და შესაბამისად შრომის წარმოებაზე, ამიტომ სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ მთელი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი იყოს სამედიცინო მომსახურების მინიმალური საბაზისო პაკეტი. ჯანდაცვის სექტორში საზოგადოებრივი საქონლის მაგალითებია სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებები, სუფთა ჰაერი, ყვავილის აცრის აღმოჩენა, პენიცილინის გამოგონება და ა. შ.

საზოგადოებრივი სიკეთე, რომლისთვისაც დამახასიათებელია არაგამორიცხვადობის თვისება, ქმნის „უბილეთო მგზავრის“ პრობლემას. საზოგადოებრივ სი-

კეთე ყველასათვის ხელმისაწვდომია, მიუხედავად იმისა, დააფინანსა თუ არა პირმა მისი მოხმარება. ამიტომ კერძო ორგანიზაციას უძნელდება შეაგროვოს საზოგადოებრივ სიკეთეზე განუვლი ხარჯები. აღნიშნულის გამო, საზოგადოებრივი სიკეთეს მიიჩნევენ ბაზრის ჩავარდნად. ამ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელსაც აქვს იძულების კანონიერი უფლება, ახდენს გადასახადების შეგროვებას, რომლითაც ფინანსდება საზოგადოებრივი სიკეთე [16].

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯანდაცვის სექტორი ეკონომიკის სპეციფიკური დარგია. ეს სპეციფიკა განაპირობებს სამედიცინო ბაზარზე ეკონომიკური ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმებს, რაც მოითხოვს სათანადო რეგულირების მექანიზმების შემუშავებას.

ლიტერატურა:

1. Hsiao, W.C. 1995. The Chinese Health Care System: Lessons for Other Nations. Social Science and Medicine, vol. 41, pp. 1047-1055.
2. Folland, Sherman. The Economics of Health and Health Care. 6th ed. 2010.
3. Dranove, D., & Satterthwaite, M. A. (2000). Chapter 20 The industrial organization of health care markets. Handbook of Health Economics, 1(PART B), 1093-1139. DOI: 10.1016/S1574-0064(00)80033-5.
4. Mcpake, B., Kumaranayake, L., Normand, C. Health Economics: An International Perspective, by. Routledge, London and New York, 2003, vol. 12 (5), 429-429.
5. ვერულავა, თ. ჯანდაცვის ეკონომიკა. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2009.
6. Evans, R.G., 1984, Strained mercy: The economics of Canadian medical care. Toronto, Butterworths.
7. გერზმავა, ო. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი, თბილისი 2016 წ.
8. ვერულავა, თ. ჯანდაცვის პოლიტიკა. თბილისი. 2016.
9. ვერულავა, თენგიზ (2017) არამომგებიანი საავადმყოფოების როლი ჯანდაცვის სისტემაში: მსოფლიო გამოცდილება და საქართველო. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2017, ტ. X (3), გვ. 100-110.
10. Winnie Yip, William C. Hsiao, The Chinese Health System At A Crossroads, Health Affairs- Volume 27, Number 2, March/April 2008.
11. Liu X., Mills A., „Evaluating Payment Mechanisms: How Can We Measure Unnecessary Care?“ Health Policy and Planning 14, no. 4 (1999): 409–413.
12. Getzen, Thomas E. Health Economics, Fundamentals and Flow of Funds. Temple University, 2007.
13. Wagstaff, A., E. van Doorslaer, and P. Paci. 1989. „Equity in the Finance and Delivery of Health Care: Some Tentative Cross-Country Comparisons.“ Oxford Review of Economic Policy 5(1): 89–112.

14. Hsiao, William C. Abnormal economics in the health sector. *Health Policy*. 04.1995; 32(s 1–3):125–139. DOI: 10.1016/0168-8510(95)00731-7.
15. Witter S. and Ensor T. *Health economics for Developing Countries*. The University of York, Centre for Health Economics International Programme. Macmillan, 2000.
16. ვერულავა, თ. ადამიანის ჯანმრთელობა – ეკონომიკური ზრდის საფუძველი. „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

Medical Market: Information and Incentives

Tengiz Verulava,

Doctor of Medicine, Professor

Director of Health and Insurance Institute, Ilia State University

The article reviews the characteristics of the medical market. The difference between the medical market and the usual market is substantiated. The main signs of the medical market are: risks and uncertainty, incomplete information (asymmetry of information), market power, limited competition, external effects, public good. If health and health care equity are desirable features, there might be need for government intervention because these qualities are not easily attained through the market. Government involvement in health care is often necessary because there are many market failures in health care and the market is not always able to correct such failures.

Keywords: Health economics; Ideal market; Market failure; Perfect competition; Limited competition; Market forces; Equity; Economic efficiency

ელექტრონული სერვისების განვითარება საქართველოში

დიმიტრი ჯავახიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი
dimitrijavakhadze@yahoo.de

ახალი ათასწლეულის დასაწყისში სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, იზრდება საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის მასშტაბებიც. ბიზნესის ყველა სფეროში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება განვითარების საშუალებას აძლევს როგორც ტრადიციულ, ასევე თანამედროვე ბიზნესმოდელებს, სადაც ინფორმაციის სწრაფი და ზუსტი მიწოდება უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს, რაც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. ელსერვისები მარავალფეროვანია, იცვლება პერმანენტულად და იზრდება შეუჩერებლად. ელსერვისები სამყაროს მასშტაბით განუხრელად ვრცელდება, როგორც ელექტრონული მმართველობის, ასევე ელექტრონული ბიზნესის სახით.

საკვანძო სიტყვები: ელსერვისები; ელკომერცია; ელმმართველობა; ელპლატფორმები.

დიגיტალური რევოლუციის გლობალურ პირობებში მნიშვნელოვნადაა შეცვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების საერთო სურათი, გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც ელექტრონული სერვისების განვითარების ხელშემწყობი თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ელექტრონული მმართველობის სამოქმედო გეგმის ნაწილია, რომელიც გარკვეულ სტრატეგიაზეა აგებული. ელექტრონული სერვისები საქმიანობების, ძალისხმევების, ღონისძიებებისა თუ სხვადასხვა ტიპის ქმედებების საკომუნიკაციო ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებაა. შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა ძალღონეს არ იშურებს მოქალაქეებისა და ბიზნესის საჭიროებებიდან გამომდინარე გაამარტივოს და

გამდიდროს სერვისების მიწოდება, უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გაზადოს იგი ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

საქართველოში ელექტრონული სერვისების ზოგადი შეფასებისთვის რთულია გვერდი აუარო გაეროს „ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსს“, კვლევას, რომელიც ყოველ ორწლიანადში ქვეყნდება და საქართველოსაც ყოველ ჯერზე საინტერესო ტენდენციები უფიქსირდება, რაც ძირითადად პოზიტიური დინამიკით გამოიხატება, კერძოდ 2008 წელს 193 ქვეყანს შორის 143 ადგილი ეკავა , 2010 წელს მე-100 , 2012-ში 72-ე, 2014 წელს 56-ე, ხოლო 2016 წელს პოზიცია ოდნავ გაუარესდა და 61-ე ადგილზე გადაინაცვლა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების გამო, კონკურენტული საფეხურების შენარჩუნება რთულდება და მუდმივ გამონვევად რჩება [1].

საინტერესოა, საქართველოს მაჩვენებელი, სხვა მეზობელ და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით, აქ წლების განმავლობაში ესტონეთი ლიდერობს, ყველაზე ჩამორჩენილები ტაჯიკეთი და თურქმენეთია, ხოლო საქართველო საშუალო პოზიციებს ინარჩუნებს, აღსანიშნავია აზერბაიჯანი, ბელორუსი და ყაზახეთი, სადაც წლებია ხელისუფლებები არ შეცვლილა და მათ საქართველოზე უკეთესი პოზიციები უკავიათ წარმოდგენილ კვლევებში (იხ. ცხრილი 1).

ელმმართველობის განვითარების ინდექსი საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში [1]
ცხრილი 1

ქვეყანა	2008	2010	2012	2014	2016
ესტონეთი	13	20	20	15	13
ლიტვა	28	28	29	29	23
ლატვია	36	37	42	31	45
უკრაინა	41	54	68	87	62
ბელარუსი	56	64	61	55	49
რუსეთი	60	59	27	27	35
თურქეთი	76	69	80	71	68
ყაზახეთი	81	46	38	28	33
აზერბაიჯანი	89	83	96	68	56
საქართველო	90	100	72	56	61
მოლდავეთი	93	80	69	66	65
ყირგიზეთი	102	91	99	101	97
სომხეთი	103	110	94	61	87
თურქმენეთი	128	130	126	128	140
ტაჯიკეთი	132	122	122	129	139

ელექტრონული სერვისების გავრცელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, არამხოლოდ კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას, არამედ ელ-სერვისებისთვის აუცილებელ ინტერნეტის ქსელით მოსახლეობის მაქსიმალურ დაფარვას მოითხოვს. საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემებით, ინტერნეტის აბონენტთა რიცხვი 2014 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრამდე, 444,244-დან 646,620-მდე, ანუ ორასი ათასზე მეტი მომხმარებლით გაიზარდა. ფიქსირებული სატელეფონო აბონენტების რიცხვი 2013 წლის თებერვალში 1.213.558 იყო, ხოლო 2016 დეკემბერში 793.328 მდე შემცირდა. რაც შეეხება მობილური ტელეფონის აბონენტებს, 2013 წლის იანვარში 4.173.281 ნომერი იყო აქტიური მობილურ სატელეფონო ქსელში, 2016 დეკემბერში კი მისმა რაოდენობამ 4949.244 შეადგინა, შესაბამისად 775 ათასზე მეტი აქტიური ტელეფონით მნიშვნელოვანი ზრდა სახეზეა. აღნიშნული ციფრები იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანების უმრავლესობა უფრო მეტ მნიშვნელობას სწორედ მობილურ ტელეფონს ანიჭებს. მობილური ინტერნეტის აბონენტების რაოდენობა 2013 წლის იანვრის 977.888 -დან 2016 წლის დეკემბერის ჩათვლით 1928.913-მდე [2], თითქმის მილიონით გაიზარდა, რაც საოცარი შედეგია და მნიშვნელოვანი ციფრია ბიზნესისთვის, რომელსაც გაუჭირდება თავი აარიდოს ბაზრის ასეთ სეგმენტს. ასევე, 2016 წელს ინტერნეტის გავრცელების თავსუფლების კუთხით Freedom House-ის რეიტინგით, საქართველო მე-25 ადგილზეა 100 ქვეყანას შორის [3]. მსოფლიო ბანკის 2017 წლის მონაცემებით, ბიზნესის დაწყების სიმარტივეთ საქართველო მე-8 ადგილზეა (190 ქვეყნიდან) [4], რაშიც ბიზნესის ელექტრონული რეგისტრაციის შესაძლებლობას დიდი წილი უჭირავს, ასევე საერთაშორისო სააგენტო „We are Social“-ის კვლევით ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვი 2017 წლის 24 იანვრის მონაცემებით 2.5 მლნ-ს შეადგენს [5]. ქართული ელექტრონული სერვისები, მსგავსად სხვა ქვეყნებისა, ორიენტირებულია G2C, G2B, B2G G2NGO და G2G სერვისების მიწოდებაზე. უკვე დანერგილია ელექტრონული სერვისები პასპორტის, პირადობის მოწმობის, საცხოვრებელი მისამართის, ქორწინების, გარდაცვალების, მინდობილობის და ა.შ. მოწმობების გაცემისას. მიმდინარეობს ელექტრონული მოწმობების უსასყიდლოდ გაცემის აქციები, რამაც საგრძნობლად გაზარდა სამოქალაქო რეესტრში მოქალაქეთა ბიომეტრიული მონაცემების რაოდენობამ, რაც მნიშვნელოვანია საარჩევნო სიის დახვეწისა და ევროკავშირში უფიზო მიმოსვლისთვის, რომელიც 2017 წლის მარტის შემდეგ შესაძლებელი გახდა.

მნიშვნელოვანია, რომ 2012 წლიდან შექმნილია მოქალაქის პორტალი my.gov.ge, რომელშიც თითქმის ყველა სახელმწიფო სერვისია ინტეგრირებული და გააჩნია უნიკალური ფუნქცია ბიზნესის ონლაინ რეგისტრაციისა, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ელსერვისების როლიდან გამომდინარე ბიზნესის განვითარებაში, როცა ყოველგვარი ბიუროკრატიული წინააღობის გარეშე მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან შესაძლებელია დაარეგისტრირონ ბიზნესი საქართველოში. აღნიშ-

ნული სერვისი „ბიზნესის ონლაინ რეგისტრაცია“, თემატურ სექციაში - „ბიზნესი“ ინტერნეტის გავლით მარტივი და ზედმეტი პროცედურების გარეშე ხორციელდება. პორტალზე, ელექტრონული მეთოდით დღემდე 300-ზე მეტი ბიზნესია დარეგისტრირებული, ასევე, ინტეგრირებულია 70-ზე მეტი სერვისი სხვადასხვა სამთავრობო უწყებისა და შესაძლებელია ამ უწყებებიდან სხვა სერვისებთან ერთად, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა [6], სამწუხაროა, რომ დღემდე არ არის ყველა უწყება ინტეგრირებული მოქალაქის ამ პორტალზე.

ელექტრონული სერვისების დანერგვამდე, გადამხდელები დეკლარაციებს თუ სხვა სახის დოკუმენტებს რეგიონულ საგადასახადო სამსახურებში წარადგენდნენ, მათივე რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რაზეც ღიდ დროს და გზის ფულს ხარჯავდნენ. 2010 წელთან შედარებით (64-ე ადგილი) მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გადასახადების გადახდის სიმარტივის რეიტინგში. 2017 წლის ანალიზის შედეგად, რომელსაც Price Waterhouse Cooper (PwC)-ი აკეთებს საქართველოს 22-ე ადგილი უჭირავს 189 ქვეყანას შორის [7], მაჩვენებლები სამი ინდიკატორის მიხედვითაა დათვლილი: გადასახადების ერთიანი განაკვეთი, გადასახადების გადახდისათვის საჭირო დრო და გადახდების რაოდენობა. აღსანიშნავია მნიშვნელოვანი წინსვლა გადასახადების გადახდისთვის საჭირო დროის ინდექსში, რომელიც ჯამში 270 საათს შეადგენს, 2016 წელს ის 362 საათით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო რეგიონში და შესაბამისად, საქართველო მე-40 ადგილს იკავებდა საერთო რეიტინგში [7]. აღსანიშნავია საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (PFMS) შედგება კონკრეტული მიზანის მატარებელი ქვესისტემებისგან, რაც მნიშვნელოვანი საყრდენია G2G-ის და G2B-ის მოდერნიზაციისთვის, საჯარო ფინანსების, ვალებისა თუ სხვა აქტივების დაგეგმვის, შეგროვებისა და ხარჯვისთვის, რომელთა მართვაც მთავრობას უწევს. თითოეული მათგანი საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს და ქართული ელმმართველობის თვალსაჩინოებას წარმოადგენს: ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა (eBudget), სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury), სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა (eDMS), ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (eHRMS), გადასახადების მართვის საინფორმაციო სისტემა (rs.ge), სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (procurement.gov.ge) [8]. ელ-სერვისების დანერგვას მხოლოდ ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება არ გამოუწვევია, მან შესაბამისად კორუფციის შესაძლებლობებიც შეამცირა, რადგან ელექტრონულად დეკლარაციების წარდგენამდე საგადასახადო დოკუმენტაციის დადასტურება წარდგენის მომენტში არ ხდებოდა, ის დამხმარე დოკუმენტებში არსებული მონაცემების დამუშავებაზე იყო დამოკიდებული, რასაც დამატებით გარკვეული დრო სჭირდებოდა, შესაბამისად მონაცემები დაგვიანებით შედიოდა სისტემაში და საგადასახადო მონიტორინგი შეფერხებით მიმდინარეობდა. ეს, თავისთავად, სხვა ხარვეზებთან ერთად, კორუფციის წარმოშობის ალბათობასაც

ზრდიდა. ელ-სერვისების შემოღების შედეგები კი სახეზეა: თანამედროვე ბლედის ტექნოლოგიაზე გადასვლა, საგადასახადო პროცესის ვირტუალიზაცია, მონაცემთა ბაზის სარეზერვო უზრუნველყოფა და ბიზნეს-პროცესის უწყვეტობა უწყებაში [9].

2017 წლის 20 მარტის მდგომარეობით, აქტიური სტატუსი უფიქსირდება 412679 გადამხდელს, მათ შორის შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ გვერდის rs.ge --ის ავტორიზებული მომხმარებელია 355368 გადამხდელი, რაც მთლიანის 86 %-ია. ასევე, იმავე დროის მონაცემებით, შემოსავლების სამსახურის მობილური აპლიკაცია ჩამოტვირთულია 21832 მომხმარებლის მიერ, ხოლო ამ აპლიკაციით სარგებლობს 6245 მომხმარებელი. საინტერესოა ელფორმით წარდგენილი დეკლარაციების რაოდენობაც [10].

ინფორმაცია ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი წლიური დეკლარაციების შესახებ წლების მიხედვით [10]

ცხრილი 2

საგადასახადო პერიოდი	საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის წლიური დეკლარაცია	მოგების გადასახადის წლიური დეკლარაცია	საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია
2014	62 513	72 328	132 144
2015	66 564	76 919	150 299

აღსანიშნავია, რომ ელ-შესყიდვების სერვისების საშუალებით აღმოიფხვრა როგორც გეოგრაფიული უთანასწორობა, ასევე, კორუფციის შესაძლებლობები. ერთიანი ელსისტემის დანერგვის შემდეგ გამარტივდა შესყიდვების პროცედურები, რადგან სატენდერო დოკუმენტაციის წარდგენა ელექტრონული ფორმითაა შესაძლებელი და ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ერთი ვიზიტიც საკმარისია მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველ უწყებაში, ნებისმიერი სტუმრისთვის ნებისმიერი სატენდერო ინფორმაციაზე წვდომის შესაძლებლობით, რაც ელსისტემისადმი მაღალ სანდოობას წარმოშობს. 2017 წლის 11 აპრილის მდგომარეობით, სახელმწიფო შესყიდვების ელ-სისტემაში რეგისტრირებული იყო 1612 მომხმარებელი და 2456 სტუმრის სტატუსის მქონე მომხმარებელი. რაც შეეხება მიმწოდებელთა რაოდენობას, კვლავ მაღალი და მზარდი დინამიკა შეიმჩნევა კერძო სექტორის მხრიდან. მხოლოდ 2016 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული მართვის სისტემას 5659 ახალი მიმწოდებელი შეემატა და ჯამში 30704 მიმწოდებელი შეადგინა, 2015 წლისთვის საქართველოში დაახლოებით 160 ათასი აქტიური ეკონომიკური ოპერატორი ფიქსირდებოდა, 2016 წლისთვის 1123 არარეზიდენტი მიმწოდებელია 2015 წლისთვის სისტემაში სულ რეგისტრირებული იყო 58 ქვეყნის 704 არარეზიდენტი მიმწოდებელი, რაც 2014 წლის მონაცემებს 222 მიმწოდებლით, ანუ 46%-ით აღემატება. აღსანიშნავია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ შესყიდვების ელექტრონული სისტემით განხორციელებული ეკონომია სახელმწიფო

საბიუჯეტო სახსრებისა , რომელიც მხოლოდ 2015 წლის განმავლობაში 300 მლნ ლარამდე, ხოლო 2016 წელს 280 მლნ ლარამდეა, რაც სავარაუდო შესყიდვების ჯამური ღირებულების დაახლოებით 10,9 %-ია. შესაბამისად, ელექტრონული სერვისის გამოყენების სავარაუდო ეფექტიანობა მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ელსისტემის ამოქმედებიდან დღემდე მლრდ-ზე მეტი თანხაა დაზოგილი ელმესყიდვების გამოყენების მეშვეობით [11].

ელექტრონული კომერციის პლატფორმები, რომლებიც ბიზნესს ონლაინ მაღაზიების, ელბაზრების მოსაწყობად აუცილებელ პროგრამულ უზრუნველყოფასა და გადანაცვლებს სთავაზობენ მომხმარებლებს. საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში სხვადასხვანაირად არის გავრცელებული (იხ. ცხრილი 3).

საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული ელკომერციის პლატფორმები, %, 2016 წ. [12]

ცხრილი 3

	ხაქრთელი	რუსეთი	აზერბაიჯანი	თურქეთი	ხიმეთი	უკრაინა	მალდოვეთი
OpenCart	16.01	35.02	37.11	31.06	14.22	44.45	21.46
CS Cart	10.46		1.03			1.45	1.37
PrestaShop	7.19	4.1	9.62	3.43	5.17	7.17	8.22
VirtueMart	5.23	10.56	5.84	1.77	3.88	10.38	10.05
Magento	3.59	1.92	3.09	3.43	14.66	4.38	4.79
WooCommerce Add To Cart	2.94	1.97	1.72	1.6	2.59	2.0	2.05
Hikashop	1.31						
WooCommerce	48.69	24.39	34.71	48.51	42.24		37.21
Wix Stores	1.31	3.65	2.06	1.49	1.72		
Ecwid	0.65		0.69				
Shopify					2.59		1.14
Shopify Conversations					2.59		
Ubercart		2.91			1.72	2.17	1.6
osCommerce		2.95				4.48	1.14

კვლევა წარმოაჩენს WooCommerce-სა და OpenCart-ის მაღალ მაჩვენებლებს რეგიონში, ასევე საინტერესოა ის, რომ ელპლატფორმები, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული, არ არის წარმოდგენილი მეზობელ ქვეყნებში და პირიქით. აღნიშნული საიტების გამოყენების სულ რამდენიმე ათეული შემთხვევაა საქართველოში, რადგან ჯერჯერობით მოიკოჭლებს შესაბამისი სერვისების დანერგვისა და გამოყენებისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარჩვევები, ხშირ შემთხვევაში, არ სარგებლობენ თავად სერვისების მომწოდებელთა მიერ შემოთავაზებული ონლაინ-ტრენინგებითა თუ პროგრამის სატესტო უფასო ვერსიებით.

ბიზნესკომპანიები, რომლებსაც წარმატება სურთ, ჩაბმული უნდა იყვნენ სამართონო რბოლაში, რათა ადაპტირება და გამოყენება შეძლონ ახალი ტექნოლოგიების, სანამ ისინი ჯერ კიდევ აქტიულები არიან, რელიევანტური და სასარგებლონი არიან.


საინტერესო და აუცილებელია ელექტრონული ბაზრის გლობალური ტენდენციების გაანალიზება, რადგან თანამედროვე ბიზნესსუბიექტებისთვის, რომლებიც საქართველოში არსებობენ და მომავალში დაფუძნდებიან, მხოლოდ ქართული ბაზარი, მისი სიმცირის გამო, მათი განვითარებისთვის საკმარისი ვერ იქნება და შესაბამისად უნდა ეცადონ საერთაშორისო ბაზრებზე შესაბამისი კონკურენტული ადგილები მოიპოვონ, მით უფრო მაშინ, როცა ელექტრონული სერვისების გამოყენებით შესაძლებელია, ბიზნესინტელიგენსის (BI) დანერგვა, როგორც მნიშვნელოვანი მექანიზმი კომპანიის შიდა სტრუქტურული მართვისა და კონტროლისთვის, ასევე, BI-ის განხორციელებაში გამოყენებული ელექტრონული სერვისებისა კლიენტებთან ურთიერთობაში და მობილური BI-ის დანერგვის და მოხმარების მნიშვნელობის გაანალიზება კომპანიის განვითარებისთვის. ასევე, შესაძლებელია ელექტრონული კომერციის პლატფორმების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესს შესაბამისი ელექტრონული სერვისპაკეტებით, პროგრამული უზრუნველყოფით, რაც ელექტრონული ვაჭრობისთვის და სხვადასხვა ტრანზაქციული ურთიერთობისთვისაა საჭირო. მსგავსი პროდუქტების გამოყენებით შესაძლებელია ააშენო საკუთარი ელექტრონული მაღაზია ან ბაზარი ინტერნეტში, ურთიერთობა დაამყარო სრულიად ახალ მომხმარებლებთან მსოფლიოს მასშტაბით, გახდე უბარიერო ინტერნეტბაზრის აქტიური, სრულყოფილი მოთამაშე და სხვა, რაც როგორც ადგილობრივი, ასევე, საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესია. თუ გავეცნობით „we are social“ კვლევას, რომელიც თავის მხრივ ცნობილი ორგანიზაციების შესაბამის კვლევებს ეყრდნობა, როგორცაა GlobalWebIndex, GSMA Intelligence, Mobile Connectivity Index; Statista, Akamai-ის State of the Internet, Google-ის Consumer Barometer, StatCounter, Ericsson-ის Mobility Reports-სი. გლობალურად თუ მიმოვიხილავთ, ციფრული სამყარო საოცრად გაიზარდა 2016 წელს, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მაჩვენებლით 2015 წელთან შედარებით: 2017 წლის მთავარი ციფრები ასე გამოიყურება: 3.773 მლრდ გლობალურად ინტერნეტმომხმარებელი, რაც პენეტრაციის 50%-ს შეადგენს. 2.8 მლრდ გლობალურად სოციალური მედიის მომხმარებელი – პენეტრაციის 37%-ის ეკვივალენტურია; 4.92 მლრდ გლობალურად მობილურის მომხმარებელი – 66% პენეტრაციის; 2.56 მლრდ გლობალურად მობილურით სოცმედიის მომხმარებელი – 34% პენეტრაციის; 1.61 მლრდ გლობალურად ელკომერციის მომხმარებელი – 22% პენეტრაციის. აქტიური სოციალური მედიის მომხმარებელთა რიცხვი 222 მლნ-ითაა გაზრდილი, რაც 5%-იანი ზრდაა და მობილური სოციალური მედიის მომხმარებლები შთამბეჭდავი, 581 მლნ-ით, 2016 წლის განმავლობაში 30 %-ითაა გაზრდილი [5;13].

რაც შეეხება საქართველოს ციფრულ მონაცემებს, მცირე, მაგრამ მაინც უარყოფითი ტენდენციაა მოსახლეობის რაოდენობაში, რომელიც 1 %-მდე შემცირებული და 2% -იანი ნაკლებობა შეინიშნება მობილურ აბონენტთა სტატისტიკაში. მნიშვნელოვანია ასევე მზარდი დინამიკის აღნიშვნა აქტიურად სოციალური მედიის

მომხმარებელთა რიცხვში, რომელიც 38%-ითაა გაზრდილი - სხვაობა ნახევარ მლნ მომხმარებელს შეადგენს, ხოლო ზოგადად სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობაში 22%-იანი ზრდა ფიქსირდება 2016 წლის განმავლობაში. ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაზრდილია 4%-ით [5] (იხ. დიაგრამა).

ციფრული საქართველო 2016-2017 წლები (მლნ მომხმარებელი) [5]

დიაგრამა



დაქსელილი სამყარო და ქსელური ურთიერთობები ბიზნესში თანამედროვეობის მონაპოვარია. ახალი ტექნოლოგიები, ელექტრონული პლატფორმები, განსაკუთრებით კი სოციალური მედიის პლატფორმები ცვლის გლობალურ ეკონომიკას სწრაფი ტემპებით. არამხოლოდ ინსტრუმენტები იცვლება, არამედ ბიზნესპროცესებიც, რაც ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებას მოყვება, მუდმივად განვითარებადი და ადაპტირებადი ტექნოლოგიები მართავს და გარდაქმნის ბიზნესპროცესებს ყოველდღიურად. პარტნიორებსა და მომხმარებლებთან ურთიერთობისთვის ბიზნესი გამუდმებით უნდა ცდილობდეს იპოვოს უკეთესი საშუალებები, შესთავაზოს უკეთესი ხარისხი და კომფორტული გახადოს საქმიანი ურთიერთობები, რამაც ელექტრონული სერვისების როლი განუსაზღვრელად მაღალია, რომელიც ბიზნესს ყველა ფუნქციონირებად რგოლში ეხმარება და უალტერნატივო საშუალებაა ბიზნესპროცესების გაუმჯობესებისთვის.

სახელმწიფო მუდმივად უნდა ცდილობდეს შესთავაზოს თავის მოქალაქეებს მოქნილი ელექტრონული სერვისები, მათ შორის სხვადასხვა ენაზე, როგორც რეზიდენტ, ასევე, არარეზიდენტ მომხმარებლებს, მაშინ როცა საქართველო ყოფილი რუსულენოვანი ეკონომიკური სივრცის ნაწილი იყო და როცა დღემდე ინვესტორთა რიცხვში ყოფილი საბჭოთა ქვეყნები დომინირებენ, როგორცაა, მაგალითად, აზერბაიჯანი რომელიც 2016 წლის მონაცემებით, ყველაზე დიდი ინვესტორი იყო

საქართველოში - 578 მლნ დოლარით, რაც მთლიანი ინვესტიციების 35 %-ია [14], საფიქრებელია, რომ სახელმწიფო უწყებების ვებგვერდები, რომლებიც პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინფორმაციას, ასევე შესყიდვების, დეკლარირებისა და დასაქმების შესახებ საჭირო მექანიზმებს სთავაზობენ მომხმარებლებს, სასურველია იყოს სხვა საერთაშორისო უცხო ენებზეც, მათ შორის რუსულზეც, რომელსაც მეტ-ნაკლებად საქართველოში მცხოვრები უმცირესობებიც ფლობენ, ვისთვისაც სახელმწიფო ცდილობს მიმზიდველი გახდეს თავისი ეკონომიკური გარემოთი, ახალი ბიზნეს-ურთიერთობების შესაძლებლობებით და სთავაზობს მათ ვიზალიბერალიზაციით მიღწევად სიკეთებს. ურიგო არ იქნებოდა ამასთან ერთად, ენობრივი ბარიერებიც გადალახა, სხვა შემთხვევაში, ასეთი ბიზნესსუბიექტები სხვაგან მოძებნიან საკომუნიკაციო არხებს და იქ და იმ მიმართულებით განვითარდებიან, სხვა ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სივრცეზე გააკეთებენ არჩევანს, სხვაგან დახარჯავენ ფულს და დაიკარგებიან როგორც პოტენციური მომხმარებლები. ამიტომ უფრო მეტი სოციალური პასუხისმგებლობაა საჭირო, როგორც ბიზნესის, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან, რომ უკეთესი ადაპტირებული გარემო შეიქმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მოხდეს შესაბამისი ადაპტირება ოფიციალური ვებგვერდებისა, რათა გაიზარდოს სხვა ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა. ბიზნესსუბიექტებთან უკეთესი ტრანზაქციული ურთიერთობის მიზნით, აუცილებელია ინტერნეტაპლიკაციების შექმნა სხვადასხვა უწყების მხრიდან, სადაც ერთ ინტერფეისში ბიზნესის განვითარებისა თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის სავალდებულოდ მიჩნეული ინფორმაცია იქნება ინტეგრირებული და სრულყოფილად გათვალისწინებული.

ლიტერატურა:

1. „ელმმართველობის განვითარების ინდექსი“, გაერთიანებული ერების კვლევები 2008-2016. United Nations E-Government Surveys:2016 E-Government for Sustainable Development,2014 E-Government for the Future We Want, 2012 E-Government for the People, 2010 Leveraging E-Government at a Time of Financial and Economic Crisis,2008 From E-Government to Connected Governance. www.publicadministration.un.org. გაერო ეკონომიკისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი. ა.შ.შ. ნიუორკი. 2008-2016. www.un.org
2. სკეკის ანალიტიკური პორტალი.<https://analytics.gncc.ge/>
3. ფრიდომ ჰაუსი. ინტერნეტის გავრცელების რეინტინგი მსოფლიოს მასშტაბით. 16.11.2017 <https://freedomhouse.org/report/freedom-net/2016/georgia>
4. მსოფლიო ბანკი.<http://www.doingbusiness.org/reports/regional-reports>
5. სიმონ კემპი. დიგიტალ-2017. გლობალური მიმოხილვა,ინტერნეტ-ჟურნალი“ we are social“. 26 Mercer St, New York, NY 10013 24.01.2017 .<https://wearesocial.com/weare-social-2016-2017>.
6. ელექტრონული მმართველობის გზამკვლევი. 2014, იუსტიციის სამინისტრო. My.gov.ge. EU. ევროკავშირისა და საქართველოს ელექტრონული მმართველობის მექანიზმი.

7. <https://www.pwc.com/ge/en.html>
8. “ციფრული საქართველო”. ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018. ბ. კრაზინა, პ.ლიუ, მ.ნილსენი,ჯე. მილარდი, პი. რეისსტედტერი, მარია ა.ვიმერი.
9. ელექტრონული სერვისების ეფექტურობის და ეფექტიანობის შეფასება საქართველოში, 2015. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, Estonian development cooperation, Praxis.
10. შემოსავლების სამსახურის წერილი NN: 21-11/409799 (გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია).
11. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2015-2016 ანგარიშები. <http://procurement.gov.ge/ELibrary/AnalyticalStudiesReports.aspx>
12. **builtwith**. ელ-კომერცის პლატფორმების გამოყენების სტატისტიკა. სიდნეი. 4.09.2017 <https://trends.builtwith.com/shop>
13. სტატისტიკების პორტალი **statista.com** . ელ-სერვისები მსოფლიოს მასშტაბით. გერმანია.2016 წლის დეკემბერი. <https://de.statista.com/outlook/261/100/eservices/weltweit№>
14. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

Development of Electronic Services in Georgia

Dimitri Javakhadze,

Doctoral Student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

dimitrijavakhadze@yahoo.de

Functioning in „good governance“ plays a crucial role for business, where the rule of law is guaranteed, the right to property is protected, the transparent and responsible attitude of governments towards business is felt. Due to the main goals of business, save time and financial resources, decrease administrative pressure, simplify communication with partners, more efficiently manage self-sustaining in the existing competitive world, without the introduction of electronic services in compliance with international standards, it is unacceptable. The article reviews important electronic services for business and their development opportunities.

Keywords: El-services; el-commerce; el-management; el-platforms

JEL Codes: L80, L81, L86, M15

ინტეგრაციული ურთიერთობების თავისებურებები რეგიონული სამედიცინო მომსახურების ბაზარზე

სოფიო ბაკურიძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი*

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე ტრანსფორმაციულმა პროცესებმა ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია სამედიცინო მომსახურების სისტემაშიც. საბაზრო-ეკონომიკური ცვლილებების მოთხოვნილებებმა, სხვადასხვა დარგის მსგავსად, სამედიცინო მომსახურების სფეროშიც განაპირობა პრობლემის გადაჭრისა და განვითარებისათვის ინოვაციური გზების მოძიების აუცილებლობა, რასაც ეძღვნება წინამდებარე სტატია.

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაცია; პარტნიორობა; კერძო და სახელმწიფო საკუთრება; რეგიონული სამედიცინო მომსახურება; გლობალიზაცია; ფრანჩაიზინგი; ვირტუალური კოოპერაცია; ფასეულობათა საინფორმაციო ქსელი.

არასაბაზრო ეკონომიკურ სისტემაში არსებული სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების გვერდით, რომლებიც უფასო სამედიცინო მომსახურებას უწევდნენ მოსახლეობას, გაჩნდა ფასიან მომსახურებაზე მყოფი კერძო სამედიცინო დაწესებულებები. თუმცა დღეისათვის საბაზრო ეკონომიკურ სისტემაში ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, ნდობის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფილი სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობები სამედიცინო სფეროს კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის.

განსაკუთრებით გართულებული სოციალ-ეკონომიკური ფონის პირობებში, როდესაც დაბალია მომსახურების განვითარების ტემპები, მწირია ქვეყნის ბიუჯეტი, მაღალია ფასები(მათ შორის მედიკამენტები), მაღალია უმუშევრობის მაჩვენებელი, სრულყოფილად ვერ ხერხდება სურსათისა და გარემოს უსაფრთხოების

სტანდარტების დაცვა, სოციალური და ჯანმრთელობის მასობრივი დაზღვევა, რა თქმა უნდა, დაბალეფექტიანია სამედიცინო მომსახურების მოქმედი სისტემაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა აქვს კერძო და სახელმწიფო სამედიცინო მომსახურების ოპტიმალურ შეხამებას, ასევე, კერძო რეგიონული სამედიცინო მომსახურების ფირმათშორის ინტეგრაციის სისტემის ფუნქციონირების მექანიზმების შემუშავებას, სამედიცინო სფეროში მოთამაშე სუბიექტების საქმიანობის ეფექტიანი კოორდინირებული გზების დასახვას, ცალკეულ სამედიცინო დაწესებულების მართვის ეფექტიანი მეთოდების გამოყენებას, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, არსებული საინვესტიციო და სხვა რესურსების მიზნობრივ გამოყენებას და ა. შ.

შესასწავლი პრობლემის ზოგიერთი სპეციფიკა

გლობალიზაციის პროცესების აქტიური მოქმედების ეტაპზე, ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, საქართველოშიც მნიშვნელოვნად შეიცვალა მიდგომები ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ინსტიტუციური, სისტემური, ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა მიმართულებით. საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის, პროფილაქტიკის, სამკურნალო, გამაჯანსაღებელი, კლინიკური, სადაზღვევო და სხვა დაწესებულებების ფუნქციონირება სულ უფრო უახლოვდება ევრო-დასავლურ სტანდარტებს. ასევე, თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოყენების შესაბამისად, აღიარებულ სამედიცინო დაწესებულებებში მზადდება შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტები სხვადასხვა მიმართულებით, კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება ამ სფეროს მორალური და სოციალური მახასიათებლები.

შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში სხვადასხვა საბაზრო ფაქტორის რაციონალური მართვა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ჯანდაცვის სფეროს სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. აღნიშნულის აუცილებლობა გამომწვეულია იმით, რომ ჯანდაცვის სისტემის, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციები განეული სამედიცინო საქმიანობის მიხედვით გამოირჩევა მომსახურების სახეთა სპეციფიკური მრავალმხრივობით.

აღნიშნული მიმართულებით საინტერესო კვლევებია მოცემული არაერთი უცხოელი და ქართველი მეცნიერის, პრაქტიკოსის შრომებში. კვლევების მიუხედავად უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე, დღემდე სრულად ვერ გაშუქდა სამედიცინო სფეროს სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციული პროცესების, ცალკეული სპეციალიზებული თუ კომპლექსური სამედიცინო დაწესებულებების მართვის საკითხები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სტატიის მიზანია, როგორც თეორიული პრინციპების, ასევე პრაქტიკული მექანიზმების შესწავლა და ანალიზი სამედიცინო სისტე-

მის მოდერნიზაციის თვალსაზრისით, საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამასთან, მთავარია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების პარტნიორობის სისტემური განვითარების ღონისძიებებისა და პრიორიტეტების დასახვა.

სამედიცინო მომსახურება, ერთი მხრივ, შეიცავს საქონელბრუნვის ნიშნებს, რაც აკმაყოფილებს ინდივიდების კერძო მოთხოვნებს საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით. მეორე მხრივ კი, წარმოგვიდგება საზოგადოებრივ არამატერიალურ რესურსად, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა. ე. ი. სამედიცინო მომსახურებას თავისი არსით მოიცავს როგორც საზოგადოებრივ, ასევე ინდივიდუალური კეთილდღეობის მახასიათებლებს.

აღსანიშნავია, რომ სამედიცინო მომსახურების მრავალმხრივობა და მასშტაბურობა ვლინდება მის სასარგებლო ეფექტებში, მათ შორის როგორც ცალკეული პიროვნების მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, ასევე, საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაში. სწორედ აღნიშნული თავისებურებები განასხვავებს სამედიცინო მომსახურების ბაზარს სხვა სახის მიმართულებებისაგან.

განსაკუთრებული თავისებურებაა ისიც, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხი არ არის უშუალოდ დამოკიდებული ეკონომიკურ ფაქტორებზე. სწორედ აღნიშნული განაპირობებს ამ სფეროში მომსახურების შედეგის შეფასების შესაძლებლობის დაყოვნებას, ანუ შედეგის დადგომამდე მოქმედებს ისეთი კატეგორია, როგორიცაა ნდობის ფაქტორი. აღნიშნულის შესახებ პირველად გამოთქვა აზრი ფ. ნელსონმა როცა დაახასიათა სხვადასხვა მომსახურებისა და საქონლის სპეციფიკური ჯგუფები, მათ შორის სამედიცინო, კონსალტინგური, განათლების, სამეცნიერო და სხვა სფეროები[1, გვ.224].

ნდობა გამოიხატება კონკრეტული სამედიცინო დაწესებულების ან ექიმის მიმართ, რომელიც არაერთი ალტერნატიული მოდელიდან ინდივიდს სთავაზობს ერთ-ერთს, რომელიც მიჩნეული იქნება ყველაზე ეფექტიან ვარიანტად, რომელსაც ჰქონდა მრავალჯერადი შედეგი.

მომსახურების შედეგი ფორმირდება მაშინ, როცა ინდივიდი ფაქტობრივ (რეალურ) მომსახურებას შეადარებს მისთვის სასურველ, ჯერ კიდევ იდეაში არსებულ მოსალოდნელ მომსახურებას.

სამედიცინო მომსახურების ბაზრის თავისებურებაა ის, რომ თავისთავში მოიცავს ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი - კერძო და სახელმწიფო სამედიცინო მომსახურების სეგმენტების ერთიანობას. ამ სფეროს ორმაგი ეკონომიკური ბუნება სულაც არ გამორიცხავს საკუთრების ორივე ფორმით ფუნქციონირებას, ამავე დროს იქმნება საზოგადოებრივად საყურადღებო აუცილებლობა ორივე სექტორის ინტეგრაციული პრინციპებით თანამშრომლობის თაობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთლიან სამედიცინო მომსახურებაში მნიშვნელოვნად იზრდება კერძო სექტორის წილი.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა სახელმწიფო და კერძო სამედიცინო მომსახურების სტრუქტურა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (იხ. ცხრილი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამედიცინო მომსახურების ზოგიერთი მაჩვენებელი 2013-2016 წლებში [2]

მაჩვენებლები	2013 წ.		2014 წ.		2015წ.		2016წ.	
	სახელმწიფო დაფინანსება	კერძო	სახელმწიფო დაფინანსება	კერძო	სახელმწიფო დაფინანსება	კერძო	სახელმწიფო დაფინანსება	კერძო
1.სამკურნალო დაწესებულებების რაოდენობა	10	30	13	32	13	32	9	41
მ.შ. სტაციონარი	4	14	4	14	4	13	3	17
2. სანოლების რაოდენობა	1108		1095		1171		1305	
3.სანოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მოსახლეობის ასი ათას სულზე:								
ა) აჭარის ა/რ	279		290		292		325	
ბ) საქართველო	208		313		345		345	

ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ აღნიშნული მიმართულებით განვითარების ტენდენცია შედარებით დადებითია კერძო სექტორში. ბუნებრივია, მთავარი პრობლემა ქვეყნის ბიუჯეტის სიმცირეა. თუმცა, ვფიქრობთ, ძირითადი სირთულეა ის, რომ როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონის მასშტაბით, სამედიცინო მომსახურების სფეროში შესამჩნევად დაბალია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს შორის ინტეგრაციისა და კოორდინირებული მუშაობის ხარისხი, რაც უარყოფითად აისახება მთლიანად სამედიცინო მომსახურების სფეროს განვითარებაზე, განსაკუთრებით მთის რეგიონში, სადაც მოსახლეობა ხასიათდება უკიდურესად დაბალი შემოსავლებით, უმუშევრობის მაღალი დონით, სოფლების უმეტესობა კი გაფანტული და მცირერიცხოვანია.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის მიხედვით ურთიერთზემოქმედებს სამედიცინო, სადაზღვევო და ინფორმაციული მომსახურება. კომერციული და სახელმწიფო სექტორის ურთიერთქმედება სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოებს. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო და კერძო სამედიცინო ბიზნესის რესურსების ოპტიმალურ, მიზანმიმართულ გამოყენებას.

სამედიცინო დაწესებულებები კონტრაქტული პრინციპებით, ხშირ შემთხვევაში, ფუნქციონირებენ არამატერიალური სტაბილურობისა და ხანგრძლივობის პირობებში. მათი თავისებურება განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ხარისხითა და ფასების ხელმისაწვდომობით, რაც დანახარჯების შემცირების, ინფორმაციული წვდომის, მონოპოლიურობის აღმოფხვრის და კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალებას იძლევა. ყოველივე ეს აისახება ვერტიკალურ ინტეგრაციულ

ქსელში, გლობალური, რეგიონული, ლოკალური ინფრასტრუქტურის საავადმყოფოებისა და ამბულატორიულ-პრევენციული ქსელის ფინანსურ, მატერიალურ-ტექნიკურ და პროგრამულ უზრუნველყოფაში. ასევე, სამედიცინო სისტემის მოქნილი და მობილური მართვის მექანიზმების ფორმირებაში.

სამედიცინო სისტემაში შემავალი ტერიტორიული და საოჯახო საავადმყოფოების, პოლიკლინიკებისა და კერძო სამედიცინო მომსახურების დაწესებულებათა განვითარებითა და ინტეგრაციული პრინციპების ზემოქმედებით ხდება ჯანმრთელობის ქსელის ინსტიტუციური გარდაქმნისა და მოთხოვნილების მიხედვით მართვის დეცენტრალიზაციის უზრუნველყოფა.

სწორედ სახელმწიფო და კერძო სექტორის კოორდინირებული მიდგომა, საქმიანობის ინტეგრაცია, პრიორიტეტულ სფეროებში ინვესტიციების კონცენტრაცია, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების უზრუნველყოფა და სამედიცინო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა ეფექტიანი შედეგების მიღწევის მიმართულებით, მოითხოვს სამედიცინო საქმიანობის მენეჯმენტის აპრობირებული მეთოდებისა და პრინციპების გამოყენებას, განსაკუთრებით აჭარის რეგიონის დონეზე, მისი არაერთი სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებას [2, გვ.33-40].

მსოფლიო პრაქტიკაში სამედიცინო სფეროს ეფექტიანი მომსახურებისათვის ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სემენტის ინტეგრაციული ურთიერთქმედების სტრატეგიები. აღნიშნული, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის მარტო ფინანსური საკითხებით არ შემოიფარგლება. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკადრო, ტექნიკური უზრუნველყოფის, კლიენტთა კონკრეტული მისწრაფებების, სამედიცინო დახმარების სამსახურების, ფასების საკითხების კოორდინირებას, სამედიცინო ობიექტების განლაგებას, ძირითადი პროფილის განსაზღვრას და სხვა.

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ ინტეგრაციული ურთიერთობების პირობებში ფინანსდებოდა სამედიცინო სფეროს საბოლოო შედეგები და არა სანარმოო რესურსები ამიტომაც აღნიშნული ობიექტებისათვის აუცილებელია მოსახლეობის მოთხოვნების, სხვადასხვა მიმართულების პაციენტთა ნაკადების, რესურსდამზოგი და უკეთესი შედეგის მომტანი ალტერნატივების შესწავლა.

ამ მიმართულებით დიდია აშშ-ის გამოცდილება, სადაც სამედიცინო ობიექტების ინტეგრაციულმა პროცესებმა ფართო მასშტაბი მიიღო XX ს. 70-იანი წლების ბოლოს და წარიმართა რამდენიმე ეტაპად. პირველ ეტაპზე დაიწყო ჰორიზონტალური ინტეგრაცია, რაც გულისხმობდა მულტისაავადმყოფოების ქსელის განვითარებას. შემდეგ შეიქმნა შედარებით მცირე ადგილობრივი საავადმყოფოების ქსელი, მომდევნო ეტაპზე კი ჩამოყალიბდა ვერტიკალურად ინტეგრირებული ქსელი, რომელიც მოიცავდა საექიმო- სამედიცინო ორგანიზაციებს. რაც შეეხება რეგიონულ ინტეგრაციას, აშშ-ის საავადმყოფოების ასოციაციის ინფორმაციით, ისინი დაინტერესებული არიან ასევე მსხვილი სპეციალიზებული სავადმყოფოებით და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დამოუკიდებელ სტრუქტურაში განევრებას, რომელსაც

შეეძლება ურთიერთსასარგებლო შიდა ნორმატივების დანესება და სამედიცინო ობიექტების მუშაობის ხარისხის ამაღლება. ეს პროცესები ზოგიერთი ექსპერტის მიერ შეფასებულია როგორც თვითორგანიზაციის მცდელობა, ამიტომაც ისინი მათ მოუწოდებენ განონასწორებელი ურთიერთობისაკენ, რადგანაც მსხვილი სამედიცინო დანესებულება სტაბილიზაციისათვის მოითხოვს დიდ დანახარჯებს და რთულია სამართავად.

სამედიცინო დანესებულების ინტეგრაციის კიდევ ერთი მიმართულებაა სტრუქტურების შექმნა, რომლებშიც ჩაერთვება სადაზღვევო კომპანიები და სამედიცინო მომსახურების მომწოდებლები. მათი ურთიერთობები შექმნის პარალელურ სტიმულებს, რომელთა მოქმედებითაც ამაღლება სამედიცინო მომსახურების ხარისხი და შედეგადაც. ასევე, არსებობს ინტეგრაციის სხვა მოდელებიც, მაგალითად: „მენეჯერული სადაზღვევო ორგანიზაციან, „გაუთვალისწინებელი მომსახურების მინოდების ორგანიზაციან[4]. მათი საქმიანობის ძირითადი მიზანია სამედიცინო დანესებულებების დაბალანსებული და შედეგადაც ფუნქციონირება, აუცილებელი კონტრაქტების გაფორმება, მართვის მოქნილი მოდელების დანერგვა.

თანამედროვე პირობებში, ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეგიონული სამედიცინო მომსახურების ქსელის განვითარებას. არაერთ მათგანში ისინი ფინანსურ დახმარებას ღებულობენ ცენტრალური ბიუჯეტიდან. (იტალია, შვედეთი, პოლონეთი და სხვა). ამ გზით პირველ რიგში წესრიგდება სამედიცინო მომსახურების ლოკალური სისტემა. მათ ბიუჯეტში დომინირებს სოციალური ხარჯები. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება დელეგირებული ფუნქციების განხორციელების მაღალი ხარისხით შესრულებას.

ფირმათაშორისი ინტეგრაციის ფორმები

სამედიცინო მომსახურების სფეროში ინტეგრაციული პროცესების გაცნობიერების, სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების მთავარი მხარდამჭერი ჯგუფია სამედიცინო პერსონალი. ისინი აუცილებლად უნდა იცნობდნენ ამ პროცესების თავისებურებებს, ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და მოსალოდნელი შედეგების მასშტაბებს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ჯგუფზე და მოკიდებული მომსახურების საბოლოო შედეგი, ხარისხი და ეფექტიანობა, სწორედ მათ ხელეწიფებათ ამ პროცესების სტიმულირება ან შეფერხება.

საჭიროდ ვთვლით მსჯელობის საგნად ვაქციოთ ინტეგრაციის ეკონომიკური ბუნების, ფირმათაშორისი ურთიერთობების, სამედიცინო მომსახურების ბაზრის, აქტორების, საქმიანობის კოორდინაციის მექანიზმების ინტეგრაციულ პროცესებში ჩართულობის საკითხები. ასევე, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის მდგრადი განვითარების მმართველობითი ფორმების სრულყოფის ზოგადი პრინციპების შემუშავება, მათ შორის რეგიონულ დონეზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი, სოციალ-ეკონომიკური, გეოგრაფიული სტრატეგიული და რესურსული თვალსაზრისით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაა. რეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვე, დასახლებული სოფლების გაფანტულობა, დაშორება ცენტრალური გზიდან და ადმინისტრაციული ერთეულებიდან მოითხოვს სამედიცინო მომსახურების ბაზრის განსაკუთრებული მოდელის შექმნას მასთან შეხამებული ინტეგრაციული პროცესების განხორციელებით.

ინტეგრაციული პროცესები, სხვა დარგებთან ერთად, ინტენსიურად მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის სფეროშიც. ამ სფეროში თავისებურება ისაა, რომ მისი განვითარება ძირითადად დამოკიდებულია ფინანსურ რესურსებზე, ობიექტების ოპტიმალურ განლაგებასა და გაადგილებაზე, რაციონალურ სპეციალიზაციასა და მომსახურების სფეროების ურთიერთშეხამების ხარისხზე.

დღეისათვის აქტიურად დგას სამედიცინო მომსახურეობისა და ეფექტიანობის ამალღების ხარისხი. რომლის მოგვარებაც შესაძლებელია სახელმწიფოს მარეგულირებელი მექანიზმების მიზნობრივობით, ქმედითუნარიანობით და საჭირო რესურსების უზრუნველყოფით. ეს საკითხები ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში წესრიგდება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამებით. ამ პროგრამების რეალიზაციით მიღებული საზოგადოებრივი კმაყოფილება ჩვენთან დღეს გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იყო ათი წლის წინ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო მომსახურეობის ბაზარი ჯერ კიდევ შორსაა სასურველი სტანდარტებისაგან და ჩვენის აზრით საჭიროებს სისტემურ გარდაქმნას.

სამედიცინო მომსახურების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხარისხის ამალღების მიზნით შემუშავებული სხვადასხვა ღონისძიების რეალიზაციის საქმეში ერთ-ერთ ალტერნატივად მიგვაჩნია ინტეგრაციული პროცესების გაღრმავება, როგორც რეგიონულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე.

ინტეგრაციული პროცესი დასახული მიზნის შესაბამისად, შეიძლება დაიყოს რამდენიმე მიმართულებად, მათ შორის:

პირველი - სამედიცინო დაწესებულებების ძირითადი და საბრუნავი ფონდების (სამუალებები) ინტეგრაცია;

მეორე - შესაბამისი სამეცნიერო, დამხმარე პერსონალის ფუნქციონალური დატვირთვის ინტეგრაცია;

მესამე - სამედიცინო მომსახურებაში ჩართული სუბიექტების-საბაზრო მექანიზმები, კერძო ბიზნესი, სამეურნეო - პროფილაქტიკური დაწესებულებები, დაზღვევა-ინტეგრაცია და მათი მიზნების დაახლოება მონათესავე დარგების სტრატეგიებთან.

მეოთხე - მართვის პროცესების ინტეგრაცია, საინფორმაციო-კომუნიკაციური და სტანდარტების მართვის სისტემის ინტეგრაცია.

მსოფლიო პრაქტიკაში არაერთი ინტეგრაციული ფორმა არსებობს. მათ შორის გამოვყოფთ ზოგიერთებს, რომლებიც ძირითადად ეგრენოდებულ ჰიბრიდულ ხასი-

ათს ატარებს და აპრობირებულია სამედიცინო მომსახურებაში, როგორც მონინავე სტრუქტურები:

ფრანჩაიზინგი - ფრანჩაიზერი - იგივე სავაჭრო მარკის მფლობელი ამარაგებს ფრანჩაიზინგს ტექნოლოგიით, ფინანსური და მმართველობითი ხარჯების შემცირების მიზნით ზემოქმედებს ბიზნესზე.

კლასტერი - გეოგრაფიულ ერთეულში ლოკალიზებული სანარმოო ჯგუფი, რომლებიც ახდენენ მონოპოლიზაციის მინოდებას, კომპლექტაციას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვას, კონკურენციის გაძლიერებას. ისინი იქმნებიან სახელმწიფო და სამედიცინო ბაზარზე მოთამაშე სხვა საკუთრებითი ფორმების დანესებულებათა რეგულირებისათვის.

ვირტუალური კორპორაცია - იქმნება სხვადასხვა ობიექტისაგან კონტრაქტულ საფუძველზე, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ ერთნაირი იურიდიული სტრუქტურა, მაგრამ იყენებენ საერთო ინფორმაციულ-კომუნიკაციურ სტრუქტურას, რომლებიც წარმატებით ასრულებენ რომელიმე პროექტს.

ფასულობათა საინფორმაციო ქსელი - ძირითადად იქმნება ლოგისტიკური და მარკეტინგული პროცესების გასაუმჯობესებლად ერთიან ჯაჭვში და ორიენტირებულია მომხმარებლის მოთხოვნებზე. ქსელი ძირითადად კონცენტრირებულია ფირმათაშორის ინფორმაციის დამუშავებაზე და ის ხელმისაწვდომია ყველა პარტნიორისათვის[5, გვ.221-237]. სამედიცინო მომსახურების ნდობა დამოკიდებულია გადანყვეტილების მიმღებ პირთა ისეთ პოზიციებზე, რაც ეყრდნობა მრავალმხრივი ალტერნატიული სიტუაციების ანალიზს და გვაძლევს გარკვეულ ქცევის მოდელს დროსთან მიმართებით

* * *

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სამედიცინო სფეროს ბაზარი ცალკეული გადანყვეტილების მიმღებ სახელმწიფო და სამეურნეო სუბიექტების დამოკიდებულებაა მარკეტინგის, ლიზინგის და ლოგისტიკის, ორგანიზაციული და სადაზღვევო საქმიანობების, აგრეთვე, სამედიცინო-ინფორმაციული და საგანმანათლებლო სექტორების ურთიერთშეთანხმებული და სისტემური ფუნქციონირებისათვის, რაც მიმართულია საზოგადოებისათვის, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ამაღლებისაკენ.

სამედიცინო საბაზრო სუბიექტებს შორის ინტეგრაციული ურთიერთობების აუცილებლობას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ მოცემულ სიტუაციაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული სამედიცინო სფეროს ფუნდამენტური ინსტიტუციური სტრუქტურა, თვითკმარობის საფუძვლები და განვითარების შესაძლებლობები. აღნიშნული პრობლემები ძირითადად თავს იჩენს რეგიონულ ბაზარზე. ამ და სხვა პრობლემების გადაჭრა მოითხოვს ბაზარზე მოთამაშეთათვის აპრობირებული მეთოდების დანერგვას, სამედიცინო და სადაზღვევო ბიზნესის ოპტიმალურ მართვას, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების ეფექტიანად გამოყენებას,

დარგის ეტაპობრივი განვითარების უზრუნველყოფას, ხელმისაწვდომობის ფაქტორების შემუშავებას და მის დანერგვას სამედიცინო მომსახურების თითოეულ სფეროში, საჭირო ინვესტიციების კონცენტრაციას და მისი მიზნობრივი გამოყენების მექანიზმების შემუშავებას [5, გვ.49].

რეგიონული სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტიანობისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ დაწესებულებათა მართვის სისტემის გაუმჯობესება ფირმათაშორისი ინტეგრაციისა და სახელმწიფო-კერძო პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების საფუძველზე. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებები არამარტო აუმჯობესებს სამედიცინო მომსახურების სტანდარტების მონიტორინგს, არამედ, ქმნის სრულყოფილ საბაზრო ურთიერთობებს მომარაგების ტექნოლოგიების დანერგვის, სხვადასხვა საინფორმაციო მომსახურებასთან ერთად, პაციენტთა ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნის, სავაჭრო პოლიტიკის და სხვა აქტუალური საკითხების რეგულირების მყარ საფუძველს.

ლიტერატურა:

1. **ლობჯანიძე** ვასილ, საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება, თბილისი, გამომც. „ლამპარი“, 2012.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები.
3. **პავლიაშვილი** სოლომონ, პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში, თბილისი, გამომც. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009.
4. Moers L. Determinants of Enterprise Restructuring in Transition: Description of Survey in Russian Industry// Post-Communist Economies. დ 2000/ - №3.
5. Сурмин Ю. П. Теория систем и системный анализ: - Киев: МАУП, 2003.

Peculiarities of Integration Relationships on the Regional Medical Services Market

Sopio Bakuridze

Doctoral Student

Batumi Shota Rustaveli University

Current transformational processes over the last three decades in the country, which took place in the social-economic sphere of the state, caused fundamental changes in the field of medical service too. Requirements of market-economic changes, like various fields, in the field of medical service it has caused the need for searching innovative ways of solving and developing problems. Besides the state medical institution existing in the

non-market economic system, which has free medical care for the population, appeared private medical institutions, which have moved to paid services.

However, in the modern stage in the, market economy system it is not still perfect social and economic relations between the private and state sectors of medical area. In the conditions of a particularly complicated socio-economic background, when the rate of service growth is low, the country's budget is scarce, prices are high including the price of medicines, the index of unemployment is high too, it's not perfect the protection of food and environment safety standards.

Massive insurance for social and health, of course, the operating system of medical service makes it ineffective. The essence of raising personal and public welfare of medical service states in the processing of practical instruments of integration between the state and private regional health care system; Working out the mechanisms for revising the cluster integration system, effective ways to coordinate activities for the subjects playing in the medical area, the use of effective methods of management of a separate medical institution, increasing access to health care, targeted use of existing investment and other recourses.

Keywords: integration; partnership; private and state ownership; unregistered medical service; globalization; franchising; virtual compensation; values information network.

JEL Codes: I10, I11, I18

ურბანიზაციის პროცესები თანამედროვე მსოფლიოში

ნინო ზურაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

წინამდებარე სტატიის მიზანია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ურბანიზაციის პროცესების შეფასება და ანალიზი. ურბანიზაციის პროცესის გავლენის შეფასება ქალაქების განვითარებაზე. სტატიაში წარმოჩენილია ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი გავლენა ქალაქების შემდგომ ზრდასა და განვითარების შესაძლებლობაზე. სტატიაში შეფასებულია საქართველოში ურბანიზაციის ზრდის გამომწვევი ფაქტორები, ასევე, უარყოფითი და დადებითი გავლენა რომელსაც ახდენს ურბანიზაცია თბილისსა და მთლიანად საქართველოზე.

საკვანძო სიტყვები: ურბანიზაცია; ქალაქები; ქალაქის დაგეგმარება; ეკოლოგია; ინფრასტრუქტურა.

ურბანიზაციის მიმდინარე პროცესები მსოფლიოში

მსოფლიოში სულ უფრო მეტად იზრდება მოსახლეობის რაოდენობა. ურბანულ ზონებში განსაკუთრებით გაიზარდა მოსახლეობის სიმჭიდროვე. მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი - 3.5 მლრდ. ადამიანი ურბანულ რაიონებშია განთავსებული. ლათინურ ამერიკაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში მოსახლეობის 70%-ზე მეტი ცხოვრობს ქალაქებში. მოსახლეობის 60% აფრიკაში ჯერ კიდევ სოფლად ცხოვრობს, აფრიკის კონტინენტი არ წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას, მაგრამ იზრდება ურბანიზაციის დონე. აფრიკა არის ურბანიზაციის ზრდის სისწრაფით ერთ-ერთი პირველი რეგიონი [1].

სწრაფი ურბანიზაციის პროცესი მნიშვნელოვან სოციო-ეკონომიკური მოვლენაა, რომელიც დამახასიათებელი გახდა XX და XXI საუკუნეებისთვის. ურბანიზაციის სწრაფი პროცესი განაპირობებს პროდუქტსა და მომსახურებაზე მომხმარებლის მოთხოვნის ცვლილებას. მომხმარებლის მიერ გარემოს აღქმას. [2].

როგორც წესი, მშენებლობის ექსპერტები თანხმდებიან რომ მდგრადი განვითარების პირობებში ქალაქს უნდა შეეძლოს მოსახლეობის როგორც ამჟამინდელი, ასევე მომავალი თაობის მო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

როგორ პასუხობს ქალაქები აღნიშნულ მოთხოვნას მინაზე? - ხშირ შემთხვევაში, დეველოპერული კომპანიები ქალაქის პერიფერიულ არეებში ახალ ურბანულ ტერიტორიებს ქმნიან, რაც ქაოსურად ხდება და უარყოფით გავლენას ახდენს ქალაქისა და მისი მაცხოვრებლების შემდგომ განვითარებაზე. მდგრადი განვითარების ქალაქები, რომელთაც გააჩნიათ განვითარების სამომავლო გეგმები და პასუხობენ თანამედროვეობის გამოწვევებს, აქვთ გამოუყენებელი ტერიტორიები, რაც გათვალისწინებულია ქალაქის განაშენიანების დროს დაგეგმარების პროცესში და ქალაქს აძლევს საშუალებას განვითარდეს მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად. ურბანული ზონის მაღალი სიმჭიდროვე ასოცირდება, ეკონომიკურ აღმავლობასა და სოციალურ ინტეგრაციასთან. როდესაც ქალაქის განაშენიანება ხდება ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც ბუნებას ადგება ნაკლები ზიანი და დაბალია დაბინძურების დონე, ეს ქალაქს აძლევს საშუალებას თავისსავე და მის მიმდებარედ არსებული თავისუფალი ტერიტორიები გამოიყენოს თავისივე განვითარებისთვის. მდგრადი განვითარების ქალაქებში ყოველთვის უფრო დაბალია დაბინძურების დონე.

ურბანულ ზონებში, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში, მოსახლეობა მჭიდროდაა დასახლებული. მათ სჭირდება უამრავი ტიპის საქონელი და მომსახურება, წყალი, სათბობი და სანავი. ყველა საჭირო საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მოსახლეობისთვის შესაძლოა ნეგატიური შედეგები მოჰყვეს გარემოსთვის. ქალაქის მიმდებარე ტერიტორიები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მთლიანად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით, საჭირო გახდება ნაგავსაყრელების დიდი რაოდენობა და ა.შ.

ურბანული მდგრადობა გულისხმობს იდეას, როდესაც ქალაქი შეიძლება ისე იყოს დაგეგმარებული, რომ მისი შემოგარენი და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები გამოყენებულ იქნეს ქალაქის განვითარებისა და მისი განახლებისთვის. ამის მიზანია შეიქმნას სუფთა ეკოლოგიური გარემო, რაც შეიძლება ნაკლებად მოხდეს ეკოლოგიური ზიანის მიყენება, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ქალაქის მიწა, მოხდეს ნაგვის ნარჩენების გადამუშავება, რათა რაც შეიძლება მინიმალური დოზით, ან კიდევ სრულიადაც არ გაუარესდეს ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა.

თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის 50% ცხოვრობს ურბანულ არეებში, რაც 70%-მდე გაიზრდება 2050 წლისთვის. ეს იქნება საშინელი ცვლილება, რომელიც ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, გავლენას მოახდენს იმ მილიონობით ადამიანზე, რომელიც საცხოვრებლად გადავა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში, ქალაქებში და ა.შ. ამგვარად, მსგავსი ტენდენცია გამოწვევაა როგორც ქალაქის მგეგმარებლებისთვის, ასევე დეველოპერებისთვის. სოციალური ურთიერთობები და გარემო არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლის გამოც მოსა-

ხლეობის დიდი მასა გადაადგილდება დიდ ქალაქებსა და ურბანულად მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებში.

მოუხედავად იმისა, რას ფიქრობენ მეცნიერები ურბანულ რეგიონებში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ფაქტია, რომ ურბანული ტერიტორიები არის უფრო განვითარებული და მოთხოვნადი, ვიდრე სოფლისა და გარეუბნის ტერიტორიები, სადაც ადამიანები ერთმანეთისგან შედარებით შორს ცხოვრობენ და აგრეთვე შორს არიან საკუთარი სამუშაო ადგილისგან. როცა ადამიანები და რესურსები ერთმანეთთან ახლოსაა განლაგებული, არსებობს უფრო დიდი შესაძლებლობა, რომ დაზოგილ იქნეს ენერგია, ხოლო რესურსები კი გამოიყენონ ეფექტიანად. ეს შეიძლება გახორციელდეს ეფექტიანი დაგეგმარების, მომსახურების, საქონლის ტრანსპორტირებისა და გამართული სატრანზიტო სისტემის შემთხვევაში. ქალაქების უპირატესობას წარმოადგენს, ასევე, იმ ადამიანების ერთად შეკრების შესაძლებლობა, რომლებსაც გააჩნიათ მონათესავე იდეები, რომელთაგან საუკეთესო იდეები შეირჩევა, რაც მიმართული იქნება განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობისკენ.

ამასთან, კვლავაც ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა მოვლენები მხოლოდ დადებითი კუთხით არ წარიმართოს ქალაქებში. ურბანიზაციის პროცესი უარყოფითად აისახება ქალაქისთვის, თუ არ არის ორგანიზებული სწორი დაგეგმარება, თუ ეკოლოგიური გარემო მკვეთრად უარესდება, შესაძლოა მოხდეს ჰაერისა და მიწის დაბინძურება და ა.შ .

საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ურბანული და რეგიონული განვითარება. რეგიონული განვითარება მოიცავს უფრო ფართო არეალს, ეს შეიძლება იყოს რამდენიმე ქალაქი, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ და შესაძლოა გააჩნდეთ მსგავსი ტიპის პრობლემები და ეკონომიკური განვითარების დონე [3] .

ურბანიზაციის პროცესი არ გულისხმობს მხოლოდ ისეთ პროცესებს, რასაც მოჰყვება მოსახლეობის მიგრაცია სოფლებიდან ქალაქებში, არამედ ის არის პროცესი, რომელმაც უნდა მოიტანოს სარგებელი და დადებითი გავლენა იქონიოს გლობალურად ეკონომიკურ აღმავლობაზე. აღნიშნულის დადებითი ეფექტი უნდა აისახოს არა მხოლოდ ქალაქის მოსახლეობაზე, არამედ სოფლად მცხოვრებ ადამიანებზეც[4]. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, მიგრაციულ პროცესებზე, პროდუქციასა და მომსახურებაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე დიდ გავლენას ახდენს ურბანიზაციის პროცესი, რომელიც ქმნის საბოლოოდ გლობალურ ეკონომიკას[4].

ქალაქების ზრდა და განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია ნაციონალური ეკონომიკის აღმავლობისთვის, როგორც პროდუქციაზე შიდა მომხმარებლის მოთხოვნის ზრდისთვის, აგრეთვე ექსპორტის განვითარებისთვის.

ევროკავშირის მოსახლეობის 72% ცხოვრობს მეტროპოლისებში, ქალაქებსა და დაბებში [5]. გარემომცველი გარემო, რომელიც არის ურბანულ არეებში, გადაწყვეტილია იქ მცხოვრები რეზიდენტებისთვის, მათი ჯანმრთელობისა და მომავლისთვის[6].


მწვანე ინფრასტრუქტურა არის მიმართულება, რომლის დასაწერგად და განსახორციელებლად მუშაობენ ევროსტრუქტურები. ის წარმოადგენს ბუნების დაცვის, მწვანე საფარის გამრავლების ღონისძიებებს, რათა ურბანულ ზონებში დასახლებული მოქალაქეებისთვის სარგებლის მომტანი იყოს ცხოვრება არამხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ეკოლოგიური პირობებიდან გამომდინარეც. მწვანე საფარი უზრუნველყოფს ჰაერის სისუფთავეს, ტემპერატურის რეგულირებას, ნაკლებ ხმაურს, რეკრეაციული ზონების არსებობა ხელს უწყობს მოქალაქეებს განტვირთვასა და დასვენებაში[7].

ურბანიზაციის პროცესის ცვალებადობაზე ევროპის კონტინენტზე გავლენას ახდენს შემდეგი ძირითადი ხუთი ფაქტორი:

- საზოგადოება
- ეკონომიკა
- სამშენებლო გარემო
- ბუნებრივი გარემო
- მთავრობა

დიაგრამაზე (1) წარმოდგენილია ფაქტორები, რომლებიც შეადგენენ რეზიდენტებისა და არარეზიდენტებისთვის მამოტივირებელ ელემენტებს დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი და მოახდინონ ურბანულ არეებში მიგრაცია.

დიაგრამა 1. ევროპის ურბანული ცვლილებების განმსაზღვრელი ფაქტორები [5]



მსოფლიო ბანკი ურბანული მდგრადობის განვითარებისთვის გამოყოფს სამ მიმართულებას:

1. ქალაქის ფინანსების, დაგეგმარების პროცესისა და სამთავრობო სისტემის გაძლიერება;

2. ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, იქნება ეს ინფრასტრუქტურა, საცხოვრებელი ადგილები თუ ბუნებრივი გარემო;


3. ურბანიზაციის ტრანსფორმაციის პროცესის გაუმჯობესება, არსებული მიწის ისე გამოყენება, რომ ქალაქს დარჩეს განვითარების შესაძლებლობები, შეძლოს მომავლის მოთხოვნებს უპასუხოს და არ მოექცეს ეკონომიკურ თუ ბუნებრივ კოლაფსში.

მსოფლიო ბანკი მიიჩნევს, რომ ქალაქებისა და ურბანული განვითარებისთვის აუცილებელია ყურადღება მიექცოს შემდეგ მიმართულებებს [7]

- ქალაქებისა და ეკონომიკის ზრდა
- ურბანული სიღარიბის მართვა
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურა და მომსახურება
- ხელმისაწვდომი მიწა და საცხოვრებელი სახლები
- ურბანული მენეჯმენტი, ფინანსები და მთავრობა
- ქალაქები და ურბანული გარემო.

მსოფლიო ბანკი მნიშვნელოვნად მიიჩნევს აგრეთვე ქალაქების მიერ ჰაერისა და ბუნებრივი გარემოს აღდგენა - გაუმჯობესების პროცესებს. დაბინძურებული გარემო და ბუნება ხელისშემშლელი ფაქტორია როგორც ურბანიზაციის განვითარების, ასევე ზოგადად ეკონომიკის განვითარებისთვის. XXI საუკუნის ტრენდია მწვანე ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა.

დიაგრამა 2. მსოფლიოს ურბანიზაციის პროცესი 1950 წლიდან 2050 წლამდე [8]



დიაგრამაზე (2) ასახულია ურბანიზაციის პროცესები მსოფლიოსა და რეგიონებში, ასევე ურბანიზაციის თანამედროვე ტენდენციებს. ჩინეთში, ინდოეთსა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში შენდება ახალი ქალაქები, რისთვისაც იყენებენ ეკოპროდუქტებსა და ახალ ტექნოლოგიებს, რათა მზარდმა მშენებლობებმა არ დააზიანოს ეკოლოგიური გარემო. მთავრობა გაიღებს ინვესტიციებს და თანამშრომლობს დეველოპერულ კომპანიებთან, რათა მშენებლობის პარალელურად, გამართული იყოს ინფრასტრუქტურა. სულ ახალ დასახლებებსა და ქალაქებს წარმოადგენს აბუ დაბის ახალი ქალაქი მასდარი, ჯაიპის სპორტული ქალაქი ინდოეთში, ქალაქი სეიჯონგი სამხრეთ კორეაში. თითოეული ქალაქი, რომელიც ახლა შენდება დაგეგმილია მომხმარებლის სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინებით.

სწრაფი ურბანიზაციის პროცესი მხოლოდ განვითარებადი ბაზრების ფენომენს არ წარმოადგენს. განვითარებული მსოფლიოს მეტროპოლისები იზრდება დიდი სისწრაფით. პროგნოზის მიხედვით, ლონდონის მოსახლეობა 2031 წლისთვის იქნება 10 მლნ, მაშინ როდესაც ამჟამად მხოლოდ 8.3 მილიონია [10]. განვითარებულ ქვეყნებში, მოთხოვნის ზრდა დიდ მეტროპოლისებში ცხოვრებაზე, უმეტესად განპირობებულია განვითარებად ქვეყნებში გამდიდრებულ მოქალაქეებით, რომლებსაც სურთ მდიდრული ცხოვრება ევროპაში. 2013 წელს ლონდონში განხორციელდა 35.7 მლრდ ამერიკული დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია სამშენებლო ინდუსტრიაში, რაც იყო ამ წლისთვის ყველაზე დიდი ინვესტიცია მსოფლიოს მასშტაბით[11].

ურბანიზაცია საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ დაამყარა ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან. კაპიტალიზმმა ქვეყანა ჩააბა საერთაშორისო სავაჭრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და გლობალურ პროცესებში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა გახდა საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტი, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელთაგან ერთად შეინიშნება ურბანული პროცესების გააქტიურება საქართველოში.

ქვეყანაში ბოლო 10 წლის განმავლობაში გაიზარდა ურბანიზაციის მაჩვენებელი. საქართველოში ურბანული პროცესები გულისხმობს, არამხოლოდ სასოფლო რეგიონებიდან ქალაქებში მოსახლეობის გადადინებას, არამედ – საქართველოს დანარჩენი ქალაქებიდან დედაქალაქში მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას. საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, მიგრაციის მიზანია უკეთესი შესაძლებლობები დასაქმებისთვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, კარიერული წინსვლა, უკეთესი სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობა და ა.შ.

საქართველოს ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები [12]

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
მოსახლეობის რიცხოვნობა 1 იანვრისათვის (ათასი კაცი)	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 713.7	3 720.4	3 718.2
მათ შორის:											
საქალაქო დასახლება (ათასი კაცი)	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 410.8	2 410.8	2 122.9	2 128.5	2 128.6
სასოფლო დასახლება (ათასი კაცი)	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 073.0	2 078.8	1 590.8	1 591.9	1 589.6


ცხრილში ნაჩვენებია ბოლო 10 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები. ნათლად ჩანს, რომ სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა საკმაოდ შემცირდა ბოლო სამი წლის განმავლობაში. სასოფლო დასახლებებში მაცხოვრებელ მოსახლეობას საშუალება მიეცა მოეხდინა მიგრაცია ქალაქებში, მას შემდეგ რაც გაუმჯობესდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. თითქმის ყველა სოფელში ხელმისაწვდომი გახდა ინტერნეტი და თანამედროვე კომუნიკაციები. ტექნოლოგიურმა განვითარებამ დააჩქარა ურბანული პროცესები.

საქართველოში ურბანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა რუსთავე-თბილისი-მცხეთის პოტენციური აგლომერაციის განვითარება, რომელიც, დღეს უკვე სრულიად თვალსაჩინოა თბილისის ურბანული განვითარების კონტექსტით. რუსთავედან თბილისში ყოველდღიურად გადაადგილდება მოსახლეობა სამსახურებრივი, განათლებისა და სხვადასხვა ეკონომიკური და არაეკონომიკური მიზნით. თითქმის გაქრა ადმინისტრაციული საზღვარი თბილისსა და მცხეთას შორის. თბილისი სულ უფრო იზრდება მცხეთის მხარეს, ამის მაგალითია დიდი დილმის თბილისის განაპირა უბნის ზრდა და განვითარება. მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის გამო, დიდი დილომი ეკოლოგიურად სუფთა უბნად მოიაზრება, რის გამოც გაიზარდა მოთხოვნა მაღალშემოსავლიანი მოსახლეობის მხრიდან, რომლებიც იშენებენ რეზიდენციებს დიდ დილომში და სულ უფრო მეტად მიიწვევენ მცხეთისკენ. მცხეთისა და თბილისის მაგისტრალზე გახსნილი სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი“ წარმოადგენს ეკონომიკურად აქტიურ ობიექტს, რომელიც სუბურბანიზაციის კიდევ ერთი მაგალითია თბილისში.

მსოფლიოს უმსხვილესი ქალაქების დონეზე არსებული „მეტროპოლიზაცია“, რომელიც მოიცავს სივრცით, ინსტიტუციურ და ეკონომიკურ განზომილებებს, ჯერ სრულიად უცხოა საქართველოსთვის. მიუხედავად ამისა, თბილისის მაგალითზე სრულიად ნათელია მნიშვნელოვანი სივრცითი ექსპანსია, გამოხატული მომიჯნავე დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. სავარაუდოა, რომ შემდეგი ნაბიჯი იქნება მათი შემოერთება ცენტრალური ქალაქის გარედილ მუნიციპალიტეტში.

როგორც წესი, თბილისშიც სუბურბანიზაციის ტენდენცია გამომდინარეობს ქალაქური ცხოვრების მომხიბვლელობასა და კერძო მიწის ნაკვეთსა და ინდივიდუალურ სახლში ცხოვრების ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის ბალანსისკენ ლტოლვით, რაც გლობალური მოვლენაა. სუბურბანიზაციასთან ერთად ხდება ახალი ტერიტორიების ათვისება და ახალი სუბურბანული დასახლებების გაჩენა.

დიაგრამა 3. ავტოპარკის შემადგენლობის ზრდის დინამიკა [14]



მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო ზოგადად სუბურბანიზაციას, არის საკუთარი ავტომანქანის მფლობელობის წარმოუდგენელი ზრდა საქართველოში, განსაკუთრებით კი თბილისში, რამაც ერთობლივად გაართულა ქალაქში თავისუფლად გადაადგილება, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით (დიაგრ.3) მსუბუქი ავტომანქანების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საქართველოში ურბანიზაციის პროცესების დამაჩქარებელი გახდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპები, რომელმაც მოიტანა სივრცითი დემოკრატია. მოქალაქეებს მიეცათ არჩევანის თავისუფლება, შეეძინათ საცხოვრებელი იქ, სადაც სურდათ.

ქვეყანაში დღესაც აქტიურად მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესები. სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ტოვებს საკუთარ საცხოვრებელს სოფლად და გადადის დედაქალაქ თბილისში. ერთი მხრივ, ურბანიზაციის პროცესი არის დადებითი ტრენდი, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე განვითარებული ქვეყნებისთვის, მეორე მხრივ კი, ურბანიზაციის მაღალი დონე გარკვეული საფრთხეების

შემცველია. ქაოსური განაშენიანება უარყოფითად აისახება ქალაქის იერსახეზე, გავლენას ახდენს ეკოლოგიურ ვითარებაზე. ეკოლოგიური და არქიტექტურული პრობლემები უარყოფითი შედეგის მომტანი იქნება დედაქალაქის სამომავლო განვითარებისთვის. თბილისის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც შემუშავებული იქნება 2017 წლის ბოლომდე, იმედია გაითვალისწინებს ქალაქის განვითარებისთვის საჭირო და მნიშვნელოვან ასპექტებს, რაც ხელს შეუწყობს მის მწვანე და „ჭკვიან“ ქალაქად ჩამოყალიბებას.

* * *

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ არც თუ შორეულ მომავალში, თითქმის აღარ იარსებებს სასოფლო ტერიტორიები, ადამიანები იცხოვრებენ მხოლოდ ქალაქებში. ასეთი რეალობა რთული გამოწვევაა ქალაქებისა და მათი მთავრობებისთვის. ძალიან ფრთხილად უნდა მოხდეს თითოეული სამშენებლო პროექტის განხორციელება ქალაქებში, მითუმეტეს დედაქალაქში. ურბანიზაციის პროცესებისთვის მნიშვნელოვანია გზების, სარკინიგზო მაგისტრალებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ინვესტიციების ოდენობა მომავალი 20 წლის განმავლობაში 1 ტრლნ დოლარამდე გაიზრდება. მსოფლიოს მნიშვნელოვან განვითარებად ბაზრებზე [14]. დევლოპერული კომპანიები და ადგილობრივი მთავრობები ერთად მუშაობენ, რათა შექმნან ადეკვატური ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას საქართველო და ჩვენი დედაქალაქი თბილისი. თბილისის მთავრობა აქტიურად მუშაობს, რათა ქალაქი გახდეს უფრო მწვანე და ამავდროულად დარჩეს ინვესტორებისთვის მიმზიდველი. აუცილებელია შექმნას ქვეყნის ურბანული მომავლის გეგმა, სადაც აღწერილი იქნება თუ როგორ უნდა მოხდეს არა მხოლოდ დედაქალაქ თბილისის, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებისა და მთლიანად ქვეყნის განვითარება.

ლიტერატურა:

1. “Make cities inclusive, safe, resilient and sustainable” <http://www.un.org/sustainabledevelopment/cities/nanaxia>: 15.10.2016.
2. Adriana Allen „Sustainable cities or sustainable urbanisation?” Journal of sustainable cities, 2009 www.ucl.ac.uk/sustainable-cities
3. Ö. Özçevik, C.A. Brebbia, S.M. Şener „Sustainable Development and Planning” Great Britain, 2015 .
4. Montgomery, Mark; Richard Stren; Barley Cohen and Holly E Reed (eds) 2. (2004) ‘Cities Transformed. Demographic Change and Its Implications in the Developing World’, Earthscan, London.
5. EC (2014), Conferences CiTIEs – Cities of Tomorrow: Investing in Europe, in: Background annex, Brussels, 17 and 18 February 2014, accessed 24 June, 2014.

6. “Urban systems” 2015 <http://www.eea.europa.eu/soer-2015/europe/urban-systems> №tab-based-on-indicators nanaxia: 25.
7. “UrbanDevelopment” <http://www.worldbank.org/en/topic/urbandevelopment/overview> №2 25.06.2017.
8. United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (2012).
9. World Urbanization Prospects: The 2011 Revision.
10. Financial Times, ‘London & the World: the future of the city’, December 2013.
11. Jones Lang LaSalle, Global Capital Flows Report, Q4 2013.
12. www.geostat.ge
13. www.police.ge
14. The Infrastructure Challenge for Emerging Markets, RBS/Cambridge University, October 2011.

Urbanization Processes in the Modern World

Nino Zurashvili

Doctoral Student

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

The article discusses urbanization process in the modern world. What factors drive the growth of urbanization level throughout the world? What factors affect the process of urbanization in Europe? The article discusses how the big cities of Europe respond to this challenge. The article suggests the ways of urban development without ecological damage. The World Bank directives and recommendations for urbanization process are offered. The article discusses the urbanization processes in Georgia. What are the positive and negative sides of urbanization in Georgia?

Keywords: Urbanization; cities; planning of cities; ecology; infrastructure.

JEL Codes: O18, R23, J11

ბაზრის მარკეტინგის ფაქტორების ანალიზი თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მაგალითზე

ალექსანდრე ვასილუვი

საქართველოს საზოგადოებრივ ინსტიტუტის
(მმართველობის სკოლა, GIPA) მაგისტრანტი

სტატია ეძღვნება თბილისის საბინაო ბაზრის სექტორში მიმდინარე ტრანზაქციების ანალიზს; საბინაო ბაზრის გაყიდვებზე მოქმედ როგორც ენდოგენურ, ასევე ეგზოგენურ ფაქტორებს, ტრანზაქციების ტრენდის განსაზღვრას, ბიზნესციკლის გამოყოფას, 2017 წლის მეორე და მესამე მეოთხედებში ტრანზაქციების განსაზღვრას და, შესაბამისი ფუნდამენტური დეტერმინანტების შეფასებით, 2016-2017 (Q1) პერიოდებზე სფეროში არსებული საინვესტიციო გარემოს შესწავლას.

საკვანძო სიტყვები: სამშენებლო ბაზარი; უძრავი ქონება; ტრანზაქციები; ბიზნესციკლი; ფაქტორული ანალიზი.

სტატის მიზანია უძრავი ქონების ფასის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და ბაზარზე მიმდინარე ტრანზაქციებს შორის არსებული კორელაციური დამოკიდებულებების დადგენა. ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი დაშვების თანახმად, მაკროეკონომიკური ცვლადები, რაც ბაზარზე კონიუქტურული ნონასწორობის განმსაზღვრელი დეტერმინანტებია და როგორც საშუალო, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში ნონასწორულ ფასს აყალიბებს და მიმდინარე ტრანზაქციების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. შესაბამისად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ანალიზის მიზანია მნიშვნელოვანი ენდოგენური პარამეტრების მაგალითზე ისეთი მოდელი მივიღოთ, რომელიც მიმდინარე ტრანზაქციების გათვალისწინებით, მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენას რაოდენობრივი სახით წარმოაჩინს, გარდა ამისა, საშუალებას მოგვცემს მიღებული ეკონომეტრიკული მოდელის თანახმად, 2017 წლის ბოლო 3 კვარტლის მაგალითზე ტრანზაქციების ტრენდი განვსაზღვროთ და სამომავლო ბიზნესციკლები დავსაზოგოთ. აღნიშნული კვლევის ფარგლებში (და ემპირიული გამოცდილების საფუძველზე) საჭიროდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტო-

რი შეირჩა: ტრანზაქციების ოდენობა, შემოსავალი, უმუშევრობის დონე, საპროცენტო განაკვეთები, მიწოდება და საბინაო ბაზრის საშუალო ფასის ცვლილება. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის თანახმად, ტრანზაქციების ოდენობაზე ძირითადი გავლენა საბინაო ფასების ცვლილების, უმუშევრობის დონისა და შემოსავლების ზრდის ტრენდით განისაზღვრება, ხოლო მიმდინარე ეტაპზე (ტრენდის 2017 წლის პირველი სამი კვარტლის მწკრივებზე ექსტრაპოლირების პირობებში) თავად ტრანზაქციების დინამიკა ან სტაბილურ მდგომარეობას შეინარჩუნებს, ან ოდნავი უარყოფითი დახრილით შემოიფარგლება, რის ფონზეც უძრავი ქონების ბაზარზე მიწოდების (მათ შორის ინვესტიციების) ზრდადი მოცულობა ვაკანტური ფართების ოდენობას გაზრდის, რაც, თავის მხრივ, გარკვეული „ლაგების“ (შეყოვნებების) შემდგომ, ფასებზე უარყოფით ზემოქმედებას განაგრძობს. ჩვენი გათვლებით, ფასების როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, კლება ტრანზაქციების ზრდაზე დადებითად აისახება.

უძრავი ქონების ბაზრის ზოგადი სპეციფიკაცია

ამა თუ იმ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ინტეგრალური სეგმენტი უძრავი ქონების ბაზარია, რომელიც რომელიც მეტწილად საინვესტიციო დანახარჯების (და ნაწილობრივ სახელმწიფო დაკვეთის) საშუალებით ფართოვდება და თავისუფალი ბაზრის პირობებში ნებისმიერი სხვა საბაზრო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს, სადაც მინის ერთეული ან შენობა-ნაგებობის ცალკეული კვადრატული მეტრი საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს. მასზე, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბაზარზე, მოთხოვნა-მიწოდების კანონები და სხვა ეკონომიკური პროცესები ვრცელდება [27;30].

ისევე, როგორც თავისუფალი ბაზრის ნებისმიერი სფერო, უძრავი ქონების ბაზარი რიგი უპირატესობით ხასიათდება. მაგალითად, ექსპლუატაციის პროცესში პროდუქტს მდგრადი, სტაბილური შემოსავალი მოაქვს; ხშირ შემთხვევაში მაღალია სარეალიზაციო მარჟა; სტაბილურია მოთხოვნა განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სადღეისოდ ისეთ ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, გერმანია, ინგლისი, ჰოლანდია და სხვა კერძო საკუთრების ფლობის პროცენტული მაჩვენებელი უმეტეს შემთხვევებში მაღალია (ევროკავშირის ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელი 65.1%-ს შეადგენს [1]). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო ბინადრობისა და იპოთეკური სესხების ჯამური ოდენობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებას აჩვენებს [2].

უძრავი ქონების ბაზარს ნაკლოვანებებიც გააჩნია: დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, ტრანზაქციულ და სხვა რეგულატორულ შეზღუდვებთან, ნაკლებად გამჭვირვალეა, მოკლევადიან პერსპექტივაში ვერ პასუხობს ფასების ცვლილებას და თითქმის არაელასტიკურია, გარკვეულწილად დაბალი ლიკვიდურობით გამოირჩევა და ზოგჯერ მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული. საერთო მაკროეკო-

ნომიკური პროცესები, როგორცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, შემოსავლისა და დასაქმების დონე და სხვა ამ სფეროს რისკების მხრივ მეტად მონყვალდს ქმნის. გარდა ამისა, ის საინვესტიციო გადანყვეტილებებთან მიჭიდრო კავშირშია, რასაც, თავის მხრივ, როგორც უპირატესობები, ასევე თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია.

უძრავი ქონების მახასიათებლებში შედის ლოკალიზაცია: რადგან პროდუქტის გადანაცვლება ვერ ხდება, ის მთლიანად ადგილმდებარეობაზე დამოკიდებული (რამდენად განვითარებულია ინფრასტრუქტურა, რა გარემოა, როგორი სამეზობლო, ხედი და ა. შ.). ბაზარი არაბალანსირებულია, რასაც ხელს ძირითადად ორი ფაქტორი უწყობს: აბსოლუტური კონკურენციის არ ქონა (თითოეული შენობა, თავის მხრივ, უნიკალურია) და სამშენებლო პროცესის ხანგრძლივობის შედეგად ფასის არაელასტიკურობა დროის ახლო პერსპექტივაში, რაც საბოლოოდ ნიშნავს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნა-მიწოდების მახასიათებელი ფასი მხოლოდ თეორიის დონეზეა წარმოდგენილი, ხოლო პრაქტიკა მისგან სერიოზულად აცდენილ სცენარს აჩვენებს (ფასი მხოლოდ მიახლოებითა და პირობითი, მათ შორის სხვა პროდუქციისგან განსხვავებით, ნელა და დროის შედარებით ხანგრძლივი მონაკვეთებით იცვლება). ბაზრის კიდევ ერთი სპეციფიკაცია აღნიშნულის შესახებ არასრული ან შეყოვნებული ინფორმაციაა. როგორც ნესი, ეს ინფორმაცია ან არასრულია ან სინამდვილეს ხშირად ზუსტად ვერ ასახავს, ამავდროულად მაღალი რეგულირებით ხასიათდება და სახელმწიფო დაგეგმარების ან პოლიტიკის გატარებისას ხშირად იმ მონაცემებზე დამოკიდებული, რაც სანდო მაჩვენებლებთან ერთად დროის ერთეულში სხვადასხვა ე.წ. „ლაგებს“ (შეყოვნებებსაც) მოითვლის.

უძრავი ქონების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ ამ ბაზრის მაგალითზე ზოგადად ეკონომიკური პროგნოზის გაკეთებაა შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ უძრავი ბიზნესციკლები საერთო ეკონომიკურ ციკლებს არ ემთხვევა. მაგალითად, ამ ბაზარზე ეკონომიკური აქტივობის შენელება, ხშირ შემთხვევაში, რეცესიის მანიშნებელია ხოლმე და პირიქით, რეცესიის ფაზის დასრულება, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ ბაზარზე გამოცოცხლებით შეინიშნება [3]. მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ 2008-2009 წლის მსოფლიო კრიზისის წინა პერიოდში, აშშ-ის ეკონომიკური კვლევების ბიურომ სწორედ ერთი წლით ადრე, 2007 წელს უძრავი ქონების ბაზრის „გადახურების“ შესახებ მოხსენება გააკეთა და რეცესიის ნიშნებზე მიუთითა ხოლო ფედერალური რეზერვის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ალან გრინსპენმა სექტორში მიმდინარე ინფლაციური პროცესების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ 2015 წლის ივლისში გააკეთა, რასაც „არამდგრადი და დროებითი უწოდა“ [4; 28].

როგორც აღვნიშნეთ, უძრავი ქონების ბაზარი საინვესტიციო გადანყვეტილებების შედეგია. აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ისევე როგორც სხვა სფერო-

ში, მისი ფაქტორები, ერთი მხრივ, მომხმარებლები არიან (ესენია კერძო პირები, იურიდიული პირები და თვით სახელმწიფო), ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორები, რომლებიც საინვესტიციო დაბანდებს სფეროში გატარებული ანალიზის მიხედვით განსაზღვრავენ. ეს შესაძლოა იყოს მიმდინარე სიტუაციის შეფასება ან პროგნოზი, ბიზნესციკლების განსაზღვრა და დაგეგმარების პროცესში ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადანყვეტილების მიღება. ხშირ შემთხვევაში, დაგეგმარების პროცესში ჩატარებული ანალიზის შედეგები არაზუსტია და სინამდვილეს სცდება, განსაკუთრებით პროგნოზი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ქონების ბაზრის ტრენდის შემთხვევაში შედარებით საიმედოა (ტრენდის ცვლა არც ისეთი სიხშირით ხდება და ბიზნესციკლები პერიოდული ცვლილების მიუხედავად ნაკლებ სიმკვეთრეს და მეტ პერიოდულობას ამჟღავნებს, მისი ზუსტად განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება რის გამოც ხშირად დიდ ცდომილებებსაც აქვს ადგილი. უძრავი ქონების ბაზარი წარმოადგენს ისეთ ინფრასტრუქტურულ კატეგორიას, რომელიც ემსახურება პირობების შექმნას ისეთი ტიპის საქმიანობებისთვის, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური, კომერციული და სხვა [5]. უძრავი ქონების ბაზარზე, მოგების შედარებით მაღალი მარჟის მიუხედავად, ბაზარზე შესვლის ბარიერებიც რთულად დასაძლევია: პირველ ყოვლისა ესაა დიდი დანახარჯები, კონკურენცია და სპეციფიური კვალიფიკაცია, რომელიც რეალტორებსა და ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს (ბიზნეს ანალიტიკოსებსა და ინვესტორებს) უძრავი ქონების ეფექტურად მართვის საშუალებას აძლევს. ფინანსური ბაზრებისგან განსხვავებით, უძრავი ქონება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საერთო საინვესტიციო პორტფელის ნაწილი, რომელიც საერთო რისკების შემცირების შესაძლებლობას იძლევა და ცალკეული, დამოუკიდებელი აქტივის სახითაა წარმოდგენილი [5]. უძრავი ქონების მსოფლიო ბაზრებზე შესაძლებელია რამდენიმე ტენდენციის გამოყოფა: პირველყოვლისა, ესაა ინვესტიციების ზრდა. ინვესტორების ძირითადი ყურადღება სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრებზე მოდის (ე.წ. საკვანძო ქალაქებზე), თუმცა საერთო ჯამში [5], გარკვეული გამოწვევების გარდა, უძრავი ქონების ბაზრის საერთო ზრდის დინამიკა 2007-08 წლების მსოფლიო კრიზისის მერე შენედა, თუმცა, სტაბილურად ზრდადია (იგივე რუსეთის ფედერაციის მაგალითზე, თვეში საშუალოდ 2%-ით იზრდება [6]).

უძრავი ქონების ბაზარი საერთო ეკონომიკური ფუნქციის მატარებელია. თუ ეკონომიკა მთლიანობაში ზრდად ტრენდს აჩვენებს, იზრდება უძრავი ქონების ბაზარიც და პირიქით, რეცესიის დროს დაცემას განიცდის. გამომდინარე იქიდან, რომ ზრდისა და შენელების (თუ ვარდნის) ტენდენცია აღნიშნულ ბაზარზე სხვა სექტორებს უსწრებს, ის ხშირ შემთხვევაში საერთო ეკონომიკური პროცესების ინდიკატორს წარმოადგენს. შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ, საერთო ეკონომიკური წარმატება სწორედ აღნიშნული ბაზრის მაგალითზე შეინიშნება.

უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა და პერსპექტივები საქართველოში

მშენებლობას, 2016 წლის მდგომარეობით, მშპ-ში 8.2% უკავია [7]. თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე (კერძოდ, საცხოვრებელი ბაზრის სექტორში) მეტწილად იგივე ფუნდამენტური ფაქტორები მოქმედებს, რაც მსოფლიოს (მათ შორის ევროკავშირის) საცხოვრებელ ბაზრებზე. ბუნებრივია, ფასიც მოთხოვნა-მიწოდების ორი ძირითადი საბაზრო ფუნქციით განისაზღვრება და ბაზარზე მოქმედი ტრანზაქციების განმსაზღვრელი პირობაა. ფასების განმსაზღვრელი ფაქტორებია: ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პროცესები, მოსახლეობის დამოკიდებულებები ქონებრივი მესაკუთრეობის მიმართ, ფინანსური და უძრავი ქონების (სიმდიდრის) ეფექტები, მუდმივი შემოსავალი და ქვეყანაში მიმდინარე უმუშევრობის დონე, დანაზოგების ოდენობა, იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობა და პირობები, საპროცენტო განაკვეთები, სამშენებლო მასალებისა და მშენებლობის ღირებულება, ჩამნაცვლებლები (ქირისა და იპოთეკური განაკვეთების თანაფარდობა), სახელმწიფო პოლიტიკა (ფისკალური შეღავათები და სხვა სტიმულები), სავალუტო კურსის ცვლილება, ინფლაციის დონე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მშპ და ქვეყანაში შექმნილი საერთო ეკონომიკური კლიმატი (საინვესტიციო გარემო).


თბილისის მოსახლეობა ბოლო მონაცემებით [8], 1114 ათას ადამიანს შეადგენს (რაც საქართველოს მოსახლეობის 29.9%-ია). 2011-დან 2014 წლის ჩათვლით ის არსებითი ცვლილებით არ გამოირჩეოდა, 2014-2015 წლებში კი საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 2016-2017 წლებში ცვლილება უმნიშვნელოა. ასეთ ვითარებაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დემოგრაფიული ფაქტორი თბილისის საცხოვრებელი ბაზრის მაგალითზე (რომელიც საერთო ბაზრის დაახლოებით 80%-ს იკავებს) არსებითად განმსაზღვრელი ფაქტორი ვერ გახდება. თუმცა, სადღეისოდ შეინიშნება უძრავ ქონებაში კაპიტალდაბანდების მზარდი ტენდენცია, როგორც საფინანსო აქტივების კიდევ ერთი ალტერნატივა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეული ლიკვიდურობით და ქირა/ღირებულების თანაფარდობის მზარდი განაკვეთით გამოირჩევა (იმ პირობით, როცა საცხოვრებელ ფართებზე – 1 კვ. მ-ზე საშუალო ღირებულება მცირდება, ხოლო ქირის განაკვეთი სტაბილურობას ინარჩუნებს, აღნიშნული (ჩამნაცვლებელი) ფაქტორი სულ უფრო მეტ ნილს იღებს. ამავდროულად აღსანიშნავია ქვეყანაში მიგრანტების სულ უფრო მზარდი ოდენობა, რასაც თბილისის საბინაო ბაზრის სექტორში მიმდინარე ტრანზაქციების ტრენდზე გარკვეული გავლენას ახდენს (თუმცა, ეს საკითხი მოცემული ანალიზის თემას არ წარმოადგენს და შემდგომი შესწავლის საგანია).

ჩვენ მიერ წარმოდგენილი წინამდებარე ანალიზის შედეგად თბილისის უძრავი ქონებაზე ფასის ცვლილების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ქვეყა-

ნაში დასაქმების დონე და დაქირავებულთა ანაზღაურების ცვლილება [9]. თუკი იმავე „საქსტატის“ მონაცემებს დავეყნობით, ქვეყანაში უმუშევრობის დონე, ისევე როგორც ანაზღაურების მაჩვენებელი, მზარდ ტენდენციას აჩვენებს (მაგალითად, 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემით, მამაკაცის საშუალო ნომინალური ხელფასი 1306 ლარს, ხოლო ქალების ანაზღაურება 1191.5-ს შეადგენს (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება ანაზღაურების სხვაობა ქალებსა და მამაკაცების კატეგორიებს შორის და 2007 წლიდან ეს სხვაობა სულ უფრო ღრმავდება) [8]. ბუნებრივია, ეს მონაცემები ანაზღაურებისა და შემოსავლის ზუსტ სურათს ვერ ასახავს. საქმე ისაა, რომ მიუხედავად უმუშევრობის რეკორდულად დაბალი მაჩვენებლისა (2005-2016 წლების პერიოდისთვის), რაც 2016 წლის ბოლოსთვის 11.8%-ს შეადგენს [8], ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხად მოიაზრება. ვერც აქ მოყვანილი საშუალო ნომინალური შემოსავალი (ინფლაციისა და კურსის ცვლილების, მათ შორის ჯერ კიდევ მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში) ფართო შესყიდვების შესაძლებლობას ვერ იძლევა, თუმცა, საჯარო რეესტრის ევოლუციური ბიუროს მონაცემების თანახმად, უძრავ ქონებაზე (საცხოვრებელ ფართებზე) საშუალო ფასების კლების ფონზე ტრანზაქციების ოდენობა თანმიმდევრულად იზრდება (განსაკუთრებული ზრდა 2015 წლის მესამე, კვარტლიდან შეინიშნებოდა და პიკურ მაჩვენებელს 2016 წლის მეოთხე კვარტალში მიაღწია, რაც 2007-2017 წწ.(1 კვარტალი) მდგომარეობით უპრეცედენტო მაღალი მაჩვენებელია) [10;11].

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს (და იპოთეკური სესხების დინამიკას), *Colliers Georgia*-ს ანალიზის მიხედვით, „2015 წელს იპოთეკური სესხების გაცემა გასულ წელთან შედარებით 24%-ით დაეცა (413 მლნ აშშ დოლარამდე). 2015 წელს იპოთეკური სესხის უდიდესი ნაწილი გაცემულ იქნა დეკემბერში (132 მლნ აშშ დოლარი). 2015 წელს ჯამური იპოთეკური სესხების ნაშთი 6%-ით გაიზარდა და 950 მლნ დოლარს მიაღწია“ [12]. ეროვნული ბანკის მონაცემებით, იპოთეკური სესხების მთლიანი ოდენობა 2007 წლიდან განუხრელად იზრდება და პიკს ასევე 2016 წლის დეკემბერში აღწევს (\$964,140), რაც ტრანსაქციების საერთო ტრენდთან მაღალ კორელაციას აჩვენებს [13]. რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს, იმავე მონაცემების თანახმად, ის განუხრელად კლებულობს და 2016 წლის აპრილის მონაცემთან შედარებით, 2017 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, 13.99% ით არის შემცირებული (საშუალოდ 8%-ს შეადგენს) [13] (იხ. სქემა).

თბილისის საბინაო ბაზარზე საცხოვრებელი ერთეულების ტრანზაქციების მრუდი [10; 11].



თუკი მოცემულ სქემაზე გამოშვების მაჩვენებლებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ წლების განმავლობაში ის გარკვეული პერიოდულობით გამოირჩეოდა და ჯამური სტაბილურობით ხასიათდებოდა, თუმცა 2017 წლის პირველი კვარტალი მინოდების მხრივ აშკარა კლებას აჩვენებს. შესაძლებელია ეს რიგი მიზეზით იყო გამოწვეული, როგორცაა: ფასების კლება, ვაკანტური ფართების ზრდა (რაც ფასზე ნეგატიურ გავლენას ახდენს), სეზონური ფაქტორი ან სხვა მაკროეკონომიკური (მათ შორის ეგზოგენური) დეტერმინანტები. რამდენადაც, ჯერჯერობით, მინოდებასთან დაკავშირებით მონაცემები მწირია, მხოლოდ ერთი კვარტლის თანახმად საერთო სურათის მიღება რთულია, თუმცა, მისი ცვლილება, ალბათ, ტრანზაქციების გააქტიურების, ფასის ცვლილების, ვაკანტური ფართების შემცირებისა და სხვა (მათ შორის სამშენებლო პროდუქციის როგორც გამოშვების, ასევე ფასის) ცვლადებზე იქნება დამოკიდებული. როგორც წესი, რიგ შემთხვევაში, მინოდების ფუნქცია მხოლოდ მოთხოვნით არ განისაზღვრება. მსგავსად ბაზრებისა, მას თავისი, ენდოგენური ფაქტორებიც განსაზღვრავს და ხშირ შემთხვევაში, (განსაკუთრებით მშენებლობის დარგში) ის გარკვეულწილად დამოუკიდებლად ყალიბდება (სახელმწიფო რეგულაციები, შეყოვნებები, მშენებლობის ვადები, დასრულებული ფართების ოდენობა, ტექნოლოგიური ინოვაციები და სხვა). მათ შორის სახელმწიფო პოლიტიკა (როგორც ფისკალურ, ასევე მონეტარულ ნაწილში) მოთხოვნა-მინოდების მრუდზე განსხვავებულ ეფექტს ახდენს და ფასების რეგულირება (და ახალი წონასწორობის მიღება - საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში) ამ შემთხვევაში, როგორც წესი, განსხვავებული სპეციფიკაციებით მიიღება.

სტატისტიკური მონაცემებით, რაც Colliers Georgia-სა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობებს ეყრდნობა [14;12;11], ტრანზაქციების ჩაშლილი

მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: მოთხოვნის უდიდესი ნაწილი უწინდებურად საბურთალოს რაიონზე მოდის (ტრანზაქციების 27%), შემდეგაა სამგორისა და გლდანის რაიონები, ხოლო ტრანზაქციების ყველაზე მცირე ოდენობით მთაწმინდა და ჩუღურეთი გამოირჩევა. განხორციელებული ტრანზაქციების 53% 51-100 კვ.მ. ბინებზე მოდის; 101-150 კვ.მ ფართების ტრანზაქციებს 11%, ხოლო 150 კვ.მ ფართზე მეტი ბინების ტრანზაქციების წილი 5%-ს იკავებს. 2016 წელს მიმდინარე დეველოპერული პროექტების 178 საცხოვრებელი კორპუსი უკვე დასრულებულია, რომელთა ბინების 80% იმ დროისთვის უკვე გაიყიდა. 2016 წელს პროექტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 9%-ით გაიზარდა და ჯამში 3.47 მლნ კვ.მ. საცხოვრებელ ფართს მოიცავს [14;12;11].

საინტერესოა იმავე წყაროს მიერ მითითებული გასაყიდი ფასის ზღვარიც, რომელიც \$350-\$3500-ით შემოიფარგლება [14]. 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, პრემიუმის ტიპის ბინებზე ფასმა 6%-ით, ხოლო საშუალო ტიპზე - 1%-ით მოიმატა. ეკონომკლასის ბინებზე კი ფასი 1%-ით შემცირდა და საშუალოდ კვ.მ.-ზე \$576 შეადგინა (აღსანიშნავია, რომ იმავე წყაროს მიხედვით, ეკონომკლასის ტიპის ბინებს საქართველოს საცხოვრებელ ბაზარზე 69%-ს შეადგენს). რაც შეეხება 2017 წლის მასის ჩათვლით მონაცემებს, გასაყიდი ფასი ახლადაშენებულ ბინებზე 4%-ით შემცირდა და \$618 შეადგინა (საშუალოდ). რაც შეეხება გასაყიდ ფასებს უზნების მიხედვით, ყველაზე მაღალი გასაყიდი ფასი მთაწმინდის (\$975), ვაკის (\$805) და საბურთალოს (\$674) რაიონებში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - სამგორის (\$521), გლდანის (\$502) და დიდი დიღმის (\$477) რაიონებში ნარჩუნდება [14]

აღსანიშნავია, რომ თბილისში საცხოვრებელი ფართის საშუალო ფასი განუხრელად იზრდებოდა და 2013 წელს კვ.მ-ზე საშუალოდ \$925, ხოლო ცენტრალურ უბნებში \$1300-\$1500 შეადგინა [15]. გამონაკლისი 2008-2009 წლები იყო, როდესაც გლობალურ ფინანსურ კრიზისს საქართველოს შემთხვევაში რუსეთთან ომიც დაემატა. აღნიშნული შოკის შედეგად ფასებიც, ბუნებრივია, დაეცა. ამ პერიოდში საშუალო გასაყიდი ფასი 1 კვ./მ-ზე 13.4%-ით შემცირდა და \$745 შეადგინა, ხოლო 2009 წელს დამატებით 12.8%-ით შემცირდა და \$640 შეადგინა“. შ. გუჯაბიძის შეფასებით, 2014 წლის ნოემბრიდან ლარის მკვეთრი გაუფასურების ტენდენციას უძრავი ქონების ბაზარზე სამშენებლო მასალების გაძვირების შედეგად ფასების ზრდა უნდა გამოენვია, თუმცა, როგორც სინამდვილემ აჩვენა, საშენი მასალების გაძვირება და შესაბამისად მიწოდების მხრიდან ფასების მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ „მშენებლობისთვის საჭირო ძირითადი საშენი მასალები უმეტესად ადგილობრივი წარმოების იყო, ხოლო ლარის დევალვაციის ფონზე იმპორტული პროდუქცია თითქმის სრულად ჩანაცვლა. ძირითადი საშენი მასალებიდან იმპორტული მხოლოდ არმატურაა, რომელიც მეტწილად უკრაინიდან, ასევე რუსეთიდან, თურქეთიდან და ბელარუსიდან შემოდის. უკრაინაში, მიმდინარე რეგიონული კონფლიქტისა თუ პოლიტიკური პროცესების გამო ინფლაციის დონე

საკმაოდ მაღალია, ამიტომ, არმატურა იქ დაახლოებით ორჯერ გაიზარდა“. შესაბამისად, იაფი იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქციისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად გამოწვეული დისბალანსი მეტ-ნაკლებად დაკორექტირდა [15]. აღნიშნული წყარო საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ხელოვნური ფასწარმოქმნის საკითხსაც ეხება, რასაც სხვებიც ეხმაურებიან) [16; 29], რაც ბანკების არაპროფილურ საქმიანობასა და უძრავი ქონების დეველოპმენტში ჩარევას გულისხმობს. როგორც ირკვევა, ბანკები იპოთეკურ სესხებს მხოლოდ მათ მიერ მართული კომპანიების სასარგებლოდ გასცემენ, რაც ბაზარზე კონკურენტუნარიანობას ართულებს და ფასების ხელოვნურ რეგულირებას უწყობს ხელს (ოლიგოპოლური ნიშნების დართვით).

საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს შოკური ზემოქმედების ეფექტიც. საქმე ისაა, რომ საქართველოში (მათ შორის თბილისის) უძრავი ქონების - საცხოვრებელი ფართების ბაზარზე ფასების ფუნდამენტური ღირებულებისგან მკვეთრი გადაცდენა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ არც დაფიქსირებულა. იპოთეკური კრედიტების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, პირველადი შესატანისა და შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთების შედეგად (9.4% და ზემოთ) [13] საცხოვრებელ ფართებზე მოთხოვნა გარკვეულწილად რიგი ბარიერებით ხასიათდებოდა. შესაბამისად, თუკი ტრანზაქციების ტრენდს დავაკვირდებით, დროის ხანმოკლე მწკრივებზე იგი მკვეთრი ცვლილებებით არ გამოირჩევა. კრიზისის შემდგომ პერიოდში კი, განსაკუთრებით 2010 წლიდან, ფასების ტრენდი სტაბილურ ტენდენციას ინარჩუნებს, ხოლო უკვე 2016 წლის პირველივე კვარტლიდან თანმიმდევრულ კლებას აჩვენებს მაშინ, როცა ანაზღაურება ყოველწლიურად მზარდ ტენდენციას განიცდის [8;11;10]. ასეთ პირობებში (სხვა გარე - შოკური ფაქტორების გარეშე) ფინანსური ბუშტის წარმოქმნის ალბათობა ნაკლებია, მითუმეტეს იმ დროს, როცა ვაკანტური ფართების მზარდი ოდენობა მიწოდების შედეგად ფასებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს (რაც 2015 წლიდან შეინიშნება (+86.8%, ხოლო 2017 წელს წინა წელთან შედარებით მეტ - ნაკლებად მცირეა - აღსანიშნავია ის, რომ გაიზარდა შენობების რაოდენობა, მაგრამ ფართების ოდენობა -29.6%-ით შემცირებულია წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით) [11; 10]. თუკი არსებული ტენდენცია 2017 წლის მანძილზე გაიზრდება, მზარდი ტრანზაქციების პირობებში საცხოვრებელ ფართებზე ფასების დადებით ცვლილებას უნდა ველოდოთ, თუმცა, აღნიშნული პროგნოზის გაკეთება მხოლოდ პირველი კვარტლის მაგალითზე რთულია. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ უცხოური კაპიტალის შემოდინების ტენდენცია, პირდაპირი ინვესტიციები და ცვალებადი მოთხოვნის პირობებში შექმნილი შოკური გავლენების როგორც თავისებურება, ასევე მიწოდების მხრიდან შესაბამისი რეაქციების დინამიკა (მათ შორის ინვენტარის ოდენობა, სამშენებლო მასალების გამოშვება და ღირებულება, ასევე სამშენებლო კომპანიების ადამიანური რესურსი, სახელმწიფო რეგულაციები და სხვა). ჯერჯერ-

რობით ქართულ სამშენებლო ბაზარზე ენდოგენური შოკები არ დაფიქსირებულა, თუმცა, ადგილი ეგზოგენურმა ფაქტორმა იქონია, კერძოდ მკვეთრმა სავალუტო ცვლილებამ, რომელმაც დროის გარკვეულ პერიოდში გარკვეული პანიკაც შექმნა. მაგალითად, 2014 წლის ნოემბრიდან ეროვნული ვალუტის მკვეთრმა გაუფასურებამ საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში გაურკვეველობისა და უკონტროლო ინფლაციის შესაძლებლობა წარმოქმნა (განსაკუთრებით, საქართველოში დოლარიზაციის მაღალი დონის გათვალისწინებით). ეროვნული ვალუტის გაუფასურების პიკი თებერვალში იყო, მას შემდეგ, როცა ქართული ლარი თითქმის 30%-ით [17]. მას შემდგომ, მცირეოდენი გამყარების მერე, ლარმა გაუფასურება კვლავ განაგრძო და უკვე 2016 წლის დეკემბერში უკიდურეს ნიშნულს მიაღწია (1/2.75). საბოლოოდ ქართული ვალუტა 2017 წლის მაისისთვის დასტაბილურდა და მას მერე მცირედი რყევებით გამყარებას განაგრძობს. ასეთ პირობებში ბაზარზე კონიუნქტურული გაგრილება მშპ-ზე აისახა: კერძოდ, 2009 წლის შემდგომ 2015 წელს მან რეკორდულად მცირე მაჩვენებელი შეადგინა (2.8%) [8]. მდგომარეობამ გამოსწორება მხოლოდ 2015 წლის შემდგომ იწყო და, როგორც ISET კვლევით ინსტიტუტის ანგარიშში ვკითხულობთ, მშპ-ს ზრდასთან ერთად (2016 წლეს მან 3.1%-შეადგინა) სამშენებლო სექტორიც (განსაკუთრებით მიწოდების ნაწილში) მნიშვნელოვან გამოცოცხლებას იწყებს [8;10].

რამდენადაც საქართველო ჯერჯერობით მნიშვნელოვანწილად ექსპორტზე დამოკიდებულ ეკონომიკას წარმოადგენს, შესაბამისად, სავალუტო ბაზრებზე არსებული რყევები ქართული ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორზე აისახება[17]. მშენებლობა, როგორც ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდკატორი, ამ პროცესს უპირველესად ეხმაურება. მართალია, სავაჭრო ბალანსს მასზე პირდაპირი გავლენა არ გააჩნია, თუმცა, როგორც შუალედური ფაქტორი, იგი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგალითად, ლარის გაუფასურება ესოდენ მასშტაბური იმპორტის პირობებში ინფლაციურ პროცესებს იწვევს, რაც მოსახლეობის მყიდველუნარიანობას ასუსტებს და უძრავი ქონებისადმი მოთხოვნის ნაწილში მკვეთრად აისახება. ვინაიდან მშენებლობა, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული შენელებებით ხასიათდება, ფასების კორექტირებაც დაგვიანებული ინდიკატორებით წარმოებს, რაც მოთხოვნა მიწოდების ბალანსს კიდევ უფრო სცდება. შედეგად, მზარდი ვაკანტური ფართების ოდენობა არსებული ინფლაციის პირობებში სამშენებლო ფასებზე ნეგატიურად აისახება და მას დროის შესაბამის მონაკვეთებზე ნაკლებად მომგებიანს ხდის. ეს არის პერიოდი, როცა დეველოპერები მოლოდინის რეჟიმში გადადიან და მიმდინარე პროექტების დასრულებას უკვე არ ჩქარობენ. ბუნებრივია, ეროვნული ბანკის ეფექტიანი ზომებისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე ცვლილებების შედეგად ეროვნული ვალუტის ესოდენ მკვეთრ გაუფასურებას ქართულ სამშენებლო ბაზარზე ქაოსი არ გამოუწვევია (რაც მზარდი ტრანზაქციების მაგალითზეც ჩანს), თუმცა სამომავლოდ ამ-

გვარი შოკის პირობებში დარგში შესაძლო შემფოთების რამდენიმე სცენარის დაშვებაა შესაძლებელი.

აღსანიშნავია პროფ. ნინო ბერაიას ნაშრომის ის ნაწილიც, რომელიც თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის საკითხს ეხება [16]. კერძოდ, მისი გათვლებით, მშენებლობის ყველაზე მცირე აქტივობა წლის პირველ კვარტალში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე მაღალი - მეოთხე კვარტალში. კვლევამ დარგში 4- წლიანი ციკლების არსებობა გამოავლინა. „სამშენებლო დარგის შესწავლით ჩანს, რომ თბილისის უძრავი ქონების ბაზარი საკმაოდ ვოლატილურია. ციკლური კომპონენტის გამოყოფამ აჩვენა, რომ თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ციკლის საშუალო ხანგრძლივობა 2-2.5 წელს შეადგენს, ხოლო მისი ვარდნის ხანგრძლივობა საშუალოდ 3-4 კვარტალს იკავებს“. [16].

მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის ფაქტორიც მიმოვიხილოთ, როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი უძრავი ქონების ბაზარზე. პირველ ყოვლისა, აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, უძრავი ქონების სექტორი მასშტაბური პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა[20], რომელიც ხშირ შემთხვევაში სტიქიურად და რიგი დარღვევის ფონზე მიმდინარეობდა. საბოლოოდ, მანამდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქტივების დიდი წილი კერძო მესაკუთრეების ხელში აღმოჩნდა, მაგალითად, საქართველოში უკვე 2016 წლისთვის საბინაო ფონდის 98% კერძო საკუთრებაშია [11]. სახელმწიფო იმთავითვე განაშენიანებისა და ბინათმესაკუთრეობის პოლიტიკას რიგი მიმართულებით უწყობდა ხელს, მაგალითად: გაუქმნდა ლიცენზიებისა და კერძო ნებართვების დიდი უმრავლესობა, სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირება, შესუსტდა ქალაქდაგეგმარების ნორმები, გამარტივდა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის წარმოება და სამშენებლო ნებართვების გაცემა[18], გამარტივდა ადმინისტრაციული წარმოების წესი და „ერთი სარკმლის“ პრინციპი დამკვიდრდა; გაუქმდა ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო (2005), გამარტივდა სააღსრულებო პროცედურები (პოლიციური გამოსახლებები) და სხვა. შეიძლება ითქვას, აღნიშნულმა ნაბიჯებმა, რაც ბაზრის დერეგულირების რეფორმას გულისხმობდა, აღნიშნული სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდ სფეროდ აქცია. მაგალითად, ეროვნული ბანკის შეფასებით, 2016-2017 (Q1) პერიოდში მშენებლობამ საქართველოს მშპ-ში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და „ისევე, როგორც წინა წლებში, ეკონომიკის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო [17]. ქართული სამშენებლო ბაზრის გამაღებელი ზრდა მსოფლიო კრიზისისა და რუსეთ - საქართველოს ომის შედეგად შეფერხდა (შედეგად, მშენებლობის 80% გაჩერდა [19]; ზოგ შემთხვევაში ამხანაგობების მიერ შექმნილი ე.წ. „პირამიდები“ და სხვა თაღლითური სქემები (რაც ნაწილობრივ სახელმწიფო ჩაურევლობის შედეგიც იყო) საერთო ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა. უძრავი ქონების ბაზარმა რეალური გამოცოცხლება 2010 წელს დაიწყო [8]. საქმეში ჩაერთო სახელმწიფო პოლიტიკა,

რომელიც სექტორის გამოცოცხლებას და საბინაო პირობების გაუმჯობესებას ისახავდა - „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“. პროგრამა მათ შორის დაუმთავრებელი პროექტების დასრულების ხელშეწყობასაც ითვალისწინებდა. აღასანიშნავია ისიც, რომ ამ პროგრამის შედეგად გაკოტრების პირას მყოფი არაერთი დეველოპერული კომპანია გადარჩა[20]. სახელმწიფო ასევე საბანკო საფინანსო გაჯანსაღებასაც უწყობდა ხელს, რომლის გვერდით მოვლენად გასახლებული ადამიანების სულ უფრო მზარდი ტენდენცია გახდა[21]. ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს ზოგიერთი მსხვილი ბანკი სამშენებლო სექტორში არასაბანკო/ არაპროფილურ საქმიანობას მაინც აგრძელებდა, რაც სექტორში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობას არ ემსახურებოდა. შესაბამისად, არაერთი დეველოპერი იძულებული გახდა პროექტები ალტერნატიული გზებით დაეფინანსებინა (მონვეული უცხოური ინვესტიციები, აქტივების გასხვისება და სხვა). აღნიშნული პრობლემების ფონზე, 2016 წელს სახელმწიფოს მხრიდან კიდევ ერთი ნინგადადგმული ნაბიჯია მერიაში კომისიის ჩამოყალიბება და იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც საკუთარი პროექტები 2008 წლის აგვისტომდე წამოიწყეს, სახელმწიფო ამნისტიის ფარგლებში საგადასახადო შეღავათების დაწესება (მოეხსნათ დღგ და კ2 მოსაკრებელი). ამნისტია 2020 წლის იანვრამდეა ძალაში. ეს ღონისძიებაც ქვეყანაში სექტორის გაჯანსაღებას და სარფიანი საინვესტიციო გარემოს შექმნას უწყობს ხელს [22]. შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკა დეველოპერებისა და სამშენებლო კომპანიების მხარეზეა, თუმცა, კრიზისის პერიოდში დაუმთავრებელი პროექტების შედეგად დაზარალებული პირების პრობლემების გადაწყვეტის გზები ჯერჯერობით გამოკვეთილი არაა.

საინტერესოა სფეროში მიმდინარე დინამიკა პირდაპირი ინვესტიციების თვალსაზრისითაც. საქართველოში (სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად) უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია აზერბაიჯანი, ნიდერლანდები, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი. უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან წილს (ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ფინანსური სექტორის, ენერჯეტიკის, მრეწველობისა და სხვა სფეროებს გარდა) მშენებლობის სფერო იკავებს (8.3%) [8; 26]. კონკრეტულად, თბილისის მაგალითზე „საქსტატის“ მონაცემების მიხედვით (2006-2015 პერიოდი) პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებამ 2010-2011 წლებში მკვეთრი ვარდნა განიცადა (საყურადღებოა ისიც, რომ ამავე მონაცემების თანახმად, უშუალოდ თბილისში, მშენებლობის დარგში, ინვესტიციების შემოდინება 2008-2009 წლის კრიზისით გამოწვეული რეცესიის მიმართ იმუნურია), ხოლო 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით, ის განუხრელად იზრდება. 2016 წლითსთვის მშენებლობის მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით გაზრდილია და იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წელს პირდაპირი ინვესტიციების 63% თბილისზე მოვიდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ტრენდი ამავე პერიოდისთვისაც შენარჩუნდება (სამწუხაროდ, ჯერჯერობით ზუსტი მონაცემების მოძიება ვერ მოხერხდა) [8 ; 23].

2016 წელი საქართველოს ეკონომიკისათვის საკმაოდ რთული გამოდგა (საქსტატის მიხედვით, საერთო ზრდამ 2.7% შეადგინა)[8]. საქმე ისაა, რომ საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკა, მეტწილად მის მეზობლებთან მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზეცაა დამოკიდებული. ამრიგად, რეგიონში მიმდინარე რთული პოლიტიკური ვითარების შედეგად ეკონომიკური აქტივობის ტემპის საერთო შენელებამ მასზეც (და მასთან ერთად უძრავი ქონების ბაზარზეც) გარკვეული გავლენა იქონია. გარე ფაქტორებიდან აღსანიშნავია ე.წ. ბრექსიტის ფაქტორი, რომელმაც ევროკავშირში თავდაპირველად გაურკვეველობა წარმოქმნა; ვითარება დაიძაბა თურქეთშიც (გადატრიალების მცდელობას ლირის დოლართან გაუფასურებაც დაერთო (წლიურმა ინფლაციამ 8.5% შეადგინა)[17]; ნავთობზე მსოფლიო ფასების ვარდნამ პრობლემები აზრბაიჯანის ეკონომიკასაც შეუქმნა, რომელმაც წინა წელთან შედარებით შემცირება განაგრძო (დამატებით 0.8%)[24]. უკრაინისა და რუსეთის ეკონომიკების სტაბილიზაციაც მეტად მდორე ტემპებით მიმდინარეობდა (მიმდინარე კონფლიქტისა და ეკონომიკური სანქციების გათვალისწინებით), მათ შორის შენელდა სომხეთის ეკონომიკის ზრდაც, რომელიც რუსეთის ეკონომიკაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული [24].

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის მეტ-ნაკლებად ჩაშლისას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება იკვეთება. პირველი და უმნიშვნელოვანესი ლარის კურსის გაუფასურებაა, რომელმაც 2016 წლის სავაჭრო ბალანსზე მაკორექტირებელი ეფექტი გარკვეული შეყოვნების შემდგომ იქონია, კერძოდ, შემცირდა ქვეყნის იმპორტი (4.9%). იმავე წლის სამივე კვარტლის განმავლობაში ექსპორტის კლებაც დაფიქსირდა (-12%, -16%, -2% შესაბამისად). სიტუაცია მხოლოდ მეოთხე კვარტალში გამოსწორდა, როცა ექსპორტმა მცირე დადებითი ცვლილება აჩვენა (3%) (წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი) [25; 17].

საგარეო შოკის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, 2015 წლის მსგავსად, 2016 წელს ეკონომიკის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ინვესტიციები იყო, რომლის წვლილმაც რეალურ ზრდაში 2% პუნქტი შეადგინა. ინვესტიციების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა შეიტანა. კერძო სექტორიდან კი ძირითადი აქტივობა მშენებლობის სექტორზე მოდიოდა. 2016 წლის განმავლობაში მოხმარებამ ეკონომიკის ზრდაში მცირე დადებითი წვლილი შეიტანა (0.8% პუნქტი), რასაც ძირითადად მთავრობის მოხმარების ზრდა განაპირობებდა. კერძო მოხმარება წლის პირველ ნახევარში მცირედით დაეცა, ხოლო მეორე ნახევარში ოდნავი მატება იწყო, რასაც ხელს გააიფებული კრედიტები და ფულადი გზავნილები უწყობდა. რაც შეეხება ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლს, 2015-2016 წლებში ის 5%-იან ზღვარს შეადგენდა [25; 17].

ეროვნული ბანკის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი სამშენებლო დარგი იყო, რომელიც წლის განმავლობაში 8.1%-ით გაიზარდა და ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი შეიტა-

ნა. მშენებლობის ზრდა მაღალი იყო როგორც მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე კერძო სექტორის მშენებლობების შედეგად, რომელთაგან აღსანიშნავია „BP-ის ახალი მილსადენის პროექტი“. წლის განმავლობაში (განსაკუთრებით მეორე ნახევარში) მცირდებოდა საპროცენტო განაკვეთები, რამაც უძრავი ბაზრის მხრიდან იპოთეკურ სესხებზე მოთხოვნა გაზარდა. „საქსტატის“: მიხედვით, კიდევ ერთი კომპონენტი - ინფლაციის დონე მიზნობრივ მაჩვენებელს მცირედით მხოლოდ 2015 წლის ბოლო კვარტალში გასცდა, ხოლო 2016 წლის მეორე კვარტლიდან დაღმავალი ტრენდი აჩვენა (სექტემბერ-ოქტომბრის მონაცემებით).

კვლევის ძირითადი შედეგები

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაქტორული ანალიზის ჩაატარებისას ემპირიულ ცნობებზე დაყრდნობით კვლევის მიზანი ისეთი თეორიული მოდელი შემუშავება იყო, რაც ჩვენ მიერ მოყვანილ მონაცემებს შესაბამის ვალიდურობას შესძენდა. ასევე გავითვალისწინეთ შესაბამისი მონაცემების ხელმისაწვდომობა და კლასიკური მაგალითის თანახმად, დროის მწკრივები კვარტლური რეჟიმით ჩავშალეთ. განმსაზღვრელი ფაქტორების მხრივ ჯამში ექვსი დეტერმინანტი გამოვარჩიეთ, კერძოდ: ფასები, იპოთეკების მთლიანი ოდენობა (ლოგარითმული სიდიდით), დაქირავებული მუშახელის შემოსავალი (ვინაიდან, საქართველოში დასაქმების ბაზრის უდიდეს ნაწილს ბოლო მონაცემებით სწორედ ეს სეგმენტი წარმოადგენს), საპროცენტო განაკვეთების ცვლილება (იპოთეკურ სესხებზე უცხოური ვალუტით, რადგან საქართველოში დოლარიზაციის დონე ჯერ კიდევ მაღალია, და იპოთეკური სესხები მეტწილად სწორედ უცხოურ ვალუტაში გაიცემოდა), საცხოვრებელი ფართების მიწოდება (1000 კვ/მ თბილისის საბინაო ბაზრის მაგალითზე, ახლადამენებული ფართების ოდენობით); უმუშევრობის დონის ცვლილება (აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ წინა კვლევაში გამოყენებულმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, ფასებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება სწორედ შემოსავლის ზრდისა და უმუშევრობის დონის ცვლილების შედეგად აისახება).

აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ 2016 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებს, 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებიც დაემატა, თუმცა, იმდენად, რამდენადაც უმუშევრობის დონე საქართველოში წლიური მონაცემით აღირიცხება და კვარტლურად მოცემული არ არის, დაანგარიშების მიზნით თითოეულ კვარტალზე შესაბამისი წლის მონაცემი პირობითად იგივე დავტოვეთ, ხოლო ჯამური ტრენდი ნრფივი ინტერპოლაციის შედეგად 2017 წლის პირველ კვარტლაზე განავარცხეთ. აღნიშნულმა ოპერაციამ საკმაოდ რეალური სურათი მოგვცა, რაც ამავე კვარტალში შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით (5.4%) საკმაოდ რეალისტური მონაცემია (უმუშევრობის დონე 11.8%-დან 11.1%-მდე შემცირდა).

ზემოთაღნიშნული მსჯელობა გამოვსახეთ განტოლებით:

$$\text{Log}(Th_t) = \alpha + \beta_1 \log(P_t) + \beta_2 \log(M_t) + \beta_3 \log \Delta(W_{t-1}) - \beta_4 \log(r_t) + \beta_5 \Delta(I_{t-1}) + \beta_6 (U_t) + \varepsilon,$$

სადაც Th_t - ტრანზაქციების დროის შესაბამის მწკრივზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა სამ პარამეტრზე - საპროცენტო განაკვეთების ცვლაზე, მინოდების საერთო ოდენობასა და უმუშევრობის დონეზე მოვიდა. აქედან, ყველაზე მნიშვნელოვანია საპროცენტო განაკვეთების გავლენა (-4.701), რაც ასევე ტრანზაქციების საერთო მაჩვენებელთან ნეგატიურ დამოკიდებულებას (სრულიად საფუძვლიანია დავასკვნათ, რომ ტრანზაქციების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე მოდის (იმ პირობით, როცა დანარჩენი ფაქტორები, როგორცაა საბინაო ბაზრის ფასები და შემოსავალი სავალუტო კურსთან კორექციის პირობებში არსებით ცვლილებას არ აჩვენებს). საყურადღებოა იპოთეკური სესხებისა და ტრანზაქციების მაღალი კორელაციის მაჩვენებელიც. მართალია, F-ტესტის პირობებში მან სტატისტიკური მნიშვნელობა არ აჩვენა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იპოთეკური სესხების მნიშვნელოვანი ზრდა (რომელიც ტრანზაქციების ტრენდთან მაღალი კორელაციით გამოირჩევა) საპროცენტო განაკვეთების და დანარჩენი - სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორების შედეგია. მაგალითად, იგივე შემოსავლისა და კლებადი უმუშევრობის დონის პირობებში (ფასების სტაბილური ტრენდის გათვალისწინებით) იპოთეკური სესხების ოდენობა, ბუნებრივია, გაიზრდებოდა. რაც შეეხება თავად უძრავი ქონების ფასებს, 2007-2017 (Q1) მონაცემებით, ის ზოგადად კლების ტენდენციას აჩვენებს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ 2010 - 2017 (Q1) წლის მონაკვეთს, წრფივი რეგრესიის პირობებში, პარამეტრული სიდიდე დადებითია (2.47). შესაბამისად, დღესდღეობით საბინაო ფასის კლების ტენდენცია არ შეინიშნება, მეტიც - ის ზრდას განაგრძობს. ამასთან, ადვილი შესაძლებელია საბინაო ფასის ზრდა დამატებით სერვისებს, გარკვეულ უბნებზე მინის სიმცირეს და გართულებული რეგულაციების ფაქტორებსაც გამოეწვიოს; გარდა ამისა, ბაზარზე პრემიუმ ტიპის ფართების ზრდამ საშუალო ფასი გარკვეულწილად გაზარდა და იმდენად, რამდენადაც თბილისის მაგალითზე საბინაო ფასების დივერსიფიკაცია სულ უფრო მკვეთრ გამოხატულებას პოულობს, ადვილი შესაძლებელია დავუშვათ, რომ განსხვავებულ კატეგორიებზე ფასების ცვლილება მომავალშიც საერთო საშუალო ფასზე გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს. შესაძლებელია დავუშვათ, რომ თუკი სამომავლოდ პრემიუმ კატეგორიის საბინაო სექტორი საშუალო და ეკონომიკლასის სექტორებისგან არ გაიმიჯნება, საბინაო ბაზარზე ერთიანი საშუალო ფასის გამოყვანით ფასებთან დაკავშირებით სინამდვილეში მიმდინარე პროცესებს მეტი სიზუსტით ვერ ავსახავთ, განსაკუთრებით იმ პირობით, როცა მხოლოდ ეკონომიკლასის ფართებს ქალაქში ახლადაშენებული საბინაო ფართების ტრანზაქციების უდიდესი წილი უჭირავს (64%). იმდენად,

რამდენადაც ჯერჯერობით სექტორების მიხედვით ფასი გამიჯნული არაა, ჩვენ მიერ ფასთან დაკავშირებით გამოყენებული მონაცემები ძირითადად სამ წყაროს: საქსტატს, ISET კვლევითი ინსტიტუტისა და Colliers Georgia-ს მიერ მოყვანილ მონაცემებს ეფუძნება, რაც 2010 – 2017 (Q1) მდგომარეობით მხოლოდ ჯამურად ალებულ საშუალო ფასის ცვლილებას მოითვლის. რაც შეეხება მინოდების ოდენობას, აღნიშნული ტრენდი, 2016 წლის ბოლო მეოთხედის ჩათვლით განუხრელად იზრდებოდა, რასაც ეკონომიკური ფასებზე უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა. მართალია, ფასების საერთო ტრენდში ეს არ აისახა, მაგრამ მინოდების თანმიმდევრულ ზრდას, დაბალი სეგმენტის ფართობზე ფასების ფარდობითი კლების გათვალისწინებით, ტრანზაქციების საერთო ზრდაზე დადებითი ფაქტორის როლი უნდა შეესრულებინა (ეს ჩვენს განტოლებაშიც აისახა და სტატისტიკური მნიშვნელობა აჩვენა).

ჩვენ მიერ შესრულებული ფაქტორული ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტატიაში წარმოდგენილი ჰიპოთეზა, რომ თბილისის საბინაო ბაზარზე მიმდინარე ტრანზაქციების ცვლილება კვლევაში მოყვანილი ფუნდამენტური ფაქტორებით განისაზღვრება, ამავე ნაშრომში წარმოდგენილი მრავალცვლადიანი ავტორეგრესული ტესტის თანახმად, დადებითად დასტურდება. აქედან, განრფივებული ტრენდირების შედეგად ვასკვნით, რომ თუკი უახლოეს მომავალში (2017 წლის მეორე-მესამე მეოთხედები) ამავე ანალიზში მოყვანილი ფაქტორების მაგალითზე არსებული ტენდენციები შენარჩუნდა, ტრანზაქციების ახალი ციკლი დადებითი გახდება და უკვე მესამე მეოთხედის მწკრივებზე საგრძნობ ზრდას აჩვენებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ რამდენადაც ჩვენი ანალიზი მიზნად ფაქტორულ გავლენას ისახავდა, ხოლო პროგნოზირების ნაწილში თვისებრივი სახით შემოიფარგლა, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დანარჩენი ფაქტორების გათვალისწინებით, 2017 წლის ბოლომდის საერთო ტრანზაქციების ოდენობა, მთლიანობაში, დადებით ტენდენციას შეინარჩუნებს. რაც შეეხება პროგნოზის რაოდენობრივ მხარეს, ის კვლევის შემდგომი ნაწილია და მოცემული ანალიზით გათვალისწინებული არ არის.

* * *

დასასრულ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის საბინაო ბაზარზე მიმდინარე ტრანზაქციების ტრენდზე არსებითი გავლენა რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა, ესენია: იპოთეკური განაკვეთების ცვლილება, მინოდების ოდენობა და საერთო უმუშევრობის დონე. საქართველოში დღეისათვის შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, რაშიც გარკვეული ეკონომიკური ზრდა იგულისხმება, უმუშევრობის დონის თანდათან შემცირებას უნდა ველოდოთ, რაც, საპროცენტო განაკვეთების შემცირების ფონზე ტრანზაქციების დინამიკაზე დადებითად იმოქმედებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მინოდების ცვლილება, რომელიც 2017 წლის პირველ მეოთხედში არსებითი კლების გათვალისწინებით, ფასების სტაბილურობას უწყობს

ხელს. შესაბამისად, ბაზრის „გაგრილების“ პირობებში, 2017 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში, ტრანზაქციების ზომიერ დადებით ცვლილებას უნდა ველოდოთ. შესაბამისად, თბილისის საბინაო ბაზარი დღეის მდგომარეობით, კაპიტალდაბანდების მომგებიან ალტერნატივად რჩება.

ლიტერატურა:

1. European Mortgage Federation, Brussels, 2015.
2. A cross-Country Comparison of Homeownership Rates, Michael Neal, June 19, 2015.
3. Mortgage Debt Procyclicality in the Housing Market, Ian Christensen, Financial Stability Department (Bank of Canada), 2011.
4. Alan Greenspan, Head of Federal Reserve, New York, July 2005.
5. Асаул А., Экономика Недвижимости, Питер 2013.
6. Росстат, Москва, 2016.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2017.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური „საქსტატი“ (2017).
9. Vassilev A., Tbilisi Residential Real Estate Analysis, Price Change Dynamics (2016).
10. ISET Policy and Economic Research Institute, 2017.
11. საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურო, 2017.
12. Colliers Georgia, Tbilisi Residential Market Analysis, 2016.
13. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემთა ბაზის რეესტრი, 2017.
14. Forbes Georgia, July 2017.
15. გუჯაბიძე შ. უძრავი ქონების ფასნარმოქმნის განმსაზღვრელი ფაქტორები საქართველოში, სტუ, 2016.
16. ნინო ბერაია, თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მიკროეკონომიკური ანალიზი, თსუ, 2015.
17. საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი, 2016.
18. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №140 დადგენილება, 24 მარტი, 2009, თბილისი.
19. <http://www.eprc.ge/>
20. ლ. პაპავა, ეკონომიკური კრიზისი და ომის პარადოქსი, თბ., 2013.
21. <http://nbe.gov.ge/>
22. თბილისის მუნიციპალიტეტის №13.02.295 განკარგულებით შექმნილი კომისია, 2016.
23. PMCG Consulting, Tbilisi, №74/17.06.2016.
24. ცენტრალური სადაზვერვო ბიურო, აშშ (2016).
25. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წლიური ანგარიში (თბილისი, 2016).
26. ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს ეკონომიკა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პირობებში, თსუ, 2016.
27. Стерник Г. Некоторые Закономерности Соотношения Темпов Роста Цен, Объёма Спроса, Предложения и Сделок на Рынке Недвмжимости, Москва, 22.10.2008).
28. Jeff Holt, The Journal of Business Inquiry, A Summary of the Primary Causes of the

- Housing Bubble and Resulting Credit Crisis (2009).
29. ლომიძე ნ. პოსტსაბჭოურ საქართველოში მშენებლობის განვითარების ტენდენციები, თსუ, 2013.
30. Павлова М. Факторы влияющие на рынок жилья, Ульяновский Технический Университет, 2008.

Comparative Analysis of the Real Estate Market in Tbilisi

Alexander Vasilyev

Master Program Student

The Georgian Institute of Public Affairs (GIPA),

School of Government

The study deals with the determination of the dynamics of prices in the sector of residential spaces of the real estate in 2007-2016 in Tbilisi, separation of business cycles, evaluation of the investment climate through short-term forecast within the third and fourth quarters of 2016 and identification of determining factors in respect of price changes.

Keywords: Real estate, business cycles, factor analysis, the primary and secondary real estate markets.

JEL Codes: E31, E32, R31

მარკეტინგი ✧ მენეჯმენტი ✧ ტურიზმი
MARKETING ✧ MANAGEMENT ✧ TOURISM

**თვითმენეჯმენტის აქტუალური პარადიგმები: პირადი ჯანდაცვის მართვის
სინერგიული გააზრება**

გიორგი შიხაშვილი

*ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
giorgi.shikhashvili@tsu.ge*

დღევანდელ პირობებში უალრესად მნიშვნელოვანია თვითმენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევა და, კერძოდ, პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება. ამ მიზნით სტატიაში განხილულია შემდეგი საკითხები: სინერგიული მიდგომა ადამიანის შეცნობისადმი; თვითმენეჯმენტის ფუნქციონალური სინერგიული პარადიგმები; მართვის ბიბლიურ-სინერგიული გააზრება; საზოგადოებრივი და პირადი ჯანდაცვის მართვის ქრისტიანული სინერგიული პარადიგმები; ბიბლიის სამედიცინო სწავლება; პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრების ზოგადმეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები, კონკრეტული ინდივიდუალური სამკურნალო მეთოდების მითითებით (მკურნალობა წვენებით, ჯანსაღი საკვებით, შიმშილობით, ფიზიკური აქტივობით და სხვ.). სტატიაში ჩამოყალიბებულია ავტორისეული ხედვები, პარადიგმები და კონკრეტული მოსაზრებები პირადი ჯანდაცვის მართვის სრულყოფის მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: თვითმენეჯმენტის სინერგიული პარადიგმები; ბიბლიის სამედიცინო სწავლება; პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება; ინდივიდუალური სამკურნალო მეთოდები.

თანამედროვე საქართველოში, საზოგადოებრივი ცხოვრების საყოველთაო მკვეთრი ინდივიდუალიზაციის, სეკულარიზაციისა და კომერციალიზაციის პირო-

ბებში, უაღრესად მნიშვნელოვანია თვითმენეჯმენტის აქტუალური საკითხების კვლევა და, კერძოდ, პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება. აუცილებელია მეცნიერული კვლევისა და ცხოვრებისეული პრაქტიკისადმი რელიგიური და სეკულარული მიდგომების ჰარმონიზება.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული ინდივიდუალიზაციის მიუხედავად, საქართველოში თვითმენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაგმატულ-გამოყენებითი საკითხების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ძალზე მცირეა ამ სფეროს კვლევასთან დაკავშირებული მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. აქედან გამომდინარე, როგორც შედეგი, თითქმის არ არსებობს ლიტერატურა, რომელიც პირდაპირ ეხება პირადი ჯანდაცვის მართვას. მაგალითად, თვითმენეჯმენტის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი პირადი ჯანდაცვის მართვის მხოლოდ ზოგად (არასინერგიული ხასიათის) საკითხებს [1]. ეკონომიკისა და მართვის კუთხით სპეციალიზებული ლიტერატურიდან, აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ნაშრომები [2; 3], რომლებშიც ასახულია საზოგადოებრივი და პირადი ჯანდაცვის მართვისადმი სინერგიული მიდგომები და პარადიგმები.

ამასთან, არსებობს ეკონომიკისა და მართვის კუთხით არასპეციალიზებული ქართულენოვანი ნაშრომები [4-15], რომლებშიც ასახულია თვითმენეჯმენტისა და საზოგადოებრივი და პირადი ჯანდაცვისადმი რელიგიური, სეკულარული და სინერგიული მიდგომები.

სტატიის მიზნიდან გამომდინარე, შევისწავლეთ თემასთან პირდაპირ და ირიბად დაკავშირებული უცხოენოვანი წყაროებიც და მათგან ქართულ ენაზე ნათარგმნი ლიტერატურა [16-24 - ნათარგმნი წყაროები; 25-35 - უცხოენოვანი წყაროები].

ნაშრომის მიზანია, საქართველოში თვითმენეჯმენტის აქტუალური გამოწვევების თეორიულ-სინერგიული ასპექტების კვლევისა და სინერგიული სამედიცინო თეორიულ-მეთოდოლოგიური პარადიგმების გამოვლენა-შესწავლის საფუძველზე პირადი ჯანდაცვის მართვისათვის ავტორისეული სათანადო პარადიგმების/განმარტებების ჩამოყალიბება და შესაბამისი პრაქტიკული გზების დასახვა.

ნაშრომი ორიგინალურია და სიახლეს წამოადგენს ქართული სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოებისათვის. მასში გადმოცემულია თვითმენეჯმენტის და პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრება, შესაბამისი ბიბლიურ-ქრისტიანული და ავტორისეული პარადიგმები და პიროვნულ-ინდივიდუალური მკურნალობის მეთოდები. აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ჩვენ მიერ წინა ნლებში დანყებული კვლევის შედეგად გამოცემული ნაშრომები [2; 3], რომლებშიც ასახულია საზოგადოებრივი და პირადი ჯანდაცვის მართვისადმი სინერგიული მიდგომები და პარადიგმები.

თვითმენეჯმენტის სინერგიული გააზრება

თვითმენეჯმენტის ამოსავალი პარადიგმა - „შეიცან თავი შენი“

ყოველი ადამიანის მიერ საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და შესაბამის პირად ქმედებათა და მთლიანად, ცხოვრების სწორად წარმართვისათვის პიროვნება ლოგიკურად და აუცილებელად უნდა ეყრდნობოდეს **თვითშეცნობის უძველეს, ერთ-ერთ ფუძემდებლურ პარადიგმას - „შეიცან თავი შენი“**. სწორედ ამ სიბრძნეზე უნდა დაამყაროს ყოველმა ადამიანმა თავისი აზროვნება, შეიცნოს საკუთარი პიროვნება და ზუსტად გაიაზროს: თავისი წარმოშობა, დანიშნულება, მიზანი, ცხოვრების არსი (სიცოცხლის საზრისი), პირადი მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები, საარსებო გარემო, სხვა ადამიანების და საზოგადოებრივი ცხოვრების აზრი.

აღნიშნული სიბრძნიდან გამომდინარეებს მეორე, ასევე ძველთაგანვე ცნობილი **საზოგადოებისა და სამყაროს შეცნობის პარადიგმა: „შეიცან თავი შენი და შენ შეიცნობ მთელ სამყაროს“**.

სწორედ ამ ორი პარადიგმის საფუძველზე შევიმუშავეთ **თვითმენეჯმენტის ფუძემდებლური პარადიგმა: „საკუთარი თავის და საარსებო გარემოს შეცნობისა და შეცნობილი რეალობის შესაბამისი მიზნების დასახვის საფუძველზე წარმართვ/მართე შენი ცხოვრებისეული ქმედებები“**.

სინერგიული მიდგომა ადამიანის თვითშეცნობისადმი და თვითმენეჯმენტის სინერგიული პარადიგმები

ადამიანის და მისი ცხოვრების არსის შეცნობაში არის ორი მიდგომა - ათეისტური და თეოლოგიური (სხვაგვარად - სეკულარული და ქრისტიანული).

დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში ოფიციალურად ნახალისებულ-დადგენილ-გაბატონებული **ათეისტურ-სეკულარული იდეოლოგიის მიხედვით**, სამყარო წარმოიშვა თავისთავად, ქაოსიდან, ხოლო ადამიანი წარმოიშვა მაიმუნისაგან, ევოლუციის ხანგრძლივ პროცესში. ყოველი ინდივიდი ცოცხლობს გარკვეული დროის განმავლობაში და სიკვდილის შემდეგ იგი არარაობად იქცევა და სამუდამოდ ქრება სამყაროდან. **თუმცა, ამასთანავე, სეკულარულ გაგებაში ჩადებულია თეოლოგიურ-ქრისტიანული სწავლებასთან საერთო საწყისებიც, რომელთა განხორციელებაც უნევს ყველა ადამიანს მინიერი ცხოვრების დროს.**

სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის შესახებ თეოლოგიურ-ქრისტიანული იდეოლოგია, ცნობილ დემოკრატიულ-სისხლიან რევოლუცია-ომებამდე, მოიცავდა დღევანდელი ცივილიზებული ევროპის ტერიტორიაზე არსებულ პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს. მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული ცივილიზაცია დევნილ-დაგმობილ იქნა სეკულარულ-ათეისტურად აგრესიული სახელმწიფოების

შექმნა-განვითარების მეშვეობით/შედევად. სამწუხაროდ, უნდა ითქვას ისიც, რომ დღევანდელი ლიბერალურ-დემოკრატიული საზოგადოების პირობებშიც კი გაბატონებულია ყველასთვის თვალნათელი, თეოლოგიურ-ქრისტიანული აზროვნების დამცირების, დისკრედიტაციისა და ლიბერალური დევნის „დემოკრატიული“ იდეოლოგია, პრაქტიკა და შესაბამისი მეთოდები.

თუმცა, დაუბრუნდეთ დაწყებულ მსჯელობას თეოლოგიურ-ქრისტიანული სწავლების შესახებ, რომლის მიხედვით სამყარო შექმნა ღმერთმა. უფალმა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად, ყოველი ქმნილების გვირგვინად, მეუფედ, მცველად და განმგებლად შექმნა და დაადგინა ადამიანი. ადამიანში არის სულიერი და ხორციელი სანყისები, რომელთაგან მთავარია სული. ხორცი მოკვდავია, სული კი - უკვდავი. ფიზიკური სიკვდილის შემდეგ ხორცი მიიქცევა მიწად, რომლისაგან ის შეიქმნა, ხოლო სული სამარადჟამო ნეტარი ცხოვრებისთვის უბრუნდება ღმერთს, რომელმაც შთაბერა იგი.

თეოლოგიურ-ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, ყოველი ადამიანის ცხოვრების არსი, დანიშნულება, მისია, მიზანი და მათგან გამომდინარე თვითმენჯემენტის ქრისტიანული სინერგიული პარადიგმის არსია ის, რომ ადამიანმა მინიერი ცხოვრების დროს, საღვთო სჯულზე დაყრდნობით, საკუთარი ქმედებები უნდა მართოს/წარმართოს იმგვარად, რომ ფიზიკური სიკვდილის და ღვთაებრივი სამსჯავროს გავლის შემდეგ, დაემკვიდროს უფლის სასუფეველში (სამოთხეში) მარადიული ნეტარებისათვის (რასაც ქრისტიანულად განლმობობა ეწოდება).

ამასთან დაკავშირებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გადმოვცემს თვითმენჯემენტის პარადიგმას, რომლის თანახმად, ადამიანის „მიზანი და დანიშნულება ღმერთში ცხოვრება და ნეტარი მარადიულობის მოპოვება“ [8, გვ. 63].

გამორჩენილი მღვდელმთავარი, ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ნმ. ბასილი დიდი გვთავაზობს თვითმენჯემენტის შემდეგ პარადიგმას: „შეიცან თავი შენი, იზრუნე საკუთარი სულისთვის: იყავ ფხიზელი, გონიერი, დაიცავ ანწყო, იზრუნე მომავალზე“ [4, გვ. 1].

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მინიერი ცხოვრების დროს ადამიანმა საკუთარი თავი უნდა მართოს ორივე განხილული სწავლების საფუძველზე, სინერგიულად, თეოლოგიურისადმი უპირატესობის მინიჭებით.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სინერგიულობის შესახებ გვასწავლის შემდეგ: „მეცნიერებაც და რელიგიაც ორი საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უნდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“ [5, გვ. 4], „მეცნიერება და სარწმუნოება კი არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ისინი ავსებენ ერთმანეთს. ეს ჰა-

რმონიული განვითარება უნდა იყოს ყოველ ადამიანში. უნდა ვიცოდეთ, რომ რწმენა აუცილებელია, მაგრამ მასთან ერთად მატერიალური, მეცნიერული, ტექნიკური განვითარებაც საჭიროა“ [5, გვ. 166].

ზემოაღნიშნული ორი ურთიერთდაკავშირებული პარადიგმის („შეიცან თავი შენი“ და „შეიცან თავი შენი და შენ შეიცნობ მთელ სამყაროს“) და ქრისტიანულ და სეკულარულ სწავლებათა სინერგიული გააზრების საფუძველზე, გვინდა ჩამოვაცალიბოთ თვითმენეჯმენტის ჩვენეული განმარტება: თვითმენეჯმენტი არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული პირადი ფიზიკური, სულიერი და სოციალური სანყისების, რესურსების და პოტენციალის მართვა-განვითარება.

პიროვნული, სოციალური და სამეურნეო-მმართველობითი თემატიკის ბიბლიურ-ქრისტიანული სინერგიული გააზრება

ზოგადსაკაცობრიო სულიერ და მატერიალურ ფასეულობათა საგანძურში ზეაღმატებული ადგილი უკავია ბიბლიას, რომელშიც ასახულია მთელი სამყაროს და მისი ყოველი შემადგენელი ნაწილის სანყისი, ისტორიული წარსული, აწმყო და მომავალი, პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარების კონცეპტუალური, თეორიული საფუძველი და პრაქტიკული მოქმედების მეთოდოლოგია.

ბიბლიაში სიღრმისეულად არის ასახული მრავალფეროვანი პიროვნული, სოციალური და სამეურნეო-მმართველობითი თემატიკა, სახელდობრ: ადამიანის მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილების გზები, ჯანდაცვა, წარმოების, მართვის და ყოველი ინდივიდის არსებობა-განვითარებისა და თვითმართვის აუცილებლობა, საკუთრება, შრომა, ეკონომიკის ცალკეული დარგები (მშენებლობა, ვაჭრობა, განათლება სოფლის მეურნეობა, საკვები და სასმელი პროდუქტები და სხვ.).

ყოველივე ეს ადასტურებს ბიბლიის უზენაეს თეორიულ-მეთოდოლოგიურ ფასეულობას და მისი მეცნიერულ-სინერგიული შესწავლის შესაძლებლობა-აუცილებლობას სოციალურ-ეკონომიკური და ბიზნეს-სამენეჯმენტო პროფილის მკვლევართათვის.

ბიბლიიდან ნათლად ჩანს, რომ სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობა თვითღმერთის მიერ არის დადგენილ-წახალისებული და გვევლინება, როგორც ქრისტიანული სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულად მიგვაჩნია, მსჯელობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მართვის და ცალკეულ ადამიანთა თვითმენეჯმენტის თეოლოგიური, სინერგიული გააზრების შესაძლებლობასა და აუცილებლობაზე.

სიბრძნე-შემეცნების, სიცოცხლის, სამეურნეო-მმართველობითი საქმიანობის, კვებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების თეორიულ-მეთოდოლო-

გიური საფუძველია ბიბლიური სინერგიული სიბრძნის, პარადიგმების და პრინციპების სისტემა, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. „ყოველი სიბრძნე უფლისგან არის და მასთანაა საუკუნოდ“ [6, ზირ. 1, 1, გვ. 612];
2. შექმნისას, უფალმა ადამიანებს მისცა „აზრი, ენა და თვალები, ყურები და გული“, რათა შეიცნონ საკუთარი თავი და გარემო, „აღავსო ისინი ცოდნითა და სწავლით და აჩვენა მათ კეთილი და ბოროტი“, „ნინ დაუდვა მათ ცოდნა და ცხოვრების წესი დაუმკვიდრა“ [6, ზირ. 1, 1-11, გვ. 623];
3. „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად“ [6, დაბ. 2, 15, გვ. 14];
4. „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა ეპატრონეთ მას“ [6, დაბ. 1, 28, გვ. 13];
5. „დასაბამი სიცოცხლისა წყალი და პურია“ [6, ზირ. 29, 21, გვ. 632];
6. „აჰა, მომიცია თქვენთვის ყოველი ბალახი, ... და ყოველი ნაყოფიერი ხე, ... ეს იყოს თქვენი საზრდო“ [6, დაბ. 1, 29, გვ. 13-14];
7. „ხრწნადი საზრდოსთვის ნუკი ზრუნავთ, არამედ იზრუნეთ საზრდოსათვის, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლედ“ [6, იოან. 6, 27, გვ. 1051];
8. „ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი როდი მრგებს მე, ყველაფერი ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ არაფერი არ უნდა მფლობედს მე. საქმელი მუცლისათვის, და არა მუცელი საქმლისათვის; ხოლო ღმერთი ერთსაც და მეორესაც განაქარებს. სხეული კი არა სიძვისათვის, არამედ უფლისათვის, და უფალი სხეულისათვის“ [6, 1 კორ. 6, 12-13, გვ. 1137];
9. „გაავა ადამიანი, რათა იბრომოს და იმუშაკოს მწუხრის ჟამამდე“ [6, ფსალმ. 103, 23, გვ. 543];
10. „ჩვენი ბელლები სავსე იყოს ნაირნაირი მოსავლით. ცხვარნი ჩვენნი ათასობდნენ, ათიათასობდნენ ჩვენს საძოვრებზე“ [6, ფსალმ. 143, 13, გვ. 561];
11. „მიავეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმერთისა“ [6, მათ. 22, 21, გვ. 981];
12. „თუ ვინმეს არ სურს მუშაობა, მაშინ ნურცა ჭამს“ [6, 2 თეს. 3, 10, გვ. 1177];
13. „ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ [6, ლუკ. 10, 7, გვ. 1024];
14. თუ ვივლით ღმერთის წესებზე და დავიცავთ მის მცნებებს და შევასრულებთ მათ, უფალი გვპირდება სრულ პიროვნულ, ეროვნულ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, მმართველობით და სამხედრო კეთილდღეობას, უხვ მოსავალს და სულიერ-ხორციელ ჯანმრთელობას, ხოლო თუ არ დავუფერებთ და არ შევასრულებთ მის მცნებებს, მაშინ იგი მოგვივლენს ყოველივე ამის საპირისპირო სასჯელებს [6, ლევ. 26, 1-46, გვ. 121-122].

მედიცინისა და პირადი ჯანდაცვის მართვის ქრისტიანული სინერგიული პარადიგმები

ბიბლიის სამედიცინო სწავლება

ბიბლიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მედიცინის და პირადი ჯანდაცვის მართვის აქტუალურ საკითხებს, ბიბლიის სამედიცინო-ჯანდაცვითი სინერგიული მოძღვრება გვასწავლის:

1. „თუ არ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, არ დაიცავ და არ შეასრულებ ყველა მის მცნებას და წესებს... მოგანებებს უფალი შავ ჭირს.... მოგწყლავს უფალი ჭლექით, ციებ-ცხელებით, ხურვებით, გვალვით, ხორშაკით და სიყვითლით..». [6, რჯლ. 28, 15, 21-22, გვ. 188];
2. „თუ გაიგონებ უფლის, შენი ღვთის ხმას და სწორად მოიქცევი მის თვალში, ყურს დაუგდებ მის ბრძანებებს და დაიცავ ყველა მის წესს, არ შეგყრი არცერთ სენს, ...რადგან მე ვარ უფალი, შენი გამკურნებელი“ [6, გამ. 15, 26, გვ. 71];
3. „ვინც თავისი შემოქმედის წინაშე სცოდავს, დაე ის ჩავარდეს მკურნალის ხელში!“ [6, ზირ. 38, 15, გვ. 638];
4. „ადამიანისთვის სიცოცხლის სახსართაგან მთავარია: წყალი და ცეცხლი, რკინა და მარილი, ხორბლის ფქვილი და რძე, თაფლი და ყურძნის წვენი, ზეთი და სამოსელი. ყოველივე ეს ღვთისმოსავთა სასიკეთოდაა, ცოდვილებს კი სატანჯველად ექცევა“ [6, ზირ. 39, 26-27, გვ. 640];
5. „ჯანმრთელი და ძალ-ღონით ძლიერი ღატაკი სჯობს სხეულით დაძაბუნებულ მდიდარს. სიმრთელე და სიძლიერე ყველა ოქროს სჯობს და ჯანსაღი სხეული - განუზომელ სიმდიდრეს“ [6, ზირ. 30, 14-15, გვ. 632-633];
6. „ჯანსაღი ძილი ზომიერ კუჭზეა: დილით ადრე ადგება და მასთანაა მისი სული. გაუმადლარ კაცს კი უძილობა, ქოლერა და მუცლის გვრემა გასტანჯავს“ [6, ზირ. 31, 20, გვ. 633];
7. „გაუმადლარი ნუ იქნები განცხრომაში და საჭმელ-სასმელს ნუ დაეხარბები. რადგან ბევრი ჭამისგან ჩნდება სენი და გაუმადლობამ გულისრევა იცის. გაუმადლობით მრავალნი აღესრულნენ, თავშეკავებული კი სიცოცხლეს იხანგრძლივებს“ [6, ზირ. 37, 29-31, გვ. 638];
8. „ღვინოში ნუ ივაჟკაცებ, რადგან ღვინოს ბევრი დაუღუპავს. კაცთა სიცოცხლისათვის ღვინო საჭიროა, თუკი მას ზომიერად შესვამენ. რა არის სიცოცხლე ღვინის გარეშე? იგი ხომ კაცთა სასიხარულოდ შეიქმნა. გულის სიხარული და სულის შვებაა ზომიერად და დროის შესაფერისად შესმული ღვინო“ [6, ზირ. 31, 25-28, გვ. 633];
9. „ავადმყოფობს რომელიმე თქვენგანი? ეკლესიის ხუცესთ მოუხმოს, რათა ილოცონ მისთვის და ზეთი სცხონ უფლის სახელით. რწმენის ლოცვა იხსნის სწეულს და ალადგენს მას უფალი; და თუ ცოდვები აქვს ჩადენილი, მიეტყუება მას“ [6, იაკ. 5, 14-15, გვ. 1107];

10. „პატივი მიაგე მკურნალს, ...რადგან უფალმა შექმნა იგი, რადგან მკურნალობა უზენაესისგან არის და ნიჭიც მეუფისგან ეძლევა მას“ [6, ზირ. 38, 1-2, გვ. 638];
11. „შენს სნეულებას ნუ მიუყრუებ, არამედ შეევედრე უფალს და განგკურნავს“ [6, ზირ. 38, 9, გვ. 638];
12. „უფალმა მინისგან შექმნა ნამლები და გონიერი კაცი არ უგულებელყოფს მათ“ [6, ზირ. 38, 4, გვ. 638];
13. „ცოდნა მკურნალს თავს აუმაღლებს და დიდებულთა წინაშე მოუხვეჭს პატივს“ [6, ზირ. 38, 3, გვ. 638];
14. „მიეცი ადგილი მკურნალს, რადგან უფალმა შექმნა და ნუ მოიშორებ, რადგან გჭირდება იგი“ [6, ზირ. 38, 12, გვ. 638];
15. „განკურნეთ სნეულნი, განწმინდეთ კეთროვანნი, აღადგინეთ მკვდარნი, განდევნეთ ეშმაკნი; უსასყიდლოდ მიგილიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“ [6, მათ. 10, 8, გვ. 967];
16. „მკურნალო, განიკურნე შენი თავი“ [6, ლუკ. 4, 23, გვ. 1016].

ბიბლიის სამედიცინო სიბრძნიდან გამომდინარე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გვასწავლის: „ჭეშმარიტი მედიცინა დაკავშირებულია ღმერთთან, სულთან, რწმენასთან“ [5, გვ. 152].

მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია შემდეგი სამი ქრისტიანული სამედიცინო პარადიგმა: 1) ავადმყოფობა და სიკვდილი კაცობრიობის ისტორიაში ადამისა და ევას პირველქმნილი ცოდვის შედეგად შემოვიდა; 2) დღესაც უფალი ავადმყოფობას გვიგზავნის ცოდვების გამო და მათი გამოსყიდვის მიზნით, რათა გავაცნობიეროთ ჩვენი მანკიერებანი და შევიცვალოთ ცოდვიანი ცხოვრების წესი; 3) ავადმყოფობა გვეგზავნება, აგრეთვე, ცოდვების ჩადენისგან თავშესაკავებლად და, მათი განკურნების შემთხვევაში, - უფლის განსადიდებლად - მაგალითად, იესო ქრისტეს მიერ დაბადებიდან ბრმის განკურნება სილოამის საბანელთან [6, იოან. 9,1-41, გვ. 1056-1057].

ბიბლიაში სნეულთა მკურნალობას მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. იესო ქრისტე დიდი სიყვარულით და სრულიად უანგაროდ კურნავდა ავადმყოფებს.

ავადმყოფობის დროს ექიმს უნდა მივმართოთ, ამასთან, აუცილებელია მოძღვრისგან ვითხოვოთ კურთხევა მკურნალობაზე და მთლიანად მივენდოთ ღვთის ნებას. მაშინ ლოცვით, მარხვით, მონყალების გაცემითა და სხვა კეთილი საქმეებით შეგვიწყალებს უფალი და გვაჩუქებს განკურნებას.

ჩვენი განკურნებისათვის უმთავრესი და უებარია ლოცვა სნეულთათვის, რომლითაც მივმართავთ თვით უფალ იესო ქრისტეს: „შენ მხოლო ხარ ქრისტე მსწრაფლ შემნე, მსწრაფლ გამოაჩინე ზეცით საფარველი შენი ჭირვეულსა მონასა (მხევალსა) შენსა ზედა და იხსენ სნეულებათაგან ჭირთა და მწარეთა სალმობათაგან და აღადგინენ მაქებელად შენდა, და სადიდებელად სამარადისოდ, მეოხებითა

ლეთისმშობლისათა მხოლოო კაცთმოყვარე“ [7, გვ.19]. ეს ლოცვა, ზოგადასამედიცინო და პირადი ჯანდაცვის თვალსაზრისით უმთავრეს პარადიგმას წარმოადგენს.

ალსანიშნავია, აგრეთვე, შემდეგი საჯანმრთელო ლოცვები, რითაც მივმართავთ წმინდანებს [7, გვ. 20-81]:

1. ყოველგვარ სნეულებათა დროს - წმ. დიდმონამე პანტელეიმონ მკურნალს, წმ. ღირს მამას გაბრიელს აღმსარებელ-სალოსს;

2. თავის ტკივილის დროს - წმ. წინასწარმეტყველსა და ნათლისმცემელს;

3. თვალის ტკივილის დროს - წმ. მახარებელ ლუკას, წმ. მოციქულ ფილიპეს, წმ. მღვდელმთავარ ნიკოლოზს, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსს;

4. სიბრმავისაგან განსაკურნებლად - წმ. მღვდელმთავარ ნიკოლოზს, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსს, წმ. დიდმონამე დიმიტრი თესალონიკელს, ღირს შიო მღვიმელს;

5. სიმუნჯისა და ენაბლუობისაგან განსაკურნებლად - წმ. მღვდელმთავარ ევტიქის, კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსს, ღირს იოანე რილელს;

6. კბილის ტკივილის დროს - წმ. მღვდელმონამე ანტიპას, პერგამის ეპისკოპოსს, წმ. დიდ კეთილმსახურ მეფე ვახტანგ გორგასალს;

7. გულის დაავადებების დროს - წმ. იოსაფს, ბელგოროდელ ეპისკოპოსს;

8. მუცლის ღრუს (კუჭის) დაავადებების დროს - წმ. დიდმონამე პანტელეიმონ მკურნალს, წმ. დიდმონამე არტემიოსს;

9. ნელის ტკივილის დროს - ღირს სერაფიმე საროველს;

10. უშვილობისას - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მშობლებს წმ. და მართალ იოაკიმეს და ანას, წმ. იოანე ნათლისმცემლის მშობლებს წინასწარმეტყველ ზაქარიას და მართალ ელისაბედს, წმ. მოციქულთა სწორს ქართველთა განმანათლებელ ნინოს, წმ. მოწამე შუშანიკ დედოფალს, ღირს შიო მღვიმელს;

11. ალერგიის დროს - წმ. მოწამეებს, უვერცხლოთ მკურნალთ კვიროს და იოანეს;

12. კიბოსაგან განსაკურნებლად - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „პანტანასა“;

13. მემთვრალეობის და ლოთობის სენის დასაძლევადა - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „თასი შუესმელი“;

14. ნარკომანიისაგან განსაკურნებლად - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს: „პანტანასა“;

15. ვნებათა და ცოდვათა დასაძლევადა - წმ. მთავარანგელოზ იერომიელს.

ღვთის წყალობით და შენევნით, ჩვენ მიერ შექმნილია ლოცვა-ვედრება უფლისადმი, ჩვენი სულიერი და ხორციელი განწმენდა-განკურნებისათვის, რომელსაც აქვე გადმოვცემთ: *უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი და გაგვიწმინდე, განგვიკურნე, აღგვიდგინე და აგვილოძინე ჩვენი არსება და მისი ყოველი ნაწილი ყოვლისაგან ბნისა სულიერისა და ხორციელისა!*

ლოცვებთან ერთად, პირადი ჯანდაცვის სწორი და ეფექტური მართვისათვის ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ვიყენებდეთ „მედიცინის მამის“, **ჰიპოკრატეს საყოველთაოდ ცნობილ, ფუძემდებლურ პარადიგმას: „დაე, შენი საკვები იყოს შენი წამალი და შენი წამალი იყოს შენი საკვები“**, რომელიც გამომდინარეობს ბიბლიური სინერგიული ჯანდაცვითი სიბრძნიდან.

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის რელიგიურ-ეთიკური და ფსიქოლოგიური ასპექტები

საქართველოში 26 წლის წინ დანყებული და დღესაც მიმდინარე რეფორმების უმთავრესი მიზანია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება და განვითარება. ჯანდაცვის სისტემის რეფორმაც, მისი დღევანდელი სახით, მცდარად, ამ მიზნის აბსოლუტურად იდენტურ და სწორ შემადგენელ ნაწილად არის მიჩნეული.

„შეუიარაღებელი თვალისთვისაც“ კი ადვილი შესამჩნევია, რომ ტოტალური პრივატიზების და კომერციალიზაციის ყოვლისმომცველი პოლიტიკა უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების ჯანდაცვის მდგომარეობაზე და ინვესტ მწვავე და შეუქცევად სამედიცინო, დემოგრაფიულ და ზნეობრივ გართულებებს.

განსაკუთრებით შემამფოთებელია, რომ პრივატიზებული და მოგების მოპოვებაზეა გადასული ფსიქიატრიული საავადმყოფოებიც (მაგალითად, ბათუმში, ხონში).

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქეისის განხილვის სახით გავიზაროთ ჯანდაცვის სისტემის კომერციალიზაციის კომპლექსური უარყოფითი მხარეები. ამისათვის მკითხველს ვთავაზობთ ჩვენ მიერ შედგენილ ქეისს.

შემეცნებითი სინერგიული ქეისი კომერციულ ჯანდაცვასა და ფარმაცევტულ ბიზნესზე

თანამედროვე ფარმაცევტული ბიზნესის, კომერციული საავადმყოფოების, პოლიკლინიკების მესვეურების, ექიმების, საავადმყოფოებისა და აფთიაქების თანამშრომლების საარსებო საშუალებები (შემოსავალი, მოგება და ხელფასი) პირდაპირ არის დამოკიდებული ავადმყოფთა სიმრავლეზე, ანუ მოქმედებს **ბიზნესიდეოლოგიური, პარადოქსული, უზნეო პარადიგმა: „ჯანდაცვის მუშაკები უნდა არსებობდნენ ავადმყოფთა არსებობით და სიმრავლით“**. აქედან გამომდინარე, თავისი ქმედებით და წამლებით, ისინი (ჯანდაცვის მუშაკები) შეგნებულად თუ არა-შეგნებულად, ხშირად არასრულად ან საერთოდ არ/ვერ კურნავენ ავადმყოფებს. ამასთან, ახალ-ახალი, უამრავი დასახელების, მომხიბლავად შეფუთულ-გაფორმებული, ფარმაცევტული კომპანიების მიერ მეტი და მეტი კომერციული მოგების მიღების მიზნით გამოგონილ-გამოშვებული, წინამორბედი ანალოგიური პრეპარა-

ტისგან მხოლოდ დასახელებით და შეფუთვით განსხვავებული, მხურვალედ რეკლამირებული, მომწამლავი ქიმიით „გაუღენთილი“ მედიკამენტების გამოყენება ხშირად იწვევს სხვა, „არამიზნობრივი, დაუგეგმავი“ დაავადებების წარმოშობა-გამწვავება-განვითარებას. ამ უკანასკნელ გარემოებაში გვარწმუნებს, თუნდაც წამლების თანმხლები ინსტრუქციები, რომლებშიც ასახულია: პრეპარატის ქიმიური შემადგენლობა, ფარმაკოლოგიური თვისებები, ჩვენებები, უკუჩვენებები, მიღების წესები და დოზები, გვერდითი მოვლენები (ანუ ნაცნობი თუ უცნობი, მოსალოდნელი თუ მოულოდნელი დაავადებები), ორსულობა და ლაქტაცია, განსაკუთრებული მითითებები, ჭარბი დოზირება, სხვა წამლებთან ურთიერთქმედება და სხვ.

ჯანდაცვის ასეთი პარადიგმების, კონცეფციის, სისტემის და შესაბამისი მართვის პირობებში საქართველოში, მთელს მსოფლიოში (განვითარებულშიც და არაგანვითარებულშიც) იზრდება ავადობა (მათ შორის, ფსიქიკური დაავადებები). უფრო და უფრო „ახალგაზრდავდება“ და „ბავშვურდება“ სნეულებები, წარმოიშობა სრულიად უცნობი, ახალი დაავადებები, კატასტროფულად იზრდება ფასები სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე.

საკითხები ქეისის სინერგიული გააზრებისათვის:

1. ქრისტიანულად, ეთიკურად და იურიდიულად რამდენად დასაშვებია ასეთი ფსიქოლოგიური მიდგომა ავადმყოფი ადამიანისადმი, მთლიანად ჯანდაცვისა და ფარმაცევტული სფეროს ორგანიზაციისადმი და შესაბამისი ბიზნესის განვითარება? თანამედროვე ლიბერალ-დემოკრატი უფლებადამცველები, თითიდან გამონოვილი „პრობლემური“ სფეროების ნაცვლად, აქ ხომ არ უნდა ექბდნენ ანტიჰუმანურობის გამოვლინებას და სწორედ აქ ხომ არ უნდა იცავდნენ სნეულ ადამიანებს?!

2. რა საბოლოო შედეგებს მოუტანს საზოგადოებას და ქვეყანას უღვთო და უზნეო ბიზნესიდეოლოგია ჯანდაცვისა და ფარმაცევტულ სფეროში?

3. რა გზით უნდა განვითარდეს ჯანდაცვა?

4. როგორი სინერგიული პარადიგმები, კონცეფცია, მოდელი, პროგრამა, პროექტი უნდა შემუშავდეს პრობლემის გადასაჭრელად?

ქეისში მოცემული სიტუაციის გააზრების საფუძველზე მართებულად მიგვაჩნია გადმოვცეთ შემდეგი მოსაზრებები:

1. ცალკეული ადამიანის და მთელი საზოგადოების ჯანმრთელობა არ უნდა იყოს კომერციის მიზანი და საგანი. მარტივად გასაგებია, რომ კომერციაზე ნებით თუ უნებურად დამოკიდებული, ფულს გამოდევნებული, მცირე თუ დიდი ანგარებით დაავადებული მკურნალი, ისევე როგორც სამედიცინო და ფარმაცევტული ბიზნესის მესვეურები და ნებისმიერი თანამშრომელი, ვერც საკუთარ თავს განიკურნავს ანგარების სენისაგან (შდრ. „მკურნალო, განიკურნე შენი თავი“ [6, ლუკ. 4, 23. გვ. 1016]) და არც/ვერც ავადმყოფს უშველის რამეს.

2. ამავე დროს, ჯანდაცვის სისტემის მუშაკთა შრომა, მისი უდიდესი ჰუმანური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად მაღალანაზღაურებადი უნდა იყოს.

3. ჯანდაცვას უნდა წარმართავდეს და მკურნალს გარანტირებულ მაღალ ანაზღაურებას აძლევდეს სახელმწიფო.

4. საჭიროა პრემიების დანესება ექიმებისთვის ყოველ საბოლოოდ გამოჯანმრთელებულ ადამიანზე და, საერთოდ, ქვეყნის მასშტაბით ავადობის მაქსიმალურ შემცირებაზე. იესო ქრისტე აქაც გვასწავლის, რომ „ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა“ [6, ლუკ. 10, 7, გვ. 1024].

5. მისაღებია, აგრეთვე ალტერნატიული, კერძო კომერციული სამედიცინო საქმიანობაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქვეყანაში იმოქმედებს მაღალორგანიზებული, უსასყიდლო, ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებული ჯანდაცვის სისტემა. ასეთი სისტემა უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფოებრივი, საეკლესიო-სამონასტრო და არასამთავრობო სექტორის სამკურნალო დანესებულებების ჰარმონიულ არსებობა-განვითარებას.

6. საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკური საქმიანობისა და კერძოდ, ჯანდაცვის ორგანიზაციის ერთიანი სინერგიული კონცეფცია საზოგადოების ყველა ფუნდამენტური სექტორისა და ეკლესიის მონაწილეობით, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას სათანადო პროგრამები და გაიშალოს პრაქტიკული საქმიანობა, რათა რეალურად იქნეს მიღწეული საქართველოს ღვთივსულიერი, სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნები.

პირადი ჯანდაცვის მართვის სინერგიული გააზრების მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-გამოყენებითი ასპექტები

თანამედროვე მსოფლიოს მონინავე ფიზიოთერაპევტების, ნატუროპათების, ნუტრიციონისტების აზრით, დაავადებათა უმრავლესობის წარმოშობის უმთავრესი მიზეზია არაჯანსაღი, არაორგანული, მკვდარი ნივთიერებებით სავსე საკვების/სამედიცინო მიღება, რის გამოც ორგანიზმში გროვდება არაორგანიკა (ტოქსინები, ნიღები, მარილები, შაქარი, სახამებელი, კირი, ლორწო), რაც, თავის მხრივ, ინვესს სხვადასხვა დაავადებას [9-14; 16-23; 25-32] .

პირადი ჯანდაცვის მართვა ნორმან უოკერის მიხედვით: მკურნალობა ახალგამონურული წვენებით

წვენებით თერაპიის და ჯანსაღი კვების (ნუტრიციონიზმის) ფუძემდებელად ითვლება ამერიკელი ბიზნესმენი, დოქტორი, მორწმუნე ქრისტიანი, **ნორმან უოკერი** (1886-1985) , რომელიც გარდაიცვალა 99 წლის ასაკში [16].

ნორმან უოკერის საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომში [17 - ქართული თარგმანი; 25 - ინგლისური დედანი] ჩამოთვლილია არაჯანსაღი კვების გამო წარმოშობილი

მრავალი, მათ შორის, მძიმე და უმძიმესი დაავადებები: ასტიგმატიზმი; სოკო; აციდოზი; ალერგია; აპოპლექსია (დამბლა); ოსტეოქონდროზი; არტერიოსკლეროზი; ართრიტი; კატარაქტა; კენჭები და ქვიშა (თირკმელებში, ნაღვლის ბუშტში); სიმსივნეები; ბრონქიტი; ღვიძლის ციროზი; კოლიტი; ცისტეტი; ნევროზი; სისხლძარღვების ტრომბოზი; ძვლების (მ.შ. კბილების) დაშლა; დიაბეტი; თავის ტკივილი; გასტრიტი; ჩიყვი; ბუასილი; გულ-სისხლძარღვთა დაავადებები; თრომბოზი; ტოქსემია; უძილობა; თეთრსისხლიანობა; ნეფრიტი, ნევრალგია; ფსორეაზი; პროსტატა; პიორეა (ღრძილების ანთება და კბილების მორყევა) და სხვ.

ნორმან უოკერი პირადი ჯანდაცვის მართვის მოსაგვარებლად გვიჩვენებს ნატურალური, არაუმეტეს 40-50 გრადუს ტემპერატურაზე მომზადებული მცენარეული საკვებისა (მეტ ტემპერატურაზე ბოსტნეული და ხილი იწყებს კვდომას, ვინაიდან ამ დროს მისი ორგანული შემადგენელი ელემენტები გადაიქცევა არაორგანულად) და ახალგამონჭრული წველების მეშვეობით დაავადებათა პრევენციისა და სრული გამოჯანმრთელების გზებს, რისთვისაც გვთავაზობს კონკრეტულ რჩევებს და რეცეპტებს.

ნორმან უოკერი, მაგალითად, კიბოს წარმოშობის მიზეზებს შემდეგნაირად განმარტავს: „საჭირო ორგანული ნივთიერებების უკმარისობის გამო ეპითელიური უჯრედების ნახევრადმშვიერი ჯგუფები ან ქსოვილები მრავლდება კონცენტრირებული და ხორცეული საკვების მიღებისას“ [17, გვ. 90], **აქვე იგი გვთავაზობს შესაბამის რეცეპტებს:** №1- სტაფილოს წვენი [17, გვ. 74] და №61 - სტაფილოსა და ისპანახის ნაზავი წვენი პროპორციით ორი ერთზე [17, გვ. 81]. უნდა აღინიშნოს, რომ №61 რეცეპტი კურნავს ისეთი სნეულებებისგან, როგორცაა: სხვადასხვა სისმსივნე, ტოქსემია, ნეფრიტი, ცისტეტი, დიაბეტი, ბუასილი, დაბალი წნევა, უძილობა, ძვლებისა და კბილების დაშლა, ჩიყვი, სიყრუე, არტერიების დაავადებები და სხვ. სულ უოკერს განხილული აქვს პრაქტიკულად ყველა ბოსტნეული, ზოგიერთი ხილი, მათი სამკურნალო თვისებები და მოცემული აქვს სათანადო ნაზავების რეცეპტები (სულ 87 რეცეპტი).

წვენი ორგანიზმის მიერ სწრაფად (რამდენიმე წუთში) და სრულად აითვისება. საჭმლის მომწელებელი სისტემა ამაზე მინიმალურ ძალისხმევას ხარჯავს, ამავე დროს, წვენი ორგანიზმიდან გამოდევნის მკვდარი უჯრედების ნარჩენებს, რაც არაჯანსაღი კვების შედეგად გროვდება. გარდა ამისა, წვენში არსებული წყალი, რომელიც დიდი რაოდენობითაა ხილსა და ბოსტნეულში, ძალიან სასარგებლოა, რადგან მასში ორგანული ვიტამინები და მინერალებია გახსნილი.

ნორმან უოკერი გვთავაზობს ვაშლს, ვაშლის წვენს და ვაშლის ძმარს სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

აქ მოვიტანთ ცნობილ ინგლისურ და რუსულ ხალხურ პარადიგმებს ვაშლის მარგებლობის შესახებ: „An apple a day, doctor away“ და «По яблоку в день, и доктор не надобен», რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველდღიურად თითო ვაშლის მიღებით ექიმი აღარ დაგვჭირდება. აქვე კვლავ გავიხსენოთ **ჰიპოკრატეს**

ფუძემდებლური პარადიგმა - „დაე, შენი წამალი იყოს შენი საკვები და შენი საკვები იყოს შენი წამალი“. ეს სიბრძნე აუცილებლად უნდა ვაქციოთ ჩვენი მიწიერი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად, რომელზე დაყრდნობითაც შევძლებთ ეფექტურად ვმართოთ პირადი ჯანმრთელობა.

ნორმან უოკერის მიხედვით, უნდა ვსვათ ახალგამონჭურული წვენები. სამკურნალო ეფექტისათვის საკმარისია 3-6 ჩაის ჩიქა წვენი დღეში, ხოლო ორგანიზმის ზოგადი გაჯანსაღებისათვის, არაუმეტეს 1-2 ჩაის ჩიქისა.

ნორმან უოკერი პირადი ჯანმრთელობის მართვის ეფექტურობისათვის გვირჩევს, წვენებით კონკრეტული დაავადების მკურნალობის პარალელურად, თავი შევიკავოთ ხორცისგან, ცომეულისაგან, მარილისა და შაქრისგან. ამასთან, საჭიროა აღვიჭურვოთ მოთმინებით და გვახსოვდეს, რომ ნატურალური წვენების საშუალებით ჩვენ ვწმენდთ საკუთარ ორგანიზმს და ვჯანმრთელებთ.

ჩვენი მხრიდან აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ნორმან უოკერისა და სხვა ნატუროპათების და ფიზიოთერაპევტების [9; 11-14; 16-23; 25-32;] მეთოდების გამოყენებით **ამ სტრიქონების ავტორი გამოჯანმრთელდა ისეთი დაავადებებისგან, როგორცაა:** აციდოზი; ოსტეოქონდროზი; კენჭები და ქვიშა თირკმელებში; ცხვირის ღრუს ანთება; უძილობა.

ჩვენივე რჩევებით და სწავლებით, აღნიშნული და სხვა დაავადებებისაგან (ალერგია; დიაბეტი; თავის ტკივილი; მესხიერების დარღვევა; გასტრიტი; ჩიყვი; თრომბოზი; ღრძილების ანთება და კბილების მორყევა და სხვ.) **განიკურნენ ჩვენი ახლობლებიც.**

მაგალითად, რამდენიმე ჩვენმა ახლობელმა შეწყვიტა მესხიერების დარღვევის სამკურნალოდ ექიმის მის მიერ დანიშნული ჯანმრთელობისათვის სახიფათო პრეპარატ „ლუცეტამის“ გამოყენება და ნიგოზის მიღებით (დღეში 8-10 ლებანი) და ჯანსაღი კვების მეშვეობით, სრულად განიკურნა სენისაგან.

ნორმან უოკერის პირადი ჯანდაცვის მეთოდის გააზრებიდან გამომდინარე, გადმოვცემთ ამ მეთოდის ჩვენეულ პარადიგმას: ჯანსაღი კვების სისტემასა და წვენების მიღებაზე დაფუძნებული თვითმენეჯმენტის მეშვეობით შეგვიძლია სწულელებათა აღკვეთა-პროფილაქტიკა და დამარცხება.

პირადი ჯანდაცვის მართვა პოლ ბრეგის მიხედვით: მკურნალობა შიმშილობით

პოლ ბრეგი - (1881-1976) ცნობილი ამერიკელი ნატუროპათი, ალტერნატიული მედიცინის და ჯანსაღი კვების მოძრაობის მოღვაწე, ბიზნესმენი და შოუმენი, მორწმუნე ქრისტიანი.

პოლ ბრეგმა შექმნა საკუთარი გამაჯანსაღებელი სისტემა, რომელიც ეფუძნება შიმშილობას, სწორ კვებას და ფიზიკურ აქტივობას. მან თავისი პირადი ჯანდაცვის

სისტემის წყალობით იცოცხლა 96 წელი (მისი სიკვდილი გამოიწვია უზარმაზარმა ოკეანის ტალღამ, რამაც სერფინგით სრიალისას გადაუარა).

პოლ ბრეგის მიერ შემუშავებული სისტემა უამრავ ადამიანს დაეხმარა გამოჯანმრთელებასა და სრულფასოვანი ფიზიკური ცხოვრების უზრუნველყოფაში [18;19; 26-28].

პოლ ბრეგის მიხედვით, რაციონალური შიმშილი, ჯანსაღი კვება და საკუთარ სხეულზე და სულზე მუშაობა, ეს არის სულიერი და ფიზიკური გაახალგაზრდავების, კარგი ჯანმრთელობის მიღწევისა და 120 წლის ასაკამდე სიცოცხლის საშუალება.

თავად პოლ ბრეგს ბავშვობიდან არაერთი დაავადება აწუხებდა. სუსტი ჯანმრთელობის გამო რამდენიმე წელი სამკურნალო სანატორიუმებში გაატარა, სადაც ექიმები მის მშობლებს ბავშვის გამოჯანმრთელების იმედს თითქმის არ უტოვებდნენ.

გამოჯანმრთელების მიზნით პოლ ბრეგმა მოიარა მთელი მსოფლიო, იგი ეცნობოდა ყველაზე ასაკოვანი ადამიანების ცხოვრებას, სწავლობდა სხვადასხვა რელიგიის და პირადი ჯანმრთელობის ურთიერთდამოკიდებულების სინერგიულ პარადიგმებს. ყოველივე ამის გააზრების შედეგად მან შეიმუშავა პირადი ჯანმრთელობის მართვის საკუთარი კონცეფცია და შესაბამისი მეთოდები.

პოლ ბრეგი გვთავაზობს პირადი ჯანდაცვის მართვის ფუძემდებლურ პარადიგმას: „ადამიანის ორგანიზმი ცალკეული უჯრედების ერთობლიობაა. თუ ადამიანი ნორმალურად იკვებება, თუ მისი საკვები აკმაყოფილებს ზრდის და ფუნქციონირების ძირითად მოთხოვნილებებს, ამ უჯრედებს უნარი აქვთ იცოცხლონ 120 წელი და მეტი“ [18]. ხანგრძლივი სიცოცხლის შესაძლებლობას პოლ ბრეგი ბიბლიურ-ქრისტიანული მოძღვრებით ამყარებს: „**მე მჯერა, რომ ყოველ ადამიანს ბოძებული აქვს 120 წლის სიცოცხლე, როგორც ეს ბიბლიაში წერია**“ [19, გვ. 6].

პირადი ჯანდაცვის მართვის პოლ ბრეგისეული სისტემის სამი ძირითადი პრინციპია:

1) შიმშილობა – სინერგიულად, კომპლექსურად, მოქმედებს ადამიანის მთელს ორგანიზმზე, აღადგენს სულს, სხეულს და გონებას [19, გვ. 54]. ბრეგისეული რაციონალური შიმშილი, სწორი კვება და ფიზიკური აქტივობა ათასობით ადამიანს დაეხმარა დაეძლია მძიმე დიაგნოზი და დაებრუნებინა ხორციელი და სულიერი ჯანმრთელობა.

2) ჯანსაღი კვება – სწეულებათა უმეტესობა არასწორი კვების შედეგია. ბევრი საკვები პროდუქტი მომზადება-გადამუშავებისას მკვდარი ელემენტებით, ტოქსინებით და არაორგანული ქიმიური ნივთიერებებით ივსება. ამიტომ აუცილებელია მხოლოდ ბუნებრივი ენერჯის შემცველი ნატურალური საკვების მიღება. ბრეგის მიხედვით, იდეალური დიეტა 60% ცოცხალი ხილის და ბოსტნეულისგან უნდა შედ-

გებოდეს, 20% ცილოვანი საკვებისგან, დარჩენილი 20% კი, თავის მხრივ, სამი ნაწილისგან შედგება. პირველი – ეს ბუნებრივი სახამებელია, რომელსაც პურიდან, ბრინჯიდან, მარცვლოვნებიდან ვიღებთ. მეორე – ბუნებრივი შაქარი, რომელიც ხილიდან, ჩირიდან, თაფლიდან და წვენიდან უნდა მივიღოთ. მესამე – ნატურალური უჯვერი ცხიმებია (მცენარეული, ზეთისხილის და სოიოს ზეთის ან სხვა უჯვერი ზეთები). ბრეგის მიხედვით, მენიუდან უნდა ამოვიღოთ თამბაქო, ალკოჰოლი, შოკოლადი, ნამცხვარ-ტორტები, ყავა, ჩაი, შაქარი და მარილი. აღსანიშნავია, რომ მარილს და შაქარს პოლ ბრეგი „თეთრ სიკვდილს“ უწოდებს.¹

3) ფიზიკური აქტივობა – ბრეგის სისტემის მესამე მნიშვნელოვანი ნაწილია.

ბრეგის მიხედვით, საკუთარი ჯანმრთელობის მართვის მაღალი ეფექტურობისთვის ადამიანმა უნდა გამოიყენოს ცხრა „უდიდესი მკურნალი“: 1) მზის შუქი, 2) სუფთა ჰაერი, 3) სუფთა წყალი, 4) ჯანსაღი საკვები, 5) შიმშილობა, 6) ფიზიკური ვარჯიში, 7) დასვენება, 8) კარგი ტანადობა და 9) გონება.

შიმშილობასთან დაკავშირებით ბრეგმა გამოიკვლია კვების ფიზიოლოგიური პროცედურა, მარხვის ფენომენი, შეისწავლა ფსიქოლოგია და რელიგიები, ბიბლია, ქრისტიანობა, წმინდანთა ცხოვრება. შედეგად დაადგინა, რომ საკვების შეზღუდვა, მარხვა, შიმშილობა ეხმარება ადამიანებს სულიერ-ხორციელი ძალების აღდგენასა და უფალთან დაახლოებაში [19, გვ. 55].²

შიმშილობის დროს ადამიანი მოდის ჰარმონიულ მყოფობაში საკუთარ მესთან ფიზიოლოგიურ დონეზე: სხეულიდან გამოიდევენება ყოველგვარი შხამი, რაც კი არაჯანსაღი საკვებიდან, ქიმიური ნამლებიდან და დაბინძურებული ჰაერიდან მიგვიღია.

შიმშილობის პროცედურა ცალკეული პიროვნებისთვის, მისი ჯანმრთელობიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა იყოს. სტანდარტული კი მდგომარეობს შემდეგში: კვირამი ერთხელ, 24 საათი მხოლოდ გამოხდილი ან სუფთა წყალი უნდა მივიღოთ.

განხილული საკითხების გააზრების საფუძველზე, პირადი ჯანმრთელობის პოლ ბრეგისეული პარადიგმის არსის ჩვენეული გაგება შემდეგია: „ყოველმა ადამიანმა ცხოვრების წესად და თავის ქმედებათა საფუძველად უნდა აქციოს ჯანსაღი კვება, პერიოდული შიმშილობა და ფიზიკური აქტივობა, რათა იყოს ჯანმრთელი და დიდხანს იცოცხლოს“.

პოლ ბრეგის ამ პარადიგმიდან გამომდინარე გვინდა ჩამოვყალიბოთ პირადი ჯანდაცვის მართვის ჩვენეული პარადიგმა: „ჯანსაღი კვების სისტემაზე,

1 ჩვეულებრივი მარილის ნაცვლად, ჩვენ ოჯახში ვიყენებთ ზღვის მარილს, რომელიც ორგანული შემადგენლობისაა და მავნე არ არის ორგანიზმისათვის. ზღვის მარილის შექმნა ძესაძლებელია დიდ სუპერმარკეტებში.

2 მთლიანობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოლ ბრეგისეული პირადი ჯანმრთელობის მართვის თეორიული კონცეფცია და შესაბამისი პრაქტიკული სისტემა სინერგიულ საფუძველზეა აგებული.

პერიოდულ შიმშილობასა და ფიზიკურ აქტივობაზე დაფუძნებული თვითმენეჯმენტის მეშვეობით შეგვიძლია სწეულებათა აღკვეთა-პროფილაქტიკა, მათი დამარცხება და ხანგრძლივი სიცოცხლე“.

დასასრულ, გთავაზობთ ჩემ მიერ შემუშავებულ პირადი ჯანდაცვის ფუძემდებლურ პარადიგმას შესაბამისი განმარტებით:

• **პარადიგმა:** საკუთარი თავის ფიზიოლოგიური და სულიერი არსის სინერგიული შეცნობის საფუძველზე წარმართე/მართე შენი პირადი ჯანდაცვა;

• **განმარტება:** პირადი ჯანმრთელობის მართვა არის ადამიანის მიერ საკუთარი ფიზიოლოგიური და სულიერი არსის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული ქმედებებით, პირადი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

ასეთი თეორიული მიდგომა უნდა დაედოს საფუძვლად მინიერი ცხოვრების დროს ადამიანის მიერ პირადი ჯანმრთელობის მართვის პრაქტიკას.

დასკვნები განსჯისა და გამოყენებისათვის

საქართველოში თვითმენეჯმენტის თეორიის და პრაქტიკის განვითარებისათვის აუცილებელია საკითხისადმი სინერგიული პოზიციებიდან მიდგომა. თეორიულ კვლევებში მნიშვნელოვანია ფუძემდებლური პარადიგმების და განმარტებების ჩამოყალიბება.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია თემასთან დაკავშირებული ავტორისეული რამდენიმე მნიშვნელოვანი პარადიგმა და განმარტება, რომელთაგან დასკვნაში ნაშრომადგენთ უმთავრესს:

1. თვითმენეჯმენტის ფუძემდებლური პარადიგმა: „საკუთარი თავის და საარსებო გარემოს სინერგიული შეცნობისა და შეცნობილი რეალობის შესაბამისი მიზნების დასახვის საფუძველზე წარმართე/მართე შენი ცხოვრებისეული ქმედებები“;

2. თვითმენეჯმენტი არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული საკუთარი ფიზიკური, სულიერი და სოციალური სანყისების, რესურსების და პოტენციალის მართვა-განვითარება.

3. პირადი ჯანმრთელობის მართვის პარადიგმა: „საკუთარი თავის ფიზიოლოგიური და სულიერი არსის შეცნობის საფუძველზე წარმართე/მართე შენი პირადი ჯანდაცვა“;

4. პირადი ჯანმრთელობის მართვა არის ადამიანის მიერ საკუთარი ფიზიოლოგიური და სულიერი არსის სინერგიულ შეცნობაზე დამყარებული ქმედებებით პირადი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

ტოტალური პრივატიზების და კომერციალიზაციის ყოვლისმომცველი პოლიტიკა უარყოფითად მოქმედებს საზოგადოების ჯანდაცვის მდგომარეობაზე და იწვევს მწვავე და შეუქცევად სამედიცინო, დემოგრაფიულ და ზნეობრივ გართულებებს.

ასეთ პირობებში აუცილებელია დაავადებათა წარმომშობი რეალური მიზეზების (მაგ., არაჯანსაღი კვება) გამოვლენა და ინდივიდუალური ნატუროპათიური მეთოდებით საკუთარი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. საჭიროა მსოფლიოს მალა-ლგანვითარებულ ქვეყნებში კარგად აპრობირებული პირადი ჯანდაცვის მართვის მეთოდების გამოყენება ჩვენს რეალობაში.

ჩვენი მინიერი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს საფუძვლად აუცილებლად უნდა ვაქციოთ **ჰიპოკრატეს ფუძემდებლური ნატუროპათიური პარადიგმა „დაე შენი ნამალი იყოს შენი საკვები და შენი საკვები იყოს შენი ნამალი“** რომელზე დაყრდნობითაც შევძლებთ ეფექტურად ვმართოთ პირადი ჯანმრთელობა.

ყოველმა ადამიანმა ცხოვრების წესად და თავის ქმედებათა საფუძვლად უნდა აქციოს ჯანსაღი კვება, პერიოდული შიმშილობა და ფიზიკური აქტივობა, რათა იყოს ჯანმრთელი და დიდხანს იცოცხლოს.

ლიტერატურა:

1. ლუდუშაური ზ. თვითმენეჯმენტი (სახელმძღვანელო). თბილისი, „საჩინო“, 2015, 320 გვ.
2. შიხაშვილი გ. სამედიცინო, ფარმაცევტული და სასურსათო ბიზნესის ქრისტიანული გააზრება. ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“. № 6-7 (ივნისი-ივლისი), 2011, გვ. 65-68.
3. შიხაშვილი გ., ბაკაშვილი ნ., მღვდელი ბასილი (ახვლედიანი). მართლმადიდებლური თეოლოგიური ეკონომიკისა და მართვის საფუძვლები. თბილისი, „მერიდიანი“, 2009, 368 გვ.
4. ქელიძე ქ. შეიცან თავი შენი. <http://www.ambioni.ge/seican-tavi-seni> (9.11.17, 1 გვ.)
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი შიხაშვილი გ. თბილისი, „გეოკურია“, 2004, 236 გვ.
6. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა. თბილისი, 1989, 1216 გვ.
7. ლოცვანი - ვის ვევედროთ ავადმყოფობისა და გაჭირვების დროს. რედ. კ. ჩიჩილიძე. რუსთავი, „გორგასალი“, 2002.
8. ილია მეორის სიბრძნის კიდობანი. შემდგენელ-გამომცემელი მგელაძე ტ. თბილისი, 2016, 544 გვ.
9. არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე). ბიოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისი. თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს წმ. თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, 2012, 549 გვ.
10. ბახტაძე დ., კოლუაშვილი პ. ქართველთა კვების კულტურა. თბილისი, „ინოვაცია“, 2009, 188 გვ.
11. მოსაშვილი-ბერიძე მ., გონსალეს ფერნანდესი რ. სამკურნალო პროფილაქტიკური სამზარეულო. თბილისი, 2015, 927 გვ.

12. ნარმანია კ. შენი ჯანმრთელობა შენს ხელშია. თბილისი, „საჩინო“, 2015, 228 გვ.
13. ყიფიანი დ. ვაშლის ძმრის საოცრებანი. თბილისი, 2013, 32 გვ.
14. ხიდუშელი შ. ყვავილის თავლი და თავლის პროდუქტები - ჯანსაღი ცხოვრების ელექსირი. თბილისი, „ცის ნამი“, 2007, 80 გვ.
15. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელ-გამომცემელი გ.შიხაშვილი, თბილისი, „გეოკერია“, 2004, 334 გვ.
16. ნორმან უოკერი. ვებგვერდი - <http://www.fitni.ge/2017/08/03/%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%A3%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91/>
17. უოკერი ნ. მკურნალობა ბოსტნეულის წვენებით. ინგლისურიდან თარგმნა ჯ. თითმერიამ. თბილისი, „ხელოვნება“, 1991, 115 გვ.
18. პოლ ბრეგი. ვებგვერდი - <http://www.fitni.ge/2017/08/02/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A-%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90/>
19. ბრეგი პ. შიმშილობის სასწაული. ინგლისურიდან თარგმნა ლ. ჩანტლაძემ. თბილისი, „წყარო“, 1991, 192 გვ.
20. ბენჯამინი ჰ. მათუსალას საიდუმლო. (ნატუროპათიული კრებული - ბუნებრივი მკურნალობის პოპულარული კრებული). ინგლისურიდან თარგმნეს ვ. ფრანგულაშვილმა და ნ. ხელაიამ. თბილისი, „წყარო“, 1991, 319 გვ.
21. შელტონი ჰ. შიმშილობა გადაარჩენს თქვენს სიცოცხლეს. ინგლისურიდან თარგმნა გ. ლომთაძემ. თბილისი, 1996, 195 გვ.
22. ჯანსაღი კვების სწავლება დანყებით სკოლებში. ტ. 1: ქრესტომათია. ინგლისურიდან თარგმნა ე. ქანთარია. თბილისი, 2008, 231 გვ.
23. ოჯახის ექიმი - 2. რუსულიდან თარგმნეს ა. კუსრაშვილმა და ე. მარნელმა. თბილისი, 2009, 223 გვ.
24. მიტროპოლიტი იეროთეოსი (ვლახოსი). სულიერი მედიცინის მეცნიერება - მართლმადიდებლური ფსიქოთერაპიის საქმე. ბერძნულიდან თარგმნეს ე. დულაშვილმა და ლ. ბუკიამ. თბილისი, „ახალი ივერონი“, 2017, 389 გვ.
25. Walker N. Fresh Vegetable and Fruit Juices – what’s missing in your body. USA, NorwalkPress, 1978, 125 p.
26. Bragg Paul. https://en.wikipedia.org/wiki/Paul_Bragg
27. Bragg Paul, Bragg Patricia. The Miracle of Fasting: Proven Throughout History for Physical, Mental & Spiritual Rejuvenation. USA, 2011, 255 p.

28. Брегг П. Формула совершенства. Пер. с англ. Москва, «Церера», 1993, 351 стр.
29. Кольберт Д. Библейские принципы здорового питания. Москва, Триада, 2006, 238 стр.
30. American Society for Nutrition (ASN) Journals – At the Forefront of Nutrition Research. (<https://nutrition.org/publications/> - 9.11.17.)
31. Dietitian, Nutritionist, Nutritional Therapist or Diet Expert? A comprehensive guide to roles and functions. Birmingham, The British Dietetic Association, 2014, 16 p. (https://www.bda.uk.com/improvinghealth/awareness_raising/dw2017_dietitiannutritionpostcardpdf-9.11.17).
32. Плюснин В., Плюснина Г. Советы православного врача. Обнинск, «Принтер», 2002, 296 стр.
33. Drucker P. Management Challenges for the 21th Century. New York, Harper Collins Publishers, 2001, 207 p.
34. Dyck B. Management and the Gospel: Luke’s Radical Message for the First and Twenty-First Centuries. New York, Palgrave Macmillan, 2013, 320 p.
35. Mackey L. Self-management skills in chronic disease management – what role does health literacy have? Physiotherapy and Sport Science University College Dublin. 34 p.

Current Paradigms of Self-management: Synergic Understanding of Personal Health Management

Giorgi Shikhashvili

Associate Professor at TSU

Nowadays, it is exceptionally important to research actual issues of self-management, in particular, the synergic understanding of personal health management. For this purpose the article discusses the following issues: a synergic approach to human understanding; The underlying synergic paradigms of self-management; Biblical-synergic understanding of management; Christian synergic paradigms of public and personal health management; Medical teaching according to the Bible; General and practical aspects of personal health management with specific individual treatment methods (treatment with juices, healthy foods, hunger, physical activity, etc.). The article contains the author’s visions, paradigms and concrete opinions in the direction of personal health management.

Keywords: Synergic paradigms of self-management; Medical teaching according to the Bible; Synergic understanding of personal health management; Individual treatment methods.

ინოვაციების მართვის თავისებურებები თანამედროვე ბიზნესში

დავით ნიჟარაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მონვეული პროფესორი,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი*

თანამედროვე ბიზნესსივრცეში, ინოვაციური მენეჯმენტი შედარებით ახალ და კრიტიკულ ასპექტს, კომპანიებისთვის კი წინსვლის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად ბერკეტს წარმოადგენს. ისევე როგორც უახლესი ტექნოლოგიების შემცველი პროდუქტების სწრაფად განვითარებადი ნაკადები, ასევე, ბიზნესპროცესებისადამი კრეატიული მიდგომები ფორმებს მნიშვნელოვნად ეხმარება, რათა გახდნენ უფრო ეფექტიანები ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე. შესაბამისად, მსოფლიო კლასის კომპანიები სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის და ბიზნესგარემოში სწრაფი ტექნოლოგიური გამოწვევების საპასუხოდ, ცდილობენ შეიმუშაონ ინოვაციური პროცესების მართვის მაღალი ეკონომიკური ღირებულების მომტანი მოდელები, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში საიხლეთა დანერგვის ძველი მექანიზმები უკვე არ მუშაობს. ეს თავისთავად მოითხოვს თანამშრომლებისთვის სრულიად ახალი უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების შექმნას, რათა მოხდეს ამ სწრაფ და მუდმივ ცვლილებებთან ადაპტაცია. განვითარებული ქვეყნების მხრიდან კი, ყოველწლიურად იზრდება ბიზნესსექტორში კვლევისა და განვითარების მიმართულებით გახორციელებული ინვესტიციები.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია; ინოვაციური მენეჯმენტი; ინოვაციების მართვის სტატიკური მოდელები; ინოვაციების მართვის დინამიკური მოდელები.

ინოვაციური მენეჯმენტის მნიშვნელობა

თანამედროვე ბიზნესი წარმოუდგენელია ინოვაციური კონკურენციის, ახალი ტექნოლოგიების შემცველი პროდუქციის შექმნისა და ახალ ბაზრებზე წარდგენის გარეშე. ნებისმიერი კომპანია, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო არენაზე, სწორედ ისეთი კრეატიული იდეებით უნდა გამოვიდეს, როგორსაც მანამდე არ ჰქონია ადგილი, ეს ფაქტობრივად ბიზნესის მართვის თანამედროვე პარადიგმას წარმოადგენს [15]. მსოფლიოს წამყვანი კომპანიებისთვის ინოვაციური მენეჯმენტი, ფაქტობრივად, არის სამომავლო პერსპექტივა და გააჩნია შემოქმედებითი და წარმოსახვითი ხასიათი, რადგან ბაზარი უკვე საკმაოდ გავრეხულია, ყველა სტრატეგია კი კარგად აპრობირებული.

ინოვაცია შეიძლება განიმარტოს, როგორც გამოგონებას დამატებული კომერციალიზაცია, შესაბამისად თუ სიახლეს თან არ ახლავს კომერციული წარმატება, არ შეიძლება ჩაითვალოს ინოვაციად [7, გვ.4]. სხვა კალისკური განმარტებით, ინოვაცია განისაზღვრება, როგორც ახალი ინოვაციური იდეების განხორციელება პროდუქციის, პროცესების, მომსახურების, სამუშაოების ორგანიზაციის, მენეჯმენტის ან მარკეტინგის მიმართულებით [5, გვ. 4].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინოვაციაში ვგულისხმობთ გამოკვეთილად ახალ საგანს ან პროცესს, რომლის დანერგვა ინოვაციური პროცესების მოქმედებათა შედეგია. სამეწარმეო სფეროში ინოვაციების ათვისება ბაზარზე არსებული მოთხოვნილებების ახალი პროდუქციით ან მომსახურების დაკმაყოფილებას ნიშნავს, ან არსებული ნაწარმის (სერვისის) ახალი წესით წარმოებას.

პროცესული თვალსაზრისით, ინოვაციის ცნება შემდეგნაირად შეიძლება განიმარტოს: ინოვაცია, ისეთი საზოგადოებრივ-ტექნიკურ-ეკონომიკური პროცესია, რაც იდეებისა და გამოგონებების პრაქტიკული გამოყენების შედეგად, უზრუნველყოფს უკეთესი თვისებების მქონე ნაწარმის ან პროცესების დამკვიდრებას. ინოვაცია ქმნის სამუშაო ადგილებს, ამაღლებს ცხოვრების დონეს, ზრდის დოვლათს. ვრცელდება რა ფართოდ ეკონომიკასა და საზოგადოებაში, ინოვაცია წინაპირობაა, როგორც არსებული ცოდნის და ტექნოლოგიების საყოველთაოდ გავრცელების, ასევე ახლის გენერირებისთვის.

ინოვაციური პროცესების ხასიათში გარკვევა მის სისტემატიზებას და შესაბამისი ცნებების შემოტანას მოითხოვს. ე.წ. “სრულყოფის ინოვაციები” ადაპტაციის, ნაწარმის ან ტექნოლოგიის რაფინირების პროცესებთანაა დაკავშირებული და არსებული პროდუქტის, ან საწარმოო სისტემის გაუმჯობესებას იწვევს. რადიკალური ინოვაციები სრულიად ახალი პროდუქტის ან საწარმოო პროცესის დამკვიდრებას განაპირობებს. ინოვაციის წარმატებული დანერგვის კრიტერიუმები ეკონომიკურ ხასიათს ატარებს და ფირმას გარკვეული დანამატით უზრუნველ მის დამუშავებასა და ათვისებაში ჩადებულ ინვესტირებას [2, გვ. 73-74].

პირველად ი. შუმპეტერმა განაცხადა, რომ პატარა ფირმებს (ინდივიდუალურ მენარმებს) უნდა წამოენწყოთ ინოვაციური პროცესები, რათა მიელწიათ გარკვეუ-

ლი წარმატებისთვის. შემდგომში მან დეტალური დაკვირვების შედეგად შეცვალა საკუთარი ხედვა და განაცხადა, რომ უკეთესი იქნებოდა თუ მსხვილი კომპანიები იზრუნებდნენ ინოვაციური პროცესების სტიმულირებაზე, გამომდინარე იქედან, რომ მათ ამისთვის გააჩნიათ საკამოდ დიდი რესურსები (R&D). შუმპეტერი ყოველთვის დიდი აქცენტს აკეთებდა ინოვაციებზე და გამოყოფდა მის 5 ტიპს:

1. ახალი პროდუქტის წარმოდგენა ან ძველის მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილება;
2. ინოვაციური პროცესები;
3. ახალი ბაზრის ფორმირება;
4. ახალი რესურსების განვითარება;
5. ორგანიზაციული ცვლილებები [11].


მაგალითად, კომპანია Intel-ის წარმატებას მიაწერენ 1972 წელს მის მიერ მიკროპროცესორის გამოგონებას, სანამ Cisco მიღწევდა მსგავს წარმატებას 1990 წელს ინტერნეტის როუტერის გამოშვებით. პროდუქციის ან მომსახურების სიახლე ნიშნავს, იმას რომ მისი წარმოება უფრო იაფია, მისი კომპონენტები გაუმჯობესებულია და მას გააჩნია ისეთი მახასიათებლები, რომელიც ადრე არ ჰქონდა ან არ არსებობდა ბაზარზე. რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომპანიამ ინოვაციის საშუალებით მიიღოს მოგება.

არსებობს ზოგიერთი მოსზარება, რომ ტექნოლოგიური ინოვაციების თავლსაზრისით ლიდერობს აშშ, შემდეგ მოდის ევროპის და შორეული აღოსავლეთის განვითარებული ქვეყნები, თუმცა, ამ შეხედულების კრტიკოსების აზრით, ბევრი ახალი პროდუქტი შეიქმნა აშშ-ის ფარგლებს გარეთ, იაპონიაში და სწორედ ამ უკანასკნელმა უზრუნველყო ამერიკულ ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში ინოვაციების სტიმულირება [10]. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში გლობალური ინოვაციურობის ინდექსის მიხედვით 2017 წლისთვის აშშ მეოთხე ადგილზეა, ხოლო იაპონია მეთოთხმეტე ადგილს იკავებს (იხ. სქემა 1), 2014 წლიდან დღემდე კი პირველ ადგილს შვეიცარია ინარჩუნებს [6, გვ. 13].

უკანასკნელ პერიოდში, კვლევისა და განვითარების (R&D) მიმართულებით ქვეყნების მიერ დახარჯული თანხები, როგორც არსებული, ასევე საპროგნოზო მაჩვენებლებით, ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 115 ქვეყნის მონაცემის მიხედვით, წინა წელთან შედარებით, 3,8%-ით არის გაზრდილი და 2 ტრლნ დოლარს აჭარბებს. 2017 წელს კვლევის და განავითარების მიმართულებით, მთლიანი დანახარჯის გლობალურ მაჩვენებლში აშშ-ის წილი 25,5%-ა, ხოლო იაპონიის მხოლოდ 8,5%, შვეიცარია კი ხარჯავს შედარებით მცირე თანხებს [8, გვ. 3-4]. საინტერესოა ცალკეული ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში კვლევისა და განვითარების ხარჯის პროცენტული მაჩვენებელი (იხ. ცხრილი 1). ამ კუთხით 2006-2015 წლების რეიტინგში ლიდერის პოზიციებს ინარჩუნებს ისრაელი, მას მოყვება სამხრეთ კორეა, იაპონია და შვედეთი. როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო 10 წლის განმავლობაში მათი R&D-ზე განეული მთლიანი შიგა ხარჯის პროცენტული წილი მშპ-ში სტაბილურად

იზრდებოდა [16]. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება ბიზნესკომპანიების კონკურენტუნარიანობაზე გლობალური ქრილით და სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი მხარდაჭერა მოგებიან ინვესტიციად შეიძლება შეფასდეს, ამიტომ, ინოვაციური პროცესების მართვის როგორც მენეჯმენტის შემადგენელი ნაწილის, თავისებურებების შესწავლა კვლავ ნამყავნი კვლევითი ინსტიტუტების ფართო ინტერესის საგანს წარმოადგენს [1, გვ. 162-163].

სქემა 1. ქვეყნების რეიტინგი გლობალური ინოვაციურობის ინდექსის მიხედვით (2014-2017 წწ) [6, გვ. 13].




R&D-ზე განუღი მთლიანი შიგა ხარჯის წილი ქვეყნის მშპ-ში -2006-2015 წწ. [16].

რეიტინგი (2015წ)	ქვეყანა	R&D-ს წილი მშპ-ში (%)									
		2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
1	ისრაელი	4,15	4,43	4,35	4,14	3,94	4,02	4,16	4,15	4,27	4,25
2	სამხ. კორეა	2,83	3,00	3,12	3,29	3,47	3,74	4,03	4,15	4,29	4,23
3	იაპონია	3,28	3,34	3,34	3,23	3,14	3,25	3,21	3,32	3,40	3,29
4	შვედეთი	3,50	3,26	3,50	3,45	3,22	3,25	3,28	3,31	3,15	3,28
5	ავსტრია	2,37	2,43	2,59	2,61	2,74	2,68	2,93	2,97	3,09	3,12
6	ჩინეთი	2,43	2,48	2,68	2,84	2,80	2,90	2,95	3,01	3,001	3,05
7	დანია	2,40	2,52	2,77	3,06	2,92	2,95	2,98	2,97	2,92	2,96
8	გერმანია	2,46	2,45	2,60	2,73	2,71	2,80	2,87	2,82	2,88	2,93
9	ფინეთი	3,34	3,35	3,55	3,75	3,73	3,64	3,42	3,29	3,17	2,90
10	აშშ	2,55	2,63	2,77	2,82	2,74	2,77	2,71	2,74	2,76	2,79

ალან აფუა განასხვავებს ტექნიკურ და ადმინისტრაციულ ინოვაციას, ტექნიკური ინოვაცია არის პროდუქტის გაუმჯობესების სერვისის ან პროცესის გაუმჯობესება, ხოლო ადმინისტრაციული კი დაკავშირებულია ორგანიზაციის სტრუქტურისა და ადმინისტრირების სრულყოფის პროცესთან, ამ უკანსკნელს ადგილი აქვს ორგანიზაციულ კომპონენტში და მიზნად ისახავს ორგანიზაციის წევრებისა და მათ ურთიერთობებს, მათ შორის წესებს, როლებს, პროცედურების განახლებას. მცენიერულ სიახლეთა დანერგვის პროცესს განიხილავს როგორც ეკონომიკურ, ასევე, ორგანიზაციული ჭრილით (იხ. სქემა 3) [3, გვ. 13].


სქემა 2. ინოვაციის ორგანიზაციული და ეკონომიკური მნიშვნელობა [3, გვ. 15].



ადმინისტრაციული, ანუ მართვის თვალსაზრისით ინოვაცია უფრო დეტალურად ნიშნავს სრულად ახლი გზების ძიებას, დაგეგმვის, ორგანიზების, ლიდერობისა და მოტივაციის კუთხით. მენეჯმენტის პროცესში კი ახალმა მიდგომებმა შესაძლოა კომპანიისთვის გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობა შექმნას. ამ დროს ხდება მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკისგან განსხვავებული მიდგომების გამოყენება მართვის პროცესში, რაც უფრო ეფექტიანს ხდის ამ პროცესს. ბოლო 100 წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ინოვაცია დიდად აღემატება ბიზნესის სფეროში განხორციელებულ სხვა ტიპის ინოვაციებს. პლასტიკური ბარათების ცნობილმა კომპანიამ Visa წარმატებას სწორედ ადმინისტრაციული ინოვაციით მიაღწია, როდესაც 1970-იან წლებში მისმა დამფუძნებელმა, ამერიკულ ბანკებთან ერთად, მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით კონსორციუმი ჩამოაყალიბა [9]. ტექნიკური ინოვაციის ნათელი მაგალითია Apple, რომელმაც გამოიშვა

თავისი ერთ-ერთი ქმნილება Ipad, მეორე დღესვე ინტერნეტში ათასობით ჟურნალი გამოჩნდა, რომელიც მორგებულია მის სისტემაზე, ადამიანები აღარ ტოვებენ ერთი წუთითაც კი თავიანთ პორტატულ ხელსაწყოებს. სტატისტიკის მიხედვით ინტერნეტში მყოფი ადამიანების 95% ხშირად ამონებს ელექტრონულ ფოსტას. მობილურებსაც, არა მხოლოდ დასარეკად, არამედ უკვე ინტერნეტ სერფინგისთვის ყიდულობენ [13].

სქემა 3. ტექნოლოგიური რევოლუცია [17]



მოცემულ შემთხვევაში ინოვაცია გვევლინება, როგორც ახალი ტექნოლოგიების და ბაზრის ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთ ახალ პროდუქციას ან მომსახურებას, რასაც მომხმარებლები ისურვებდნენ. ესაა სიახლეს დამატებული კომერციალიზაციის შედეგი, პორტერის მიხედვით კი, რალაცის კეთების ახალი გზა, რომლის კომერციალიზაციაც ხორციელდება. ეს პროცესი კი ვერ იქნება დამოუკიდებელი კომპანიის სტრატეგიული გეგმებისაგან და ამ კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ბაზრის ცოდნა, რომელიც წარმოადგენს გასაღების არხების, პროდუქტის მახასიათებლებისა და მომხმარებელთა მოლოდინის საფუძვლიან ცოდნას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალ, ინოვაციურ პროდუქტს მიეკუთვნება პროდუქცია, რომელიც ღირს უფრო იაფი და ამასთან ერთად გაუმჯობესებული ფუნქციური დანიშნულებით.

ინოვაციური წარმოების პროცესის კარგი მაგალითია ცნობილი საავტომობილო კომპანია Ford-ი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა დაწერა მოძრავი საამწიკო ხაზი (კონვეიერი) რამაც უზრუნველყო მაღალი კომერციალიზაციის ხარისხი [12].

საინტერესოა კომპანია Whirlpool-ის მიდგომა ინოვაციებისადმი, რომლის მიხედვითაც კრეატიული იდეების უმეტესობა სახვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისგან მოდის და მასში დასაქმებულ 80 000-ზე მეტ მომუშავეს საშულება აქვს

პროდუქტის განვითარების საკუთარი ინოვაციური ხედვა წარმოადნოს, საბოლოოდ კი ხდება ამ ყველაფრის ფართო მასშტაბიანი კომეციალიზაცია [14].

ზემოთ მოცემული ინფორმაციის განზოგადების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქვეყნების მხრიდან, მხოლოდ კვლევის და განვითარების მიმართულებით გაწეული დანახარჯების ზრდის ტენდენცია, ხშირ შემთხვევაში, არ განსაზღვრავს მათი ტექნოლოგიური და ინოვაციური პროცესების კომერციულ წარმატებას გლობალური მასშტაბით, აქ ასევე მნიშვნელოვანია თავად კომპანიების მხრიდან ინოვაციური პროცესების, როგორც მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი კომპონენტის სწორი მართვა. აქვე აღასანიშნავია ადმინისტრაციული ინოვაციის დანიშნულება, როგორც გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის მიღწევის საუკეთესო გზა.

ინოვაციური მენეჯმენტის მოდელები

ინოვაციების მართვის სტატიკური მოდელები - რადიკალური ინოვაცია თანმიმდევრულის წინააღმდეგ. რადიკალურია ინოვაცია, როდესაც ტექნოლოგიური ცოდნა მნიშვნელოვნად იცვლება არსებულთან შედარებით, მას ასევე უწოდებენ ე.წ. "ძველი ცოდნის განადგურებას". თანმიმდევრულის შემთხვევაში კი პროდუქტის განვითარება ხორციელდება არსებული ტექნოლოგიური ცოდნის საფუძველზე.

ინოვაციების მართვის სტატიკურ მოდელებს მიეკუთვნება:

1. აბერნათი-კლარკის მოდელი

ეს მოდელი (Abernathy W.J., Clark K.B.) გვთავაზობს განმარტებას თუ რატომაა საჭირო ზოგიერთი რადიკალური ტიპის ინოვაცია. მოდელის მიხედვით ფაქტობრივად არსებობს ორი სახის ცოდნა, რომელიც შესაბამება ინოვაციას, ესენია: ტექნოლოგია და ბაზარი. ტექნოლოგიური შესაძლებლობები შეიძლება მოძველდეს, მაგრამ მათი საბაზრო შესაძლებლობები დარჩეს უცვლელი.

იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საბაზრო შესაძლებლობები მნიშვნელოვანია და რთული მისი მიღწევა, მოდელის მიხედვით-ბაზრის ცოდნა, შეიძლება უფრო პრიორიტეტული გახდეს, ვიდრე ტექნოლოგიური გამოცდილება.

2. ჰენდერსონ-კლარკის მოდელი

ამ მოდელმა (Henderson M., Clark K. B.) საგონებელში ჩაადგო მისი ზოგიერთი მომხმარებელი იმ სირთულეებთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება მზარდ ინოვაციებს - ეს უკანასკნელი კი, როგორც ჩანს, ყოველ წუთს ცვლის არსებულ ტექნოლოგიებს. კვლევების შედეგად გამოიკვეთა, რომ სანამ პროდუქტი, რომელიც შედგება ცალკეული კომპონენტებისგან მიიღებს სრულყოფილ სახეს, მისი აწყობისას აუცილებელია ორი სახის ცოდნა-კომპონენტების ცოდნა და მათი ერთმანეთთან დაკავშირების უნარები, რასაც ამ მოდელის ავტორები არქიტექტურულ ცოდნას უწოდებენ. მაგალითად, კომპანია Xerox-ი დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა ასლგადამღები კომპაქტური მოწყობილობის შექმნას, მიუხედავად იმი-

სა, რომ მოცემული ტექნიკური მონუბილობის მწარმოებელ პიონერად სწორედ ის მიიჩნევა.

3. დამანგრეველი ტექნოლოგიური ცვლილებების მოდელი

ეს მოდელი შეიმუშავა პროფესორ კლეიტონ ქრისტენსენმა (Christensen C.), ამ მოდელის გასაგებად წარმოვიდგინოთ ფირმა, რომელიც იწყებს ისეთ ინოვაციურ საქმიანობას და ქმნის პროდუქციის ახალ ბაზარსა და ქსელს, რაც რადიკალურად ცვლის არსებულ ტექნოლოგიებს, თუმცა, ის საკმაოდ წარმატებულად იყენებდა ძველ ტექნოლოგიასაც. ამისთვის კი ფირმა იყენებს ისეთ აქტივებს, როგორცა: პროდუქტის დიზაინი, ბრენდი, მომწოდებლებთან ურთიერთობა, მომხმარებლები, დისტრიბუტორები, ალჭურვილობა, ტექნოლოგიები და ფულადი სერვისები. ეს პროცესი კი საბოლოოდ სისტემაა, რომლის მეშვეობითაც ფირმა საკუთარ რესურსებს გარდაქმნის მომხმარებელთათვის უფრო უკეთეს ფასეულობად.

4. იმიტირებადი და ურთიერთშემავსებელი აქტივები: თისის მოდელი

მოცემული მოდელიც (Teece D. J.) ეფუძნება რადიკალურ ინოვაციებს, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კომპანია RC Coal, რომელმაც მას შემდეგ დაიწყო დიეტური გამაგრილებელი სასმელის წარმოება, რაც დაინახა, რომ Coca-cola-მ და Pepsi-მ დიდი მოგება მიიღეს მოცემული პროდუქტისაგან. როგორც მოდელის ავტორი ამტკიცებს, ამ სემთხვავაში კომპანიის მოგებას განსაზღვრავს სწორედ ორი ძირითადი ფაქტორი: იმიტირებადი და ურთიერთშემავსებელი აქტივები, რაც საშუალებას აძლევს კომპანებს აწარმოონ მსგავსი პროდუქტი [3, გვ. 14-28].

ინოვაციების მართვის დინამიკური მოდელები. ასეთი მოდელები ხასიათდება დინამიკურობით - ძველი თანდათანობით (ეტაპობრივად) ვითარდება და იცვლება ახლით. ეს გულისხმობს ევოლუციურ მიდგომას, რომელიც კონსოლიდირებულია ეკონომიკური ცვლილებების ევოლუციური თეორიაში (ნელსონი, 1982) და ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული შესაძლებლობები და გადაწყვეტილებების მიღების წესები, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება პრობლემებისა და გამოწვევების დაძლევის მიზანმიმართული ძალისხმევით. დინამიკური მიდგომა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ინოვაციათა ძიება, გადაღება, ჩამოყალიბების, კონტექსტუალიზაცია, გამოყენება, შეფასება და მხარდაჭერა [4, გვ. 74].

ინოვაციურ მენეჯმენტში განასხვავებენ შემდეგ დინამიკურ მოდელებს:

1. ატერბაკ-აბერნათის დინამიკური მოდელი

რომელიც ავტორების აზრით, დინამიკურ ინოვაციურ პროცესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ინდუსტრიაში ტექნოლოგიების ევოლუცია მიმდინარე ფაზიდან გადადის გარდამავალ, ხოლო შემდეგ სპეციფიკური ფაზაში. პირველი ფაზის დროს წარმოიქმნება ბევრი გაურკვეველობა და არასტაბილურობა, ტექნოლოგიების ცვლილებას გააჩნია თვითდინების სტრუქტურა (ფორმა). მეორე ფაზის დროს მწარმოებლებმა უკვე გაცნობიერეს მომხმარებლების მოთხოვნილებები და მოლოდინი, აქ უკვე შემოდის სტანდარტიზაციის კომპონენტები და უფრო მეტი აქცენტი

გადადის პროდუქციის დიზაინზე და მესამე ფაზაში პროდუქტის დიზაინი ძირითადად ორიენტირებულია პოლიფერაციაზე.

2. თუშმან-როსენკოფის ტექნოლოგიური სასიცოცხლო ციკლის მოდელი

ეს მოდელის გამოიყენება ნებისმიერი ახალი პროდუქტის წარმოების ან პროცესის გაუმჯობესების შემთხვევაში და დამოკიდებულია ტექნოლოგიების სასიცოცხლო ციკლზე. ამ შემთხვევაში ძლიერი აქცენტი კეთდება პროდუქციის დიზაინზე. ამის ნათელი მაგალითია ისეთი პროდუქტები, როგორცაა: სმარტფონი, ტაბლეტი, GPS ა.შ. [3, გვ. 33-39].

* * *

საერთაშორსო არენაზე მძაფრი კონკურენციის პირობებში, ინოვაციური პროცესები კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან ის, ქვეყნებისთვის ახალი ტექნოლოგიების შემცველი პროდუქტი, საერთაშორისო ბაზარზე წარდგენის საშუალებით მაღალი ეკონომიკური შედეგების მიღების საშუალებაა. შესაბამისად, მოცემული მიმართულებით მათ მიერ განეული ხარჯები ყოველწლიურად იზრდება და წამყვანი ქვეყნები სულ უფრო მეტად ცდილობენ ინოვაციური პროცესების ფინანსურ მხარდაჭერას. თავის მხრივ ინოვაციორმა კომპანიებმა, თეორიულ მიდგომებზე დაყრდნობით უნდა განახორცილონ ინოვაციების მართვის ცვალებად ბიზნესგარემოსთან ადაპტირებადი მოდელის შემუშავება, რათა უზრუნველყონ ხელსაყრელი და კონკურენტუნარიანი პირობების შექმნა საკუთარი მიზნების მისარწევად. შერჩეულმა მოდელმა უნდა უზრუნველყოს ორგანიზაციის მხრიდან ინოვაციების მართვის სპეციფიკის განსაზღვრა, რაც მათთვის პრაქტიკული შედეგების მომტანი იქნება. ამ უკანასკნელისთვის კი კრიტიკულად აუცილებელია: კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის ექვეტიანდ მართვის უწყვეტობა, შესაბამისი მართვის სტრუქტურის ფორირება, ამ პროცესებში ჩართული პერსონალის კავილიფაკაციისა და კრეატიულობის მაღალი ხარისხი. გარდა ამისა, კომპანიების გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის, ყველა სხვა ტიპის ინვაციასთან ერთად, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ინოვაციების დანერგვა.

ლიტერატურა:

1. ნიჟარაძე დ., ტექნოლოგიური მენეჯმენტის თავისებურებები გლობალურ გარემოში, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2016, ტომი IX, N4,.
2. სამადაშვილი ა., სამენარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, თბ., 2009.
3. Afuah A., Innovation Management: Strategies, Implementation and Profits, Oxford University Press, USA, 2003.
4. Bin A., Salles-Filhoa S., Science, Technology and Innovation Management: Contributions to a Methodological Framework, J. Technol. Manag. Innov., Volume 7, Issue 2, 2012.

5. Carney P., Ryan m., Measuring Firm level Innovation: Review of the Literature & Survey Design, UCD Geary Institute, Dublin, 6th November, 2010.
6. Dutta S., Lanvin S., Wunsch-Vincent S., The Global Innovation Index 2017, Innovation Feeding the World, Tenth Edition, Cornell University, WIPO, 2017.
7. Gerard H. Gaynor., Doing Innovation: Creating Economic Value, IEEE-USA, 2009.
8. Global R&D Funding Forecast 2017, A Supplement to R&D Magazine, Industrial Research Institute, 2017.
9. Hamel G., The Why, What, and How of Management Innovation, Harvard Business Review, 2006, <https://hbr.org>
10. Quinn J. B., Managing Innovation: Controlled Chaos, Harvard Business Review, 1985, <https://hbr.org>
11. Rogers M., The Definition and Measurement of Innovation, Melbourne Institute, Australia, 1998.
12. <http://study.com/academy/lesson/process-innovation-types-examples.html>
13. <http://teqnologiurirevolucia.blogspot.com>
14. http://www.huffingtonpost.com/jacob-morgan/five-examples-of-companie_b_7023322.html
15. http://www.huffingtonpost.com/scott-macfarland/why-innovation-management-is-important_b_4174482.html
16. <http://www.oecd.org>
17. <https://mind42.com>

Fundamental Concepts and Models of Innovation Management

David Nizharadze

*Associate Professor, Doctor of Business Administration
The International Black Sea University*

The article discusses about the fundamental concepts of innovative management, it's types, theoretical and practical significance. Based on different scientists' points of views, examples of companies, the statistical analysis is assessed features of the innovative process management, dynamics of the state's financial support, and modern models of innovation management and in the conclusion there is presented the purpose of innovative mmanagement for innovative firms to achieve competitive advantage in local or international markets.

Keywords: Innovation; innovation management; static models of innovation management; dynamic models of innovation management.

JEL Codes: O30, O31, O32

საქართველოს ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების დანერგვისა და მართვის სრულყოფისათვის

ნაირა ღვებდაშვილი

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ოსუ-ის მონვეული ლექტორი*

სტატიაში, ინოვაციების დანერგვასა და მართვის პრინციპებზე, ჯანდაცვის სფეროში ამჟამად არსებულ ინოვაციურ პროცესებზე ცალკეულ მკვლევართა შეხედულებების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ჩამოყალიბებულია ავტორისეული ზოგიერთი მოსაზრება ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების დანერგვისა და მართვის სრულყოფის შესახებ. თანამედროვე ეტაპზე ინოვაციები როგორც ზოგადად ყველა ორგანიზაციის, ასევე ჯანდაცვის დაწესებულებების წარმატებული ფუნქციონირების ფაქტორია: ინოვაციები ქმნის სამუშაო ადგილებს, ამალღებს სამედიცინო მომსახურების დონეს და უზრუნველყოფს დარგის მდგრად განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები ჯანდაცვაში; მომსახურების ხარისხი; ინოვაციური მენეჯერები; ევროკავშირის გამოცდილება.

ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და მისი ინტენსიური გზით განვითარება ობიექტური აუცილებლობით მოითხოვს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში ინოვაციების დანერგვას და ეფექტიან მართვას. დღეისათვის სწორედ მენეჯმენტია, უპირველეს ყოვლისა, მუდმივ ინოვაციებზე დაფუძნებული მართვა. მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, ცხადია, ინოვაციებია როგორც მუდმივი განახლების და სრულყოფის პროცესი ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში. უკანასკნელ წლებში სამამულო სერვისმა აითვისა მომსახურების მრავალი სახესხვაობა (კონსალტინგი, ინჟინირინგი, ლიზინგი, სათამაშო და შოუ ბიზნესი და სხვა), რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება, ფაქტობრივად, არ ცნობდა. ეროვნული მეურნეობის ყველა დარგში ინოვაციების დანერგვის აუცილებლობას კონკურენტული ბრძოლა და ბაზრის რიგი სხვა მოთხოვნა იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ

დღევანდელ პირობებში ინოვაციები წარმოადგენს საწარმო-ორგანიზაციების გადარჩენისა და წარმატებული ფუნქციონირების მთავარ საშუალებას. ცხადია, ინოვაციები უნდა დაინერგოს ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად, მაგრამ მენეჯერმა წინასწარ უნდა განჭვრიტოს მისი აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. კერძოდ, საქონლისა და მომსახურების იმ სახეობების გამოვლენა, რაც უზრუნველყოფს ბაზრის სასურველ წილს; ასევე, იმ საქონლისა და მომსახურების განსაზღვრა, რომლებიც ცვლის მოძველებულ, არამოთხოვნად საქონელსა და მომსახურებას და სხვ. საქმე ისაა, რომ ინოვაცია ქმნის სამუშაო ადგილებს, ზრდის დოვლათს, ამაღლებს ცხოვრების დონეს. ვრცელდება რა ფართოდ ეკონომიკასა და საზოგადოებაში, ინოვაცია ქმნის წინაპირობას როგორც არსებული ცოდნის და ტექნოლოგიების საყოველთაოდ გავრცელების, ასევე ახლის გენერირებისათვის[1, გვ. 73].

საქართველოში ინოვაციების სწრაფი დანერგვა თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტუალურია. მის სწორ მართვაზე კი დიდადაა დამოკიდებული ეკონომიკის სტაბილური განვითარება, ეროვნული მეურნეობის ყველა დარგის და კერძოდ მომსახურების სფეროს განვითარება, რადგან დღეს წინა პლანზე წამოინია მომსახურებამ, ანუ სერვისმა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ცოდნით და ინფორმაციით. ერთიც და მეორეც, როგორც ცნობილია, ინტელექტუალური კაპიტალია[2, გვ. 58].

სწორედ ინოვაციების დანერგვა ნებისმიერ დარგსა და კერძოდ ჯანდაცვაში, უზრუნველყოფს დარგის აღმავალ განვითარებას, მის თვისებრივ გარდაქმნას.

სამეცნიერო ტექნიკურ სფეროში მიმდინარე ტენდენციები უდიდეს გავლენას ახდენს მარკეტინგზე. მათ შორისაა: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, განუსაზღვრელ შესაძლებლობათა წარმოშობა (მზის ენერჯის პრაქტიკული გამოყენება, ადამიანთა დაავადებებთან ბრძოლის ქიმიური საშუალებები, ფილტვისა და ღვიძლის დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებები, კიბოს სამკურნალო საშუალებები), ასიგნების ზრდა სამეცნიერო-კვლევით და საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, ამა თუ იმ საქონლის, თუნდაც მცირეოდენი სრულყოფისადმი ყურადღება, სახელმწიფო კონტროლის გამკაცრება სამედიცინო მომსახურების ხარისხზე და სხვ.

პროგრესული ცვლილებები მოსახლეობის ჯანდაცვის დარგში შეამზადა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მიღწევებმა, როგორცაა აღმოჩენები და მისი პრაქტიკული გამოყენება ბაქტერიოლოგიასა და პარაზიტოლოგიაში, ადამიანის ორგანიზმის მიკროსკოპულ ანატომიასა და ფიზიოლოგიაში, იმუნოლოგიასა და ენდოკრინოლოგიაში, რენტგენოლოგიასა და რადიოლოგიაში. ამ მიღწევებმა, რაც დაკავშირებულია მეცნიერების ისეთ კორიფეთა სახელებთან, როგორებიც იყვნენ ლუი პასტერი და რობერტ კოხი, პიერ კიური, მარია სკლადოვსკაია-კიური და ვილჰელმ რენტგენი, ილია მენჩიკოვი და სხვები, საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო მეცნიერებისა და მოსახლეობის ჯანდაცვის თანამედროვე წარმატებებს.

სიახლეების დანერგვის ტემპები არ ნელდება. ყოველდღიურად, შეიძლება ითქვას, ყოველ წუთს, ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ჩნდება ესა თუ ის ტექნიკური

სიახლე. უახლესი მოდიფიკაციის პერსონალურმა კოპიუტერებმა ოფისებსა და დაწესებულებებს სრულიად შეუცვალა იერსახე. თანამედროვე სამედიცინო ტექნიკამ და უახლესმა ტექნოლოგიურმა პროცესებმა რადიკალურად გარდაქმნა ჯანდაცვის სფერო და სტრუქტურა.

ჯანდაცვის დარგში ინოვაციის მიღწევები განსაკუთრებით ნათლად ვლინდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებთან ბრძოლის საქმეში. ამ დაავადებასთან ბრძოლა, როგორც სოციალური პრობლემა, დიდი ეკონომიკური პოტენციალის მომცემია ქვეყნისათვის. სწორედ ნოვაციის საფუძველზე დღეს უკვე შესწავლილი და გამოვლენილია გულ-სისხლძარღვთა განვითარების ზოგიერთი კანონზომიერება. უახლესი ტექნიკით აღჭურვილიმა სპეციალურმა ლაბორატორიების ეფექტიანმა ფუნქციონირებამ მკვეთრად შეამცირა გულ-სისხლძარღვით დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა.

ასევე, დიდი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს ადამიანის ქსოვილებისა და ორგანოების გადანერგვისას მათი შეთავსებადობის შესასწავლად. ტრანსპლანტოლოგიასა და ორთოპედიაში პერსპექტიულად ითვლება ძვლების საჭრელად და შესადუღებლად ულტრაბგერის გამოყენება. ეს მეთოდი გამოიყენება გულის, უროლოგიური, გინეკოლოგიური მკურნალობისათვის.

რაც შეეხება ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობას, ეპიდემიამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოში 2015 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა კიბოს პოპულაციური რეგისტრი. რეგისტრის 6 თვის მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა მკვეთრი სხვაობა წინა წლების მონაცემებთან შედარებით: აგრეგირებული სტატისტიკით 2014 წელს საქართველოში ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 140 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა მოსახლეობის 100000 სულზე, რეგისტრის შეფასებითი მონაცემებით 2015 წელს ეს მაჩვენებელი 287 გახდა [3, 22გვ].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში 2011 წლიდან კიბოს სკრინინგ-პროგრამები მოქმედებს, რაც წინ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ჯანდაცვაში. პროგრამა მოიცავს: ძუძუს კიბოს სკრინინგს 40-70 წლის ქალებისათვის; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგს 25-60 წლის ქალებისათვის; პროსტატის კიბოს სკრინინგს 50-70 წლის კაცებისათვის და კოლორექტული კიბოს სკრინინგს 50-70 წლის მოსახლეობისთვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ახლადგამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების მთლიან რაოდენობაში გაიზარდა I და II სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილი და შესაბამისად შემცირდა III და IV სტადიაზე გამოვლენილის წილი.

სტატისტიკური მონაცემებით, ყველა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის მოსახლეობის საერთო ავადობის სტრუქტურაში, ავთვისებიანი სიმსივნეებს მეორე ადგილი უკავია. სხვადასხვა პროგრამის რეალიზაციის მიუხედავად, ამჟამად საქართველოშიც ავთვისებიანი სიმსივნეებით გამონვყულმა სიკვდილიანობამ საკმაოდ იმატა. რაც განპირობებულია ამ პათოლოგიის მნიშვნელოვანი მატებით, ეკოლოგი-

ური სიტუაციის მკვეთრი გაუარესებით, კვების არასწორი ჩვევებით, თამბაქოს ნე-
ვით და ალკოჰოლის ქარბად მიღებით, მოსახლეობაში ბევრი მანვე ჩვევის ფართო
გავრცელებით, რისკის ჯგუფის პირთა და ავადმყოფთა აღრიცხვის გაუარესებით
და რიგი სხვა ფაქტორის ზეგავლენით.

ნებისმიერი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში მკურნალობის პროგრესი მილ-
ნეული იქნება ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებით, ჯანდაცვაში მკურნალობი-
სა და დიაგნოსტიკის მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვით და რეალიზა-
ციით, იმ ინოვაციების დანერგვით, რომელიც მსოფლიოს წამყვან კლინიკებშია და-
ნერგილი. რადგან ინოვაციების ტემპების დაჩქარება ეკონომიკური რეფორმის უმ-
ნიშვნელოვანესი ამოცანაა, საქართველოში მეცნიერების და ტექნიკის განვითარება
მონინავე მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს თანდათან უახლოვდება, თუმცა,
უფრო მეტი მიღწევებია საჭირო. ამასთან, აუცილებელია, შემუშავდეს ინოვაციების
მართვის ახალი, უფრო ეფექტიანი და პროგრესული ფორმები და მეთოდები.

ჯანდაცვის სფეროში ინოვაციების დაჩქარების საფუძველია სამეცნიერო-ტექ-
ნიკური პოტენციალი თავისი ადეკვატური ბაზით. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში
იგულისხმება როგორც ახალი ტექნიკის დანერგვისა და პროგრესული ტექნოლო-
გიების გამოყენების შესაძლებლობები, ასევე ჯანდაცვის მართვისა და მკურნალო-
ბის ღონისძიებათა რაციონალური ორგანიზაციის საკითხების განწყვეტის დონე,
მეცნიერული და ტექნიკური სიახლეების შესაბამისი ახალი სახეობის მასალებისა
და ენერჯის ინტენსიურად გამოყენებისათვის. ამასთან, აუცილებელია ჯანდაცვის
სისტემაში ფართოდ გამოვიყენოთ საზღვარგარეთის ქვეყნების მიღწევები ტექნიკის
სფეროში, ასევე მართვის ის მეთოდები, რომელიც უფრო ეფექტიანი და წარმატებუ-
ლი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის.

ინოვაციების მართვის მექანიზმის გარდაქმნამ უნდა მოგვცეს მეცნიერების და-
ფინანსების ისეთი სისტემა, რომლის საფუძველი იქნება პრიორიტეტების შერჩევა,
რასაც ბოლო პერიოდამდე ფორმალური ხასიათი ჰქონდა. საზღვარგარეთ პრიორი-
ტეტული მიმართულებების შეფასება ხდება სპეციალური ორგანიზაციების მიერ,
რომლებიც, რა თქმა უნდა, დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეცია-
ლისტებით, მათ აფინანსებს მსხვილი კორპორაციები, ე.ი. პრიორიტეტების რეალი-
ზაციასა და შეფასებას განსაზღვრავს საბაზრო ურთიერთობა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, თანამედროვე მსოფლიო განვითარებული ქვეყნების
გამოცდილებაა მონაწილეობა, რომ ინოვაციების განვითარების მაღალი ტემპები და ინო-
ვაციების ეფექტიანი მართვა შესაძლებელია სრულყოფილი საბაზრო მექანიზმის
მეშვეობით, რაც ეკონომიკური სტრუქტურების გარდაქმნისას, ჯანდაცვაშიც ახალ,
სტრატეგიულ ხასიათს იძენს.

ყოველივე ეს და სხვა ბევრი რამ, გვასტიმულირებს განსაკუთრებული ყურა-
დღება მივაქციოთ სიახლეების დანერგვის პროცესს ჯანდაცვის სისტემაში, რომლის
ბევრ ქვედანაყოფსა თუ სტრუქტურაში მენეჯერები სპეციალურად არიან დაკავებუ-

ლი ინოვაციის დანერგვით. ინოვაციების ეფექტიანი დანერგვა ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს გაზარდოს მომსახურების ეფექტიანობა, გააუმჯობესოს ხარისხი, აიმაღლოს იმიჯი, და საბოლოო ანგარიშით, სტაბილური გახადოს თავისი მდგომარეობა ბაზარზე.

ინოვაციური პროცესი, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გადანყვეტენ თვით ინოვაციური ტიპის მენეჯერები მის დანერგვას და რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში დაამუშავებენ მას, მოიცავს სანარმოო, ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ, მარკეტინგულ და მმართველობით საქმიანობას. ინოვაციური ტიპის მენეჯერები მუდმივად ახლის ძიების პროცესში იმყოფებიან, ამუშავებენ საინოვაციო პროგრამებს და ა. შ., რათა მიაღწიონ ჯანდაცვის მრავალფეროვანი ობიექტების მართვის სრულყოფას. რა თქმა უნდა, ამ საქმეში, მენეჯერების, მარკეტინგის დარგის სპეციალისტების გარდა, სიახლეების დანერგვის პროცესში პირდაპირ მონაწილეობას იღებენ რიგითი თანამშრომლები, ორგანიზაციის მთელი ადამიანური რესურსები, რომლებიც ინფორმირებულები არიან სიახლის დანერგვასთან დაკავშირებით მოსალოდნელ სიკეთეებზე. ამ შემთხვევაში ნოვაციის დანერგვის პროცესი ვერტიკალურია (ზემოდან ქვემოთ). თუ ნოვაცია ინერგება წარმატებით, მაშინ ინოვაცია იძენს ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას: სიახლეების დანერგვის წარმატება საშუალებას აძლევს ჯანდაცვის სტრუქტურულ ერთეულებს გაზარდოს მომსახურების მოცულობა, აამაღლოს მომსახურების ხარისხი და საერთოდ უზრუნველყოს საზოგადოებრივი წარმოებისთვის ჯანსაღი სამუშაო.

ამასთან, ინოვაციის შემუშავებისა და დანერგვისათვის შეიძლება შეიქმნას სპეციალური გაერთიანება, რომლის შემადგენლობაშიც ჩართული იქნება მსხვილი საავადმყოფოები, კლინიკები, სასწავლო და სამეცნიერო დანესებულებები, რომელთა გაერთიანების მიზანია კონკრეტული ინოვაციების დანერგვა ახალი მოწყობილობით, ტექნოლოგიით, ცვლილებებისათვის მომზადებული ადამიანური რესურსით მათ უზრუნველყოფასთან ერთად.

არსებითი ცვლილებების განხორციელება ყოველთვის ესაჭიროება ერთ ან მეტ ორგანიზაციულ კომპონენტს: სტრუქტურას, ტექნოლოგიას, ადამიანურ რესურსებს და ა. შ. მით უმეტეს, რომ ცვლილებებს ან ინოვაციებს თითქმის ყოველთვის მოჰყვება ორგანიზაციული განვითარება[4, გვ. 193].

სწორედ, ყველა სიკეთესთან ერთად, ინოვაციური მენეჯმენტის მთავარი ამოცანაა ნიჭიერი, ნოვატორული საქმიანობისადმი მიდრეკილი სპეციალისტების შერჩევა და მოზიდვა. სიახლეთა დანერგვის პროცესის ეფექტიანობა, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია თითოეული მომუშავეს აქტიურობაზე, მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნაზე, საქმიანობისადმი შემოქმედებით მიდგომაზე, ინიციატივის გამოვლენის, თვითკონტროლის უნარზე, სანარმოს მართვაში პერსონალის ჩართვის ხარისხის ამაღლებაზე[5, გვ. 103].

სამედიცინო მომსახურებაზე დღევანდელი გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად, ჯანდაცვის განვითარება სიახლეთა მიღწევის მაღალ დონეს უნდა დაეფუძნოს.

საქართველოში ყურადღება უნდა მიექცეს არამარტო უცხოური სიახლეების მოზიდვას, არამედ, საკუთარი ტექნოლოგიური ბაზის განვითარებას. აუცილებელია ამ სფეროში საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავება, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების და ტექნოლოგიების ურთიერთგაცვლის ფართოდ გაშლა. მონიავე ტექნოლოგიების მოზიდვა აამაღლებს სამედიცინო მომსახურების კონკურენტუნარიანობას, რაც საშუალებას მოგვცემს დავაკმაყოფილოთ როგორც მოსახლეობის მოთხოვნილება, ასევე მაღალკვალიფიციური მომსახურება გავუწიოთ საზღვარგარეთელ პაციენტებს, რაც ვალუტის შემოსავლის გადიდების საშუალებაა, რასაც დარგის შემდგომი სრულყოფა განვითარებისათვის გამოვიყენებთ.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად სამედიცინო დარგის ჯერ კიდევ სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა, საქართველოს გააჩნია მძლავრი საკადრო პოტენციალი (მეცნიერები, ექიმები), რამდენიმე ძლიერი სამკურნალო ცენტრი, რომლებსაც ზოგიერთი მიმართულებით დიდი გამოცდილება და მსოფლიო აღიარება აქვთ. დღეს კი მსოფლიო ბაზარზე სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია საკმაოდ ძვირადღირებული საქონელია. ამ მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანია, ასევე, საქართველოს ბუნებრივი პირობები და ადგილობრივი რესურსები. სათანადო ეკოლოგიური პირობების დაცვით ქვეყანას შეუძლია დარგის ეკონომიკური ეფექტიანობის გადიდება.

საქართველო მდიდარია სამკურნალწამლო მცენარეებით, შეიძლება ასევე ცხოველური წარმოშობის შხამებისა და სამკურნალო პრეპარატების წარმოება. ბუნებრივი ნედლეულის გატანა კი არ არის მომგებიანი, არამედ საჭიროა მზა საექსპორტო პროდუქციის შექმნა. აქაც აუცილებელია უცხოელი პარტნიორების გამოცდილებისა და ტექნოლოგიების გამოყენება. ამ მიზნით კი დიდი მნიშვნელობა აქვს ფარმაცევტული მრეწველობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებს, ურთიერთშეთანხმებებს, მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლას და სხვ.

* * *

დასასრულ, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჯანდაცვის დარგში ნოვაციის დაჩქარებისა და შემდგომი სრულყოფისათვის, აუცილებელია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის შემდგომი განვითარება, რისთვისაც მიზანშეწონილია გააქტიურდეს ადეკვატური საგარეო-ეკონომიკური პროგრამების შემუშავება და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა, საზღვარგარეთიდან ეკონომიკური დახმარების მოზიდვისა და მისი რაციონალურად გამოყენების ღონისძიებები. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო სამეურნეო კოოპერაციის განვითარებას, უცხოური კაპიტალის მოზიდვის სტიმულირებას.

საინოვაციო საქმიანობის აქტივიზაციის ზრდას ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ევროკავშირი, რომლის საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია: ერთიანი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავება; მონყობილობათა დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკის გატარება; მცირე მეცნიერებატევადი ბიზ-

ნესის ნახალისება; უახლესი ტექნოლოგიების დარგში ინოვაციების ნასახალისებლად ორგანიზაცია-დანესებულებების პირდაპირი დაფინანსება; საუნივერსიტეტო მეცნიერებისა და მეცნიერებატევადი პროდუქციის მწარმოებელი ფორმების თანამშრომლობის სტიმულირება და რიგი სხვა ღონისძიების განხორციელება.

ლიტერატურა:

1. ა. სამადაშვილი. სამენარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი, თბ., 2009წ.
2. ნ. ლვედაშვილი. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სერვისის სფეროში. ჟ. ბიზნეს-ინჟინერინგი, სტუ, 2014წ. №3.
3. გლობალური ავადობის ტვირთვის კვლევა (Global Burden of Disease study-GBD) საქართველოში. ვაშინგტონის უნივერსიტეტის ჯანმრთელობის გაზომვების და შეფასების ინსტიტუტი. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი 2015წ.
4. ო. გერზმავა, ო. ვასაძე, დ. ვესტი. ჯანდაცვის მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2001წ.
5. ო. ფაჩულია. ინოვაციათა მენეჯმენტის სრულყოფის საკითხები, თბ., 2012წ.

For Improving the Introduction and Management of Innovations in the Georgian Health Care Sphere

Naira Gvedashvili

Academic Doctor of Economics

In the article, on the basis of critical analysis of individual researchers of the introduction and management of innovations and innovative processes existing nowadays in the sphere of health care there are set out some of the author's opinions about the improvement of the introduction of innovations and management. At the contemporary stage innovations are generally a factor of successful functioning of all organizations as well as health care institutions: innovations create jobs, raise the level of medical care and ensure sustainable development of the sector.

Keywords: Innovations in health care, quality of service, innovative managers, EU experience

JEL Codes: I10, I11, I18

ჩვენნი იუბილარები JUBILEE MEETING

საიუბილეო სხდომა

2017 წლის 20 ოქტომბერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ღვაწლმოსილი მეცნიერის, ამაგდარი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და ღირსეული პიროვნების, პროფესორ გედევან ხელაიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა.

საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა თეიმურაზ ბერიძემ.

პროფესორ გედევან ხელაიას ცხოვრებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ საინტერესო მოხსენება წარმოადგინა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა (ტექსტი იხილეთ მომდევნო გვერდზე).

პროფესორ გ. ხელაიას, როგორც ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტზე, ყურადღება გაამახვილეს: თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. როინ მეტრეველმა, აკადემიკოსებმა ვლადიმერ პაპავამ და ავთანდილ სილაგაძემ, თსუ-ის ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის გამგემ პროფ. ირაკლი კოვზანაძემ. საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. გიორგი სოსიაშვილი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე როსტომ ჩხეიძე, პროფესორები: მერაბ კაკულია, ნოდარ ბაგრატიონი, ლია მამულაშვილი, ემზარ ჯგერენაია, ვახტანგ სართანია, რამაზ აბესაძე, თემურ ბაბუნაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფ. გიორგი ლავთაძე და სხვები.

საიუბილეო სხდომის ორგანიზატორებისა და მონაწილეების წინაშე, მადლიერების გრძნობით გამსჭვალული სიტყვით გამოვიდა იუბილარი პროფ. გედევან ხელაია, რომელმაც, ხანდაზმულობის მიუხედავად, საზოგადოებას აღუთქვა, რომ კვლავაც მზადაა დაულალავად ემსახუროს სტუდენტ-ახალგაზრდობის აღზდას, მეცნიერებას და მშობლიურ საქართველოს.

ფრიად საინტერესო და საქმიანი საიუბილეო სხდომა შეაჯამა და იუბილარს მრავალჟამიერი უსურვა სხდომის წამყვანმა პროფ. თეიმურაზ ბერიძემ.

გედევან ხელაიას 90-წლიანი ცხოვრების დღევანდლობა დღეგრძელობის „საიდუმლო“

ხანგძლივი სიცოცხლე ღვთის საჩუქარია. და მაინც, როდესაც ასეთი საჩუქარი ეძლევა ადამიანს, ყოველთვის ჩნდება ინტერესი იმისა, რომ გაიგო, რაშია მისი ბედნიერი გამონაკლისობის - ცხოვრების ხანგძლივობის მიწიერი საიდუმლო?

ამ ინტერესის გამო, როდესაც ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრს, პროფესორ გედევან ხელაიას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა, ვთხოვეთ დაესახელებინა სამი მთავარი ფაქტორი, რომელსაც ის თვლის, რომ ეფუძნება მისი დღეგრძელობა.

პასუხი შემდეგი იყო:

პირველი, ზომიერება ყველაფერში, ყველგან და ყოველთვის;

მეორე, ბოროტებასა და შურს - არა და არა;

მესამე, სიკეთის კეთება უანგაროდ.

(პირველ სამეულში ვერ მოხვდა რიგით მეოთხედ დასახელებული - მეგრული ლომი და სულგუნი! თუმცა, ის პირველი და უმთავრესი მიზეზის შემადგენლად შეიძლება ჩაითვალოს).

ამ პასუხების პარალელი ბევრ გამოჩენილ ადამიანთა ნააზრევთან შეიძლება გაავლო. ერთს აღვნიშნავ, იმიტომ, რომ ამ ავტორის - მარკუს ტულიუს ციცერონის ნაშრომზე – „სიბერის შესახებ“, უკეთესი ამ ასაკობრივ ჯგუფზე მსოფლიოში არაფერი არ დანერილა. 2000 წელზე მეტი ხნის წინათ მისი ბრძნული რჩევა იყო – ცხოვრებაში მთავარია ზომიერება, არასდროს არ იყოთ თავშეუკავებელი!

ნათქვამიდან ჩანს, რომ სიცოცხლის ხანგძლივობის ფორმულის ძიებისას ჩვენ სინამდვილეში ცხოვრების ფორმულაზე ვმსჯელობთ. ადამიანი წყვეტს არა იმას, თუ რამდენ ხანს ცოცხლობს, არამედ იმას, თუ რას აკეთებს მოცემული შესაძლებლობების ფარგლებში, რა პრინციპებით მოქმედებს. აი, ეს „საიდუმლო“ გაგვანდო ჩვენ ბატონმა გედევან ხელაიამ.

ამ საიდუმლოს გაგებამ გასაგები გახადა ის „საოცრება“, რაც მოხდა ბატონ გედევან ხელაიას დაბადებიდან 90 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წლის აღსანიშნავ საზეიმო სხდომაზე. ისე როგორც ყველა დიდ სოციალურ, საქართველოს ეკონომისტთა დიდ ოჯახშიც, არის ინტერესთა სხვადასხვაობა, ზოგჯერ პიროვნულ გამწვავებულ ფორმებში გადასული, რაც არ იძლევა სრული წარმომადგენლობის გაერთიანების საშუალებას ამა თუ იმ ღონისძიებებზე. გამონაკლისი იყო ბატონ გედევან ხელაიას იუბილე. აქ ყველა გააერთიანა გედევან ხელაიას პიროვნებამ, მისმა მშვიდი და ზომიერი ცხოვრებით მოპოვებულმა ავტორიტეტმა.

მოხუცებულობის პრობლემა არა ასაკი, არამედ გარშემო არსებული წესრიგი და ახალგაზრდობაში დანყებული საქმიანობის შედეგიანობაა. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს თავისი საქმიანობითა და შრომით - ვერ გრძნობს ასაკს. ამ ასაკს სხვე-

ბიც ვერ გრძნობენ, თუ ადამიანს არ აკლია სიამოვნება. სიამოვნება, ტკობა კი იმაზე მეტი, ვიდრე ავტორიტეტის მოპოვებითა და მისით სარგებლობის შესაძლებლობაა, არ არსებობს.

ავტორიტეტი - მასწავლებელი და მეცნიერი

ბატონი გედევან ხელაიას ავტორიტეტი მასწავლებლობისა და პროფესიისადმი ერთგულებაშია, რომელიც ქრონოლოგიურად 65 წელზე მეტია, რაც გრძელდება.

მან ჯერ კიდევ 30 წლის წინათ „გაუშვა“ მომენტი პენსიაზე გასასვლელად. ამის შემდეგაც ბევრჯერ „გაატარა“ შრომითი საქმიანობის შეწყვეტის კეთილი, თუ ბოროტი „შემოთავაზებები“. პროფესორი გედევან ხელაია დღესაც აგრძელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. ის ყველაზე ასაკოვანი მოქმედი პროფესორია საქართველოში ეკონომისტებს შორის.

გედევან ხელაიას ლექციების კურსები გავლილი აქვს ათასობით სტუდენტს. მისი ხელმძღვანელობით დაწყულია 40-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

პროფესორ გედევან ხელაიამ საკუთარი პროფესიული იდენტობა დაუკავშირა ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობას. ეს არჩევანი მან 1944 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე გააკეთა და მისთვის არასოდეს არ უღალატია.

გედევან ხელაიამ ფინანსებისა და კრედიტის სფეროში, კერძოდ, ფულის საკითხების კვლევისას მიიღო ყველა შესაძლო ხარისხი და მიაღწია მნიშვნელოვან სამეცნიერო შედეგებს.

1962 წელს დაიცვა დისერტაცია ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1981 წელს - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ის არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის - 12 მონოგრაფიის ავტორი.

გედევან ხელაიას სამეცნიერო თემატიკის არჩევანი, დღევამდელი გადასახედინდან, ლოგიკურია, თუმცა, თუ ამ გადანწყვეტილებას შევხედავთ მისი მიღების დროისათვის არსებული კონტექსტით, მაშინ მასში შეიძლება დავინახოთ რისკიანი ნაბიჯი ან სწორი ინტუიცია, ან ერთი და მეორეც ერთად. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში, როდესაც გედევან ხელაია სამეცნიერო თემატიკას ირჩევდა, არსებობდა და გაბატონებული იყო საბჭოთა კავშირის, როგორც უკლასო საზოგადოების მშენებელი ქვეყნის იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის შესაბამისად საქონლურ - ფულადი ურთიერთობები და მისი მთავარი ელემენტი - ფული უნდა გამქრალიყო. ამ პერიოდში - 1953 წელს, გ.ხელაია ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კონფერენციაზე აკეთებს მოხსენებას - „ფულის არსისა და ფუნქციების საკითხისათვის“. გარდა თეორიული კონიუნქტურისა, პროფესია ფინანსისტი, ბანკირი არ იყო პრესტიჟულ საბჭოთა პროფესიების რანგში.

საბჭოთა სისტემის საბაზრო ეკონომიკაში ტრანსფორმაციამ საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები და სპეციალობები „ლაღვინა“ თავის უფლებებსა და პრესტიჟულობაში, ამიტომაც, პროფესორ გედევან ხელაიას ნაშრომები აქტუალურია დღესაც, მათ არ განუცდიათ საბჭოთა კავშირის დროინდელი საზოგადოებრივი და სოციალური თემატიკის ნაშრომებისათვის დამახასიათებელი დევალაცია.

მონაფე

გედევან ხელაიას პროფესიულ არჩევანში გადამწყვეტი როლი ითამაშა პროფესორმა ნიკოლოზ (ნიკო) ქოიავამ. მისი ინიციატივით იქნა დატოვებული 1949 წელს ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე ლაბორანტად და აგრეთვე მისი ხელმძღვანელობით გააგრძელა სამეცნიერო მუშაობა. ამ ამაგისადმი მადლიერების გრძნობა გედევან ხელაიას მისი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ განელებია. გედევან ხელაიას მხრიდან მასწავლებლის ხსოვნისადმი სამაგალითო დამოკიდებულების გამოხატულებაა ნაშრომი ნ.ქოიავას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მიუძღვნა ნ. ქოიავას დაბადებიდან 120 წლისთავს. მასწავლებელთა დაფასების მაგალითებია გედევან ხელაიას ინიციატივითა და ორგანიზებით სხვადასხვა დროს მოწყობილი პროფესორ ნიკო ქოიავას, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის, აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის იუბილევები. გედევან ხელაიას მასწავლებლებისადმი დამოკიდებულების გამორჩეული მაგალითია აკადემიკოს შალვა ნუცუბიძისადმი საზეიმო შეხვედრის მოწყობა იმ დროს, როდესაც ეს ბუმბერაზი პიროვნება თანამედროვე ოფიციალურ გულგრილობის გარემოში იყო მოქცეული. გედევან ხელაიამ, იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ შალვა ნუცუბიძე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების პირველი დეკანი იყო, ორგანიზება გაუკეთა მასთან პატივის გამოხატულების შინაარსის საფაქულტეტო შეხვედრას (1967 წ.). ეს ღონისძიება არ იყო არც იუბილე, არც მოხსენება და არც წიგნის განხილვა. ამ აქტით მაშინდელმა საზოგადოებამ დაინახა რეაქცია იმ შემაშფოთებელი ფაქტის გამო, როდესაც ცოტა ხნის წინ შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეზე შალვა ნუცუბიძეს სიტყვით გამოსვლის უფლებაც კი არ მისცეს. გედევან ხელაიას ცხოვრებაში ცალკე გამორჩეული ფურცელია პავლე ინგოროყვასთან ურთიერთობა, რომელშიც მთავარი კვანძია ის, რომ ახალგაზრდა მეცნიერი აღიარებდა და გვერდში ედგა უდიდეს პიროვნებას მაშინ, როდესაც ამის აღიარება არ სურდათ/არ შეეძლოთ ოფიციალურსა და ბატონ პავლეს კოლეგებს.

განათლებისა და მეცნიერების ორგანიზატორი

გედევან ხელაია არამარტო გამორჩეული მასწავლებელი და მეცნიერი, არამედ ამ სფეროების დიდი ორგანიზატორია.

ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი მიღწევებია:

1965-1972 წწ. - ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაქულტეტის დეკანის მოადგილე (დეკანი: პროფ. გივი ჭანუყვაძე);

1987-1990 წწ. - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე (ნიკოლოზ ქოიავასა და ვასილ ჩანტლაძის შემდეგ);

1989 წლიდან 2004 წლის ჩათვლით - გორის ეკონომიკის ინსტიტუტის რექტორი და ამ ინსტიტუტისათვის უნივერსიტეტის სტატუსის მინიჭების ორგანიზატორი.

ყველა ეს ინსტიტუტია დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს და ინახავს იმ წვლილს, რაც მათ არსებობაში გედევან ხელაიას მიუძღვის.

მეცნიერებისა და განათლების სფეროში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გედევან ხელაია 1975 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

Mens sana in corpore sano

გედევან ხელაია გამორჩეული პერსონალური ფიგურაა - მიმზიდველი, სიმპატიური. ის ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის განსახიერებაა. გედევან ხელაიას სულიერი და ფიზიკური ჰარმონიულობა მეცნიერებასთან ერთად ხელოვნებასა და სპორტთან მჭიდრო კავშირითაა განსაზღვრული.

გ.ხელაია წლების განმავლობაში იყო თსუ კალათბურთელთა გუნდის წევრი, გუნდის კაპიტანი, სსრკ სტუდენტთა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზორი.

1955 წელს გედევან ხელაია მიიღეს თბილისის კონსერვატორიაში ვოკალის განხრით, რომელიც ვერ დაასრულა იოგების ტრამვის გამო, თუმცა, ამას ხელი არ შეუსვლია იმისათვის, რომ ის გამხდარიყო ეკონომისტების თავის მოსაწონ სიმღერის მცოდნედ.

ბატონი გედევანი ქართული სუფრის პატივისმცემელია და ტრაპეზს როგორც თამადა თუ როგორც წევრი, თავისი ცხოვრებისეული ზომიერების პრინციპით უდგება. მისი აზრით, სუფრა ანვითარებს ადამიანებს შორის კომუნიკაციის უნარს, მოსმენისა და თქმის კულტურას.

გედევან ხელაიას ერთ-ერთ გამორჩეულ თვისებას სწორედ მისი საკომუნიკაციო დახვეწილი მანერები წარმოადგენს, რაც ბუნებრივია, გაიჩარხა არამხოლოდ სუფრასთან, არამედ მისი ცხოვრების გამოცდილების სხვადასხვა ჩარხზე - მონაფეობაში, მასწავლებლობაში, მეცნიერებაში, სპორტში, რექტორობისას და ა. შ. განსაზღვრული როლი აქ ითამაშა თსუ-ის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მოადგილის რანგში და თსუ იმდროინდელი რექტორის დავით ჩხიკვიშვილის გარემოში ყოფნამაც.

მრავალფეროვანი ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ მეგობრობის ინსტიტუტის მეშვეობით. გედევან ხელაიას ცხოვრების ყველა ეტაპი წარმოდგენილია მეგობრებით: ეს იქნება ფოთის №1 საშუალო სკოლა(ქირურგ გივი ფვანიას მეთაურობით), თსუ(ნოდარ დუმბაძის მეთაურობით), სპორტი (გოგი ბახტურიძის მეთაურობით) თუ სხვა. მე თვითონ ვარ გედევან ხელაიას ერთი სამეგობრო ურთიერთობის (თანაკურსელ ამირან ჯიბუტთან) მომსწრე და მონაწილე „შიგნიდან“. ეს იყო საოცარი კეთილმოსურნეობისა და მოფერების უსასრულო პირდაპირი მნიშვნელობით რიგი ფიზიკურად ბოლო შესაძლებელ წუთამდე.

ოჯახი

ბატონი გედევანი გამორჩეული კაცია პირად ცხოვრებაში ოჯახთან მიმართების თვალსაზრისით. მან მეუღლესთან - მირანდა თოლორდავასთან ერთად შექმნა ოჯახი, რომელიც დღეს მათი ოჯახიდან წარმოშობილი ოჯახებისა და „ნაგრამის“ სახით აგრძელებს მათ ჯიშს და ჯილაგს. შვილები: ხათუნა და ზაზა, „შექნილი“ შვილები: გიორგი მერაბიშვილი, თამუნა ლლონტი, ლულუ ბერიძე, შვილიშვილები: გუგა(გიორგი), დათო ხელაიები, მირანდა, ნანუკა, ნიკუშა მერაბიშვილები. ამ უკანასკნელს მეუღლესთან - თიკო გენაძესთან ერთად განსაკუთრებული როლი მიუძღვის საოჯახო წარმატებებში. მათი შვილები- გიორგი, ნიაკო, ანდრია არიან ბატონ გედევანის შვილთაშვილები.

ცხოვრებაში ყველა ადამიანურად ზნეობრივ გადწყვეტილებას აქვს უფლება, მაგრამ ბატონმა გედევანმა, როდესაც მეუღლე გარდაეცვალა, „ცალუღელში“ ყოფნა აირჩია, მარტოხელამ გააგრძელა შვილების პატრონობა, რითაც დაიმძიმა თავისი ყოფა, მაგრამ საზოგადოების თვალში ავტორიტეტი და პატივისცემა განიმტკიცა.

გედევან ხელაია, მეუღლის გარდა, ატარებს დიდ ტკივილს ძმის -ზურაბის სრულიად ახალგაზრდა ასაკში გარდაცვალების გამო. თუმცა, ამაცობს მისი ძმის ოჯახის ანმყოთი და პერსპექტივებით, რისთვისაც ემადლიერება მის რძალს ქალბატონ გიული ჯინჭველეიშვილს, ძმიშვილების -ნანასა და გუგას ოჯახებს.

ჯიში და ჯილაგი

გენიალურად არის ნათქვამი - ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ.

ბავშვობა ესაა პერიოდი მშობლებთან შინ და სკოლაში.

დედა - ლუბა კვაჭაძე (1907-1989 წწ.) დაწყებითი სკოლის პედაგოგი იყო, წარმოშობით ლანჩხუთიდან (სოფ. ნინოშვილი), მამა - გიორგი (1904-1985 წწ.) სამეურნეო მუშაკი იყო, წარმოშობით მარტვილიდან. თუმცა, გედევან ხელაიას მშობლები ფოთში ცხოვრობდნენ, სადაც 1927 წლის 5 აგვისტოს დაიბადა გედევანი და სადაც 1944 წელს დაამთავრა ფოთის №1 საშუალო სკოლა.

მისტერია

გარდა იმისა, რომ გედევან ხელაია ფოთელია და გენეტიკურად გურულ-მეგრული სინთეზის მატარებელი ქართველია, არის მის ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საყრდენი და ეს საყრდენი მისტერიულადაა მოცემული.

გედევან ხელაია დაიბადა იმ წელს (1927), როდესაც გარდაეცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოს -პატრიარქი და მცხეთა -თბილისის მთავარეპისკოპოსი (1921-1927 წწ.) ამბროსი (ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია, დაბადებული 1861 წელს), იგივე წმინდანად შერაცხული(1995 წ.) ამბროსი აღმსარებელი.

გედევან ხელაიას მამა გიორგი, ამბროსი აღმსარებლის ძმის-ალექსანდრეს შვილი იყო. სწორედ ალექსანდრე გადავიდა მარტვილიდან ფოთში.

ბატონ გედევანის მეხსიერებაში მოვლენები 3-4 წლის ასაკიდანაა შემორჩენილი. მითუმეტეს, მას კარგად ახსოვს 1937 წელს პატრიარქისადმი ერთგულების გამო მის ოჯახში ჩორჩოლი, მამამისთან დაკავშირებული შფოთიანი გარემო.

ხელაიების ოჯახში დიდი მადლის სანთელი არ ჩამქრალა. ბატონ გედევანის შვილმა გააგრძელა დიდი ბაბუის და წინაპრის გზა და დღეს ის - მამა იოანე (ხელაია) ღვთისმსახურებას ეწევა რომში.

დიდია შემოქმედის ძალა, შეუცნობელია ის ჩვენთვის, მაგრამ თუ გვინდა დავინახოთ სასწაული მისგან - დავინახავთ, სასწაული ჩვენს ირგვლივ მუდმივად ხდება. სასწაულია ბატონ გედევანის გავლილი გზა.

სამადლობელი სადღერგძელო

ბატონ გედევან ხელაია, გარდა ნათქვამისა, იმსახურებს მადლობას იმისთვისაც, რომ არის ჩვენ გვერდით, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება ვიყოთ მის გვერდით და მივიღოთ მისგან იმედად და მაგალითად, რომ ასაკი არ არის ბარიერი, რომ ასაკი არის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა, დაფუძნებული სიბრძნის წარმომშობ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე.

მიხეილ ჯიბუტი

*პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი*

პროფესორი გედევან ხელაია – 90

ცნობილ ქართველ მეცნიერსა და პედაგოგს, საზოგადო მოღვაწესა და ჭეშმარიტ ინტელიგენტს, ღირსეულ მამულიშვილსა და შესანიშნავ მეგობარს გედევან ხელაიას 90 წელი შეუსრულდა

ვინც მის ნათელ, იმედიან და ახალგაზრდული შემართების პიროვნებას იცნობს, ალბათ, ამ თარიღს არ დაიჯერებს და მართალიც იქნება, ვინაიდან ბატონი გედევანი ისე მსუბუქად, მხნედ, ფიზიკური და გონებრივი ენერჯის შესაშური იერსახით დააბიჯებს მშობლიურ მიწაზე, ნამდვილად იფიქრებ, ამ თარიღამდე მას ჯერ კიდევ ბევრი გზა აქვს გასავლელი და შეუძლია კვლავაც გაგვახაროს თავისი საქმიანობის შედეგებითა და მაღალი ადამიანური თვისებებით. ღმერთმაც გვისმინოს და ბატონ გედევანმაც, რომ მისი პიროვნება ჯერ კიდევ ჰაერივით სჭირდება ჩვენს საზოგადოებას.

პროფ. გედევან ხელაია დაიბადა 1927 წლის 5 აგვისტოს ქ. ფოთში, საკმაოდ განათლებულ და პატიოსანი შრომით ცნობილ ოჯახში და პირველი ზნეობრივი გაკვეთილებიც მშობლებისაგან მიიღო. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე (1944 წელს) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით.

უნივერსიტეტი პროფესორ გედევან ხელაიას ცხოვრებაში მთელი ეპოქაა. მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, რაც დიდი სამამულო ომის შედეგებით იყო გამოწვეული, ახალგაზრდული, სტუდენტური ცხოვრება საინტერესოდ და მიმზიდველად მიდიოდა და ახალბედა სტუდენტი მთლიანად ჩაერთო ცხოვრების ორომტრიალში. მან მალე მოხიბლა მსმენლები მხატვრული შემოქმედებით და მაყურებლები – სპორტით. სპორტმა თავისი კვალი დატოვა მის ცხოვრებაში, სიამაყით და სიყვარულით რომ იგონებს ყოველთვის და არა ერთი ბრწყინვალე ფურცელი შემატა უნივერსიტეტის სპორტულ ბიოგრაფიას, როგორც ნიჭიერმა კალათბურთელმა.

სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე განსაკუთრებით გაიტაცა გამოჩენილი ეკონომისტ-მეცნიერების - ფილიპე გოგირაძის, გიორგი გეხტმანის, ნიკოლოზ ქოიავას, პაატა გუგუშვილის, ვასილ ჩანტლაძის, ირაკლი მიქელაძის, არჩილ გოკიელის, გიორგი გამყრელიძის და სხვათა ლექციებმა და 18 წლის ჭაბუკმა მიზნად დაისახა სახელოვანი მასწავლებლების გზას დასდგომიდა. ჩვეული სიბუნჯით და მონდომებით შეუდგა იგი მდიდარი ეკონომიკური ლიტერატურის შესწავლას, ნყაროების მიხედვით, ლექცია-სემინარების მომზადებას, რეფერატების წერას და ასე

ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოჩნდა ბატონი გედევანი ეკონომიკური მეცნიერების საინტერესო სამყაროში. ეს ინტერესი და მონდომება შეუნიშნავი არ დარჩენიათ მის მასწავლებლებს და უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დატოვეს ლაბორანტად ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე.

შრომისმიოცვარეობამ და სიბეჭითემ თავისი გაიტანა: ბატონი გედევანი მალე გახდა კათედრის ასისტენტი, მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი. 1962 წელს წარმატებით დაიცვა საკადიდატო დისერტაცია და ერთი წლის შემდეგ კათედრის დოცენტის წოდება მიენიჭა. 1981 წელს კი ასევე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც ეკონომიკური მეცნიერებაში შევიდა როგორც ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა. ამ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცეს ეკონომიკური მეცნიერების საქვეყნოდ აღიარებულმა ქურუმებმა: პროფესორებმა - ივან ზლობინმა, ოლეგ ლავრუშინმა, პიოტრ ნიკოლსკიმ, ლევ კოლიჩევმა, აკადემიკოსებმა პაატა გუგუშვილმა და ვასილ ჩანტლაძემ. მალე ბატონი გედევანი გახდა პროფესორი და იმ კათედრის გამგე, სადაც გადადგა პირველი მოკრძალებული ნაბიჯი მეცნიერებაში.

უაღრესად შემოქმედებითი და ნაყოფიერია გედევან ხელაიას მოღვაწეობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სფეროს - ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და ფინანსების კვლევის მიმართულებით. აღსანიშნავია მისი წვლილი საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ძირეული საკითხების კვლევაში, თანამედროვე საფინანსო და ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რიგი პრობლემის გადანყვევებაში. მისმა შრომებმა მრავალ აქტუალურ საკითხს მოჰფინა ნათლი და მაღალი შეფასება დაიმსახურა. გედევან ხელაიას გამოქვეყნებული აქვს 100-მდე ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფია და უმაღლესი სკოლის რამდენიმე სახელმძღვანელო. მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „საბინაო მშენებლობის დაფინანსება-დაკრედიტების პრობლემები საქართველოში“; „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი აქტუალური საკითხი“; „კრედიტის როლი საქართველოს სოფლის მეურნეობაში“; „ფული, ბანკები, ბირჟები“; „საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საანგარისწორებო ურთიერთობები“.

სანიშნავია ბატონ გედევანის პედაგოგიური საქმიანობა. ის შესაშური ჰარმონიულობით უხამებს ერთმანეთს სტუდენტებისადმი მტკიცე-პრინციპულ მომთხოვნელობას და უაღრესად გულთბილ, ყურადღებიან მამაშვილურ დამოკიდებულებას. მისი რჩევა-დარიგებით და უშუალო ხელმძღვანელობით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ეზიარა ეკონომიკური მეცნიერების ძნელ და რთულ გზას. საერთოდ, ბატონი გედევანი დიდ დროს უთმობდა და დღესაც ასეა – სტუდენტებთან მუშაობას, მას არ შეუძლია ნიჭიერი სტუდენტის გვერდის ავლა, ამასთანავე, ახალგაზრდებისათვის არ იშურებს წიგნებს საკუთარი ბიბლიოთეკიდან. შესვენების დროს მას ხშირად ნახავდით სტუდენტებთან მოსაუბრეს დერეფანსა და კათედრაზე. მან მრავალი თაობის აღზარდაში მიიღო მინაწილეობა და მისი ყოფილი სტუდენტები მრავლად არიან სახალხო მეურნეობასა და ეკონომიკური მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კითხვის პარალელურად, წლების განმავლობაში, სხვადასხვა დროს, მუშაობდა ეკონომიკური ფაკულტეტის

დეკანის მოადგილედ, ფინანსების და კრედიტის კათედრის გამგედ, დისერტაციების დაცვის საბჭოს სწავლულ მდივანად, უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ. ყველგან, სადაც კი ბატონმა გედევანმა იმუშავა, რელიეფურად გამოიკვეთა მისი, როგორც სამეცნიერო და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ხელმძღვანელისათვის საჭირო და აუცილებელი უნარ-ჩვევები, მინდობილი საქმისადმი ერთგულება, მისი ცოდნა, თანამშრომლებისადმი პრინციპული, მარგამ უღრესად გულისხმიერი მიდგომა, მომთხოვნელობაში გამოხატული კეთილშობილება და ა.შ. ერთი სიტყვით, ხელმძღვანელობის მაღალი კულტურა. ამიტომ, სავსებით ლოგიკური და ბუნებრივია, რომ ბატონმა გედევანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 40 წლის მუშაობის შემდეგ – 1989 წელს გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის რექტორის ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების დიდი კერის თავკაცი გახდა. დაიწყო შემოქმედებითი მუშაობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სასწავლო-აღმზრდელობითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

სამწუხაროდ, პროფ. გედევან ხელაიას რექტორად მუშაობის დაწყებისთანავე, რეგიონში გაჩაღდა ბრძოლა ეკონომიკური ინსტიტუტის წინააღმდეგ. რესპუბლიკურ პრესაში ქვეყნდებოდა წერილები, რომელსაც ხელს აწერდნენ ცნობილი მეცნიერები, სადაც ისინი მოითხოვდნენ ეკონომიკური ინსტიტუტის გაუქმებას და მის ნაცვლად ადრე გაუქმებული პედაგოგიური ინსტიტუტის აღდგენას. ბატონი გედევანის, აგრეთვე მისი ზოგიერთი კოლეგის პასუხები ოპონენტებისადმი იყო იმდენად დამაჯერებელი და მეცნიერულად დასაბუთებული, რომ ეკონომიკური ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლა შეწყდა და პრაქტიკულად შეიქმნა მისი განვითარებისა და განმტკიცების ხელსაყრელი სიტუაცია, რაც გონივრულად გამოიყენა ამაგდარმა რექტორმა – ერთი სპეციალობის გვერდით, ინსტიტუტში ზედიზედ გაიხსნა ახალი ეკონომიკური სპეციალობები, შეიქმნა ახალი ფაკულტეტები, კათედრები, განახლდა კაბინეტ-ლაბორატორიები, ამაღლდა პროფესორ-მასწავლებელთა თვისებრივი დონე და გაძლიერდა სამეცნიერო კვლევითი მუშაობა.

და, სწორედ მაშინ, ცნობილი მიზეზის გამო, ქვეყანაში დაიწყო არეულობა, მოიშალა წესრიგი და ძალაუფლება, გამწვავდა ქართულ-ოსური კონფლიქტი და უთანხმოებამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია. გორი ფრონტისპირა ქალაქს დაემსგავსა, ხოლო აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებმა ქვეყანა შეძრა. ეკონომიკური ინსტიტუტი აქტიურად ჩაერთო შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის მშვიდობიანი გზით მოწესრიგებაში. ყველა შესაძლო დახმარება გაენია ლტოლვილებს, განსაკუთრებით კი ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის დევნილ ქართულ სექტორს, მის სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს.

მიუხედავად მძიმე და რთული მდგომარეობისა, არათუ შეინარჩუნა ინსტიტუტის სასწავლო-მატერიალური ბაზა და პროფესორ-მასწავლებელთა კონტიგენტი, არამედ გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი სულ მალე გახდა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაშიც დიდი და განსაკუთრებულია ბატონ გედევან ხელაიას დამსახურება.

შემდგომ წლებში, ბატონი გედევანის ინიციატივით დაიწყო დროისა და ვითარების შესაფერისი სიახლეების დანერგვა-დამკვიდრება უნივერსიტეტის მრავალპროფილიანი მუშაობის ძირითადი მიმართულებებში. განახლდა და გაფარდოვდა კავშირები უცხოეთის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრებთან. პროფესორი გ. ხელაია პრესის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა სტატიებს და ხაზგასმით ასაბუთებდა, რომ აუცილებელია უმაღლესი სკოლის სრულყოფილი კონცეფციის შემუშავება ევროპისა და ამერიკის სასწავლებლების გამოცდილებისა და საქართველოში დამკვიდრებული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების საფუძველზე.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობის მთელი პერიოდის მანძილზე გ. ხელაიას არასოდეს გაუწყვეტია კავშირი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ჯერ ერთი, იგი რექტორთა საბჭოს წევრი იყო და უწევდა ხშირად საბჭოს სხდომებზე დასწრება უნივერსიტეტში, ხოლო მეორე, ფინანსებისა და საბანკო საქმის კათედრის ღონისძიებებში (დისერტაციების დაცვა, სამეცნიერო კონფერენციები, ნაშრომების განხილვა და სხვა.) აქტიურად მონაწილეობდა.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, ბატონი გედევანი არის სანიმუშო მეოჯახე, მისაბაძი მამა, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ადრე დაკარგა მეუღლე, გული არ გაიტეხა მცირეწლოვან გოგონასა და ვაჟს დედის მაგივრობაც გაუწია და სამშობლოს ორი ღირსეული მოქალაქე აღუზარდა.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ პროფესორი გედევან ხელაია ყოველთვის გამოირჩეოდა სამართლიანობით და ობიექტურობით, მაღალი მორალური თვისებებით, ინტელექტუალური და სულიერი ძალების მოქმედებით, პიროვნულ პატივისცემასთან ჰარმონიულად შეხამებული პრინციპული მომთხოვნელობით და საქმისადმი ერთგულებით. ეს ყველაფერი დაფუძნებულია მის პატრიოტულ სულისკვეთებაზე, რაც ბატონ გედევანის ცხოვრებისა და სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის მათვარი მამოძრავებელი ძალაა.

ღმერთმა ნუ მოაკლოს ბატონ გედევანს ამ ძალის შთამაგონებელი მაცოცხლებელი ზეგავლენა, ხოლო ჩვენს საზოგადოებას, მეგობრებსა და კოლეგებს, ახლობლებსა და ნათესავებს მისი სიყვარული და თანადგომა.

დაბოლოს, პროფ. გედევან ხელაიას გულითადად ვულოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს და გულწრფელად ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ ბედნიერ სიცოცხლეს, ახალ შემოქმედებით წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია*

სსოპნა ნაოპლი THE MEMORY

პროფესორი ბიორგი პაპავა – ჩემი უახლოესი მეგობარი

2018 წლის 3 იანვარს დაბადებიდან 95 წელი შეუსრულდებოდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-ეკონომისტს და ამაგდარ პედაგოგს, პროფესორ გიორგი პაპავას.

ადამიანის უნიკალურობისა და შეუცვლელობის გაგება მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც კარგად ახლობლებს: ნათესაებს თუ მეგობრებს. ადამიანის მეხსიერებას უჭირს ძვირფასთან სამუდამოდ განშორების რეალობის აღქმა.

სწორედ, ამ დასკვნამდე მივიღვარ ყოველთვის, როდესაც ვიგონებ ჩემ უფროს მეგობარსა და კოლეგას, ბრწყინვალე მეცნიერ-მკვლევარს, პედაგოგს, ჰუმანისტს, პატრიოტს, უბრალოდ სიკეთის მთესველ კაცს – ბატონ გიორგი პაპავას.

მქონდა პატივი, წლების მანძილზე, ახლო ურთიერთობაში ვყოფილიყავი მასთან, როგორც სტუდენტი, მეგობარი და კოლეგა და სრულად დამენახა მისი პიროვნება. ჩვენი ურთიერთობის მთელ მანძილზე, ღრმად დავრწმუნდი, რომ ბატონი გიორგი პაპავა იმ იშვიათი ადამიანთაგანი იყო, რომელსაც ბუნებამ უხვად მიამაძღლა ისეთი მაღალი ზნეობრივი ნიჭი, რომელსაც მოკლებულია ადამიანების უმრავლესობა. იგი, მართლაც თავისებურად შეუცვლელი და განუმეორებელი პიროვნება იყო.

მრავალ ჭირვარამგამოვლილი და ცხოვრებისეული დიდი გამოცდილებით მდიდარი ადამიანი, მასზე მე, 5 წლით უფროსს, მაშინ ჯერ ისევ ახალბედას, გამორჩეული პატივისცემით მეპყრობოდა. ინტონაციითაც კი არასოდეს უგრძობებია თავისი უპირატესობა. გულწრფელად ვიტყვი, ეს არამარტო მსიამოვნებდა, თვითშეფასების ზრდისთვისაც მაძლევდა მოტივაციას. მართალია, მაშინ ამდენი არც გამოცდილება მქონდა და მით უფრო, არც ფსიქოლოგიისა გამეგებოდა, მაგრამ ვგრძობდი, რომ ჩემთან, როგორც ადამიანთან და სტუდენტ-კოლეგასთან, ნამდვილი გულითადობა აკავშირებდა.

ბატონ გიორგის ამშვენებდა ჭეშმარიტი ინტელიგენტური ეთიკა, გულისხმიერება და თავმდაბლობა. არასოდეს უთხოვია მინიერი პატივი და დიდება. არასოდეს უცხოვრია შემთხვევითობის, ბედილობისა თუ ფორტუნის იმედზე. იგი გამუდმებით შრომობდა იმისათვის, რომ თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული ეკონომი-

კური მეცნიერებისა და მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს მოხმარებოდა.

მის მიერ, მეტად რთულ გზაზე განვლილი დრამატული ამბებით აღსავსე ცხოვრების მიუხედავად, ბატონი გიორგი, სულით არ დაცემულა, არც გაბოროტებულა, პირიქით, დიდი ნებისყოფით, გამოცდილებითა და მუყაითი შრომით, მაგალითადაც კი იქცა ბევრისათვის.

მისი გარდაცვალებიდან განვლილმა დრომ კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედა მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მისი ყველა ნაშრომი გაჯერებულია ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერული კვლევებით, ეკონომიკური ვითარებისა და მოვლენების მეცნიერული გააზრებით, შეფასებითა და კრიტიკული ანალიზით, ახალი დებულებებით, ორიგინალური საკითხების დასმით, დასაბუთებული არგუმენტებით, დასკვნებითა და რეკომენდაციებით, აგრეთვე, პრაქტიკაში არაერთი გამოგონებისა და ინოვაციის დანერგვით.

ბატონმა გიორგიმ, წარმატებით შეძლო, ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას დაფუძნებლი ცოდნა გადაეცა ახალგაზრდა მეცნიერ-ეკონომისტთა არაერთი თაობისათვის.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოსთვის, უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში, პრაქტიკასთან მეცნიერების უშუალო კავშირის თვალსაზრისით, იმდენი არავის გაუკეთებია, რამდენიც ბატონმა გიორგიმ, როგორც პროფესიონალმა მეცნიერ-მკვლევარმა და გამოცდილმა პრაქტიკოსმა.

სამი ადამიანი: ვლადიმერი, გიორგი და ვალდიმერ პაპაევი – დიდი ქართული ოჯახის ეს დიდებული სამეფო, მთელი საუკუნეა, ეკონომიკური მეცნიერების სამსახურშია: ბაბუა – დოცენტი; შვილი – პროფესორი; შვილიშვილი – აკადემიკოსი. შეიძლება ითქვას, რომ ამის მსგავსი, მართლაც ბევრი არაა ამქვეყნაზე. ამგვარი ოჯახური მემკვიდრეობითი თანმიმდევრულობა იმითაცაა საინტერესო, რომ ნათლად ჩანს შვილის აღზრდაში რაოდენ გადამწყვეტია მამის როლი, მისი მაგალითი, პოზიცია და სახე, აგრეთვე ჩამოყალიბებული მიზნების წარმატებით განხორციელება და ა.შ.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ჩემი შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრულ და კოლეგიალურ ვითარებაში გავატარე ამ ნათელი გონებისა და ზნეობრივად სპეტაკ პიროვნებასთან როგორიც იყო ბატონი გიორგი, მასთან შეხვედრებმა გარკვეული ცვლილებაც კი შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში. არასოდეს დამავინწყდება მისი გულითადი დახმარება, რაც საიდისერტაციო ნაშრომის შესრულებისას საკრედიტო ურთიერთობაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებით გამოიხატა. მის მიერ მოცემულმა მითითებებმა და რეკომენდაციებმა მათემატიკური მოდელები და ფორმულები უფრო დინამიკური და ეფექტიანი გახადა.

რა თქმა უნდა, მსიბლავდა ურთიერთობის მისეული უბრალოება, გახსნილობა, ძალადაუტანლობა. მეტად საინტერესო მოსაუბრე იყო, ყოველი შეხვედრისას, რა-

ლაც ახლებურად აღვიქვამდი მის პიროვნებას. ის არასოდეს მეორდებოდა პირადი ხასიათის საუბრებსა და სხვა შეხვედრებში. იგი მახვილგონიერი, გალანტური, ნათელი და დაულალავი მოსაუბრე იყო – თავშესაქცევი მხიარულებითა და ზოგჯერ მეტად სერიოზული ისტორიების ამოუნწურავი მარაგით. იცოდა რთული აზრების მარტივად, გასაგები ენით გადმოცემა. თავის აზრს მუდამ სრული სიზუსტით გამოხატავდა.

ბატონო გიორგი არასდროს არ ცდილა არაკეთილმოსურნეებთან პაექრობაში ჩაბმულიყო და ებრძოლა მათ წინააღმდეგ, მაგრამ ვერ ეგუებოდა უმადურობას, შურიანობასა და ქედმაღლობას. ის კი არა, თუ ვინმე მასთან, სხვა პიროვნების ლანძღვას დაიწყებდა, მაშინვე შემპარავი ირონიული ღიმილით, მოსწრებულ ფრაზას იტყოდა და საუბრის სხვა თემაზე გადასვლას, უმტკივნეულოდ ადვილად ახერხებდა.

ახლა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებაც, თუ როგორი სერიოზულობითა და ყურადღებით ეპყრობოდა ბატონი გიორგი ქართული სუფრის ცერემონიას.

ჩემი დიერტაციის დაცვასთან დაკავშირებით, მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ოფიციალური ოპონენტები, ცნობილი მეცნიერები – ივანე ზლობინი და ლევ კოლიჩევი. დისერტაციის დაცვის მეორე დღეს, ისინი დავპატიჟე რესტორანში ვინრო წრეში, მეგობრულ სადილზე. ჩემთან ერთად იყვნენ გიორგი პაპავა და ბატონი გიორგი ადეიშვილი. სუფრის თამაძობა გიორგი პაპავას ვთხოვე.

მართლაც, იმ დღეს, ბატონი გიორგი მეტად არაორდინარული თამადა იყო. თითოეული მისი სადღეგრძელო იყო ღრმად გააზრებული, აღსავსე ყოველმხრივი შემეცნებით, რითაც ის ბრწყინვალედ, დინჯად ოპერირებდა და თავის სიტყვას ურთავდა სახალისო ისტორიულ ექსკურსებსა და ფილოსოფიურ განზოგადებებს, თანაც, შესაშური გამართული რუსულით მეტყველებდა. სუფრის თითოეული წევრისათვის მოეძებნებოდა განსაკუთრებულად შერჩეული სიტყვები და უზუსტესი დახასიათება. მანცვიფრებდა, თავისი პასუხისმგებლობის გრძნობით და სტუმრების ვიზიტის დეტალების განხილვისას გამოვლენილი ინტერესიანობით. სისხლბორცეულად იყო დაინტერესებული, რომ საკუთარი რესპუბლიკა საუკეთესო რაკურსით წარმოეჩინა, რომ საქართველოში ნანახი თუ განცდილი, სტუმრებს დაუვიწყარ შთაბეჭდილებებად წაყოლოდა. აქ დომინირებდა არა იმდენად პიროვნული მისწრაფება, რომ საპატიო სტუმრებთან არ შერცხვენილიყო (თუმცა, არც ეს იყო მისთვის მეორეხარისხოვანი), რამდენადაც ზრუნვა – საქართველო როგორმე წარმოეჩინა სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-კულტურული ზრდის პერსპექტივების ქვეყნად.

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც, თავისი გამომგონებლობითა და ლალი იუმორის გრძნობით, ისე გვახალისებდა, რომ ჩვენი რუსი სტუმრები აღფრთოვანებას ვეღარ მაღავენდნენ და გულიანად მხიარულობდნენ. ბოლოს, ივანე ზლობინმა თამადა შეაქო და უთხრა: „თქვენი ყოველი სადღეგრძელო ფირზეა ჩასაწერიო, სუფრის

გაძლოლის ხელოვნებას კარგად ფლობთო“. მაშინვე, ბატონმა ლევ კოლიჩევმა დაამატა: „ღვინის მცირე დოზით სმის უნარსაც კარგად ფლობსო“, რაც ძალზე მოსაწონიაო. ამ სჯა-ბაასში ისე შემოგვალამდა, ვერც კი გავიგეთ.

ამ წუთებში, ჩემ თავს, თუ კითხვას დავუსვამდი, რას ვისურვებდი – ბატონი გიორგი პაპავას მსგავსი ადამიანები არასოდეს მოშლოდეს სრულიად საქართველოს.

პროფესორი

გედევან ხელაია

4.12.2017 წ.

გამოცემაზე მოპაობდნენ:

ნათია დვალი
ლელა წიკლაური
ნინო ებრალიძე

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tshavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge